

ელგუჯა მექვაბიშვილი
ELGUJA MEKVABISHVILI

გლობალიზაციის ეპოქის
ფინანსური კრიზისები და
საქართველოს ეკონომიკა

THE FINANCIAL CRISIS OF THE
GLOBALIZATION ERA AND THE
ECONOMY OF GEORGIA

თბილისი • TBILISI
2018

The paper deals with the origin of the globalization of the economy and the regulatory of its development. There is shown the characteristics of the resistance of globalization one of the main manifestations of which is in regional and global financial crisis. There is characterized the reasons for the financial crisis in Latin America and the East Asia region and the logic of development. The impact of the East Asian crisis on the banking and currency fields of the Georgian economy is analyzed.

The main focus is on 2007-2009 global financial crisis research. New theoretical-methodological basis for crisis research has been developed. A significant part is to analyze the challenges and threats of crisis-free development period in the global and Georgian economies. Some of their prevention measures are offered. The author's interpretation of the model of economy of non-crises development and the research of theoretical-methodological and practical aspects of Georgia's effective integration into the global economy is unique.

The work is intended for the students of Economics and Business Administration of higher educational institutions, professors, teachers and for a wide range of readers interested in economic issues.

Editor: Doctor of Economic Sciences, Professor **TEIMURAZ BERIDZE**

Reviewers: Doctor of Economic Sciences, Professor **REVAZ GVELESIANI**

Academic Doctor, Associate Professor **INGA BALARJISHVILI**

Academic Doctor, Associate Professor **TAMAZ ZUBIASHVILI**

The work is accomplished at Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business at the Department of Theoretical Economics.

ნიგნი გამოსაცემად მომზადდა გამომცემლობა „ინტელექტში“

© ელგუჯა მექვაბიშვილი, 2018

ISBN 978-9941-476-29-7

ნაშრომში განხილულია ეკონომიკის გლობალიზაციის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებები. ნაჩვენებია გლობალიზაციის-თვის დამახასიათებელი წინააღმედგობები, რომლის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინება რეგიონალური და გლობალური ფინანსური კრიზისებია. დახასიათებულია ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ქვეყნებში წარმოშობილი ფინანსური კრიზისების მიზეზები და განვითარების ლოგიკა. გაანალიზებულია აღმოსავლეთ აზიის კრიზისის ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკის საბანკო და სავალუტო სფეროებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის კვლევას. შემუშავებულია კრიზისის კვლევის ახალი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გლობალური და საქართველოს ეკონომიკების პოსტკრიზისული განვითარების პერიოდში არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების ანალიზს. შეთავაზებულია მათი პრევენციის ზოგიერთი ღონისძიება. ორიგინალურია ეკონომიკის უკრიზისო განვითარების მოდელის ავტორი-სეული ინტერპრეტაცია და გლობალიზებულ ეკონომიკაში საქართველოს ეფექტიანი ინტეგრირების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების კვლევა. ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასნავლებლებისთვის და ეკონომიკური საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

რედაქტორი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თეომურაზ გარიბა

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რევაზ გვალესიანი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი **ინგა ბალანჯიშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი **თამაზ ზუგიაშვილი**

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრაზე.

სარჩევი

შესავალი.....	9
თავი I. გლობალზაფილის ფენომენი	
1.1 ეკონომიკის გლობალიზაცია და გლობალური ეკონომიკა	16
1.2 ეკონომიკის გლობალიზაციის ისტორიული წანამძღვრები, ეტაპები და ტექნოლოგიური საფუძვლები	24
1.3 ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპის ნინაალმდეგობრივი ხასიათი.....	35
თავი II. გლობალზაფილის ეპოქის რეგიონული ფინანსური კრიზისები	
2.1. ლათინური ამერიკის ქვეყნების ფინანსური კრიზისები	47
2.2 სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების 1997 წლის ფინანსური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე	54
თავი III. გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის კვლევის თეორიისულ-ეთოლოგიური საფუძვლები	
3.1. ეკონომიკური კრიზისის პრობლემა მეინსტრიმულ ნეოკლასიკურ ეკონომიკურ მიმართულებაში.....	72
3.2. გლობალური ფინანსური კრიზისის კვლევისადმი დინამიურ-სისტემური მიდგომა	84
3.2.1. 6. კონდრატიევის კონიუნქტურის დიდი ტალღების თეორია	87
3.2.2. ეკონომიკის ფინანსებიზაცია	92
3.2.3. ეკონომიკის დერივატიზაცია და „დერივატული კაპიტალიზმი“	99
3.2.4. ეკონომიკის ვირტუალიზაცია.....	107
3.3. გლობალური ფინანსური კრიზისის ანტროპოცენტრული ანალიზი	112

3.3.1. „ეკონომიკური ადამიანის“ (homo economicus)	
ტრანსფორმირება „ფინანსურ ადამიანად“ (homo finanicus).....	115
3.4. გლობალური ფინანსური კრიზისის ზოგიერთი ფსიქოლოგიური ასპექტი	127
თავი IV. გლობალური ფინანსური პრიზისის დიალექტიკა	
4.1. გლობალური ფინანსური კრიზისის აღმოცენების მიზეზები, განვითარების ლოგიკა და შედეგები	139
4.2. ანტიკრიზისული პოლიტიკა სახელმწიფო და ზესახელმწიფო დონეზე	163
4.2.1. აშშ-ს და ზოგიერთი სხვა წამყვანი ქვეყნის ანტიკრიზისული სამთავრობო პოლიტიკა.....	164
4.2.2. ანტიკრიზისული პოლიტიკა გლობალურ (ზესახელმწიფო) დონეზე	176
4.2.3. ანტიკრიზისული პოლიტიკის გამოცდილების ზოგიერთი თეორიული ასპექტი (დასკვნა)	187
4.3. გლობალური ფინანსური კრიზისის ასახვა საქართველოს ეკონომიკაში	193
თავი V. პოსტკრიზისული ეკონომიკური განვითარების ზიგზაგები	
5.1. პოსტკრიზისული მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები	201
5.2. გამოწვევები და საფრთხეები.....	206
5.3. პოსტკრიზისული პერიოდის საქართველოს ეკონომიკა.....	212
თავი VI. გლობალური ფინანსური პრიზისი და მოავლის ეკონომიკის კონტურები	
6.1. ეკონომიკური განვითარების ახალი პარადიგმის (თეორიული მოდელის) დამახასიათებელი ნიშნები.....	230
6.2. საქართველოს პერსპექტიული ეკონომიკური განვითარების მოდელის ზოგიერთი ასპექტი	240
დასკვნები	252
THE FINANCIAL CRISIS OF THE GLOBALIZATION ERA AND THE ECONOMY OF GEORGIA. CONCLUSIONS.....	266
გამოყენებული ლიტერატურა	277

CONTENTS

INTRODUCTION	9
CHAPTER I. THE PHENOMENON OF GLOBALIZATION	
1.1. Globalization of the Economy and the Global Economy.....	16
1.2. Historical Precondition, Stages and Technological Bases of Globalization of the Economy.....	24
1.3. Contemporary Nature of the Modern Stage of Globalization of Economy.....	35
CHAPTER II. REGIONAL FINANCIAL CRISES OF THE ERA OF GLOBALIZATION	
2.1. Financial Crises of Latin American Countries	47
2.2. Reflecting the 1997 Financial Crisis of South-East Asian Countries on the Georgian Economy.....	54
CHAPTER III. THEORETICAL-METHODOLOGICAL BASES OF GLOBAL FINANCIAL-ECONOMIC CRISIS RESEARCH	
3.1. The Problem of Economic Crisis in the Mainstream Neoclassic Economic Direction	72
3.2. Dynamic-systemic Approach to Global Financial Crisis Research	84
3.2.1. N. Kondratiev Conuncture, the Theory of Long Waves.....	87
3.2.2. Financialization of Economics	92
3.2.3. Derivatization of Economics and ~Capitalism with Derivatives~	99
3.2.4. Virtualization of Economy.....	107
3.3. Anthropocentric Analysis of the Global Financial Crisis	112

3.3.1. Transforming „Economic Human“ to „Financial Human“	115
3.4. Some Psychological Aspects of the Global Financial Crisis.....	127
CHAPTER IV. DIALECTICS OF GLOBAL FINANCIAL CRISIS	
4.1. The Reasons of the Appearance of Global Financial Crisis, Logic and Consequences of the Development.....	139
4.2. The Anti-crisis Policy at the State and Super-state Levels	163
4.2.1. The Anti-crisis Governmental Policy of the United States and some other Leading Countries	164
4.2.2. The Anti-crisis Policy at Global (Super-state) Level.....	176
4.2.3. Some Theoretical Aspects of Anti-crisis Policy Experience (Summary of Chapter IV).....	187
4.3. Reflecting the Global Financial Crisis on Georgian Economy.....	193
CHAPTER V. POST-CRISIS ECONOMIC DEVELOPMENT ZIGZAGS	
5.1. The Trends of Post-crisis World Economic Development.....	201
5.2. Challenges and Threats.....	206
5.3. Post-Crisis Period of Georgian Economy.....	212
CHAPTER VI. GLOBAL FINANCIAL CRISIS AND FUTURE ECONOMIC OUTLINES	
6.1. Elements of new Paradigm of Economic Development (Theoretical Model).....	230
6.2. Some of the Aspects of Georgian Economic Prospective Development Model	240
CONCLUSIONS.....	252
THE FINANCIAL CRISIS OF THE GLOBALIZATION ERA AND THE ECONOMY OF GEORGIA. CONCLUSIONS	
LITERATURE	277

ვუძღვნი ჩემს შვილიშვილებს – **ორაკლის** და **სანდროს**,
იმედით, რომ იცხოვრებენ კრიზისის,
ომის და ძალადობისგან თავისუფალ სამყაროში.

შესავალი

მსოფლიო 1990-იანი წლებიდან გლობალიზაციის ეპოქაში შევიდა. გლობალიზაციის დაწყება მომზადებული იყო ცივი-ლიზაციის ხანგრძლივი ისტორიული განვითარებით, თუმცა ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა ინტერნაციონალიზაციის პროცესმა, რომელიც განსაკუთრებული ინტენსიურობით XIX საუკუნის ბოლო მესამედიდან წარიმართა.

გლობალიზაცია რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენია. იგი ვრცელდება სოციუმის სხვადასხვა სფეროზე – პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კულტურაზე, იდეოლოგიაზე, რელიგიაზე და ა.შ. ამ მრავალმხრივ პროცესში მთავარი და გადამწყვეტი ეკონომიკის გლობალიზაციაა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება როგორც საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალის, კაპიტალის თავისუფალი ტრანსსაზღვრითი მოძრაობის, საერთაშორისო ბაზრების ურთიერთკავშირის და ურთიერთშერწყმის გაძლიერების პროცესი. შედეგად ყალიბდება გლობალური ეკონომიკა – რეალური დროის რეჟიმში ფუნქციონირებადი პლანეტარული მასშტაბის მქონე ერთიანი ეკონომიკური სისტემა.

ეკონომიკის გლობალიზაცია ბევრი მიმართულებით მიმდინარეობს. მათ შორის მთავარია ფინანსური გლობალიზაცია. უფრო მეტიც, ეკონომიკის გლობალიზაცია ამჟამად უპირატესად ვლინდება ფინანსური გლობალიზაციის ფორმით. ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს სუვერენული სახელმწიფოების ეკონომიკურ განვითარებაზე. მზარდი ფინანსური კარგახსნილობა, რომელიც ფინანსური გლობალიზაციის პირდაპირი შედეგია, ხელს უწყობს ქვეყნებში დიდი მოცულობის კაპიტალის შედინებას, მზარდ შიგა

დანაზოგებთან ერთად ეხმარება მათ სტაბილური და მაღალი ტემპის ეკონომიკური ზრდის მიღწევაში. ფინანსური გლობალიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი და პოსტკომუნისტური გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების-თვის. მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ უკანასკნელ ათწლეულებში ეკონომიკური ზრდის ტემპი შედარებით მაღალი იყო იმ ქვეყნებში, რომლებმაც სხვებზე უკეთესად მოახერხეს საჯუთარი ბაზრების ლიბერალიზაცია და მათი მჭიდრო ინტეგრირება გლობალურ ეკონომიკაში.

დადებითთან ერთად, ფინანსურ გლობალიზაციას უარყოფითი შედეგებიც გააჩნია. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ფინანსური ვირუსის“ სწრაფი გავრცელება, რომლის გამოც ერთ ქვეყანაში დაწყებული ფინანსური კრიზისი ხშირად იღებს რეგიონულ და როგორც უკანასკნელმა მოვლენებმა გვიჩვენა, გლობალურ ხასიათს.

საზოგადოდ, კრიზისი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება-განვითარების ბუნებრივ-ისტორიული ფორმაა. 1825 წლიდან მოყოლებული, მრავალ კრიზისს ჰქონდა ადგილი, რომელთაგან ზოგიერთი მსოფლიო მასშტაბის იყო. გლობალიზაციის ეპოქის კრიზისები, რომელთა დაწყება 1980-1990-იანი წლების მიჯნით თარიღდება, რამდენიმე თავისებურებით იყო გამორჩეული. პირველი, მნიშვნელოვნად შემცირდა კრიზისებს შორის დროის ინტერვალი, რაც ჩვენი აზრით, დაკავშირებული თანამედროვე სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუციის უშუალო ზეგავლენით ძირითადი კაპიტალის ცვეთის და განახლების პროცესების დაჩქარებასთან. მეორე, გლობალიზაციის ეპოქის ეკონომიკურ-მა კრიზისებმა უპირატესად შეიძინა ფინანსური შინაარსი. ეს განპირობებული იყო თანამედროვე ეკონომიკაში ფინანსური სფეროს არნახული გაფართოებით და გაძლიერებით. მესამე, ფინანსურ კრიზისებს გააჩნდა მკვეთრად გამოხატული რეგიონული და გლობალური ხასიათი.

2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი თავისი სიმწვავით და სიღრმით მართლაც გამორჩეული იყო. ამ თვალ-საზრისით, მას ანალოგი შეიძლება მოქმებნოს მხოლოდ 1929-1933 წლების „დიდი დეპრესიის“ სახით. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ თანამედროვე გლობალურ ფინანსურ კრიზისს ხშირად უწოდებენ „დიდ რეცესიას“. მან მძიმე დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. კრიზისით გამოწვეულმა ჯამურმა დანაკარგებმა მთავრობების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხების ჩათვლით 4 ტრლნ 700 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მსოფლიო ფინანსური ბაზრების კაპიტალიზაცია 16 ტრლნ 400 მლრდ აშშ დოლარით შემცირდა. ამასთანავე, კრიზისის დამანგრეველი მოქმედება მხოლოდ საფინანსო-ეკონომიკური სფეროთი არ შემოფარგლულა. ზოგიერთ ქვეყანაში (ისლანდია, უნგრეთი, ლატვია...) მან განაპირობა მწვავე პოლიტიკური, სოციალური კატაკლიზმები და კონკრეტული ადამიანების პიროვნული ტრაგედიების მიზეზიც გახდა. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ „ჩვეულებრივი“ ციკლური კრიზისებისგან განსხვავებით, გლობალურ ფინანსურ კრიზისს ჰქონდა სისტემური ხასიათი.

ქართულ და უცხოურ ენებზე მრავალი ნაშრომია გამოცემული, რომლებიც ეხება გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის მიზეზებს, განვითარების ლოგიკას, კრიზისის დამდგარ და მომავალ სავარაუდო შედეგებს, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაზე მის ზეგავლენას და სხვა საკითხებს. ბევრ განხილულ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა შორის თანხმობაა მიღწეული, თუმცა ჯერ კიდევ საკმაოდაა ბუნდოვანი და გაურკვევლი მხარეებიც. განსაკუთრებულ დავას იწვევს კრიზისების პროგნოზირების და პრევენციის, პოსტკრიზისული განვითარების მიმართულებების, ალტერნატივების, პოსტკრიზისულ პერიოდში არსებული საფრთხეების და გამოწვევების, მათზე ადეკვატური რეაგირების მექანიზმების შემუშავების და რიგი სხვა საკითხები.

მთავარი მეთოდოლოგიური ნაკლოვანება, რომელიც ჩვენი აზრით, გლობალური ფინანსური კრიზისის კვლევას ახასიათებს, ის არის, რომ ყურადღება ძირითადად მახვილდება ანალიზის ტექნიკურ ასპექტებზე, ანუ ადგილი აქვს პრობლემისადმი ტექნოცენტრულ მიდგომას. რა თქმა უნდა, დერივატივების ფეთქებად ზრდას, რაც ეკონომიკის დერივატიზაციის სახელწოდებითაა ცნობილი, სეკურიტიზაციას, ეკონომიკური პროცესების ვირტუალიზაციას, ფინანსური სფეროს გაუმჭვირვალეობას, ეკონომიკის საყოველთაო დერეგულირებას და ა.შ. დიდი როლი აკისრია გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოქმნაში. თუმცა ამ პროცესებში, ჩვენი აზრით, გადამწყვეტია ის გარემოება, რომ გლობალური ფინანსური კრიზისი არის იმ საერთო (სისტემურ – ცივილიზაციური) კრიზისის პირდაპირი გამოვლინება, რასაც თანამედროვე ადამიანი განიცდის უსწრაფესად გლობალიზებად და წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში.

შემდეგი ხარვეზი, რომელიც მეინსტრიმული ნეოკლასიკური თეორიების ჩარჩოებში გლობალური ფინანსური კრიზისის კვლევას ახასიათებს, მათი ფუნდამენტური, ანუ ეკონომიკური ინდივიდუალიზმის პრინციპიდან გამომდინარეობს. ეს უკანასკნელი ფესვებგადგმულია ა.სმიტის „ეკონომიკურ ადამიანში“, რომელსაც ეგოიზმი, სწრაფი გამდიდრებისა და მოკლევადიანი მოგების მიღების დაუკებელი სურვილი ამოძრავებს. თანამედროვე ნეოკლასიკურ ეკონომიკურ მიმართულებაში სმიტისეული „ეკონომიკური ადამიანი“ ტრანსფორმირდა ე.წ. „რეპრეზენტატიულ“ აგენტად – ყოველგვარი ისტორიული, გეოგრაფიული, სოციალური, ეთნიკური, ეთნიკურ-სარწმუნოებრივი და ა.შ. კონტექსტიდან ამოგლეჯილ სუბიექტად, რომელსაც სრული რაციონალურობა და ოპტიმიზირებული ქცევა ახასიათებს. რაციონალურ ადამიანში ტრადიციულ ადამიანურ სიკეთეებს: სათნოებას, კაცთმოყვარეობას, სიქველეს და ა.შ. ეგოიზმი, სიხარბე, „ვერცხლისმოყვარეობა“... ცვლის, რის გამოც ადა-

მიანი უცხოვდება სხვა ადამიანისგან, კოლექტივისგან, საზოგადოებისგან და შორდება ღმერთს. სამაგიეროდ იგი იქცევა „ნივთთა სამყაროს“, ფულის, ფასიანი ქალალდების, კაპიტალის „მონად“ და მსახურად.

ეკონომიკური ცხოვრება ადასტურებს, რომ რეალურ ადამიანებს ხშირ შემთხვევაში რაციონალურზე უფრო მეტად ირაციონალური ქცევა ახასიათებს, რასაც გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მივყავართ. ამ დამოკიდებულებას, სამწუხაროდ, სათანადო ყურადღებას არ უთმობს თანამედროვე ნეოკლასიკური თეორიები.

ამ თეორიების კიდევ ერთი მეთოდოლოგიური ნაკლოვანება მათ სტატიკურობაში მდგომარეობს. ნეოკლასიკოსების მიერ შემოთავაზებულ მოდელებში ეკონომიკური სისტემა მუდმივ წონასწორობაში იმყოფება და არ არსებობს მისი დარღვევის რაიმე შინაგანი (ენდოგენური) მიზეზი. წონასწორობა შეიძლება დაირღვეს მხოლოდ გარე (ეგზოგენური) ფაქტორის ზემოქმედების შედეგად. ამასთანავე, წონასწორობის დარღვევა ხანმოკლეა, მისი აღდგენა კი თვითრეგულირების რეჟიმში ხორციელდება და გარედან რაიმე ჩარევას არ საჭიროებს.

აშკარაა, რომ მსგავსი მეთოდოლოგით გლობალური ფინანსური კრიზისის, ისე როგორც ნებისმიერი სხვა კრიზისის შესწავლა შეუძლებელია. ნაშრომში კვლევის მთავარ მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია თერმოდინამიკის პირველი კანონი, რომლის თანახმადაც სისტემის ელემენტების ცვლილებას განსხვავებული სიჩქარეები ახასიათებს. სიჩქარეთა შორის მკვეთრ განსხვავებას სისტემა სახითათო რყევების, ანუ ტურბულენციის მდგომარეობაში შეჰყავს, რაც ეკონომიკურ სინამდვილეში სხვადასხვა ტიპის კრიზისებში ვლინდება. კრიზისი ის ერთადერთი მექანიზმია, რომელიც *aposteriori* აღმოფხვრის სისტემის შიგნით წარმოქმნილ დისპროპორციებს.

პრინციპულად ახალი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიღომის საფუძველზე გლობალური ფინანსური კრიზისის კვლე-

ვა წინამდებარე ნაშრომის ლოგიკური დერძია. ჩვენთვის ძალიან აქტუალური იყო გლობალური ფინანსური კრიზისის და პოსტკრიზისული განვითარების პროცესების საქართველოს ეკონომიკაზე ზემოქმედების საკითხების შესწავლა. ნაშრომში გაანალიზებულია ამ ზემოქმედების მიმართულებები, არხები, ფორმები და შედეგები. დახასიათებულია საქართველოს მთავრობის და მონეტარული ხელისუფლების (საქართველოს ეროვნული ბანკის) მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები და შეფასებულია მათი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა. პოსტკრიზისულ პერიოდთან მიმართებით, წინა პლანზე წამოწეულია ეროვნული ვალუტის – ლარის გრძელვადიანი და სერიოზული რყევის პრობლემა. შესწავლილია მისი გამომწვევი შიგა (ფუნადამენტური) და საგარეო ფაქტორები. შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრის ზოგიერთი გზა და მეთოდი.

ნაშრომის ბოლო წაწილში დასმულია კითხვა – შესაძლებელია თუ არა, პრინციპში, საბაზო ეკონომიკის უკრიზისო განვითარება? ამ კითხვაზე ჩვენ ვიძლევით დადებით პასუხს და მყითხველს ვთავაზობთ „მომავლის ეკონომიკის“ ელემენტებს (კონტურებს), იმ ეკონომიკისა, რომელიც იქნება სინერგიული ეფექტის მატარებელი სისტემა.

გამოჩენილი გერმანელი მწერლის ი.ვ. ფონ გოეთეს ეკუთვნის გამოთქმა: „თეორია ოქროს ვაშლის ხეა, ჩემო მეგობარო, და მხოლოდ პრაქტიკაა ცხოვრების მარადმწვანე მცენარე“. ჩვენც ამ შეგონებით ვიხელდღვანელეთ და ნაშრომში პრობლემის თეორიულ ანალიზთან ერთად ვეცადეთ სათანადო ადგილი დაგვეთმო პრაქტიკული საკითხების ანალიზისთვის.

დასასრულ, იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს წიგნი გარკვეულად დაეხმარება ქართველი მკითხველის ფართო წრეს, განსაკუთრებით ეკონომიკისა და ბიზნესის პროფილის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს გლობალური ფინანსური კრიზისის რთული ფენომენისა და პოსტკრიზისული განვითარების კანონზომიერებათა სილრმისეულ არსში ჩაწვდომაში.

თავი I. გლობალიზაციის ფენომენი

გლობალიზაცია წარმოდგება ინგლისური სიტყვისგან „Globe“ და ნიშნავს დედამიწას, სფეროს, გლობუსს. გლობალიზაცია მოასწავებს თანამედროვე ცივილიზაციის ზოგადპლანეტარულ ერთიანობას. უახლესი საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების – ინტერნეტის, მობილური სატელეფონო კავშირის და ა.შ. გამოყენებით დღეს ძალიან ადვილია დედამიწის სხვადასხვა წერტილში მყოფ ადამიანებს შორის რეალური დროის რეჟიმში კავშირების დამყარება. მსოფლიო ჩვენ თვალინ და ჩვენ წარმოდგენებში, თითქოსდა, „შეიკუმშა“ და „დაპატარავდა“, ფიზიკური მანძილები „შემცირდა“, დროის მიმდნარეობა კი „აჩქარდა“. გლობალიზაცია კომპლექსური ცნებაა, რომელიც სოციუმის ყველა სფეროს მოიცავს – პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურას, იდეოლოგიას და ა.შ. ეკონომიკის გლობალიზაცია არის ზოგადად გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილი და ქვაკუთხედი. ეკონომიკის გლობალიზაცია განსაზღვრავს სოციუმის სხვა სფეროებში მიმდინარე პროცესებს და ამავე დროს ზემოქმედებას განიცდის მათი მხრიდან. სწორედ აღნიშნულით არის განპირობებული დარგთაშორისი სამეცნიერო მიმართულების – გლობალისტიკის შექმნა, რომელიც გლობალიზაციას, მთლიან და განუყოფელ მოცემულობად განიხილავს. „გლობალიზაციასთან“ ერთად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება „მონდიალიზაციის“ ცნება, რომელსაც ფრანგული სიტყვისგან „Monde“ წარმოშობა აქვს, თუმცა იგი ნაკლებადაა გავრცელებული მსოფლიოში. გლობალიზაციის ერთიან პროცესში ეკონომიკის გლობალიზაციის წამყვანი როლიდან გამომდინარე, ჩვენ ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ ყურადღებას.

1.1 ეკონომიკის გლობალიზაცია და გლობალური ეკონომიკა

„ეკონომიკის გლობალიზაციის“ ცნება სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ამერიკელმა მეცნიერმა თ. ლევიტმა გამოიყენა 1983 წელს და ამ ცნების ქვეშ იგი გულისხმობდა მსოფლიო მასშტაბით ცალკეულ პროდუქტთა ბაზრების ურთიერთშერწყმას. ეკონომიკის გლობალიზაციის დეფინიციაში მეცნიერები სხვადასხვა ასპექტზე ამხვილებენ ყურადღებას. ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებაზე, დაჩქარებაზე, გაადვილებასა და გაიაფებაზე აკეთებს აქცენტს თ.ფრიდმანი¹. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ლ.თუროუს აზრით, ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს, რომ დღეს შევგიძლია ნებისმიერი პროდუქტის ნებისმიერ წერტილში წარმოება და ნებისმიერ ადგილზე გაყიდვა². სხვა თვალსაჩინო ავტორთან – რ.ჰეილ-ბრონერთან ერთად დაწერილ წიგნში „ეკონომიკის ახსნა“ თუროუ გლობალიზაციის ცნებაში ყურადღებას ამახვილებს ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკებს შორის კავშირების გაძლიერებაზე³. ცნობილი ფინანსისტის და ფილანტროპის ჯ.სოროსის აზრით, ეკონომიკის გლობალიზაცია მოასწავებს „ეროვნულ ეკონომიკებზე გლობალური ფინანსური ბაზრებისა და ტრანსეროვნული კორპორაციების მზარდ და დომინირებულ ზეგავლენას“⁴. საზოგადოდ, გლობალიზაციის პროცესში აშშ-ს წამყვანი როლის გათვალისწინებით, გლობალიზაციას ხშირად ახასიათებენ როგორც „ამერიკანიზაციას“ და „ვესტერნიზაციას“⁵, ეკონომიკის გლობალიზაცია კი განიხილება

¹ Friedman Th. Understanding Globalization. The Lexus and the Olive Tree. N.Y., 2000. p.67.

² Thurow L. The Future of Capitalism. N.Y., 1996, p.3

³ Heilbroner R. and Thurow L. Economics Explained. A Touchstone Book, 1998, p.195

⁴ Сорос Дж. Тезисы о глобализации. Вестник Европы. Т.2, М., 2001, с.20

⁵ გლობალიზაცია ნიშნავს ვესტერნიზაციას <https://www.project-sindicate.org/commentary/globalization-means-westernozation/>

აშშ-სთვის დამახასიათებელი ლიბერალური საბაზრო მექანიზმის მსოფლიოში ტრიუმფალური გავრცელების სიმბოლოდ. ამ მოდელს საფუძვლად უდევს ე.ნ. „ვაშინგტონის დოქტრინა“ და „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ იდეოლოგია, რომელიც შემდეგ პრინციპებს მოიცავს: ეკონომიკის საყოველთაო ლიბერალიზაცია და დერეგულირება, კაპიტალის, საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალის თავისუფალი ტრანსსაზღვრითი გაადგილება, ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკური საზღვრების გამჭვირვალეობა და ა.შ.

ეკონომიკის გლობალიზაცია და ლიბერალიზაცია ერთმანეთთან „ხელჩაკიდებული“ მიმდინარეობს: ლიბერალიზაცია ხელს უწყობს გლობალიზაციას, ეს უკანასკნელი კი აძლიერებს ეროვნულ-სახელმწიფო დონეზე ეკონომიკის ლიბერალიზაციას და დერეგულირებას. გლობალიზაცია-ლიბერალიზაციის ერთიანობის განმტკიცება-გაძლიერებაში მნიშვნელოვან ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს 1990-იანი წლების დასწყისი. სწორედ ამ დროს დაიშალა მსოფლიო სოციალისტური სისტემა და დაიწყო ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია, რამაც შესაძლებელი გახდა პიროვნული და ეკონომიკური (სამეწარმეო) თავისუფლების სფეროების გაფართოება, ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს პიპერტროფირებული ჩარევის შეზღუდვა, ყოვლისმომცველი და სწრაფი პრივატიზება, საწარმოთა „რბილი საბიუჯეტო შეზღუდვის პრაქტიკის აღმოფხვრა, რესტრიკციული (შემზღუდავი) ფულადი და მკაცრი ფისკალური პოლიტიკის გატარება. პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად საბაზრო ეკონომიკა, პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოში გავრცელდა¹, ჩამოყალიბდა უმეტესი ქვეყნების ეკონომიკების ექსპორტზე მკვეთრად ორიენტირებულობა, გაძლიერდა საერთაშორისო კონკურენცია: ა) ტრანს-

¹ როგორც გლობალიზაციის აღიარებული მკვლევარი თ. ფრიდმანი აღნიშნავს: „გლობალიზაცია ნიშნავს თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმის გავრცელებას მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში“ (ნიგნიდან: Стиглиц. Дж., Глобализация и её тревожные тенденции. М., 2003, с.41).

ნაციონალურ კომპანიებს შორის; ბ) ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და ეროვნულ-სახელმწიფოებს შორის; გ) ეროვნულ სახელმწიფოებს შორის. ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში გამოიკვეთა ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია: ეროვნულ-სახელმწიფო დონეზე ეკონომიკის ლიბერალიზაცია, დერეგულირება და გლობალურ (ზეეროვნულ) დონეზე ეკონომიკის რეგულირების გაძლიერება. გლობალიზაციის ადრინდელი ეტაპისგან განსხვავებით, როცა ეს პროცესი ძირითადად სტიქიურად მიმდინარეობდა, თანამედროვე პირობებში გლობალიზაციამ მართული ხასიათი მიიღო. ყალიბდება გლობალიზაციის მართვის რთული ინსტიტუციური მექანიზმი, რომლის სწორი და გამართული ფუნქციონირება ეკონომიკური სტაბილურობის და წარმატებული ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად იქცევა თანამედროვე მსოფლიოში¹.

ეკონომიკის გლობალიზაციასთან მჭიდრო კავშირში უნდა იქნეს განხილული რეგიონალიზაციის პროცესი. ზოგიერთი მკვლევარი მათ ურთიერთსაპირისპირო ცნებებად განიხილავს², რაც, ჩვენი აზრით, სწორი არ არის. გლობალიზაციის ანტითეზაა არა რეგიონალიზაცია, არამედ ლოკალიზაცია. ასევე არამართებულია ამ ცნებების ერთმანეთთან გაიგივება. გლობალიზაცია ზესახელმწიფო, ზეეროვნული ფენომენია და ნაკლებ ზეგავლენას ექვემდებარება ეროვნული სახელმწიფოების მხრიდან. რეგიონალიზაცია არის უპირატესად მეზობელი სახელმწიფოების მჭიდრო და რეგულარული თანამშრომლობის წესი, რომელიც ორგანიზაციულად სხვადასხვა ტერიტორიული გაერთიანების შექმნაში გამოიხატება. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონულ გაერთიანებები მონაწილეობა ქვეყნებისთვის არის გლობალიზაციის პროცესში ჩართვის ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმა. სხვანაირად

¹ „გლობალიზაცია, თუკი ის სწორად იმართება, ყველასთვის პოზიტიურ ძალას წარმოადგენს“ – აღნიშნავს პროფ. ჯ. სტიგლიცი – <https://www.project-sindicate.org/commentary/lessons-for-antiglobalists-by-joseph-e-stiglitz-2017-10/>

² Черковец О. Глобализация сотрудничества или конкуренции? – «Экономист», 2002, №10, с.15-16.

რომ ვთქვათ, რეგიონალიზაცია გლობალიზაციის ორგანული შემადგენელი ნაწილია და ბუნებრივია, მათ შორის რაიმე წინააღმდეგობის არსებობა პრინციპულად შეუძლებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ეკონომიკის გლობალიზაციის შემდეგი განმარტება: საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის დაუბრკოლებელი ტრანსსაზღვრითი მოძრაობა და სამეურნეო ცხოვრების უნივერსალიზაცია, რომელიც ეკონომიკურ სივრცეს უნიფიცირებულ ჩარჩოში აქცევს და საფუძველს უმზადებს გლობალური ეკონომიკის ფორმირებას. როგორც მოცემული განმარტებიდან ჩანს, ეკონომიკის გლობალიზაციის პირდაპირი შედეგი გლობალური ეკონომიკის ფორმირება-ფუნქციონირებაა. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ შინაარსობრივად გლობალური ეკონომიკის ცნება ამ ფენომენის გაჩენამდე გაცილებით ადრე, კერძოდ, 1950-იან წლებში ჩამოყალიბდა და თითქმის ოთხი ათეული წლით უსწრებდა წინ გლობალიზაციის პროცესის დაწყებას. გერმანელი ეკონომისტი ი.კუჩინსკი 1952 წელს გამოქვეყნებულ თავის წიგნში „მსოფლიო მეურნეობის ისტორიის ნარკვევები“ წერდა: „მსოფლიო მეურნეობა არის განსაკუთრებული ორგანიზმი, რომელსაც სპეციფიკური ფუნქციები, სპეციალური ინსტიტუტები გააჩნია და ჩვენ საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ მსოფლიო მეურნეობაზე, რომელიც თვისებრივად განსხვავდება ცალკეული ქვეყნების მეურნეობათა მექანიკური ჯამისგან“¹. კუჩინსკის ამ განმარტების გაგრძელებად და განვითარებად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოში აღიარებული სოციოლოგის, „ქსელური საზოგადოების“ თეორიის ფუძემდებლის მ. კასტელსის მიერ შემოთავაზებული შემდეგი დეფინიცია: „გლობალურია ეკონომიკა, რომელსაც, როგორც ერთიან სისტემას, მუშაობა შეუძლია რეალურ დროში და მთელი პლანეტის

¹ Кучински И. Очерки по истории мирового хозяйства. М., 1954. с.8

მასშტაბით”¹ ორივე ამ მეცნიერის განმარტებაში ხაზგასმულია ის მომენტი, რომ გლობალური ეკონომიკა არის ერთიანი მთლიანი სისტემა და არა მისი შემადგენელი ნაწილების (ანუ ეროვნული მეურნეობების) მექანიკური ჯამი. მ. კასტელსი ამას უმატებს ორ უმნიშვნელოვანეს თვისებას ერთიანი სისტემის ა) რეალურ დროში და ბ) პლანეტარული მასტაბით ფუნქციონირებას. მაშასადამე, გლობალური ეკონომიკა არის თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა, ოღონდ განხილული არა როგორც მასში შემავალი ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობა, არამედ რეალური დროის რეჟიმში ფუნქციონირებადი მთლიანი სისტემა².

„რეალური დროის რეჟიმში“ სისტემის ფუნქციონირების მომენტს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იგი, ერთი მხრივ, უახლესი თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგია და მეორე მხრივ, გამორიცხავს თანამედროვე სამეურნეო ცხოვრების ფრაგმენტაციის შესაძლებლობას. აღნიშნულ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული მცირე და საშუალო ბიზნესის აქტორების ე.წ. ინტერნაციონალიზებული ფირმების საქმიანობა, რომელსაც ხშირად „გლობალურად შობილ“ საწარმოებს უწოდებენ. მათი უპირველესი სტრატეგიული ამოცანაა საერთაშორისო (გლობალურ) ბაზრებზე საკუთარი ნიშის მოპოვება და შენარჩუნება. ამასთანავე, საერთაშორისო ბაზარზე მათი გასვლა ხდება არა თანდათანობით, საწარმოების გაზრდის და გაძლიერების კვალდაკვალ, არამედ წამოშობისთანავე. ასეთ ფირმების სახელწოდე-

¹ Кастельс М. Информационная эпоха. М., 2000, с.105.

² „პირველად კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მსოფლიო მეურნეობა წარმოგვიდგება არა როგორც ეროვნული ეკონომიკების კონგლომერატი, არამედ როგორც ერთიანი ორგანიზმი, რომელსაც ფუნქციონირებისა და განვითარების საერთო მექანიზმი გააჩნია: Глобализация мирового хозяйства и национальные интересы России. М., 2002. с.371.

ბაც მათი აღმოცენების და ფუნქციონირების ხასიათის მაჩვენებელია:¹ „გლობალური ბაზრის ფარული ჩემპიონები².

ამრიგად, ეკონომიკის გლობალიზაციას, გლობალურ ეკონომიკას და მსოფლიო ეკონომიკას შორის არსებობს შემდეგი ურთიერთყავშირი და ურთიერთდამოკიდებულება: ეკონომიკის გლობალიზაცია არის პროცესი, ხოლო მისი შედეგი გარკვეული მოცემულობის სახით არის გლობალური ეკონომიკა, რომელიც ასევე წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპს. განსხვავება მსოფლიო და გლობალურ ეკონომიკებს შორის შემდეგში მდგომარეობს: ა) მსოფლიო ეკონომიკა არის მასში შემავალი ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობა და მათ შორის ურთიერთყავშირები. გლობალური ეკონომიკა კი არის მთლიანი სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს რეალური დროის რეჟიმში; ბ) გლობალური ეკონომიკა ეროვნულ ეკონომიკებთან ერთად მოიცავს ისეთ სუბიექტებს, როგორიცაა: ტრანსაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციები და ქვეყნების რეგიონული გაერთიანებები. გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირებაში სრულიად განსაკუთრებულია აშშ-ს ეკონომიკის როლი, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ აშშ დღეს უკვე აღარაა ტრადიციული ნაციონალური სახელმწიფო, არამედ პრინციპულად ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი-ქვეყანა სისტემა. მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა საკუთარ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ საზღვრებს, არამედ სასიცოცხლო ინტერესების ზონას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აშშ-ს ეკონომიკა არის გლობალური ეკონომიკის ბირთვი, გლობალური გეოეკონომიკური პროცესების მთავარი წარმმართველი და მარეგულირებელი სუბიექტი. გლობალურ

¹ Luostarien R. Internationalization of the Firms. Helsinki. School of Economics, 1999. p.132. „სწრაფი ექსპორტიორები“ Knight G. Emerging Paradigm for International Marketing: The Born Global Firm. Michigan State University, 1997, p.25. და სხვ.

² გველესანი რ. მსოფლიო ბაზარზე ორიენტირებული ფირმების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და საზღვრები – სოციალური ეკონომიკა. 2005, №5, გვ.137-144. „საერთაშორისო ახალი ვენჩურული საწარმოები“.

ეკონომიკაში აშშ-ს როლის განსაკუთრებულობას რამდენიმე გარემოება განსაზღვრავს. პირველი არის ისტორიული ასპექტი. აშშ-ს პოლიტიკურ-ეკონომიკური ელიტა საკუთარი თავის დამკვიდრების საშუალებად ყოველთვის მიიჩნევდა ამ ქვეყნის მიერ მსოფლიო ჰეგემონის მიღწევას. XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ს პრეზიდენტი ვ. ვილსონი აღნიშნავდა ამის შესახებ: „ჩვენ ეს ნაცია (იგულისხმება ამერიკელები – ე.მ.) იმისთვის შევქმენით, რომ ადამიანები იყვნენ თავისუფლები თავიანთ კონცეფციებსა და მითებში და ამავე დროს ჩვენ არ შემოვიფარგლებით მხოლოდ ამერიკით. ჩვენ მსოფლიოში ყველა ადამიანს განვათავისუფლებთ და თუკი ამას არ გავაკეთებთ, ამერიკის დიდება უკვალოდ გაქრება, მისი ძალა კი აორთქლდება“¹. მოგვიანებით იგივე მოსაზრებას ავითარებდა ამერიკის მემარჯვენე რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი, „რკინის ლედად“ წოდებული, გაერო-ში აშშ-ს წარმომადგენელი ჯ. კირპატრიკი: „თუკი ამერიკას გლობალიზმის ფუნქციონირება სურს, მას იმის არ უნდა რცხვენოდეს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე იქცეოდეს როგორც ყოვლისშემძლე ზესახელმწიფო, რასაც იგი სინამდვილეში მართლაც წარმოადგენს. ბაზრის „უხილავი ხელი“ არასდროს მოქმედებს „ხილული მუშტის“ გარეშე, „მაკდონალდსი“ არ აყვავდება „მაკდონალდს-დუგლასის“ F-15 გამანადგურებლების წარმოების გარეშე².“

აშშ-ს დომინანცური როლი გლობალურ ეკონომიკაში იმითაცაა განპირობებული, რომ ეს ქვეყანა პირველი შევიდა ინფორმაციული საზოგადოების (ეკონომიკის) სტადიაში. ძალიან მაღალია აშშ-ს ე.ნ. „ტექნოლოგიური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი“, რომელიც ახასიათებს მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის თანაფარდობას მის იმპორტთან. მას ასევე წამყვანი ადგილი უკავია მაღალტე-

¹ Неклесса А. Глобальная трансформация: сущность, генезис, прогноз // Мировая экономика и международные отношения. 2004, №1, с.120.

² მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., 2009, გვ.109.

ქნოლოგიური პროდუქციის ბაზარზე, რის გამოც კოლოსალურ მოგებას იღებს. აშშ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს გავლენიანი საერთაშორისო (სახელმწიფო) ფინანსურ-ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობაში, რამეთუ სწორედ ის არის ამ ორგანიზაციების მთავარი „ფინანსური დონორი“.

გლობალურ ეკონომიკაში აშშ-ს ინტეგრირებულობის ხარისხი იმდენად მაღალი და თვალსაჩინოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ამაში საფრთხეს ხედავს როგორც აშშ-სთვის, ასევე დანარჩენი მსოფლიოსთვის. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ფრანგი პოლიტოლოგის ი. ტოდის ნაშრომი „იმპერიის შემდეგ. ესსე ამერიკული სისტემის დაშლის შესახებ“. მეცნიერი აანალიზებს იმ პროცესებს, რომლებიც, მისი აზრით, ძირს გამოუთხრის გლობალურ ეკონომიკაში აშშ-ს გაბატონებულ პოზიციას. კერძოდ, იგი წერს, რომ ეს ქვეყანა იმაზე გაცილებით მეტს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს, ვალს აგროვებს და როგორც ცალკეული ამერიკელი მოქალაქე, ისე მთლიანად აშშ გახდა „ჰიპერ სახელმწიფო კრედიტებში“. იგი უფრო მეტადაა დამოკიდებული გარე სამყაროზე, ვიდრე ეს უკანასკნელია დამოკიდებული აშშ-ზე. ტოდი საუბრობს საერთაშორისო ტერორიზმის მზარდ საფრთხეზეც, რომელმაც, მისი აზრით, შესაძლებელია გამოიწვიოს ინვესტიონთა შიში და ამ ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირებისგან თავშეკავება. ამ შემთხვევაში, ტოდის აზრით, დოლარის კურსი კატასტროფულად დაეცემა. გლობალური ფინანსური და ზოგადად ეკონომიკური სისტემა კი აფეთქდება¹. მსგავსი პესიმისტური განწყობები განსაკუთრებით გაძლიერდა გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, რომელიც აშშ-ში ჩაისახა და შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამ კრიზისმა სიღრმისეული ძვრები განაპირობა როგორც აშშ-ს, ისე დანარჩენი სხვა ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში, რის შესახებაც წიგნის მომდევნო ნაწილში გვექნება მსჯელობა.

¹ მექვაბიშვილი ე. დასახელებული ნაშრომი ... გვ.114.

1.2 ეკონომიკის გლობალიზაციის ისტორიული ნანამდვრები, ეტაპები და ტექნოლოგიური საფუძვლები

ეკონომიკის გლობალიზაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადპლანეტური სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც თავისი პრეისტორია და ეტაპები გააჩნია. ამასთანავე, იგი განხილული უნდა იქნეს კაცობრიობის ზოგადცივილიზაციური განვითარების კონტექსტში, რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ, სოციალურ, ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ, რელიგიურ და სხვა მოტივებს შეიცავს.

მკვლევართა აზრით, კაცობრიობის ისტორია დაახლოებით 5 ათასი წლის წინათ დაიწყო შუა აღმოსავლეთში. პერიოდიზაციას ექვემდებარება ბოლო სამი ათასწლეული, რომელიც იყოფა სამ პერიოდად: პირველი, ძველი (არქაული), ანუ 3000-1000 წლები ჩვენს ერამდე; მეორე კლასიკური, ანუ 1000 წელი ძვ. წ. აღრიცხვიდან 1000 წლიდან ა. წ. აღრიცხვით; მესამე, თანამედროვე, ანუ 1000 წლიდან ა. წ. აღრიცხვის-დღემდე. ამერიკელი ისტორიკოსი ჯ. მოდელსკი მიიჩნევს, რომ ამ მესამე პერიოდთან მიმართებით არის შესაძლებელი ვისაუბროთ „მსოფლიო სისტემის, როგორც გლობალური ერთიანობის ჩამოყალიბებაზე, რომელიც მომავალში სრულად უნდა განვითარდეს“¹.

გლობალიზაცია, ეკონომიკის გლობალიზაციის ჩათვლით, როგორც უკვე ითქვა, XX საუკუნის 80-90-იანი წლების მოვლენაა, თუმცა გლობალური მმართველობის არქეტიპი ჩვენ უნდა ვეძებოთ კაცობრიობის ისტორიის სიღრმეებში. კერძოდ, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს უძველეს პერიოდებში მოღვაწე მეფეების დარიოსისა და ალექსანდრე მაკედონელის იმპერიე-

¹ Modelska J., Thomson W. Ledding Sectors and World Powers: The Co-Revolution of Global Politics and Economics. Columbia, 1995. აგრეთვე: Модельски Дж., Эволюция глобальной политики // Полис, 2005, №4, с.25.

ბი. ისტორიულად თანამედროვე პერიოდში აღსანიშნავია X საუკუნეში ჩინეთის მმართველი დინასტიის – სენის იმპერია, რომელიც მოიხსენიება „ჩინეთის ოქროს ხანად“ და „ჩინური რენესანსის“ ეპოქად. მსოფლიო იმპერიის შექმნის მორიგი მცდელობა XIII საუკუნეში ჩინგიზ-ხანის მეთაურობით მონალოთა „ოქროს ურდის“ შექმნის ფაქტს უკავშირდება. აქვე შევნიშნავთ, რომ სიტყვა „ჩინგიზ-ხანი“ მონალურად „მსოფლიოს მმართველს“ ნიშნავს. ხანგრძლივი დამსყრობლური ომების გზით მონალებმა მოახერხეს უზარმაზარი იმპერიის შექმნა, რომელიც გადაჭიმული იყო აღმოსავლეთ ევროპის საზღვრებიდან სირიამდე და იაპონიისა და სამხრეთ ჩინეთის საზღვრებამდე. ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა იმდროინდელი მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 40%. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მსგავსი მასშტაბები არც მანამდე და არც მას შემდეგ არც ერთ იმპერიას ჰქონია. ფაქტობრივად, ეს იყო უზარმაზარი ევრაზიული პოლიტ-ეკონომიკური სისტემა (სივრცე). 1350 წელს მონალოთა იმპერია დაემხო, თუმცა მისი ნაკვალევი დღემდე შემორჩა რუსეთის სახით, რომელმაც თანდათანობით გაავრცელა საკუთარი გავლენა წყნარი ოკეანის სანაპირომდე. მონალოთა იმპერიის დაცემით, ფაქტობრივად, დასრულდა შიდა-კონტინენტურ სივრცეში ხალხების „გლობალური“ ორგანიზება. შემდგომში იგი შეცვალა ტრანსოკეანურმა ფორმამ, რომელსაც ჩვენ მიერ ხსენებული ჯ. მოდელსკი უწოდებს „გლობალურ ლი-დერობას“. აღნიშნული ფორმის ჩამოყალიბება უკავშირდება შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანეს გეოგრაფიულ-ისტორიულ მოვლენებს: კოლუმბის ზღვაოსნობას ამერიკის კონტინენტზე და ვასკო და გამას მოგზაურობას ინდოეთში. ხალხთა ტრანსოკეანური ერთიანობისთვის მნიშვნელოვანი იყო დიდი საკეანო გემების მშენებლობის დაწყება და კომპასის, როგორც უნიკალური სანავიგაციო ხელსაწყოს გამოგონება. „გლობალური“ ორგანიზაციის ბირთვი ყალიბდებოდა იმ დროისთვის ძლიერი „ეროვნება-სახელმწიფოების“ ირგვლივ. თავდაპირველად ასე-

თები იყვნენ საზღვაო სახელმწიფოები: პორტუგალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი. XIX საუკუნეში მათ დაემატა საფრანგეთი და გერმანია. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიო ჰეგემონი ქვეყანა გახდა აშშ.

გლობალიზაციის ისტორიულ წანამდლვრების განხილვასთან ერთად ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით გლობალიზაციის ქრონოლოგიური ჩარჩოებისა და განვითარების საფეხურების (ეტაპების) საკითხს. მით უმეტეს, რომ ეს საკითხები დღეს სადისკუსიოა სამეცნიერო ლიტერატურაში. ზოგიერთ ავტორს გლობალიზაცია წინა ისტორიულ პერიოდებში გადააქვს. მაგალითად, რუსი მკვლევარი ვ. ფიოდოროვი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის პროცესი დასაწყისს XVIII საუკუნეში იღებს¹. ადამიანის განვითარებაზე გაეროს მიერ მომზადებულ ერთ-ერთ მოხსენებაში² გლობალიზაციის დასაწყისად მოხსენიებულია XVI საუკუნის ბოლოდან XIX საუკუნის ბოლომდე განვლილი პერიოდი. მკვლევარი-ეკონომისტი ს. მიცეკვი³ წერს, რომ გლობალიზაცია დაიწყო XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, გარკვეულად შეფერხდა 1914 წლიდან 1950 წლამდე პერიოდში⁴.

ჩვენ არ ვთანხმებით გლობალიზაციის ისტორიული ჩარჩოების ასეთ გაფართოებას და უფრო სწორად მივიჩნევთ ქართველი მეცნიერის ზ. დავითაშვილის შემდეგ მოსაზრებას: „გლობალიზაცია თანამედროვე ფენომენია, დღევანდელ სიტუაციას ასახავს და მისი გამოყენება სხვა ისტორიული ეპოქების მიმართ გამართლებული ვერ იქნება“⁵. ჩვენ ასევე ვიზიარებთ

¹ Русский предприниматель. 2002. с.28.

² Доклад о развитии человека. М., 1999. с.15.

³ Мицек С. Следует ли России опасаться глобализации? // Вопросы Экономики, 2002, №8, с.21-22.

⁴ ეს პერიოდი გამორჩეული იყო ისეთი უმძიმესი მოვლენებით, როგორიც იყო: პირველი მსოფლიო ომი (1914-1918წწ), მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ანუ ე.წ. „დიდი დეპრესია“(1929-1933წწ), მეორე მსოფლიო ომი (1939-1945წწ) და ევროპის ომის შემდგომი აღდგენის პერიოდი (1945-1950წწ).

⁵ დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ., 2003, გვ.191.

მ. კასტელსის მოსაზრებას, რომ „გლობალური ეკონომიკა XX საუკუნის დასასრულში წარმოიშვა“¹.

ეკონომიკის გლობალიზაციის ქრონოლოგიური ჩარჩოს შემოსაზღვრისთვის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გლობალიზაციის ინტერნაციონალიზაციასთან მიმართების განსაზღვრა, რომელიც წარმოაჩენს გლობალიზაციას, როგორც ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე საზოგადოებაში მიმდინარე ობიექტური პროცესების კანონზომიერ შედეგს. აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებოა პროფ. ზ. დავითაშვილის შემდეგი მოსაზრება: „როცა ჯერემი ბენტჰემმა XVIII საუკუნის ბოლოს ახალი ტერმინი „საერთაშორისო“ (International) დაამკვიდრა, აშკარა იყო, რომ ეს სიტყვა ამ ეპოქის შინაარსს შეესაბამებოდა. ეს იყო ერი-სახელმწიფოების ეპოქა და „საერთაშორისო“ ცნება „სახელმწიფოთაშორისოს“ სინონიმად მოიაზრებოდა, საერთაშორისო ურთიერთობები კი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებად აღიქმებოდა. სახელმწიფოები ამ დროს საერთაშორისო ურთიერთობების ერთადერთი სუბიექტები იყვნენ“². ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც პირველ რიგში წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის სახით ვლინდება, განსაკუთრებული ინტენსიურობით XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მიმდინარეობდა. სწორედ ამ პერიოდში გადაიქცნენ ამერიკის უმსხვილესი საწარმოები ტრანსეროვნულ კომპანიებად³. ინტერნაციონა-

¹ Кастельс М. Информационная Эпоха. М., 2000, с.105.

² დავითაშვილი ზ. წაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ., 2003, გვ.185.

³ ხაზი უნდა გაესვას იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ტრანსნაციონალურ კომპანიებს (ტრნ) და ე.წ. „ეროვნებათშორის კომპანიებს“ შორის. ეს განსხვავება მათი წარმოშობის წესითა განპირობებული. ტრნ-ები წარმოიშობა ეროვნული კომპანიების იმდენად გაძლიერებისა და გაფართოების შედეგად, რომ ისინი უკვე ველარ „ეტევიან“ ეროვნული ეკონომიკის საზღვრებში. გადალახვენ რა ამ საზღვრებს, სხვა ქვეყნებში ქმნიან თავიანთ ფილიალებს ე.წ. „ქალიშვილი“ და „შვილიშვილი“ კომპანიების სახით. ეროვნებათშორისი კომპანიები წარმოიშობა ორი ქვეყნის მსხვილი კომპანიის ურთიერთშერწყმის საფუძველზე და ამის კლასიკური მაგალითია ბრიტანურ-პოლანდიური წავთობკომპანია „როიალ-დატჩ შელი“.

ლიზაციას განაპირობებდა ფაქტორთა სამი ჯგუფი: 1. წარმოების ტექნოლოგიურ ბაზისში მომხდარი თვისებრივი ძვრები; 2. ფინანსურ ბაზრებზე მიმდინარე ახალი პროცესები და 3. სამეურნეო ცხოვრების რეგულირებაში განხორციელებული პრინციპული ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები ისტორიულად ასე გამოვლინდა: XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში აშშ-ს ეკონომიკაში ხდებოდა იმ დროისთვის ენერგიის ახალი წყაროს – ელექტროენერგიის მასობრივი გამოყენება, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყნის შიგნით კომპანიების გაერთიანებას (ცენტრალიზაციას) და ერთი კომპანიის მიერ მეორის „ჩაყლაპვას“ (კონკურენციას). სწორედ ეს იყო ახალ ტექნოლოგიურ გარემოში კომპანიების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების, გადარჩენის და განვითარების უალტერნატივი შანსი. გაერთიანებისა და შთანთქმის ახალი ტალღის დაწყებამდე საწარმოთა უმეტესი ნაწილი ძირითად კაპიტალს სამამულო ბიზნესიდან, ხოლო საბრუნავ კაპიტალს ადგილობრივი ბანკებიდან იღებდა. XIX საუკუნის ბოლოდან დაიწყო ბიზნესის დაფინანსების ახალი მეთოდების ფართოდ გამოყენება, რომელიც უკავშირდებოდა: ა) ინვესტიციური ტიპის ბანკების განვითარებას და ბ) საფონდო ბირჟების ჩამოყალიბებას, რომლებიც მოგვიანებით ფინანსური ბაზრის წამყვან სუბიექტებად გადაიქცნენ. ფინანსების მსხვილმასშტაბიან კონსოლიდირებას ხელს უწყობდა საფონდო ბაზრებზე ფასიანი ქაღალდების (ძირითადად აქციების) გაიოლებული ბრუნვა, რაც თავის მხრივ, შერწყმა-შთანთქმების პროცესების დაფინანსების მთავარ წყაროდ იქცა. წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაციას ხელს აგრეთვე უწყობდა ახალი ინსტიტუციურ-სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება. კერძოდ, აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ 1895-1899 წლებში მიიღო დადგენილებები, რომლებმაც განაპირობა ფირმების კოოპერირების ლეგიტიმაცია სავაჭრო ასოციაციების შექმნის გზით. ეს უკანასკნელები კი ბაზრებზე კონტროლის მნიშვნელოვან

ინსრუმენტად გადაიქცა. მსხვილმა კორპორატიულმა გაერთაინებებმა ბიძგი მისცა ეროვნულ-სახელმწიფო წარმოებრივი სისტემისა და შიგა ბაზრის ფორმირებას. მოგვიანებით მსგავსი პროცესები ზეეროვნულ (ზესახელმწიფო) დონეზეც განვითარდა. ბოლო 25-30 წლის განმავლობაში ეკონომიკის ტრანსაციონალიზაცია მიმდინარებდა ტრანსაზღვრითი შერწყმისა და შთანთქმის გზით და ნაკლებად გამოიყენებოდა ახალ საწარმოებში ინვესტირების მეთოდი, რასაც ზოგჯერ „მწვანე ველზე ინვესტირებას“ უწოდებენ. საბოლოო ანგარიშით, ტრანსაზღვრითი შერწყმების და შთანთქმების როლი იმაშია, რომ „ისინი ფირმებს საშუალებას აძლევს სწრაფად შეიძინონ ლოკალური აქტივების პორტფელი, რაც კონკურენტუნარიანობის გადამწყვეტი ფაქტორია გლობალიზებულ ეკონომიკაში“¹.

ამრიგად, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში განხორციელდა წარმოების და კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც დაემყარა ეროვნული სახელმწიფოების, პირველ რიგში, აშშ-ს ეკონომიკაში განხორციელებულ წარმოებისა და კაპიტალის კონცეტრაცია-ცენტრალიზაციის პროცესებს. ინტერნაციონალიზაცია, რომელიც ცალკეული გამონაკლისების მიუხედავად ძირითადად აღმავალი გზით მიმდინარეობდა, საფუძველს უმზადებდა გლობალიზაციის დაწყებას. შესაბამისად, მართებული იქნება იმის თქმა, რომ გლობალიზაცია არის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კანონზომიერი შედეგი, მისი ახალი და უფრო მაღალი სტადია (ფაზა). ამ თეზისიდან გამომდინარე, ჩვენ პრინციპულად ვერ დავეთანმხებით იმ მკვლევარებს, რომლებიც უარყოფენ ორგანულ კავშირს ამ ორ პროცესს შორის და უფრო მეტიც, გლობალიზაციას და ინტერნაციონალიზაციას ერთმანეთს უპირისპირებენ. მაგალითად, ინგლისელი პ. სკოტი აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ეროვნული სახელმწიფოს, როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის არსებობას, გლობალიზაცია

¹ World Investment Report 2000, გვ.143.

კი უარყოფს მას.¹ მსგავსი შეხედულებები გააჩნია აშშ-ში მოღვაწე იაპონური წარმომავლობის მეცნიერ კ. ომეს² და ფრანგ პოლიტოლოგ პ. ბადის, რომელიც წერს: „გლობალიზაციის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დანგრევა „გლობალური ფირმებისა და ტრანსეროვნული სტრუქტურების (ქსელების) მხრიდან ზენოლის შედეგად“.³ ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის ურთიერთდაპირისპირებაზე ყველაზე მკვეთრად მსჯელობს რუსი ავტორი ვ. რამზესი, რომლის მიხედვითაც „გლობალიზაცია უპირატესად ინტერნაციონალიზაციის კონკურენტი კატეგორია, ანუ ანტიტეზაა. ინტერნაციონალიზაციის სამყაროში დომინირებს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები, გლობალიზაციის სამყაროსთვის კი ტიპურია ზოგად-მსოფლიო ფენომენი, რომლის ხელშია სახელმწიფოს მარეგულირებელი უფლებამოსილების მნიშვნელოვანი ნაწილი“.⁴ არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ინტერნაციონალიზაცია უფრო ფართო ცნებაა, რომელიც პლანეტარული მასშტაბით წარმოგვიდგება გლობალიზაციის, ხოლო რეგიონულ დონეზე რეგიონალიზაციის სახით, ანუ გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია არის ინტერნაციონალიზაციის შემადგენელი ნაწილები.⁵ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ასეთ მოსაზრებებს, ჩვენი აზრით, ობიექტური საფუძველი არ გააჩნია.

ინტერნაციონალიზაციიდან გლობალიზაციაზე გარდამავალ ეტაპად შესაძლებელია 1970-იანი წლების დასაწყისიდან 1980-იანი წლების დასაწყისამდე პერიოდი მივიჩნიოთ, რომელიც რთული და მნიშვნელოვანი მოვლენებით იყო გამორჩეული.

¹ Скотт П. Глобализация и университет. М., 2004. С. 3-4

² Ohme K. The Borderless Economy. Montana, 1990, p.17.

³ Badie B. La findes territories. Paris, 1995, გვ.12.

⁴ Рамзес В. Япония и глобализация // Мировая Экономика и международные отношения. 2000, №5, с.15-16

⁵ Загашвили В. О режиме глобализационной открытости // Мировая Экономика и международные отношения . 2005, №4, с.115.

1974 წელს აშშ-ს და კაპიტალისტური სამყაროს სხვა ქვეყნების ეკონომიკები ენერგეტიკულმა კრიზისმა მოიცვა, რომელიც განპირობებული იყო როგორც ეკონომიკური შედეგების მქონე პოლიტიკური, ასევე წმინდა ეკონომიკური ხასიათის მიზეზებით. ირანსა და ერაყს შორის დაწყებულმა ომმა დიდი ხნის განმავლობაში ჩაკეტა სპარსეთის ყურე, რომელიც იმ დროს ნავთობის მთავარი მიმწოდებელი რეგიონი იყო მსოფლიო ეკონომიკისთვის. ამას შედეგად მოჰყვა ნედლი ნავთობის მიწოდების მკვეთრი შემცირება და მასზე ფასების საგრძნობი გაზრდა. ამასთან ერთად, 1974 წელს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ (OPEC) მისი წევრების მოგების გაზრდის მიზნით საკუთარი საბაზო ძალაუფლების გაძლიერება განიზრახა, რისთვისაც მოპოვებული და მსოფლიოს ბაზრებზე გასაყიდი ნავთობის რაოდენობა შეამცირა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ნედლი ნავთობის მსოფლიო ბაზარი. ამრიგად, 1970-იანი წლების პირველ ნახევარში აშშ-სა და მსოფლიო ეკონომიკაში ადგილი ჰქონდა მიწოდების ძლიერ შოკს, რომელმაც პირდაპირი ზეგავლენა იქნია კომპანიების ნარმოების დანახარჯებზე, შესაბამისად, ფასებზე და მათი მოგების შემცირება განაპირობა. ამ პირობებში ინტენსიურად დაიწყო მუშაობა ახალი, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების შექმნისა და ნარმოებაში დანერგვის მიმართულებით, რომელიც მოგვიანებით ნარმოების ტექნოლოგიური ბაზის განახლებით დაგვირგვინდა. ენერგეტიკულ კრიზისს უკვალოდ არ ჩაუვლია. პირიქით, იგი ტრანსფორმირდა 1970-იანი წლების შუა პერიოდის და 1980-1981 წლის ეკონომიკურ კრიზისებად. აშშ-ში ეს კრიზისები სტაგფლაციის სახით გამოვლინდა, როცა ეკონომიკური აქტიურობის დაქვეითებასთან ერთად მიმდინარეობდა ფასების ზრდა, ანუ ადგილი ჰქონდა ფილიპსის მრუდის დარღვევას. მთავარი ეკონომიკური პრობლემა იმ დროს ინფლაცია იყო, რომელსაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. პირველი, როგორც აღვნიშნეთ, იყო დანახარჯების ზრდა, რაც გამოწვეული იყო საბაზი-

სო პროდუქტის – ნედლი ნავთობის ფასების მკვეთრი ზრდით. მეორე, სამთავრობო დანახარჯების ზრდა, რომელიც იმ დროს გაპატონებული მოთხოვნაზე ორიენტირებული კეინზიანური მოდელის ჩარჩოებში ხორციელდებოდა. მესამე მიზეზად უნდა ჩაითვალოს ფედი-ს მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკა, ანუ ერთობლივი მოთხოვნის გაზრდის მიზნით სარგებლის დაბალი განაკვეთის შენარჩუნების მცდელობა და შესაბამისად, მიმოქცვაში ფულის რაოდენობის სისტემატური ზრდა. კერძოდ: 1970-1972 წლებში „ფულის რაოდენობა (გამოხატული M2-ით) ყოველწლიურად დაახლოებით 13%-ით იზრდებოდა, რაც თითქმის ორჯერ მეტი იყო 1960-იანი წლების დასაწყისში ფულის რაოდენობის 7%-ან ზრდასთან შედარებით“.¹ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე აშშ-ს მოქალაქეებში ინფლაციური მოლოდინის ზრდამ, რაც განაპირობა ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილებამ მიწოდების შოკი მიმოქცევაში ფულის რაოდენობის ზრდასთან შეეგუბებინა. ამრიგად, „1980 წელს აშშ-ს ისტორიაში სიღარიბის ყველაზე მაღალი ინდექსის პირობებში, საზოგადოება უკმაყოფილო იყო მაკროეკონომიკური მდგომარეობით“. შექმნილ ვითარებაში ბუნებრივია, აშშ-სა და სხვა წამყვანი ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური ელიტა და მეცნიერები ენერგიულად ეძებდნენ გამოსავალს. ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ ასეთად მიჩნეული იქნა ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის არსებითი შეზღუდვა და აქცენტის გადატანა საერთაშორისო დონის აქტორებზე. დაიწყო ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელმაც საგრძნობლად დააჩქარა გლობალიზაციის პროცესის დაწყება. აღნიშნულ საკითხებზე მომდევნო პარაგრაფში გვექნება ვრცელი მსჯელობა.

ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებასთან ერთად გლობალიზაციის დაწყებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ეკონომიკის ტექნოლგიურ ბაზისში განხორციელებულმა თვისე-

¹ მენქიუ გრ. ეკონომიკის პრინციპები.გვ.778, იქვე, გვ.773.

ბრივმა ძვრებმა. ისინი იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველი იყო, რომ არსებობს საფუძველი ვისაუბროთ ტექნოლოგიური რევოლუციის შესახებ. ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მიმართულებას და ეფექტიანობას მნიშვნელოვანი ხარისხით განსაზღვრავს მისი ტექნოლოგიური საფუძველი (წყობა), რომლის ხუთ ტიპს გამოჰყოფენ მკვლევარები.¹ ამნიშნულ დაყოფას ხშირ შემთხვევაში საფუძვლად უდევს საბჭოთა პერიოდში რეპრესირებული რუსი ეკონომისტის ნ. კონდრატიევის „კონიუნქტურის დიდი ტალღების“ თეორია. ამჟამად აშშ-სა და სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა ემყარება მეხუთე ტექნოლოგიურ წყობას, რომლის საფუძველია უახლესი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რამაც არსებითად შეცვალა წარმოების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები, შრომის ხასიათი და, საზოგადოდ, ადამიანი-კაპიტალის როლი. ეკონომიკის გლობალიზაციის თვალსაზრისით ახალი ტექნოლოგიური წყობის როლი იმაში გამოიხატება, რომ არნახულად გააიოლა და გააიაფა სატრანსპორტო-კომუნიკაციური მომსახურება და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახადა იგი. სწორედ თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების (ტექნოლოგიების) გამოყენების საფუძველზე აღმოცენდა ე.წ. „მანძილის კვდომის“ ფენომენი, რაც იმას ნიშნავს, რომ დროისა და მანძილის უნივერსალურმა ცნებებმა თავიანთი პირვანდელი შინაარსი დაკარგა. ეკონომიკის ტრადიციული სექტორების გვერდით ჩამოყალიბდა „ინფორმაციული ეკონომიკის“ სექტორი, რომლის როლი და მნიშვნელობა განუხრელად იზრდება. ინფორმაციული ეკონომიკა ნიშნავს უამრავი უხილავი და უწონადო ინფორმაციული ნაკადის „სინათლის სიჩქარით“ მოძრაობას და სწორედ ინფორმაციის, როგორც თანამედროვე წარმოების წამყვანი რესურსის უწონადობა, ანუ დემატერიალიზაცია არის თანამედროვე გლობალური ეკონომიკის ტიპური დამახასიათებელი ნიშანი. საინფორმაციო რევო-

¹ Tylecote A. The Long Wave in World Economy. London Routledge, 1991.

ლუციაში გადამწყვეტი იყო გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს კომპიუტერების შეერთება ტელეკომუნიკაციის ქსელუ-რი ტექნოლოგიის ისეთ ფორმასთან, როგორიცაა „მსოფლიო ქსელი“ (World International Networks), ანუ ინტერნეტი, რამაც არ-ნახულად გააფართოვა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა¹. ინტერნეტის, როგორც პრინციპულად ახალი და რევოლუციური საინფორმაციო ტექნოლოგიის საშუალებით პრაქტიკულად შესაძლებელი გახდა ყოველგვარი ინფორმაციის წამიერი გადაცემა დედამინის ნებისმიერი ერთი წერტილიდან მეორეში ამან, ფაქტობრივად, მოხსნა მანძილის პრობლემა და შესაძლებელი გახადა მსოფლიო ეკონომიკის რეალური დროის რეჟიმში ფუნქციონირება. ინტერნეტის გამოყენებით ასევე დაიწყო ინფორმაციული გლობალიზაცია და ერთიანი პლანეტარული საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება.

ახალმა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა განსაკუთრებით შეუწყო ხელი ფინანსური სფეროს გლობალიზაციას, რომელიც ეკონომიკის გლობალიზაციის მთავარი შემადგენელი ნაწილია. უახლესი ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა უსწრაფესად გაფორმდეს უმსხვილესი ფინანსური, კომერციული გარიგებები და განხორციელდეს მილიარდობით დოლარის მყისიერი ტრანსაქცია დედამინის ნებისმიერ წერტილში, ტრანსნაციონალურ ბანკებს კი ინტერნეტის საშუალებით შეუძლიათ წამყვანი ადგილი დაიკავონ კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების რეგულირებაში.

¹ აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა დროში ემთხვევა ეკონომიკის გლობალიზაციის დაწყებას, რაც მათ შორის მჭიდრო კავშირზე მიუთითებს.

1.3 ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპის წინააღმდეგობრივი ხასიათი

გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ გამოვლინდა გლობალური პოლიტიკური კრიზისის ნიშნები, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 2016 წლის ბოლოს და 2017 წლის დასაწყისში. ეს გამოიხატა საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის გზით დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილებით, ე.წ. „ბრექსიტით“ და აშშ-ს 45-ე პრეზიდენტად ცნობილი, ექსტრავაგანტური მილიარდერის და ტრამპის არჩევით. ამ მოვლენებს მეცნიერები და ექსპერტები პირდაპირ უკავშირებენ ნაციონალიზმის ტალღის გაძლიერებას, რომელიც ეკონომიკურ რეალობაში ვლინდება პროტექციონიზმი და ორივე მათგანი თავიანთი არსით გლობალიზაციის ანტითეზას წარმოადგენს. ამერიკელი ნობელიანტი ეკონომისტი ჯ. სტიგლიცი წერდა: „ემანუელ მაკრონის გამარჯვებამ საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე შვებით ამოასუნთქა მთელი მსოფლიო. აშკარაა, რომ, ყოველ შემთხვევაში, ევროპა არ წავა პროტექციონიზმის გზით „რასაც პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აშშ-ს აიძულებს“.¹ იგი ასევე წერს, რომ „პროტექციონიზმი, რომელსაც ქადაგებენ ტრამპი, ლე პენი და სხვა, საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკისთვის“. სტიგლიცმა ასევე მკაფრად გააკრიტიკა დ. ტრამპის მთავარი წინაარჩევნო სლოგანი „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ და მას უწოდა „ყველაზე საზიზღარი იდეა“. ჯ. სტიგლიცის მოსაზრებას იზიარებს სხვა ცნობილი ამერიკელი მაკროეკონომისტი კ. როგოფი, რომელმაც დაწერა, რომ „ამერიკა გადაიქცა პოპულიზმის აფეთქების ეპიცენტრად“². ლიბერალური ფრთის წარმომადგენელთა უკიდურესი შეშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ნაციონალისტ

¹ სტიგლიცი ჯ. გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება <https://www.projectsyndicate.org/commentary/globalization-of-discontent-by-joseph-e-stiglitz-2017>

² <http://www.project-syndicate.org/commentary/protectionism-saves-no-jobs-by-kenneth-rogoft-2017-08>

მ. ლე პენს საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურში ხმა მისცა 7,6 მლნ-მა ამომრჩეველმა, ხოლო გლობალიზაციის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალების მხარდამჭერი ამომრჩევლების ხვედრითმა წილმა მთელი ამომრჩევლების 40% შეადგინა. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ზემოაღნიშნული პროცესები ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე წარმოქმნილი რთული წინააღმდეგობების პირდაპირი გამოძახილია, რაც, ბუნებრივია, დღის წესრიგში აყენებს მათი შესწავლის აუცილებლობას.

გლობალიზაციის საწყის ეტაპზე ბევრი მეცნიერი, ბიზნეს-მენი და პოლიტიკური მოღვაწე გლობალიზაციაზე დიდ იმედს ამყარებდა და მიიჩნევდა, რომ გლობალური ბაზრები ეკონომიკის ზრდის ლოკომოტივის როლში წარმატებით ჩაანაცვლებდა სახელმწიფოს, უზრუნველყოფდა რა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მაღალ დინამიურობას. ეკონომიკის გლობალიზაციის პოზიტიური როლის წარმოჩენისას განსაკუთრებით ორ მომენტზე მახვილდებოდა ყურადღება: ეკონომიკური ზრდის დაჩქარებასა და „მსოფლიო ეკონომიკური ლანდშაფტის მოსწორებაზე“, ანუ გლობალური და რეგიონული მასშტაბით ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავების საგრძნობ შემცირებაზე, უთანასწორობის შერბილებაზე.

სამწუხაროდ, რეალური სინამდვილე აღნიშნულის საპირისპირო აღმოჩნდა, რასაც ქვემოთ მოყვანილი მონაცემებიც მოწმობს. 1960-იან წლებში მსოფლიო რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი საშუალოდ 5,4% იყო. 1970-იან წლებში იგი შემცირდა 4,1%-მდე, 1980-იან წლებში 3,0%-მდე, 1990-იან წლებში 2,3%-მდე. 1990-იანი წლების დასაწყისიდან 2007-2009 წლების გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისამდე მსოფლიო რეალური მშპ წლიურად დაახლოებით 2,6%-ით იზრდებოდა¹. 1950-იანი წლებიდან 1970-იანი წლების

¹ Васильев. Глобализирующая экономика: развитие по второму началу термодинамики? // Экономические стратегии. 2011. №1. С.16.

დასაწყისამდე, ანუ მსოფლიო ენერგეტიკულ და ეკონომიკურ კრიზისამდე, მსოფლიო რეალური მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი 4,9%-ს შეადგენდა, რაც საუკეთესო მაჩვენებელი იყო განვითარებული კაპიტალიზმის ისტორიაში. ლოგიკურია, რომ დროის ეს მონაკვეთი „კაპიტალიზმის ოქროს ხანადაა“ მიჩნეული.

ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში, მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპი თითქმის ორჯერ შემცირდა, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ჩამორჩენამ 55% შეადგინა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „გლობალური ეკონომიკის“ ზრდის ტემპი საგრძნობლად ჩამორჩებოდა „მსოფლიო ეკონომიკის“ ზრდის ტემპს, რაც პარადოქსულ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს. ცნობილი ეკონომისტი ქ. სმარტი წერს ამის შესახებ: „მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნები საუკუნის სტაგნაციამ მოიცვა... ამ სტაგნაციის უკან იმაღლება შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპის შენელება, რომელიც 1970-იანი წლებიდან იწყება“¹. გლობალიზაციის ეპოქის კიდევ ერთი პარადოქსია ცხოვრების დონის გარკვეული დაქვეითება არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-შიც. როგორც პროფ. ჯ.სტიგლიცი შენიშნავს, აშშ-ში სრულად დასაქმებული მამაკაცის შემოსავალი რეალური გამოხატულებით (ანუ ინფლაციის გათვალისწინებით) დღეს უფრო ნაკლებია, ვიდრე 42 წლის წინ იყო.² იმავე წყაროს მიხედვით უკანასკნელ ათწლეულებში აშშ-ში შემცირდა ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა, რაც ცხოვრების დონის განმაზოგადებელი მაჩვენებელია.

ეკონომიკის გლობალიზაციის პერიოდში, ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის მაჩვენებლებში განსხვავება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს, ასევე ქვეყნების

¹ <http://www.project-syndicate.org/commentary/real-risk-global-economy-by-christopher-smart-2017-11>

² Стиглиц Дж. Цена неравенства. М., 2015, с.5.

ბის შიგნით სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა. ეს სურათი, ყველაზე ძლიერი და მოწინავე ქვეყნებისთვის, მათ შორის აშშ-სთვისაც არის დამახასიათებელი. მაგალითად, ღარიბი მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 1960-იანი წლებიდან თითქმის მთელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში 13%-ის ფარგლებში იყო მოქცეული. გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდეგ იგი კიდევ უფრო გაიზარდა¹. ჯ. სტიგლიცი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გლობალიზაციით აშკარად მოგებული დარჩა დედამიწის მოსახლეობის 1% პლუტოკრატიის სახით, დანარჩენის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, ზოგიერთ შემთხვევაში კი – გაუარესდა კიდეც. მისივე მონაცემებით 2010 წელს ამერიკელთა 1% ფლობდა ამ ქვეყნის მშპ-ს 20%-ს მაშინ, როცა 30 წლის წინ ეს მაჩვენებელი 12%-ს შეადგენდა². აღნიშნული-დან გამომდინარე, „უთანასწორობამ იმ სტადიას მიაღწია, როცა იგი არა მარტო არაეფექტიანია, არამედ ეკონომიკური განვითარების მთავარ დაპრკოლებად გადაიქცა“³. მზარდმა უთანასწორობამ აუცილებლად უნდა შეგვაშფოთოს, ვინაიდან მისგან რთული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები გამომდინარეობს⁴. მეცნიერის აზრით, მზარდი უთა-ნასწორობა და „მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ამ მცდარ თეორიებსა და იდეოლოგიებს ემყარება“, მნიშვნე-ლოვნად აფერხებს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პროგრესს.⁵ მზარდ უთანასწორობაზე საუბრობს ეკონომიკის დარგში ნობე-ლიანტი, იელის უნივერსიტეტის პროფესორი რ. შილერი, რომე-ლიც ამ პრობლემიდან გამოსავალს „სამართლიან გლობალურ ეკონომიკაში“ ხედავს და დასძენს: „მას შემდეგ, რაც სულ

¹ მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., 2009. გვ. 6.

² Stiglitz J.E. The Price of Inequality. N.Y., L., WW Norton & Company. 2012, p.4

³ Стиглиц Дж. Цена неравенства. М., 2015, с.16

⁴ Стиглиц, 2015, с.16

⁵ Стиглиц, 2015, с.2

უფრო მეტი ადამიანი დასაქმდება ტრანსნაციონალურ კომპანიებში, შესაძლებელი გახდება ამ უსამართლობის დაძლევა¹.

შევეცდებით გავაანალიზოთ ზემოთ აღნიშნული პრობლემის წარმოშობის სილრმისეული მიზეზები.

მსოფლიო ეკონომიკაში განვითარებული ინტეგრაციული და გლობალიზაციური პროცესების ფონზე, ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების „გამოცანის“ ცენტრში ერთობლივი ფაქტორული მნარმოებლურობის (Total Factor Productivity - TFP) პრობლემა აღმოჩნდა². TFP-ის ცნებაში, ეკონომიკური ზრდის ტრადიციულ თეორიაში მოიაზრება ეგზოგენური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის (სტპ) როლი ცალკეული ქვეყნისა და მსოფლიოს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში. სტპ, თავის მხრივ, განიხილება როგორც შრომისა და წარმოების ნივთობრივი ფაქტორების ხარისხის ამაღლების საფუძველი: ტექნიკურად შედარებით არასრულყოფილ და ნაკლებად მნარმოებლურ მანქანებსა და მოწყობილობებს ახალი, უფრო მნარმოებლური, მათ შორის, კომპიუტერული ბლოკებით და კომპონენტებით აღჭურვილი სახეობები ცვლის. ეს, თავის მხრივ, დღის წესრიგში აყენებს სამუშაო ძალის თვისებრივი სრულყოფის აუცილებლობას. იზრდება წარმოებაში დასაქმებული მუშაკების განათლებისა და კვალიფიკაციის დონე. გარდა აღნიშნულისა, ერთობლივი ფაქტორული მნარმოებლურობა, ამ ცნების ფართო გაგებით, შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც შრომისა და კაპიტალის ოპტიმალური ზრდის და განვითარების პროცესი.

კაპიტალიზმის წარმოშობის დღიდან საუკუნეების განმავლობაში, სახელდობრ, 1930-1940-იანი წლების მიჯნამდე, კაპიტალიდან და შრომიდან მიღებულ შემოსავლებს შორის თანაფარდობაში უპირატესობა ყოველთვის კაპიტალის მხარეს

¹ Shiller R. 2016. <https://www.project-sindicate.org/commentary/coming-antinational-revolution-by-robert-shiller-2016-09>

² Crotti J. Why there is Chronic Excess Capacity? Challenge. 2002. Nov. 12.

იყო. სიტუაცია არსებითად შეიცვალა 1950-1960-იან წლებში და დაუკავშირდა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კეინზიანური თეორის პრაქტიკაში ფართო გამოყენებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ს პრეზიდენტების ჯ. კენედის და ლ. ჯონსონის დემოკრატიული ადმინისტრაციები, რომლებიც ამჟამავებდნენ შრომასა და კაპიტალს შორის პარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ორივე ფაქტორის თანაბრად განვითარებაზე ორიენტირებულ სამთავრობო პროგრამებს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ პერიოდში აღმოცენდა თანამედროვე ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი საინტერესო მიმართულება – „ადამიანი-კაპიტალის“ თეორია, რომლის ფუძემდებელ პ. ბეკერს ნობელის პრემია მიენიჭა ეკონომიკის დარგში. ეკონომიკური ზრდის, უპრეცედენტოდ მაღალი ტემპი, რომლის შესახებაც უკვე აღვნიშნეთ, უპირატესად TFP-ს, ანუ შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობის პარმონიზაციის შედეგს წარმოადგენდა.

სიტუაციის ძირეული ცვლილება შეინიშნება 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში, როცა მსოფლიოს წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით აშშ-ში საგრძნობლად შემცირდა მოგებაზე გადასახადი, ქონებაზე გადასახადმა კი სიმბოლური ხასიათი მიიღო. მთავრობებში დომინირებული პოზიციები დაიკავეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და წრეების წარმომადგენლებმა. მუშების შეცვლილ მაკროგარემოსთან შეგუების და რეალური ხელფასების გაცემის გრძელვადიანი პროგრამების შემუშავების ნაცვლად, მათ დაიწყეს პოლიტიკის გატარება, რომელმაც კიდევ უფრო მეტად დაასუსტა დაქირავებული შრომის პოზიციები კაპიტალთან მიმართებით. არსებითად, ეს იყო პროკორპორატიული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისიდან საერთაშორისო დონეზეც გავრცელდა და პრო-

კორპორატიულ გლობალიზაციას¹ დაუდო სათავე.შეიძლება პროფესიონალის გავლენა და ა.შ. ყოველივე ამის შედეგად პრატიკულად ყველა საშუალო და მაღალშემოსავლიან ქვეყანაში ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში ხელფასის ხვედრითი წილი მშპ-ში განუხრელად მცირდებოდა². ამასთანავე, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში მოსახლეობის სულ რაღაც 15%-იანი უმცირესობის წილი მთლიან შემოსავლებში 1970-იანი წლების დასაწყისიდან 2000-იანი წლების დასაწყისამდე ორჯერ და მეტად გაიზარდა, მიაღწია რა 14%-ს და 17%-ს³. პარალელურად, ძირი გამოეთხარა მუშათა კლასის ერთ დროს მტკიცე პოზიციას, რაც პრველ რიგში, აშშ-ს ეკონომიკაში დაქირავებულმა მუშებმა იგრძნეს საკუთარ თავზე. 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან აქ რეალური ხელფასის ზრდა, ფაქტობრივად, შეწყდა. 1980 წელს ამერიკელი მუშის საშუალო საათობრივი ანაზღაურება (1982 წლის საბაზრო ფასებით გაანგარიშებული) 7,78 დოლარს შეადგენდა. 1985 წელს იგი შემცირდა 7,52 დოლარამდე, 1999 წელს კი – 7,37 დოლარამდე⁴. „მრავალ მდიდარ ქვეყანაში ხელფასების ზრდის ტემპი ბოლო ათი წლის განმავლობაში ინფლაციას ჩამორჩებოდა,... რის გამოც ადამიანებს უფრო მეტი მუშაობა უწევდათ საიმისოდ, რომ ნაკლები მიეღოთ. ასე, რომ ცხოვრების სტანდარტი არა თუ არ გაიზარდა, არამედ შემცირ-

¹ ტერმინი ეკუთვნის პოლიტიკური ინსტიტუტის (ვაშინგტონი, აშშ) მკვლევარს ჯ.ფოქსს, რომელიც წერს, რომ პროკორპორატიული გლობალიზაცია ხორციელდებოდა მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების კარნახით, მათ სასარგებლოდ და ყოველივე ამას მსხვერპლად შეეწირა ამერიკელი მშრომელების დასაქმება და შემოსავლები. იხ.: Фокс Дж. Торговая политика США – время начать сначала // ЭкономикаУкраины . 2017. №5-6. с. 16.

იგივე შინაარსისაა „ასიმეტრიული გლობალიზაციის ცნებაც“ (ჯ. სტიგლიცი). ეს არის მოცემულობა, რომელიც კორპორატიული ინტერესებით იმართება და უთანასწორო, ნამგებან პოზიციაზე სხვეს შრომას კაპიტალთან მიმართებით, Стиглиц Дж. Цена неравенства. М., 2015. С. 349.

² <https://www.project-syndicate.org/commentary/long-term-global-economic-projects-kaushik-basu-2017-06>

³ მსოფლიო – 2014. გვ.34.

⁴ იგივე წყარო. გვ.117.

და კიდევ“ (ხაზგასმა ჩვენია – ე.მ.) – აღნიშნავს ავტორიტეტული ჟურნალი “The Economist“.

როგორც ცნობილია, აშშ-ის მოსახლეობის მთლიანი შემოსავლების დაახლოებით $\frac{3}{4}$ დაქირავებული მუშავების შრომის ანაზღაურებაზე მოდის. შესაბამისად, გლობალიზაციისა და საყოველთაო ლიბერალიზაციის პერიოდში შრომითი შემოსავლების 5%-ით შემცირებამ უარყოფითად იმოქმედა მოხმარებაზე და შეამცირა ერთობლივი მოთხოვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელია არ დაეთანხმო შემდეგ მოსაზრებას: „ჩვენ ერთ დროს წარმატებული ეკონომიკური სისტემის კრიზისების პერიოდში ვცხოვრობთ, ვალების დაგროვებით მზარდი ხელფასების ჩანაცვლება ვერ მოხდება“¹.

გლობალიზაციის ეპოქაში, სამუშაო ძალის დეგრადაციასთან ერთად, კაპიტალის დეგრადაციაც მიმდინარეობს, რომელიც, პირველ რიგში, გამოიხატება მისი სპეციალაციური ფორმის პიპერტონფირებული ზრდით და რეალური ეკონომიკიდან ფინანსური სექტორის მოწყვეტით. განვიხილოთ მონაცემები, რომლებიც ახდენს აღნიშნული პროცესების ილუსტრირებას. 1970-იან წლებში ფინანსური ინსტიტუტების მიერ იქმნებოდა ეკონომიკის მთლიანი მოგების დაახლოებით 15%, ამჟამად კი იქმნება 50%-ზე მეტი². 1980-2005 წლებში ფინანსური სექტორის მოგება რეალური გამოხატულებით (ანუ ინფლაციის დონის გათვალისწინებით) 800%-ით გაიზარდა, მატერიალური წარმოების სექტორში კი 250%.³ 1980-იან წლებში ფინანსური კორპორაციები შეადგენდა მთელი კომპანიების 10%-ს, 2007 წელს კი 40%-ს⁴ უაღრესად შთამბეჭდავად გამოიყურება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების დერივატივების (ოპციონები, ფიუჩერსები,

¹ მსოფლიო – 2014. გვ.66.

² Айвазов А. ФРС США в мировой финансовой системе – <http://www.warandpeace.ru/exclusive/view/>

³ Асемоглу Д., Робинсон Дж. Политика или экономика? Ловушки стандартных решений // Вопросы экономики. 2013. №12.с.16.

⁴ Столбов М.Глобальный экономический кризис: критика и перспективы развития финансовых теорий деловых циклов // Международная экономика. 2010, №1, с.8.

სვოპები, ვარანტები...) მოცულობის ზრდა. 2009 წლის მონაცემებით, გლობალური მშპ შეადგენდა 64,1 ტრლნ აშშ დოლარს, საკუთრივ ფული – 55,5 ტრლნ აშშ დოლარს, ე.წ. სეკურიზებული ვალი – 84,3 ტრლნ აშშ დოლარს, ხოლო დერივატივები – 586 ტრლნ აშშ დოლარს (!) და თითქმის 10-ჯერ აღემატებოდა გლობალური მშპ-ს მოცულობას¹. არსებითად შეიცვალა გლობალური ეკონომიკის ლიკვიდურობის სტრუქტურა: 2010 წელს ფულადი ბაზრის წილი შეადგენდა 1%-ს და გლობალური მშპ-ის 9%-ს, ანუ ე.წ. ფართო ფულზე (M2) მოდიოდა ლიკვიდურობის 10% და მშპ-ს 122%. სეკურიტიზებულ ვალზე მოდიოდა შეპამისად 11% და 138%, დერივატებზე კი – 78% და 964%(!!)².

დიალექტიკის მეორე კანონის თანახმად, ფინანსური სექტორის ამ მასშტაბის რაოდენობრივი ცვლილება ახალ თვისებრიობაში გადადის: ფინანსური სექტორი რეალური სექტორის მომსახურების ფუნქციის ნაცვლად დომინანტი ხდება და არა მხოლოდ საკუთარი კანონზომიერებების შესაბამისად ვითარდება, ანუ თვითკმარ ხასიათს იძენს, არამედ განსაზღვრავს და კარნახობს რეალური სექტორის ფუნქციონირება-განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას. ეკონომიკის რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის დადებითი კორელაცია 1950-1960-იან წლებში არსებობდა, 1970-იანი წლებიდან კი ეს დამოკიდებულება ძირეულად შეიცვალა, რის გამოც გლობალური ეკონომიკის კონსტრუქციამ გადაყირავებული პირამიდის ფორმა მიიღო და ადგილად მოწყვლადი გახდა სხვადასხვა შოკის მიმართ. კაპიტალის ბუნების შეცვლა ეკონომიკურ ლიტერატურაში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი: „ფინანსების ტირანია“, „ფინანსებიზაცია“, „დერივატული კაპიტალიზმი“, „ფიქტიური კაპიტალის ეკონომიკა“ და ა.შ.

¹ Лавровский. К вопросу о природе современного кризиса // Вопросы экономики. 2009. №4.с.147.

² Смирнов А. Кредитный пузырь и перелокация финансового риска // Вопросы экономики. 2012. №9.с.26

ზემოაღნიშნულის გარდა შრომის მნარმოებლურობის ზრდის ტემპის დაქვეითება კიდევ რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

ა) ის გარემოება, რომ 1970-იანი წლებიდან ფაქტობრივად შეჩერდა ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სფეროში აღმოჩენების პროცესი, რაც მანამდე ინტენსიურად მიმდინარეობდა და აქცენტი გადავიდა მიღებული შედეგების კომერციალიზაციაზე, რამაც უარყოფითი ზეგავლენა იქონია შრომის მნარმოებლურობაზე.

ბ) შემდეგი მიზეზი, ჩვენი აზრით, უკავშირდება რეალურ ეკონომიკურ პროცესებზე ფინანსური ურთიერთობების ზემოქმედების გაძლიერებას, კერძოდ, კომპანიის მენეჯერთა შეფასების, ანაზღაურების და სტიმულირების ახალი სისტემის შემოღებას, რომელიც გადამწყვეტ როლს ანიჭებს არა შრომის მნარმოებლურობას ან სხვა რომელიმე სტრატეგიულ მაჩვენებელს, არამედ კაპიტალიზაციის დონეს. ეს სისტემა, ცნობილი ამერიკელი ნობელიანტი ეკონომისტის პ.სამუელსონის აზრით, „ძირს უთხრის მნარმოებლურობას“¹.

ეკონომიკის გლობალიზაციაში წარმოქმნილ სირთულეებზე მიანიშნებს უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ტემპის შემცირებაც. კერძოდ: 1980-2008 წლების საშუალო წლიური 6%-დან 2008-2016 წლებში იგი შემცირდა 3%-მდე ანუ განახევრდა. თუკი 2008-2010 წლებში ეს შემცირება გლობალური ფინანსური კრიზისით შეიძლება აიხსნას და იგი გლობალური მშპ-ს შემცირების ადეკვატურად მოხდა, შემდგომ წლებში გლობალური მშპ უფრო ნაკლებად შემცირდა, ვიდრე გლობალური ვაჭრობის მოცულობა. ეს იმას ნიშნავს, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებული ხდება გლობალურ ვაჭრობაზე და კონცენტრირდება შიგა ერთობლივი მოთხოვნის დაკმაყოფილე-

¹ პ. სამუელსონის ინტერვიუ გერმანულ ჟურნალ „Die Welt“ // Мир перемен. 2009. №1.с.11.

ბაზე. ამის „კლასიკური“ მაგალითი ჩინეთია, რომლის ხვედრითი წილი გლობალურ ვაჭრობაში 2007 წლის 35%-დან 2015 წლს 20%-მდე შემცირდა, ხოლო გლობალურ მშპ-ში 11%-დან 17%-მდე გაიზარდა.¹

გლობალიზაციული ბაზრების ჩამოყალიბება ტრანსნაციონალური კომპანიების (ტნე) მიერ გამოყენებული იქნა წარმოების დანახარჯების შესამცირებლად, (რომელშიც უპირველეს ყოვლისა, შრომის ანაზღაურებაზე განცემული დანახარჯები იგულისხმება). დანახარჯების შემცირება მოგებას ზრდის და ამ მიზნით მიმდინარეობდა წარმოების მასობრივი გატანა როგორც აშშ-დან, ასევე ინდუსტრიულად განვითარებული სხვა ქვეყნებიდან იაფი ბუნებრივი რესურსებით და სამუშაო ძალით გამორჩეულ განვითარებად ქვეყნებში. წარმოებისა და კაპიტალის ასეთმა მასობრივმა გატანამ, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში „გაქცეული ქარხნების“ (runaway factors) სახელწოდებით არის ცნობილი, განაპირობა უმუშევრობის ზრდა კაპიტალის გამტან ქვეყნებში, რომელსაც აღრმავებდა: ა) იმპორტული საქონლისა და მომსახურების მოძალება ადგილობრივ ბაზრებზე; ბ) პროფკავშირების როლის საგრძნობი შესუსტება.

ეკონომიკის გლობალიზაციიდან ყველაზე დიდ სარგებელს აშშ იღებდა. პრეზიდენტი დ. ტრამპი, რომელიც ჯერ კიდევ თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში მუდმივად აპელირებდა გლობალიზაციის გავლენით აშშ-ის ეკონომიკაში წარმოქმნილ სერიოზულ პრობლემებზე, მიუთითებდა, რომ ამერიკიდან კაპიტალის მასობრივმა გადინებამ დააკანინა ამ ქვეყნის შიგა რეგიონები და ე.წ. „დაუანგული სარტყელი“ წარმოშვა. დეტროიტის რეგიონი, რომელიც ერთ დროს ამერიკული ეკონომიკის აყვავების სიმბოლო იყო, უმუშევრობისა და წარკომანების თავშეყრის ადგილად გადაიქცა.² აღნიშნული პრობლემის გა-

¹ <http://www.project-syndicate.org/commentary/china-economie-resilience-by-stephen-s-roach-2017-07>

² ჩვენგან გავიდა კაპიტალი, შემოვიდა წარკოტიკი და უმუშევრობა – განაცხადა და დ. ტრამპმა. ინტერვიუ ეკონომისტ ი. არჩვაძესთან // tbiliselebi.ge

დაჭრის გზად ტრამპი მიიჩნევს აშშ-ში კაპიტალის მასობრივ დაბრუნებას¹, ასევე აშშ-ის მთავარი სავაჭრო პარტნიორების – ჩინეთისა და მექსიკის ექსპანსიის შეზღუდვას ამერიკის შიგა ბაზარზე საბაჟო ტარიფების შემოღების გზით. კერძოდ, მან გამოაცხადა, რომ 45%-იან საბაჟო გადასახადს დააწესებს ჩინურ პროდუქციაზე, ამერიკულ საავტომობილო გიგანტს – „ჯენერალ მოტორზ“-ს კი დაემუქრა, რომ თუ იგი გააგრძელებს „შევროლე კრუიზების“ მექსიკაში აწყობას და აშშ-ში შემოტანას, ამ ავტომობილებს დაბეგრავს 15%-იანი საბაჟო გადასახადით.

ამრიგად, გლობალიზაციის ეპოქაში ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენებთან, რომლებიც გამოიხატება:

- ა) ეკონომიკის ფუნდამენტურ დეინდუსტრიალიზაციაში²;
- ბ) ეკონომიკური პროცესების ვირტუალიზაციაში;
- გ) კაპიტალის სპეციალისტური ფორმის ჰიპერტროფირებულ ზრდასა და ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივად მის გადაქცევაში;
- დ) ეკონომიკური ზრდის (განვითარების) ენტროპიული მოდელის დამკვიდრებაში.

¹ რამდენიმე წლის მანძილზე ნავარაუდევია ეტაპობრივად დაახლოებით 2,4 ტრლნ აშშ დოლარის დაბრუნება, რაც უპირატესად გამოყენებული იქნება ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისათვის.

² „შესამჩნევმა დეინდუსტრიალიზაციამ, რომელიც ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში განხორციელდა, მკვეთრად შეამცირა ეკონომიკური ზრდის პოტენციალი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OCED)ქვეყნებში“ Crafts N. Globalization nad Growth in the Twentieth Century // IMF. Wash. 2000. p.28. – წერდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომელი ნ. კრაფტისი ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ. ექსპერტის მიერ დაფიქსირებული ეს ტენდენცია დღეს განსაკუთრებით გაძლიერდა და შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ დასავლეთის ცნობილი ეკონომისტები სულ უფრო ხშირად საუბრობენ განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის რეინდუსტრიალიზაციის აუცილებლობის შესახებ.

თავი II. გლობალზაფირს ეპოქის რეგიონული ფინანსური პრიზისები

2.1. ლათინური ამერიკის ქვეყნების ფინანსური პრიზისები

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე ლინდონ ლაროში ფინანსურ-ეკონომიკური გლობალიზაციის დასაწყისად 1987 წელს მიიჩნევს¹. ჩვენი აზრით, ასე ზუსტი თარიღის განსაზღვრა გლობალიზაციის დაწყებასთან მიმართებით მთლად კორექტული არ არის, თუმცა იგი თავსებადია გლობალიზაციის ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ პერიოდიზაციასთან. შესაბამისად, გლობალიზაციის პირველი კრიზისი მექსიკის 1994 წლის ფინანსური კრიზისია. მას წინ უძლოდა ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც წარიმართა ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილების და ფინანსური სფეროს მოდერნიზაციის მიმართულებით. რეფორმები შეეხო საგარეო ეკონომიკური კავშირების სფეროსაც. 1986 წელს მექსიკა შეუერთდა ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ ხელშეკრულებას (GATT), რამაც განაპირობა მისი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სრული ლიბერალიზაცია. ცოტა უფრო ადრე, 1984 წელს ამ ქვეყანაში ასევე დაიწყო ფართო პრივატიზაცია, რომელიც 1989 წელს ახალ საფეხურზე ავიდა, როცა მას დაექვემდებარა საზოგადოებრივი საქმიანობის ობიექტები. საგადასახო დისციპლინის განმტკიცებამ, რომელიც საგადასახადო რეფორმის პირდაპირი შედეგი იყო, უზრუნველყო ბიუჯეტის დეფიციტის კლება და ინფლაციის დონე 1990 წლის 150%-დან 1994 წელს 19%-მდე

¹ ლაროში ლ. მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური სისტემა და ეკონომიკური ზრდის პრობლემა. ნიგბში „მსოფლიო შეთქმულება“ . თბ., 2000, გვ.144.

შემცირდა. რეფორმების შედეგად გაუმჯობესებულმა მაკროე-კონომიკურმა გარემომ მექსიკა საგარეო ინვესტორებისთვის მიმზიდველი გახადა. 1991-1994 წლებში ამ ქვეყნის ხვედრით წილად მოდიოდა ლათინურ ამერიკაში განხორციელებული ინ-ვესტიციების დაახლოებით 45%, რაც მართლაც შთამბეჭდავი მაჩვენებელი იყო. აღნიშნული ეკონომიკური წარმატებების ფონზე ფინანსური კრიზისის დაწყება ერთგვარ მოულოდნელობას წარმოადგენდა, რომელიც სხვადასხვა მიზეზმა განაპირობა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ზედმეტად ექსპანსიონისტური ფინანსური პოლიტიკა: ბანკების მიერ კერძო სექტორის ჭარბმა დაკრედიტებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა ეროვნულ ვალუტა – პესოზე ზენოლა. საგარეო ვაჭრობის მთლიანმა ლიბერალიზაციამ და პროტექციონისტული ბარიერების მოხსნამ სამამულო მნარმოებლები უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. ისინი იძულებული გახდნენ ან დაეტოვებინათ ბაზრები ან პროდუქცია ენარმოებინათ ტრანსნაციონალური კორპორაციების კაპიტალით და მათი კონტროლის ქვეშ. ქვეყნის კაპიტალური ბალანსის მიმდინარე დეფიციტი იფარებოდა უცხოური მოკლევადიანი კრედიტებით ანუ „ცხელი ფულით“, რომელიც, როგორც წესი, სპეცუალტიური ხასიათისაა და ეროვნულ ეკონომიკაში წარმოქმნილ სირთულებისთანავე სწრაფად ტოვებს ქვეყანას. ფინანსური არასტაბილურობის ძლიერი მაპროვოცირებელი როლი ითამაშა გახმაურებულმა პოლიტიკურმა მკვლელობამ: სიცოცხლეს გამოასალმეს ქვეყნის პრეზიდენტობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი ლ.კოლოსიო. ამ ფაქტმა უცხოელ ინვესტორებში პანიკა გამოიწვია და მათ მასობრივად დატოვეს ქვეყანა. პესოს კურსის კატასტროფული დაცემის შესაჩერებლად მექსიკის ცენტრალური ბანკი ახორციელებდა დიდი მოცულობის ინტერვენციებს სავალუტო ბაზარზე, რაც კატასტროფულად ამცირებდა ქვეყნის სავალუტო რეზერვებს: 1994 წლის მარტიდან დეკემბრამდე იგი 18,5 მლრდ აშშ დოლარით ანუ 62%-ით შემცირდა. სიტუაცია გააღრმავა აშშ-ში

საპროცენტო განაკვეთის მატებამ, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა დისპროპორცია აშშ დოლარსა და მექსიკურ პესოს შორის ამ უკანასკნელის საზიანოდ. მხოლოდ ერთი დღის მანძილზე მექსიკის ცენტრალურმა ბანკმა 6 მლრდ დოლარი გამოიტანა სავალუტო ბაზარზე და მეორე დღეს მცურავ სავალუტო კურსზე გადასვლა გამოაცხადა (მანამდე პესო პირდაპირ იყო მიბმული დოლარზე), რამაც კიდევ უფრო გააძლიერა პესოს გაუფასურება. მექსიკის ნამყვანი კომპანიების კაპიტალზაცია კატასტროფულად შემცირდა. დეზორგანიზებული იქნა მექსიკის საფონდო ბირჟა, რადგანაც მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდების უმეტეს ნაწილს სახელმწიფო ობლიგაციები შეადგენდა და მათი ღირებულება მნიშვნელოვნად იყო განპირობებული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც ამ დროს აშკარად ჩავარდნას განიცდიდა.

მწვავე კრიზისიდან გამოსვლის ძიებისას მექსიკის მთავრობამ დახმარებისთვის თავის მდიდარ და ძლიერ მეზობელს აშშ-ს მიმართა და დაუყოვნებლივ მიიღო მისგან 20 მლრდ დოლარი ხანგრძლივადიანი და დაბალპროცენტიანი სესხის სახით. ამასთან ერთად, აშშ-ს იმუამინდელი პრეზიდენტი ბ. კლინტონის ადმინისტრაციამ საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიმართა მექსიკისთვის დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფის თხოვნით. სსფ-მ მექსიკას უპრეცედენტოდ დიდი თანხა გამოყო 17,7 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც 7-ჯერ აღემატებოდა ფონდში ამ ქვეყნის ქვოფას, სსფ-ში მიღებული პრაქტიკით, კრედიტის ზედა ზღვარს ქვეყნის ქვოფას 3-ჯერადი თანხა ნარმოადგენდა. მსოფლიო ბანკმა ასევე აშშ-ს თხოვნის საფუძველზე 10 მლრდ აშშ დოლარი გამოყო. ამ უზარმაზარი ფინანსური მხარდაჭერის მიუხედავად, 1995 წელი უმძიმესი აღმოჩნდა მექსიკისთვის: რეალური მშპ და სამრეწველო ნარმოების მოცულობა წინა, ასევე კრიზისულ წელთან შედარებით 5%-ით შემცირდა. კრიზისიდან თანდათანობით გამოსვლა 1996 წლიდან დაიწყო. პესოს დევალვაციამ გააიაფა მექსიკის

ექსპორტი აშშ-ში, რამაც შეამცირა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი 29,7 მლრდ აშშ დოლარიდან 1,6 მლრდ დოლარამდე, ხოლო 1998 წელს უმუშევრობის დონე კვლავ დაუბრუნდა კრიზისის წინა მაჩვენებელს.

მექსიკის ფინანსური კრიზისი ლათინური ამერიკის ზოგიერთ სხვა ქვეყანაზეც გავრცელდა და რეგიონული ხასიათი მიიღო. ყველაზე ძლიერად მან არგენტინის ეკონომიკაზე იმოქმედა, სადაც იგი აღმოცენდა საფონდო ბირჟაზე. კრიზისის დაწყებამდე არგენტინის ეკონომიკის განვითარებაში ორი ეტაპის გამოყოფაა შესაძლებელი. პირველი დაკავშირებული იყო 1980-იანი წლების ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამასთან. მეორის ე.წ. „კოვალიოს გეგმის“, წამყვანი ბლოკი იყო მონეტარული პროექტი, რომელიც სავალუტო კურსის „მოქნილ“ კონტროლს ფინანსური სტაბილიზაციის მთავარ ინსტრუმენტად მიიჩნევდა. არგენტინული პესო მყარად იქნა „მიბმული“ აშშ დოლარზე 1:1 თანაფარდობით არგენტინის ცენტრალური ბანკის ფუნქციები შეითავსა სპეციალურმა სავალუტო კომიტეტმა და განხორციელდა ე.წ „სავალუტო ფარის“ პროექტი, რომელიც, ფაქტობრივად, მოასწავებდა არგენტინის მიერ მონეტარულ სუვერენიტეტზე ნებაყოფლობით უარის თქმას.¹ სანაცვლოდ ეს ქვეყანა აშშ-ისგან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მოელოდა სოლიდურ ფინანსურ დახმარებას, რაც არ გამართლდა. ამავე დროს აშშ ფედერალური სარეზისტო ფონდის მიერ საპროცენტო განაკვეთების ამაღლებამ უცხოელი ინვესტორების თვალში მიმზიდველობა დაუკარგა არგენტინის ფინანსურ ბაზარს. მხოლოდ სამი თვის განმავლობაში ქვეყნიდან 4 მლრდ აშშ დოლარი „გაფრინდა“, ხოლო საბანკო დეპოზიტები 8 მლრდ აშშ დოლარზე უფრო მეტით შემცირდა. სპეციალური სავალუტო საბჭო უკრძალავდა მაქსიმალურად უფლებაშეკვეცილ ცენტრალური ბანკს

¹ Bleijer M. Some lessons from the Financial Crisis in Argentina (2001/02) || Seminar on Crisis Prevention in Emerging Markets. Singapore, 2006.

უკანასკნელი კრედიტორის როლის შესრულებას, რის გამოც ამ უკანასკნელს არ შეეძლო გაკოტრების პირას მდგარი კომერციული ბანკებისთვის დახმარების გაწევა. აღნიშნული მიზეზის გამო არგენტინის საბანკო აქტივების 40% უცხოელების ხელში გადავიდა. ფინანსური კრიზისის ზეგავლენა არგენტინის რეალურ ეკონომიკაზეც გავრცელდა. მან გამოიწვია ეკონომიკური ზრდის დაქვეითება და უმუშევრობის ზრდა. არგენტინის მთავრობამ მიიღო ანტიკრიზისული გეგმა, რომლის შემუშავებასა და რეალიზაციაში აქტიურად იყვნენ ჩართული მსოფლიო ბანკი და განვითარების ამერიკათაშორისი ბანკი. ანტიკრიზისული ლონისძიებების კონტექსტში გამკაცრდა მოთხოვნები კერძო ბანკების მიმართ საკუთარი კაპიტალის საკმარისობისა და ლიკვიდურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის გამჭვირვალეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ჩატარდა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების ღირებულების ჩამოფასება და დაინტ მათი პრივატიზება, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული უცხოური კაპიტალი, არგენტინის მანამდე პრაქტიკულად დახურული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ჩათვლით. უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული პრივატიზების ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური ასპექტით წარმოდგენა შეუძლებელია, ვინაიდან უცხოური კაპიტალი უპირატესად გამოყენებული იქნა ძველი, უმეტესწილად ჩამორჩენილი საწარმოების შესასყიდად და არა თანამედროვე მაღალ ტექნოლოგიებზე დამყარებული წარმოების შესაქმნელად. აღნიშნულმა გარემოებამ ხელი შეუწყო „ეკონომიკის ზომბირების“ პროცესს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში უარყოფით მოვლენადაა მიჩნეული¹.

მკაცრი ფინანსური პოლიტიკის გატარების შედეგად 1996 წლიდან დაიწყო არგენტინის ეკონომიკის ფინანსური კრიზისიდან გამოსვლა, თუმცა არსებითად შეიცვალა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელი: უპირატესად ეროვნულ ინტერესებზე

¹ პაპავა ვ. ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბ., 2010, გვ. 35-36.

ორიენტირებული ეკონომიკური სისტემა ტრანსფორმირდა ე.წ. „პერიფერიულ ეკონომიკად“, რომლის სტრუქტურას და განვითარების მიმართულებას გლობალური ეკონომიკის ინტერესებზე მორგებული ტრანსნაციონალური კომპანიები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები განსაზღვრავდა. ამგარად, არგენტინის ეკონომიკა ზედმეტად დამოკიდებული აღმოჩნდა საერთაშორისო კონიუნქტურაზე და შესაბამისმა შედეგებმაც არ დაახანა. 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში განხორციელებულმა საშინელმა ტერორისტულმა აქტმა მსოფლიო ეკონომიკაში რეცესია გამოიწვია, არგენტინაში კი ახალი ფინანსური კრიზისის წარმოქმნას დაუდო სათავე. ეს უკანასკნელი, პირველ რიგში, საბიუჯეტო კრიზისში გამოვლინდა. არგენტინის მთავრობას უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ უმოკლეს დროში 720 მლნ აშშ დოლარის მობილიზება მოეხდინა და ქვეყნა დეფოლტს გადაერჩინა. აღნიშნული თანხიდან 500 მილიონი დოლარი გადაირიცხა საპენსიო ფონდიდან, რის გამოც ამ ქვეყნის 1,4 მლნ მოქალაქეს პენსიების მიღებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა. ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა საგრძნობლად დაძაბა პოლიტიკური სიტუაცია. ანტიკრიზისული ღონისძიებები მწვავედ შეეხო ქვეყნის რიგითი მოქალაქეების ცხოვრების დონეს. უკმაყოფილო ადამიანები საპროტესტო ლოზუნებით ქუჩაში გამოვიდნენ, შეტაკებები მოხდა პოლიციასთან, რომლებიც მსხვერპლით დამთავრდა. ქვეყნის მთავრობა და პრეზიდენტი იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო. 2002 წლის 2 იანვარს კონგრესმა ახალი პრეზიდენტი აირჩია, რომელმაც მოახდინა არგენტინის პესოს დევალვაცია აშშ-ის დოლარის მიმართ. შემოღებული იქნა პესოს გაცვლის ორი კურსი. პირველი, საგარეო ბაზრებზე ოპერაციების მომსახურებისთვის, ანუ პესოს ოფიციალური კურსი და მეორე, მცურავი კურსი არასავაჭრო ოპერაციებისთვის და ზოგიერთი მომსახურების, მაგალითად, ტურიზმის ასანაზღაურებლად. ორი კურსის არსებობამ ნობიერი ნიადაგი შექმნა სპეციალური ოპერაციების გაფართოებისთ-

ვის. ბიუჯეტში სახსრების მობილიზაციის მიზნით განხორციელებული მკაცრი ღონისძიებების მიუხედავად, არგენტინამ ვერ შეძლო საგარეო ვალის გადახდის ვალდებულების შესრულება და ამიტომ ოფიციალურად უარი თქვა 141 მლრდ დოლარის დავალიანების მომსახურებაზე. ამან, ბუნებრივია, საგრძნობლად დასწია მისი საერთაშორისო რეიტინგი. სოციალური აფეთქებისა და ეკონომიკური კოლაფსის შიშით, მთავრობამ გააძლიერა ზენოლა და კონტროლი კომერციულ ბანკებზე, რომელთა უდიდესი ნაწილი უცხოელების ხელში იყო. ამან გამოიწვია მათი აქტიურობის მნიშვნელოვანი შესუსტება და სოლიდური ფინანსური დანაკარგები – 6-10 მლრდ დოლარის ოდენობით¹. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს არგენტინის მთავრობა ძირითადად ატარებდა საკუთარ ძალებზე დაყრდნობით და საკუთარი სახსრების გამოყენებით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან რაიმე ქმედითი დახმარების გარეშე. ჩვენი აზრით, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ არგენტინის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა იმ დროს ნაკლებად ეწერებოდა იმ სარეკომენდაციო ჩარჩოებში, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი რეციპიენტ ქვეყნებს სთავაზოდა ე.წ. „ვაშინგტონის კონსესუსის“ დოქტრინის ჩარჩოებში.

1990-იანი წლების დასაწყისში ფინანსურმა კრიზისმა მოიცვა ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის სხვა ქვეყნები. ისინი გამოირჩეოდნენ, როგორც პროფ. ლ.ელიავა აღნიშნავს, „კრიზისების ხდომილების მაღალი სიხშირით, განმეორებადობით და განსაკუთრებული სიმძიმით“.² ფინანსურ კრიზისებს თან სდევდა მოსახლეობის ცხოვრების დონის საგრძნობი დაქვეითება, შემოსავლებისა და სიმდიდრის მკვეთრი გადანაწილება და საზოგადოებაში სოციალური დიფერენციაციის გაძლიერება.

¹ Hernbeck J. F. The Financial Crisis in Argentina CRS Report, RS-21072.

² ელიავა ლ. საბანკო კრიზისების პროგნოზირება. თბ., 2013, გვ. 83.

2.2 სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების 1997 წლის ფინანსური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ფინანსური კრიზისი საქართველოსთვის მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციიდან მომდინარე ისტორიულად პირველი შოკი იყო, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, კერძოდ, საბანკო სფეროში რთული პროცესების დაწყებას დაუდო სათავე. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ფინანსურ კრიზისს ლათინური ამერიკის კრიზისის მსგავსად, წინ უძლოდა ამ რეგიონის ქვეყნების ხანგრძლივი სერიოზული ეკონომიკური ზრდა, რომელიც თითქმის სამი ათეული წელი გრძელდებოდა. მას შედეგად მოჰყვა არა მარტო უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, არამედ სიღარიბის დონის შეცირება და სოციალური პრობლემების შერბილება. შედეგები იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ყოველივე ამას ლიტერატურაში „აღმოსავლეთ აზიის სასწაულს“ უწოდებენ. მიღწეული შედეგები, პირველ რიგში, ამ რეგიონის ქვეყნების მთავრობათა სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი იყო, რომელიც რამდენიმე მიმართულებით ხორციელდებოდა: ა) მაღალი დანაზოგების შექმნის წახალისება, ბ) განათლებაში ჩადებული ინვესტიციების ზრდა, გ) აქტიური სამრეწველო პოლიტიკის გატარება, დ) ექსპორტის ხელშეწყობა.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეკონომიკური ზრდის (განვითარების) სიკეთე ყველას შეეხო ანუ მას ინკლუზიური ხასიათი ჰქონდა. აღნიშნული წარმატების ფონზე, მოულოდნელი აღმოჩნდა ფინანსური კრიზისის დაწყება, რომელსაც დასაბამი მიეცა ტაილანდში 1997 წლის ივლისში. სავალუტო ბაზარზე შექმნილი უკიდურესი დისპროპორციის გამო ტაილანდის ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა უარი თქვა ეროვნული ვალუტის-ბატის რეგულირებაზე, რასაც თან მოჰყვა მისი მკვეთრი დევალვაცია.

მოგვიანებით კრიზისი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კიდევ 4 ქვეყანაში – ინდონეზია, მალაიზია, ფილიპინები და სამხრეთ კორეა – გავრცელდა და მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია იაპონიაზეც.

1997 წელს კერძო და საზოგადოებრივი სექტორის შიგა და საგარეო დავალიანება სამხრეთ კორეაში, ტაილანდში და მალაიზიაში 2,3-ჯერ, ხოლო ინდონეზიაში – 2-ჯერ აჭარბებდა ამ ქვეყნების მშპ-ს. 1996 წელს სამხრეთ კორეის საგარეო ვალი იყო 157 მლრდ დოლარი, სადაც 100 მლრდ მოდიოდა მოკლევადიან კრედიტებზე. ინდონეზიის საგარეო ვალი შეადგინდა 135 მლრდ დოლარს, აქედან 19 მლრდ იყო მოკლევადიანი კრედიტი. 1996 წლისათვის ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპი საგრძნობლად შენელდა, თუმცა, ფინანსური სექტორი კვლავ აგრძელებდა ზრდას. აზიის ქვეყნების ფინანსური ბაზრების მსოფლიო ფინანსურ სისტემაში ინტეგრირების ხარისხი აღემატებოდა აშშ-ს, იაპონიის და ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად ეს ქვეყნები კვლავ აძლიერებდნენ ფინანსური სფეროს ლიბერალიზაციას. მაღალი საპროცენტო განაკვეთები ასტიმულირებდა უცხოელ ინვესტორებს კაპიტალის დასაბანდებლად, რადგან მათ გარანტირებული ჰქონდათ მაღალი მოგება მყარ ვალუტაში. უცხოური კაპიტალის სიჭარე აწვებოდა ადგილობრივ ფინანსურ სისტემას. განსაკუთრებით პრობლემური იყო ის გარემოება, რომ მოზიდული კაპიტალის ძირითად ნაწილს მოკლევადიანი სესხები წარმოადგენდა. ნეგატიურ როლს თამაშობდა ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტების განვითარების არასაკმარისი დონე, საფინანსო ინფრასტრუქტურა აშკარად მოუმზადებელი აღმოჩნდა უცხოური ინვესტიციების უზარმაზარი მოცულობების „გადასახარშად.“ კრიზისის პირველი ნიშნების გაჩენისთანავე უცხოელმა ინვესტორებმა სწრაფად დაიწყეს ფულის ამოღება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან, რამაც სავალუ-

ტო რეზერვების შემცირება გამოიწვია – 1995 წლის 62 მლრდ დოლარიდან 1997 წელს- 24 მლრდ დოლარამდე. უკიდურესად დაეცა ნდობა ამ ქვეყნების ეროვნული ვალუტების მიმართ, რამაც გააძლიერა ინფლაცია და კიდევ უფრო გააღრმავა ინვესტორთა შიში. სსფ-ს და ქვეყნების მთავრობათა მიერ მიღებული ანტიკრიზისული ღონისძიებები ეფექტიანი ვერ აღმოჩნდა. პირიქით, მათ კიდევ უფრო დაძაბეს სიტუაცია. მყარი ვალუტის მასობრივმა გადინებამ და სავალუტო ინტერვენციებმა გამოიწვია ცენტრალური ბანკების სავალუტო რეზერვების დაცარიელება, მოგვიანებით ადგილობრივი ვალუტების კურსების დაფიქსირებამ ან მყარი ვალუტების კალათაზე მიბმამ, რაც მიზნად ისახავდა ინვესტორების დაცვას ეროვნული ვალუტის დევალვაციის შედეგად წარმოქმნილი დანაკარგებისაგან, სტიმულირება გაუწია სპეკულაციური კაპიტალის კიდევ უფრო მოზღვავებას. სათანადო შედეგი არ მოჰყოლია არც საპროცენტო განაკვეთების ზრდას. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ფინანსური კრიზისი ე.წ. „დომინოს პრინციპით“ ვითარდებოდა, ანუ ძალიან სწრაფად გადადიოდა ქვეყნიდან ქვეყანაში და გარკვეულ ეტაპზე მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე იქონია ზემოქმედება, რაც გამოიხატა მსოფლიო საფონდო ბირჟებზე აქციების კურსის მკვეთრ დაცემაში. კერძოდ: ტოკიოს ბირჟაზე დოუ-ჯონსის ინდექსი შემცირდა 4,3%-ით, მაინის ფრანკფურტის ბირჟაზე – 4,2%-ით; რუსეთში – 20-30%-ით. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ქვეყნების ფინანსური კრიზისის ზემოქმედებით 1998 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე პერიოდში აქციების კურსები კატასტროფულად დაეცა ლათინური ამერიკის ქვეყნების ბირჟებზე: ჩილეში – 33%-ით, ბრაზილიაში-39%-ით, მექსიკაში-41%-ით, არგენტინაში-47%-ით, კოლუმბიაში-48%-ით, ვენესუელაში-69%-ით. კოლუმბიასა და ეკვადორში მოხდა ნაციონალური ვალუტების დევალვაცია. მექსიკური პესოს კურსი აშშ დოლართან 20%-ით შემცირდა. აზის რეგიონში ერთადერთი ქვეყანა ჩინეთი იყო, რომელსაც

კრიზისის „ვირუსი“ არ შეყრია. ეს ძირითადად განპირობებული იყო ჩინეთის მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკით და ჩინეთის საფონდო ბაზრის გამართული საქმიანობით. მთავრობის მიერ კონტროლდებოდა ჩინეთის მთელი საბანკო სისტემა და ამიტომ იგი ნაკლებ მგრძნობიარე აღმოჩნდა ფინანსურ ბაზრებზე წარმოქმნილი სპეციულაციური რყევების მიმართ.

ჩინეთის გარდა ფინანსური კრიზისი არ შეხებია ე.ნ. ჩაკეტილი ეკონომიკის ქვეყნებს: ტაივანს, ვიეტნამს, ლაოსს, კამბოჯას, მონლოლეთს და მიანმას.

ამრიგად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ფინანსური კრიზისის მიზეზები იყო: შიგა ფინანსური ბაზრების სწრაფი და საყოველთაო ლიბერალიზაცია; უცხოური კაპიტალის, განსაკუთრებით მოკლევადიანი კრედიტების („ცხელი ფულის“) მოზღვავება; ფინანსური ინსტიტუტების განვითარების არასაკმარისი დონე; სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადამხდელო ბალანსის დიდი დეფიციტი, რაც გამოწვეული იყო როგორც კრიზისის წინა პერიოდის სამრეწველო და ინვესტიციური ბუმით, ისე საგარეო ვალის მზარდი მომსახურებით; საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების, უპირველეს ყოვლისას სსფ-ს, დაგვიანებული და ზოგჯერ არაადეკვატური რეაგირება კრიზისულ პროცესებზე.

ფინანსურ კრიზისს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხუთივე ქვეყანაში მსგავსი მიზეზები ქონდა და სტანდარტული სცენარით მიმდინარეობდა¹. 1990-იანი წლების დასაწყისში გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ამ რეგიონების ქვეყნების ეკონომიკის სწრაფ ლიბერალიზაციას და იაფი რესურსების – განსაკუთრებით სამუშაო ძალის ფაქტორის გათვალისწინებით, უცხოური კაპიტალისთვის, განსაკუთრებით მოკლევადიანი კრედიტებისთვის (ე.ნ. „ცხელი ფული“) მიმზიდველი გახადა. აღნიშნულს თან მოჰყვა ეკონომიკური ბუმი, რომელიც, ამას-

¹ Pettis M. The Volatility Machine. Emerging Economics and Threat of Financial Collapse. Oxford University Press. 2001

თანავე, არ იყო უზრუნველყოფილი რეალური ეკონომიკის წარმატებული განვითარებით და ეფექტიანად ფუნქციონირებადი ინფრასტრუქტურით. ამიტომ ეკონომიკურ ბუმს უპირატესად სპეცულაციური ხასიათი ჰქონდა და მოკლე ხანში იგი ეკონომიკურმა დაცემამ შეცვალა. უცხოური კაპიტალიც ისევე სწრაფად გადინდა ქვეყნებიდან, როგორც შემოდინდა, რასაც თან მოყვა სავალუტო რეზერვების მკვეთრი შემცირება და წარმოიშვა დეფოლტის რეალური საფრთხე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, პირველ რიგში, სსფ-ს როლი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ფინანსურ კრიზისში, რომელიც არაერთგვაროვანი და წინააღმედგომბრივია. საერთაშორისო სავალუტო ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ქვეყნების მთავრობებიდან დაუზინებით მოითხოვდა ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციას, რასაც ამ რეგიონის ქვეყნების ლიდერები, განაკუთრებით ფინანსთა მინისტრები არ ეთანხმებოდნენ, ვინაიდან მთავარი პრობლემების სათავეს „ცხელი ფულის“ შედინებაში ხედავდნენ, რაც კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაციის აუცილებელი შედეგი იქნებოდა. ამასთანავე, ისინი ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ სსფ-ს დიქტატს, ვინაიდან შიშობდნენ, რომ ფონდის მითითების წინააღმდეგ წასვლას უცხოური კაპიტალის ამ ქვეყნებიდან გადინება მოჰყვებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის რეგიონის ფინანსურ კრიზისში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ობიექტური და კრიტიკული შეფასება ეკუთვნის პროფ. ჯ.სტიგლიცს. იგი წერს: „განვითარებადი ქვეყნების უმავლესობას მიაჩნია, რასაც მეც ვიზიარებ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა პრობლემა კი არ მოაგვარა, არამედ თვითონ იქცა ამ ქვეყნების პრობლემად“!¹ მეცნიერის აზრით, სსფ-მა არა მარტო კრიზისი დამძიმა, არამედ მისი დაწყებაც

¹ სტიგლიცი ჯ. გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება. თბ., 2012. გვ.137.

დააჩქარა და მთავარი შეცდომა იყო „ფინანსური ბაზრების ლი-ბერალიზაციის დაჩქარებისთვის ხელის შეწყობა“¹.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კრიზისმა იაპონიის გავლით 2008 წლის აგვისტოში რუსეთში შეაღწია და რუსეთიდან სე-ქტემბრის დასაწყისში საქართველოში გადმოინაცვლა. 1998 წლის 5 სექტემბრიდან დაიწყო ეროვნული ვალუტის – ლარის კურსის ვარდნა (დევალვაცია), რომელიც მაღე სავალუტო კრიზისში გადაიზარდა. ეს უკანასკნელი სხვადასხვა ინტენსიურობით 1999 წლის მაისამდე გაგრძელდა. იმ პერიოდში რუსეთი წარმოადგენდა ჩვენს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს. შესაბამისად, მოხდა ამ ქვეყნიდან გაუფასურებული საქონლის შემოდინება, რასაც ხელს უწყობდა საქართველოს ეკონომიკური საზღვრის მორღვეულობა. კერძოდ, ერგნეთის ბაზრობის გავლით შემოედინებოდა დიდი მოცულობის უპირატესად რუსული კონტრაბადული საქონელი. მართალია, ამ საქონლის ფასი დაბალი იყო, მაგრამ „რაოდენობის ეფექტი“ მნიშვნელოვნად აჭარბებდა „ფასის ეფექტს“. ამის გამო, საქართველოსში სავალუტო ბაზარზე არსებითად გაიზარდა მოთხოვნა დოლარზე და ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინება. ამავე მიმართულებით მოქმედებდა ახალქალაქის სამხედრო ბაზა, საიდანაც დიდი რაოდენობის გაუფასურებული რუსული რუბლი ხვდებოდა საქართველოს სავალუტო ბაზარზე და იცვლებოდა მყარ ვალუტაზე, როგორც წესი, დოლარზე. რუსეთში განვითარებული მწვავე კრიზისის გამო მნიშვნელოვნად იკლო ამ ქვეყნიდან ტრანსფერულმა ნაკადებმა, რამაც განაპირობა სავალუტო ბაზარზე დოლარის მოცულობის ასევე მნიშვნელოვანი შემცირება.

საქართველოს სავალუტო ბაზარზე შექმნილი რთული სიტუაციიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი, რომელიც იმ დროისთვის მყარი ვალუტის ერთადერთი მიმწოდებელი იყო, ლარის კურსის მკვეთრი დაცემის თავიდან ასაცილებლად სავა-

¹ ოგივე ნაშრომი გვ. 127.

ლუტო ინტერვენციებს ახორციელებდა და ამ გზით ცდილობდა აღედგინა დარღვეული პროპორცია სავალუტო ბაზარზე. აღნიშნულმა პოლიტიკამ საშუალება მისცა კომერციულ ბანკებს შეუფერხებლად დაეკმაყოფილებინა უცხოურ ვალუტაზე საკუთარი კლიენტების მოთხოვნა, შეენარჩუნებინა ლიკვიდურობა და თავიდან აეცილებინა საბანკო პანიკის წარმოშობა. მნიშვნელვანი იყო აგრეთვე ეროვნული ბანკის ინტერვენციების საშუალებით საკურედიტო პორტფელების გაუარესების შერბილების მცდელობაც. ფაქტია, რომ სავალუტო კრიზისის პერიოდში საქართველოში არცერთი კომერციული ბანკი არ გაკოტრებულა.

ამრიგად, სავალუტო კრიზისის პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკი ინარჩუნებდა მართვად სავალუტო კურსს და სავალუტო კრიზისის პირველი ოთხი თვის განმავლობაში – 1998 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე მან გაუძლო საგალუტო ზეწოლას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სავალუტო ბაზარზე პირველი დარტყმა საკუთარ თავზე მიიღო და შეარბილა, სავალუტო რეზერვების კატასტროფული შემცირების ფაქტის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ 1998 წლის 4 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება ინტერვენციის შეწყვეტისა და მცურავი გაცვლითი კურსის რეზიმზე გადასვლის შესახებ. მისი გამოცხადებისთანავე ვალუტის კურსი დაახლოებით 22%-ით გაუფასურდა, თუმცა მოგვიანებით ლარის ღირებულების აღდგენა მოხდა და სავალუტო ბაზარი დამშვიდდა. 1999 წლის მაისი ითვლება საქართველოში სავალუტო კრიზისის დასრულების თარიღად. 1998 წლის აგვისტოდან 1999 წლის მაისამდე ლარის კურსი თანდათანობით 50%-ით გაუფასურდა. ამის შემდეგ, 2014 წლის ნოემბრამდე ლარის კურსი შედარებით მაღალი და სტაბილური იყო.

სავალუტო კრიზისმა უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. ეროვნული ვალუტის გაუფასურების შესაჩერებლად მონეტარული ხელისუფლება (ეროვნული-ბანკი) იძულებული გახდა შეემცირებინა ლარის მიმოქცევაში

გაშვება და ხელოვნურად გაეზარდა მასზე მოთხოვნა, რამაც განაპირობა ეკონომიკური ზრდის ტემპის მნიშვნელოვანი კლება. კერძოდ, იგი 1997 წლის 10.7%-დან 1999 წლის 2.7%-მდე შემცირდა. განსაკუთრებულად უარყოფით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული ვალუტისადმი ნდობის შერყევა, რომელიც სავალუტო კრიზისის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა. 1990-იანი წლების პიპერინფლაციისა და კუპონიზაციის შემდეგ ეროვნული ვალუტის – ლარის შემოღებამ და მისი მყარი კურსის შენარჩუნებამ თითქმის 3 წლის მანძილზე მის მიმართ ნდობის პირველი ნიშნები გააჩინა, რაც მაშინ, სამწუხაროდ, უკვალოდ გაქრა. სავალუტო კრიზისის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკის დოლარიზაციის განუხრელი ზრდა. ასე მაგალითად: დოლარიზაციის კოეფიციენტი საქართველოში შეადგენდა: 1996 წელს – 12.7%-ს; 1997 წ. – 20.9%-ს; 1998 წ. 29.1%-ს. ამ პერიოდში საქართველო მიეკუთვნებოდა ე.წ. ზომიერად დოლარიზებული ქვეყნების ჯგუფს, ანუ დოლარიზაციის კოეფიციენტი ნაკლები იყო 30%-ზე¹. 1999 წელს დოლარიზაციის კოეფიციენტმა შეადგინა 33,7%, 2000 წელს კი 25,6%. ამჟამად იგი 60%-ის ფარგლებში მერყეობს. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო მაღალდოლარიზებული ქვეყნების კატეგორიაში გადავიდა აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი ეკონომიკური შედეგით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მწვავე სავალუტო კრიზისი საქართველოში არ გადაზრდილა ინფლაციის მაღალი ტემპით ზრდაში, რაც განპირობებული იყო როგორც ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი ფულად-საკრედიტო პილიტიკის გატარებით, ასევე მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი შემცირებით, რამაც მნიშვნელოვნად დააქვეითა მისი მსყიდველობითუნარიანობა.

სავალუტო კრიზისის წარმოშობის მიზეზები და მისი დაძლევის გზები ყოველთვის წარმოადგენს ეკონომისტთა შო-

¹ მ. კაკულია, ნ. ასლამაზიშვილი. დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები. თბ., 2000, გვ. 6.

რის მწვავე დისკუსიის საგანს. ამ თვალსაზრისით გამონაკლი-სი არც 1998 წელს საქართველოში განვითარებული სავალუტო კრიზისი იყო. ზოგიერთი სპეციალისტი, მაგალითად, პროფ. მ. კაკულია კრიზისის ძირითად მიზეზად ასახელებდა რუსეთის ფართომასშტაბიან ფინანსურ კრიზისს, ხოლო საქართველო-ში განვითარებულ საბიუჯეტო კრიზისს დამხმარე, არაძირი-თად ფაქტორად მიიჩნევდა. სხვა ეკონომისტების (მაგ., პროფ. ი. მესხიას) აზრით, საქართველოში სავალუტო კრიზისის წარ-მოშობა და განვითარება ძირითადად ქვეყნის შიგა ფაქტორმა – საბიუჯეტო კრიზისმა განაპირობა. ეკონომიკის დოქტორის მ. გველესიანის აზრით, საქართველოში კრიზისის ძირითადი მიზეზი იყო მონეტარული ხელისუფლების მიერ მკაცრი ფულ-ადი პოლიტიკის გატარება.¹

მწვავე დისკუსიის საგნად იქცა აგრეთვე სავალუტო კრი-ზისის პერიოდში ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლი-ტიკა. იმ პერიოდში სავალუტო ფონდი ეროვნული ბანკისგან და მთლიანად ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ისინი არ ჩარეულიყვნენ ლარის გაცვლითი კურსის რეგუ-ლირების პროცესში და მისი დადგენა მხოლოდ საბაზრო ძალე-ბისთვის მიენდოთ. ზოგიერთი ეკონომისტის (პროფ. ვ. პაპავა. ეკონ. დოქტორი თ. აქუბარდია) მოსაზრებით, სავალუტო ბა-ზარზე ეროვნული ბანკის აქტიური ზემოქმედება ერთადერთი სწორი და გამართლებული მოქმედება იყო. პროფ. ვ. პაპავას აზრით, „საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის უდიდეს დამსახურებად უნდა იქნას მიჩნეული, რომ მათ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეს, ტაქტიკური თვალსაზრისით, აშკარად მცდარი რეკომენდაცია არ გაიზიარეს და ლარის თანდათანობითი დევალვაციით ბანკებს, მთლიანად მოსახლეობას მისცეს სიგნალი, მათ ხელში არსებული თანხები ლარებიდან დოლარებში გადაეყვანათ... ამგვარმა ტაქტიკურმა

¹ 6. ბაქრაძე, მსოფლიო საფინანსო კრიზისის გავლენა ლარის გაცვლითი კურ-სის ფორმირებაზე. ჟურნ. „ბანკი“, N6, 2001, გვ. 51.

ნაბიჯებმა იმის ობიექტური შესაძლებლობა შექმნა, რომ რუ-
სეთის კრიზისის ტალღის დამანგრეველი ზემოქმედების მიუხე-
დავად, ამ მიზეზით საქართველოს არც ერთი კომერციული
ბანკი არ გაკოტრებულა.¹ დოქტ. თ. აქუბარდია წერს: “ამგვა-
რად, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედე-
გად მოხერხდა საბანკო სისტემის გადარჩენა, თუმცა სავალუ-
ტო რეზერვების არნახული შემცირების ხარჯზე. ეს მსხვერპლი
განუზომლად მცირე იყო იმასთან შედარებით, რაც შეიძლებო-
და მოჰყოლოდა ქვეყნის საბანკო სისტემის განადგურებას”.²
მკვლევართა ამ მოსაზრებებს ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით და
ვფიქრობთ, რომ მიღებული გამოცდილების გათვალისწინება
ყოველთვის მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის ხელმძღვანე-
ლობისთვის. ამ გამოცდილების შინაარსი კი შემდეგში მდგო-
მარეობს: ქვეყნის ეკონომიკაზე გარე თუ შიგა შოკის ზეგა-
ვლენა ყოველთვის აისახება ეროვნული ვალუტის კურსების
სტაბილურობაზე. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის ცენტრალური
ბანკი (ჩვენთან სებ-ი) ყოველთვის დგება ალტერნატივის წი-
ნიაშე: ან ქმედითი ღონისძიებები გაატაროს და მის განკარგუ-
ლებაში არსებული ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა
რეზერვების ხარჯვა ან/და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრე-
ბა, შეინარჩუნოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობა(1998-1999
წლების გამოცდილება), ან იმ არგუმენტის მოშველიებით, რომ
არსებული კანონით, სებ-ი პასუხისმგებელია ქვეყანაში ინფლა-
ციაზე და არა ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე, აირჩიოს
ეროვნული ვალუტის გაუფასურების პროცესში ჩაურევლობის
პოლიტიკა. რა თქმა უნდა, გრძელვადიან პერიოდში უცხოური
ვალუტის მოთხოვნა მიწოდების დაბალანსება ფუნდამენტურ
ფაქტორებზეა დამოკიდებული და სავალუტო ინტერვენციე-
ბით მისი უზრუნველყოფა შეუძლებელია. ამასთანავე, ისიც

¹ პაპავა გ. საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბი-
ლისი, 2015, გვ. 59.

² აქუბარდია თ. რეფორმების ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2007, გვ. 32.

ცხადია, რომ ნებისმიერი გრძელვადიანი პერიოდი მოკლევადიანი პერიოდებისგან შედგება და განსაკუთრებულ შემთხვევაში, რომლის კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ 1998 წლის სექტემბერში საქართველოს საბანკო სისტემაში დაწყებული პროცესი, ეროვნულ ბანკს არა მარტო შეუძლია, არამედ იგი ვალდებულიცაა ლარის კურსის მკვეთრი მერყეობა სავალუტო ინტერვენციებით შეარბილოს. ჩვენი ეს მიდგომა პრინციპულად განსხვავდება სებ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტის პოზიციიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ „კურსის გაუფასურების პროცესში ხელოვნურ ჩარევაზე უარი არის ყველაზე სწორი რეაქცია საგარეო შოკზე, რაც უზრუნველყოფს შოკის გადატანას ნაკლები საზოგადოებრივი დანახარჯით“¹. ვფიქრობთ, სებ-ის შესახებ ორგანულ კანონში აუცილებელია იმ დებულების აღდგენა, რომლის თანახმადაც ქვეყნის ცენტრალური ბანკი პასუხს აგებს არა მხოლოდ ინფლაციის მაჩვენებელზე, არამედ ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზეც, რომელიც მთელი ფინანსური სისტემის სტაბილურობის და წარმატებული განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ამრიგად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფინანსური კრიზისი, რომელიც ტაილანდში 1997 წლის მაისში დაიწყო, მოგვიანებით მეზობელ ქვეყნებშიაც გავრცელდა და სერიოზული ფინანსური რყევები წარმოშვა. რეგიონის ქვეყნების მშპ-ს კუმულატურმა დანაკარგებმა ფინანსური კრიზისის შედეგად საშუალოდ 50%-ზე მეტი შეადგინა, წარმოების დაცემამ კი 6,9%-დან (სამხრ. კორეა) 13,1%-მდე. ფისკალური დანახარჯები შეადგენდა მშპ-ს 16,4%-დან (მალაიზია) 56,8%-მდე (ინდონეზია)².

ფინანსური კრიზისის მნიშვნელოვანი მიზეზები იყო:

- ფინანსურ სფეროში სისტემური რისკების დაგროვება ეკონომიკის გადახურების საერთო ფონზე;

¹ „ქვირის პალიტრა“: ექსკლუზიური ინტერვიუ სებ-ის პრეზიდენტ კობა გვენეტაძესთან.

² Ceccetti S.G., Kotler M., Upper C. Financial Crisis and Economic Activity // NBER Working Paper. 2009 №153.

- საფონდო ბირჟებსა და უძრავი ქონების ბაზრებზე „ფინანსური ბუშტების“ გაბერვა;
- მიმდინარე ანგარიშის მწვავე დეფიციტი;
- ფინანსური სფეროს სწრაფი ლიბერალიზაცია;
- საფინანსო-საბანკო სფეროს პრუდენციული რეგულირებისა და კორპორატიული მართვის დაბალი დონე;
- საფინანსო სფეროს ინსტიტუციური სტრუქტურა.

ამრიგად, გლობალიზაციის საწყის პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაში განვითარებულ ეკონომიკურ კრზისებს შორის არსებულ განსხვავებასთან ერთად შესაძლებელია რამდენიმე საერთო ნიშნის გამოყოფა.

პირველი, ამ კრიზისებს გააჩნდა მკვეთრად გამოხატული ფინანსური ხასიათი და მოიცავდა საბანკო, საბიუჯეტო, საფონდო და სავალუტო სფეროებს.

მეორე, ფინანსური კრიზისების რეგიონული ხასიათი. რომელიმე ერთ ქვეყანაში წარმოქმნილი ფინანსური კრიზისი სწრაფად ვრცელდებოდა სხვა ქვეყნებში. ამის კლასიკური მაგალითია მექსიკის 1994 წლის კრიზისი, რომელიც ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის ხუთ ქვეყანაში – არგენტინაში, დომენიკეს რესპუბლიკაში, კოლუმბიაში, ურუგვაიში და ეკვადორში გავრცელდა. იგივე შეიძლება ითქვას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 1997 წლის ფინანსურ კრიზისზე, რომელიც ტაილანდში დაიწყო და ამ რეგიონის კიდევ ოთხი ქვეყანა მოიცვა.

მესამე, რეგიონული ფინანსური კრიზისები მსგავსი სცნარებით მიმდინარეობდა: შიგა სავალუტო ბაზარზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტებს შორის წონასწორობის დარღვევა, ეროვნული ვალუტის მიწოდების ზრდა იმავე დროს უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის გაზრდის პირობებში, რაც იწვევდა ეროვნული ვალუტის გაუფასურებას; ქვეყნის ოქრო-სავალუტო რეზერვების მკვეთრი შემცირება; საბანკო პანიკა, კლიენტების ბანკებზე „შესევა“, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მთავრდებოდა ბანკების გაკოტრებით და საბანკო კრიზისით; საფონდო

ბაზრებზე აქციების, ობლიგაციების, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების მკვეთრი დაცემა, კომპანიების მიერ დაგროვილი ვალის გადახდის შეუძლებლობა; სახელმწიფო ვალის გადახდაზე უარის თქმა და ქვეყნის დეფოლტის ოფიციალურად გამოცხადება.

მეოთხე, ფინანსური კრიზისები ძირითადად შეეხო ე.წ. „მზარდი ბაზრების“ (Emerging Markets) ქვეყნებს და ეკონომიკური ზრდის ობიექტური სიძნელეების გამოხატულებად მოგვევლინა.

მეხუთე, მთელი ეკონომიკის და განსაკუთრებით მისი ფინანსური სექტორის სწრაფმა და საყოველთაო ლიბერალიზაციამ განუვითარებელი მარეგულირებელი (მაკონდინირებელი) ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის პირობებში განაპირობა ბანკებზე, საინვესტიციო და სხვა საფინანსო ორგანიზაციებზე პრუდენციული ზედამხედველობის შესუსტება;

მეექვსე, კერძო სექტორზე გაცემული მოკლევადიანი საინვესტიციო და სამომხმარებლო კრედიტების ანუ ე.წ. „ცხელი ფულის“ მკვეთრი ზრდა ნოუიერ ნიადაგს უმზადებდა მკვეთრ ეკონომიკურ რყევებს.

მეშვიდე, ბიუჯეტში შექმნილი პრობლოემები პირდაპირ ზემოქმედებას ახდენდა საბანკო და სავალუტო კრიზისებზე და ეს განსაკუთრებით ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი;

მერვე, ზოგიერთ ქვეყანაში(მაგალითად, მექსიკა, არგენტინა) განვითარებული რთული პოლიტიკური მოვლენები ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების ძლიერ კატალიზატორებს წარმოადგენდა;

მეცხრე, საფინანსო კრიზისების წარმოშობას ხშირ შემთხვევაში „მოულოდნელობის ეფექტი“ ჰქონდა ანუ ისინი წარმოიქმნებოდნენ წარმატებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემდეგ და აქარწყლებდნენ მათ პოზიტიურ შედეგებს;

მეთეული, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი...) მიერ კრიზისის დაძლევაზე დიდი მოცულობის ფინანსური სახსრების გამოყოფა. კერძოდ: მექსიკის 1994 წლის კრიზისის შედეგების დასაძლევად საჭირო გახდა 47,8 მლრდ აშშ დოლარი და აქედან 17,8 მლრდ დოლარი სსფ-მა გამოყოფილი „შეინირა“, რომლისგანაც 46,9 მლრდ დოლარი სსფ-ს იყო. არგენტინის 2000 წლის დეკემბრის კრიზისის დაძლევას 37,5 მლრდ დოლარი დასჭირდა და სსფ-მ გამოყოფილი 11,7 მლრდ დოლარი. 1995-2000 წლებში გლობალიზებად ეკონომიკაში განვითარებული ფინანსური კრიზისების დასაძლევად სულ გამოიყო 278,3 მლრდ აშშ დოლარი. აქედან სსფ-ს მიერ 106,3 მლრდ, მსოფლიო ბანკის მიერ კი 26,2 მლრდ აშშ დოლარი¹.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კრიზისის ერთგვარ გამოძახილად შეიძლება ჩაითვალოს თურქეთის 2001 წლის ფინანსური კრიზისი, რომელმაც გარკვეული ასახვა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკაზე. თურქეთის ეკონომიკაში ფინანსური ხასიათის პრობლემები 2000 წლის ნოემბერში გაჩნდა. ქვეყნის კომერციული ბანკები ლიკვიდურობაზე მაღალი მოთხოვნილების წინაშე აღმოჩნდნენ ინტენსიურად დაინტენსიურად სამთავრობო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, რასაც შედეგად მოპყვა საპროცენტო განაკვეთების ზრდა. ამას ხელი შეუწყო თურქეთის ცენტრალური ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური სტაბილიზაციის პაკეტით ნაკისრი ვალდებულების დაცვამ, რომელიც ითვალისწინებდა ლიკვიდურობის კუთხით ინტერვენციის შეზღუდვას. მალე თურქეთის ცენტრალური ბანკი იძულებული გახდა მაინც მიენოდებინა ლიკვიდურობა საბანკო სექტორისათვის. ასეთმა არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ წარმოშვა ინვესტორების უნდობლობა და ეჭვი გაცვლითი კურსის

¹ Laeven L., Valencia F., Systemic Banking Crises: A New Database || IMF Working Paper. №224, gv.17-18

სტაბილურობასთან მიმართებით, რამაც მაპროვოცირებელი ფაქტორის როლი ითამაშა კაპიტალის ქვეყნიდან გადინებაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსურმა დახმარებამ, რომელიც 7.5 მლრდ დოლარში გამოიხატა, დროებით ჩააცხრო სიტუაცია. 2001 წლის თებერვალში ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა კრიზისმა უარყოფითი ზეგავლენა იქონია თურქეთის ფინანსურ სისტემაზე, რაც გამოვლინდა კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების უპრეცენდენტო (6200%-მდე) ზრდაში და სავალუტო სისტემის მოშლაში. ლირას კურსის კატასტროფული ვარდნის თავიდან ასაცილებლად თურქეთის ეროვნულმა ბანკმა დაიწყო დოლარის ფართომასშტაბიანი ინტერვენცია, თუმცა ვერ შეძლო კურსის დაცემის შეჩერება. კომერციულმა ბანკებმა უარი განაცხადეს გადახდებზე, ხოლო თურქულმა ავიაკომპანიებმა – ბილეთების ლირებში გაყიდვაზე. ფინანსური კრიზისის გაღრმავებას ხელი შეუწყო უზარმაზარმა მაქინაციებმა, რომელთა მასშტაბმა 2000 წელს 37 მლრდ დოლარი შეადგინა. ფინანსურმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა იქონია თურქეთის მთელ ეკონომიკაზე: ქვეყნის მშპ 2001 წლის განმავლობაში 7.8%-ით შემცირდა, რაც ყველაზე ცუდი მაჩვენებელი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

თურქეთში განვითარებულმა კრიზისულმა მოვლენებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზეც, ვინაიდან თურქეთი ამ დროისთვის იყო საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი. კერძოდ, 2000 წლის მონაცემებით, მისი ნილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 17.7%-ს შეადგენდადა 2.3 პროცენტული პუნქტით სჭარბობდა მეორე ადგილზე მყოფი რუსეთის ანალოგიურ მაჩვენებელს. თურქეთი ლიდერობდა როგორც საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტების – უმთავრესად ნედლეულის პოზიციაში: საქართველოდან თურქეთში გადიოდა ექსპორტირებული შავი ლითონების ჯართის მთლიანი მოცულობის 85%, ალუმინის ნარჩენების 75%, ფეროშენადნობების 54%, ნედლი

ნავთობის 53%, ასევე იმპორტში. საქართველოში იმპორტირებული ფქვილის 95%, შაქრის – 80%-ემეტი, აგრეთვე კვების პროდუქტების უმრავლესობა თურქეთიდან შემოდიოდა.

თურქული ლირას მნიშვნელოვანმა გაუფასურებამ ქართული ლარის მიმართ უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკის ისედაც დაბალ კონკურენტუნარიანობაზე, რასაც დაემატა თურქეთის ეკონომიკაში მოთხოვნის შემცირება საქართველოში წარმოებულ პროდუქციაზე: 2001 წელს საქართველოდან თურქეთში ექსპორტი 19%-ით შემცირდა, რაც ყველაზე ცუდი მაჩვენებელი იყო 1996 წლის შემდეგ 1998 წლის გამოკლებით. ამავე დროს თურქეთიდან იმპორტი შემცირდა 5%-ით. ექსპორტსა და იმპორტს შემცირებას შორის სხვაობამ გამოიწვია საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რომელმაც მშპ-ს 7.5% შეადგინა.

თურქეთის 2001 წლის ფინანსური კრიზისის ნეგატიური ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ძლიერი და მასშტაბური არ ყოფილა, რაც განპირობებული იყო გლობალურ ფინანსურ სისტემაში იმ დროს საქართველოს ინტეგრირების დაბალი ხარისხით და ქვეყნის ხელისუფლების მიერ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით. თუმცა ეს გავლენა მაინც იგრძნობოდა, პირველ რიგში, სავაჭრო კავშირების კუთხით.

მეორე თავის ერთგვარი შეჯამების სახით მკითხველს ვთავაზობთ ცხრილს, რომელიც წარმოდგენას იძლევა გლობალიზაციის ეპოქაში განვითარებული ზოგიერთი ფინანსური კრიზისის მახასიათებლების შესახებ.

ცხრილი 1. ფინანსური კრიზისების მახასიათებლები

კრიზისის ადგილი და დრო	კრიზისის წანამძ- ლვრები	კრიზისის „გამშვები მექანიზმი“ (ტრიგერი)	შეცდომე- ბი	აგენტების მოქმედება	გავრცელების არეაბი
მექსიკა 1994-1995	„ორმაგი დეფიცი- ტი“ და სავალუტო დისბალ- ანსები საბანკო სისტემაში	პოლიტიკური დამაბულო- ბის ზრდა და საპროცენტო განაევეთების მატება აშშ-ში	ფისკალუ- რი ექსპანსია ფიქსირე- ბული კურსის პირობებ- ში, სუსტი რეგულა- რება	რეზერვე- ბის დაბალმა დონეზ გამოიწვია მათზე სპეცუ- ლაციური შეტევა. დოლარებ- ში დენომ- ინებულ ობლიგა- ციებზე უარი	„ხარისხში გაქცევა“, ბანკთაშო- რის ბაზარზე განაკვეთების ზრდა გაურკვევლობის პირობებში
სამხ- რეთ-აღ- მოსავლეთ აზიის ქვეყნები 1997-1998	მიმდინარე ანგარიშის მწვევე დეფიცი- ტი, კერძო სექტორის მოკლევა- დანი დავალ- იანება, სავალუტო დისბალ- ანსები ფინანსურ სისტემაში	სპეცულაცი- ური შეტევა ტაილანდის ეროვნულ ვალუტა – ბატ-ზე	სუსტი რეგული- რება, ზედმეტად მეაცრი ფისკალურ – მონე- ტარული პოლიტიკა კრიზისის დაწყების შემდეგ	ინვესტორ- თა აქტი- ურობის შესუსტება და კაპ- იტალის შედინების შემცირება	„ხარისში გაქცე- ვა“, აქტივების მასობრივი გაყ- იდვა, ბანკთაშო- რის ბაზარზე განაკვეთების ზრდა გაურკვევლობის პირობებში
არგენტინა 2001-2002	„ორმაგი დეფი- ციტი“, სავალუტო დისბალ- ანსები საბანკო სისტემაში	ეკონომიკის კონკურენ- ტური- ანობის დაქვეითება რეალის დევალვაციის შედეგად, კაპიტალის შედინების ნაკადების შემცირება	ფისკალუ- რი ექსპანსია ფიქსირე- ბული კურსის პირობებში	სავალუტო რეჟიმის მართვის პროცესში დაშვებულ- მა შეც- დომებმა გამოიწვია „ბანკებზე შეტევა“	„ხარისში გაქცე- ვა“, აქტივების მასობრივი გაყ- იდვა, ბანკთაშო- რის ბაზარზე განაკვეთების ზრდა გაურკვევლობის პირობებში

თავი III. გლობალური ფინანსურ- ეკონომიკური პრიზისის პრევის თეორიულ- მათოდოლოგიური საფუძვლები

2008-2009 წლების მწვავე და ყოვლისმომცველი კრიზისის შემდეგ დღის წესრიგში დადგა მისი გამომწვევი სილრმისეული მიზეზების და არსის შესწავლის აუცილებლობა, რომლის გარე-შეც მსგავსი მოვლენის განმეორების დიდი ალბათობა არსებობს. პასუხი უნდა გაეცეს მნიშვნელოვან კითხვას – თუ რომელი თეორიულ-ეკონომიკური მიმართულების ჩარჩოში უნდა განხორციელდეს პრობლემის ანალიზი. საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ დღეს მეინსტრიმული თეორიულ-ეკონომიკური მიმართულების როლს ინარჩუნებს ნეოკლასიციზმი. ამიტომ ლოგიკურია ანალიზის დაწყება იმის გარკვევით, რა როლი ითამაშა აღნიშნულმა მიმართულებამ გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნაში. ამასთან ერთად, ანალიზის მხოლოდ მეინსტრიმული თეორიული მიმართულებით შემოსაზღვრა, ჩვენი აზრით, არ იქნებოდა სწორი. ამჟამად ბევრი ეკონომისტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ნეოკლასიკურმა ეკონომიკურმა თეორიებმა ვერ შეძლეს გლობალური ფინანსური კრიზისის პროგნოზირება იმის გამო, რომ ისინი აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებით უყრდნობიან მცდარ თეორიულ პოსტულატებს¹. ამ მიზეზის გამო ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა არსებული თეორიული პოსტულატების არსებითი

¹ Колодко Гж. Неолиберализм и мировой экономический кризис//Вопросы экономики, 2010, №3; Кирман А., Коландер Д., Феммер Г., Хаас А., Годберг Н. и др. Финансовый кризис и провалы современной экономической науки // Вопросы экономики. 2010, №6; Sen A. Capitalism Beyond the Crisis//New York Review of Books. Vol. 56, №5, 2009; მილერი რ. რა სარგებელია ეკონომისტებისგან? <http://www.project-syndicate.org/commentary/are-economists-good-byrobert-j-shiller-2015.01/>

შეცვლა და ახალი მიდგომების შემუშავება. ნაშრომის ამ ნაწილში სწორედ ამის მცდელობაა მოცემული. პრობლემის ჩვენეული ანალიზი ეყარება ორ მეთოდოლოგიურ პრინციპს: ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების განხილვა არა სტატიკურ, არა-მედ დინამიკურ რეჟიმში და პრობლემის ეკონომიკური მხარეების განხილვის გვერდით მისი სოციალური, ფინანსურული, ეთიკური, ზნეობრივი და სხვა ასპექტების ანალიზი.

3.1. ეკონომიკური პრიზისის პრობლემა მისი სტრიქულ ნეოკლასიკურ ეკონომიკურ მიმართულებაში

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მძიმე შედეგებით შეშფოთებულმა დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ ეკონომისტებს დაუსვა კითხვა – რატომ ვერ შეძლეს მათ ამ მოვლენის პროგნოზირება? ამ კითხვას ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა პ.კრუგმანმა შემდეგი პასუხი გასცა: ეკონომიკურ მეცნიერებაში გაბატონებული იყო მიდგომა, რომლის თანახმადაც ეკონომიკის რაიმე სერიოზული კრიზისი პრინციპულად გამოირიცხებოდა. აქედან გამომდინარე, კრიზისის მიზეზების კვლევა და მით უმეტეს, მისი პროგნოზირება უნაყოფო საქმედ ითვლებოდა¹. იმ ეკონომისტებს შორის, ვინც ასე ფიქრობდა, კრუგმანი, ალბათ, საკუთარ თავსაც გულისხმობდა. გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე ოთხი წლით ადრე ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის ყოველწლიურ კონგრესზე მან განაცხადა, რომ ეკონომიკის არასტაბილურობა დროებითი მოვლენაა და ამიტომ მკვლევართა ყურადღება უნდა ფოკუსირდეს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საკითხებზე². მსგავსი მოსაზრებები სხვა ცნობილ ეკონომისტებ-

¹ Krugman P. How Did Economists Get So Wrong? //The New York Times. Sept. 2, 2009.

² Кругман П. Возвращение Великой депрессии. Мировой кризис глазами нобелевского лауреата. М., 2009. С.24

საც გააჩნდათ. ფედ-ის ყოფილმა თავმჯდომარებ პ. ბერნანკემ აშშ-ის ეკონომიკის თითქმის ოცნლიანი (1986-2005) წარმატებული განვითარების გავლენით შემოიღო ტერმინი „Great Moderation“ („დიდი ზომიერება“) და აღნიშნავდა, რომ „თანამედროვე თეორია და პოლიტიკა დღის წესრიგიდან ხსნის საქმიანი ციკლის პრობლემებს¹. ნობელიანტი ამერიკელი ეკონომისტის, რაციონალური მოლოდინის თეორიის (რმთ) ფუძემდებლის რ. ლუკასის აზრით, ფინანსური კრიზისები წარსულის მოვლენაა². მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ა. გოლდსმიტს: „ფინანსური კრიზისი კაპიტალიზმის საყმაწვილო სენია და არა მოხუცებულობის ასაკის დაავადება... პიპოთეზას ფინანსური არასტაბილურობის შესახებ საფუძველი არ გააჩნია“³. დიდი ბრიტანეთის დედოფლის ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა ბრიტანეთის მეცნიერთა აკადემიამაც სცადა. რამდენიმე მეცნიერის მიერ დაწერილ კოლექტიურ წერილში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიო ეკონომიკის თითქმის ოცდაათწლიანმა წარმატებულმა განვითარებამ, რომელიც ტოტალური ლიბერალიზაციის კანონზომიერ შედეგად იქნა მიჩნეული⁴. პასუხად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ფედი-ს ყოფილი ხელმძღვანელის ა. გრინსპენის „აღიარება“, რომელიც მან 2009 წლის შემოდგომაზე გააკეთა აშშ-ს კონგრესის სპეციალური კომისიის წინაშე. გრინსპენმა აღნიშნა, რომ „მისი ეკონომიკური იდეოლოგია მცდარი აღმოჩნდა“⁵.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იბადება კითხვა – რატომ აღმოჩნდა ნეოკლასიკურ თეორიებზე დამყარე-

¹ Bernanke B. The Great Moderation. Remarks of the Meetings of the Eastern Economic Association. Washington DC, 20 February 2004.

² Lucas R. Macroeconomic Priorities//American Economic Review. Vol. 93, №1, p.12.

³ Goldsmith A. Financial Crisis. Theory, History and Policy. Cambridge University Press. 1982, p.223.

⁴ The Global Financial Crisis – Why Didn't Anybody Notice? //British Academy Review. 2009. Issue 14, Nov.

⁵ Гринспен А. Эпоха потрясений. Проблемы и перспективы мировой финансовой системы. М.: Сколково, 2010. с.93.

ბული „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ იდეოლოგია მცდარი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოითხოვს ეკონომიკური კრიზისის პრობლემასთან მიმართებით ეკონომიკური ნეოკლასიციზმის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების ზოგიერთი ასპექტის ანალიზს. ეს საფუძვლები შექმნილია ცნობილი მეცნიერი – ეკონომისტების მიერ. მათი აზრით, საბაზრო წონასწორობა, როგორც საკუთარი კეთილდღეობის მაქსიმიზირებაზე (მოგების მაქსიმიზაცია, მინიმალური დანახარჯებიდან მაქსიმალური სარგებლიანობის მიღება) დამოუკიდებელი აგენტების – ფირმებისა და მომხმარებლების – ურთიერთქმედების შედეგია. იგი სრულ შესაბამისობაშია „მაქსიმალური ეფექტიანობის“ კრიტერიუმთან, ვინაიდან ფრანგი ნობელიანტი ეკონომისტის მ. ალეს აზრით, „მაქსიმალური ეფექტიანობის ყოველგვარი მდგომარეობა ამავე დროს არის საბაზრო ეკონომიკის წონასწორობის მდგომარეობა“!¹ „ეკონომიკური იმპერიალიზმის“ თეორიის ფუძემდებელი ამერიკელი ნობელიანტი ეკონომისტი ჰ. ბეკერი აღნიშნავს, რომ ნეოკლასიკური თეორიის სუბიექტს ახასიათებს სამი ერთმანეთთან დაკავშირებული თვისება: მაქსიმიზირებული ქცევა, ანუ საკუთარი თავისითვის მაქსიმალური სარგებლის მიღებაზე ორიენტირებული მოქმედება; უპირატესობის მინიჭების სტაბილურობა; წონასწორობის მიღწევისკენ და მიღწეული წონასწორობის შენარჩუნებისკენ მისწრაფება².

ვინ არის ნეოკლასიკური თეორიის ცენტრალური სუბიექტი? – ე.წ. „წარმომადგენლობითი“ (რეპრეზენტატული) აგენტი, უკიდურესად „სტერილიზებული“ და „სტილიზებული“ აქტორი, რომელიც ერთდოულად მწარმოებელიცაა და მომხმარებელიც, დაქირავებულიც და დამქირავებელიც, დამზოგველიც და ინვესტორიც. იგი სრულიად კომფორტულად გრძნობს თავს საბაზრო გარემოში და, მაშასადამე, არ არსებობს შექმნილი

¹ Белянин А., Егоров Е. О творческом наследии выдающегося экономиста (К 100 – летию с дня рождения Мориса Алле // Вопросы экономики. 2011, №10, с.15.

² Полтерович В. Кризис Экономической теории // Экономическая наука современной России. 2011, №1. С.47.

„სტატუს-კვო“-ს დარღვევის რაიმე შინაგანი მიზეზი. ასეთ პირობებში სისტემის წონასორობა („სიმყუდროვე“) შეიძლება დაირღვეს მხოლოდ გარეგანი (ეგზოგენური) ფაქტორის ზე-მოქმედების შედეგად. ამასთანავე, წონასნორობის დარღვევა შემთხვევითი ხასიათისაა, ხანმოკლეა და ტრენდული მიმართულებიდან გადახრის შემდეგ ეკონომიკური სისტემა ავტომატურ რეჟიმში კვლავ მოდის წონასნორობის მდგომარეობაში. აღნიშნულ მდგომარეობას ლაკონურად განმარტავს პროფ. რ.ლუკასი, რომელიც წერს, რომ „ეფექტიანი ბაზრების ჰიპოთეზიდან გადახვევა ძალიან უმნიშვნელოა“¹. ამრიგად, ეკონომიკურ ციკლებთან და კრიზისებთან მიმართებით, ნეოკლასიკური თეორიის პირველი პოსტულატი შემდეგია: საბაზრო ეკონომიკა არის რაციონალური მოლოდინის საფუძველზე შექმნილი ოპტიმიზირებული ქცევის მქონე ინდივიდების ერთობლიობა და ამიტომ მასაც ოპტიმალური ფუნქციონირება ახასიათებს². ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური სისტემის წონასნორობიდან გადახრა შემთხვევითობაა, რომლის შესწავლაზე დროის დახარჯვა, ნეოკლასიკოსების აზრით, არ ღირს, ხოლო პროგნოზირება პრინციპულად შეუძლებელია. რუსი მეცნიერი ნ. კონდრატიევი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ შემთხვევითობა გნოსეოლოგიური კატეგორიაა. იგი განაპირობებს ადამიანის განკარგულებაში მყოფი ცოდნის შეზღუდვას და ამ წინააღმდეგობის გადაჭრა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა იკვლევენ პერიოდულად განმეორებად და ერთგვაროვან მოვლენებს³. ნეოკლასიკური თეორიის მეორე პოსტულატი ასევე უკავშირდება წარმოქმნილი და მოსალოდნელი რისკების მიმართ ეკონომიკური ურთიერთობის სუბიექტთა

¹ Lucas R. In Defence of Dismal Science // The Economist. 2009, Aug. 6. www.economist.com//node/1416.

² მექვაბიშვილი ე. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები. თბ., 2012, გვ.98.

³ Кондратьев Н.Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения. М.: Экономика. 2002, с.32.

რაციონალურ დამოკიდებულებას, რომლის საფუძველი მათი მაღალი ხარისხის ინფორმირებულობაა. აქედან გამომდინარე, მათ შეუძლიათ პრევენციული ღონისძიებების გატარება და მოსალოდნელი კრიზისების თავიდან აცილება.

მესამე პოსტულატი: ნეოკლასიკოსების აზრით, (მ. ფრიდმანი, ბ. ბერნანკე, მ. გეტლერი და სხვ.) ეკონომიკის ფინანსური სექტორის სტაბილურობას უზრუნველყოფს სტაბილური ფასების არსებობა. აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ არ არის საჭირო მონეტარულმა ხელისუფლებამ გამოიყენოს მის ხელში არსებული ინსტრუმენტები ფინანსური ბაზრების პირდაპირი რეგულირებისთვის, კერძოდ, ხელი არ უნდა შეუშალოს ამ ბაზრებზე ფინანსური ბუშტების წარმოქმნას. აღნიშნული პოსტულატის პრაქტიკული რეალიზების საქმეში დიდი როლი ითამაშა თანამედროვე ლიბერალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ა. გრინსპენმა.¹ მან მთელი ეპოქა შექმნა ამერიკის მონეტარულ ისტორიაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გრინსპენის ამ თანამდებობაზე ყოფნა აშშ-ს ეკონომიკის ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდს დაემთხვა. მან შეძლო დაერწმუნებინა აშშ-ს კანონმდებლები არ შემოეღოთ მარეგულირებელი ნორმები დერივატივების ბაზრებისთვის და ეს სფერო მთლიანად მიენდოთ კერძო ინიციატივებისთვის².

ეკონომიკურ რყევებთან, ფინანსურ კრიზისებთან ნეოკლასიციზმის არარეალისტურ და კონტრპროდუქტიულ დამოკიდებულებას ზოგადმეთოდოლოგიურ (ფილოსოფიურ) მიზეზთან ერთად იდეოლოგიური ფაქტორიც განაპირობებს, რომელიც ორ გარემოებაში გამოიხატება. პირველი არის კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის არაისტორიულ კატეგორიად განხილვა. თითქოსდა, ეს არის მოცემულობა, რომელიც ცივილიზაციის განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა, მასთან ერთად

¹ ალენ გრინსპენი – აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფედი) ლეგენდარული ხელმძღვანელი 1987 წლის ივნისიდან 2006 წლის თებერვლამდე.

² Столбов М.Глобальный экономический кризис: критика и перспективы развития финансовых теорий деловых циклов // Международная экономика. 2010, №1, с.17.

არსებობს და მუდამ იარსებებს, ვინაიდან ყველაზე უფრო ადეკვატურად შეესაბამება ადამიანის ბუნებას, რომელსაც მოჭარბებული ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი – როგორც პრო-გრესის მთავარი მამოძრავებელი ძალა – განსაზღვრავს.

მეორე ასპექტი მდგომარეობს ბაზრის ყოვლისშემძლეობის მიმართ ურყევ რწმენაში. თითქოსდა, ბაზარს ხელენიფება ნებისმიერი ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტა რაიმე დახმარებისა და გარედან ჩარევის გარეშე¹. აქედან გამომდინარეობს „პატარა სახელმწიფოს“ იდეოლოგია, რომელიც ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევას გულისხმობს. საზოგადოდ, ნებისმიერი თეორიული ეკონომიკური მიმართულების იდეოლოგიური მხარე იმით არის განპირობებული, რომ იგი კონკრეტული ადამიანების შემოქმედებითი აზროვნების შედეგია, რომლებსაც ფასეულობებისა და იდეოლოგიური უპირატესობის მინიჭების ჩამოყალიბებული სისტემა გააჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად უნდა დაფიქსირდეს კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც შემდგომი ანალიზის ამოსავალ პუნქტადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული. ნეოკლასიკური თეორიულ-ეკონომიკური მიმართულება თავისი შინაარსით სტატიკურია. ეს არის წინააღმდეგობა, რომლის გამო, ჩვენი აზრით, მან ვერ შეიძლო ეკონომიკური რყევებისა და ეკონომიკური კრიზისების შესახებ რეალისტური წარმოდგენის შექმნა. ამ წინააღმდეგობის დაძლევის მცდელობად მოგვევლინა რეალური საქმიანი ციკლის (RBC) თეორია და მოდელები, რომლებმაც 1980-იანი 1990-იანი წლე-

¹ აღნიშნული თვალსაზრისით მეტად წიშანდობლივია ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ჯ. კენეტ გელბრეიტის მიერ არანაკლებ ცნობილი ნეოკლასიკოსის, მონეტარისტი ეკონომისტის, თვალსაზრის ლიბერალი მოაზროვნის მ. ფრიდმანის მეცნიერული ღვანლის შეფასება: „იგი (იგულისხმება მ. ფრიდმანი – ე.მ.) იყო და რჩება კლასიკური კონკურენტული ბაზრის მთავარ ამერიკელ დამცველად, რომლის აზრით ამ ბაზარს არასდროს განუცდია დაცემა იმ შემთხვევების გარდა, როცა მას ზიანი მიადგა არაკომპეტენტური მთავრობის ჩარევის გამო“ //მექვაბიშვილი ე. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები. თბ., 2012. გვ.84.

ბის მიჯნაზე მეინსტრიმული თეორიული ეკონომიკური მიმართულების პოზიცია დაიკავა. ერთი მხრივ, RBC თეორია ინარჩუნებს მემკვიდრეობით კავშირს წინამორბედ ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიებთან. ეს გამოიხატება, სულ მცირე, ორ გარემოებაში. პირველი, RBC თეორიების მეთოდოლოგიური წანამძღვრები ჩამოყალიბებულია რაციონალური მოლოდინის თეორიის (რმთ) ფუძემდებლის რ. ლუკასის მიერ. ლუკასი პრობლემისადმი კეინზიანური მიდგომისგან განსხვავებით, რომელშიაც მთავარი იყო აგრეგირებული მაჩვენებლების ანალიზი, უპირატესად განიხილავდა მიკროეკონომიკურ მაჩვენებლებს (მომხმარებლების უპირატესობა, ფირმების მიერ ტექნოლოგიების გამოყენება, ეკონომიკურ აგენტთა ურთიერთობა სხვადასხვა ბაზარზე და ა.შ.). მისი აზრით, სწორედ ამ მაჩვენებელთა ერთობლიობა განაპირობებდა როგორც მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, ასევე ეკონომიკის საერთო წონასწორობის პირობებს¹. ლუკასის მიერ შექმნილ თეორიულ კონსტრუქციაში წარმოიშვა კვლევის ემპირიული დასაბუთების სირთულე, კერძოდ, გაძნელებული იყო მიკრო და მაკრო მაჩვენებლებს შორის კავშირების პრაქტიკული ინტერპრეტაცია. აღნიშნული სირთულის დაძლევისკენ იყო სწორედ მიმართული ფ. კუდლანდისა და ე. პრესკოტის თეორია², რომელიც დაეფუძნა რაციონალური მოლოდინის და ეკონომიკური აგენტების ოპტიმალური ქცევის

¹ მექვაბიშვილი ე. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები... გვ.175.

² ამერიკელმა მეცნიერებმა ფინ კუდლანდმა და ედვარდ პრესკოტმა რეალური საქმიანი ციკლის თეორია ჩამოყალიბებს 1982 წელს გამოქვეყნებულ ერთობლივ ნაშრომში „Time to Build and Aggregate Fluctuations“ – „ფლუქტუაციების აგებისა და აგრეგირების დრო“. ამ ნაშრომში მეცნიერები აკრიტიკებს ეკონომიკური ციკლის კეინზიანურ თეორიას, რომელიც გაბატონებული იყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 1970-იანი წლების დასაწყისამდე პერიოდში. 1970-იანი წლების დასაწყისიდან ერთობლივი მოთხვენის სტიმულირების ტრადიციული კეინზიანური ინსტრუმენტები უუნარო აღმოჩნდა და აშშ-ს, ისე როგორც ზოგიერთი სხვა განვითარებულ ქვეყნის ეკონომიკა მაღალი და გრძელვადიანი ინფლაციის „ლრმა ორმოში“ *“ჩავარდა“* Melter A. Origins of the Great Inflation//Federal Reserve Bank of St. Louis Review.2005.vol.87,p.147/. თითქმის ოცი წლის მანძილზე RBC თეორია მეინსტრიმულ პოზიციას იკავებდა მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორიაში, რაც ნათლად გამოიხატა 2004 წელს ფ. კიუდლანდის და ე. პრესკოტისთვის ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის მინიჭებით.

პარადიგმას. მეორე, RBC თეორიაში (მოდელებში) წინა პლანზე წამოწეულია წონასწორობის დომინანტურობა ყველაზე ძლიერი შოკების ზემოქმედების შემთხვევაში, რითაც ეს მიმართულება ერთგულად აგრძელებს ნეოკლასიკური თეორიის ტრადიციას. აღნიშნულ გარემოებას, ჩვენი აზრით, ხელი იმან შეუწყო, რომ RBC თეორია ჩამოყალიბდა ეკონომიკის შედარებით მაღალი ტემპებით ზრდის პერიოდში, რასაც ძირითადად ხელს უწყობდა ენერგეტიკულ რესურსებზე (ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე) დაბალი ფასები. ამასთანავე, RBC თეორიაში, სხვა ნეოკლასიკური თეორიებისგან განსხვავებით, გამოიყენება დინამიური ანალიზი, რომელიც გამოიხატება დინამიური სტოქასტური საერთო წონასწორობის (Dynamic Stochastic General Equilibrium – DSGE) მოდელების მთელი კლასის ოპერირებით. DSGE თანახმად, ეკონომიკაში საერთო წონასწორობა მიიღწევა ეკონომიკურ პროცესებზე უსასრულო პორიზონტზე მყოფი შოკების ზემოქმედებაზე ეკონომიკური აგენტების რაციონალური (ოპტიმალური) რეაქციის შედეგად¹. ციკლების განვითარებაში², რომელიც საკუთარ თავში მოიცავს წონასწორობიდან პერიოდულ გადახრებს, ანუ ეკონომიკურ რყევებს, წამყვანი როლი ენიჭება ეგზოგენურ შოკებს. ფ. კუდლანდი და ე. პრესკოტი რამდენიმე ასეთ შოკს განიხლავენ და, უპირველეს ყოვლისა, ყურადრებას აქცევენ სანავთობე შოკებს. პირველი სანავთობე შოკი 1974 წელს მოხდა, როცა ნავთობის მომპოვებელმა და ექსპორტიორმა ქვეყნებმა (OPEC) საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით მსოფლიო ბაზრებზე მკვეთრად შეამცირეს ნავთობისა და ნავთობ-პროდუქტების მიწოდება. ამან რამდენიმე წელიწად-

¹ Балашова Е. Финн Кюдланд и Эдвард Прескотт: движущие силы экономических циклов (Нобелевская премия по экономике) // Вопросы Экономики. 2005, №1 с.17

² „ციკლის ცნება გამოიყენება მოვლენების ისეთი თანმიმდევრობის აღსანიშნავად, რაც მუდმივად მეორდება, მაგრამ არა აუცილებლად ერთნაირი ხარისხით ან დროის ერთნაირი ხანგრძლივობით“ - 6. კავულია. ეკონომიკური რყევების თეორიები ეკონომიკური კრიზისის ასპექტით//ეკონომიკა და ბიზნესი. 2012, №1, გვ.97.

ში ნავთობზე ფასების გაორმაგება გამოიწვია. აღნიშნულს შედეგად მოჰყვა სხვა სახის პროდუქციაზე დანახარჯების, მაშასადამე, ფასების ზრდა. მიწოდების შემცირებამ და იმავე დროს ფასების საერთო დონის გაზრდამ წარმოშვა სტაგლაცია და უკიდურესად ნეგატიურად იმოქმედა ეკონომიკურ ზრდაზე. მეორე სანავთობე შოკი 1979 წელზე მოდის და ისიც OPEC-ის კარტელური მოქმედებით იყო გამოწვეული. ორი სანავთობე შოკის გამოცდილებიდან გამომდინარე, აშშ-ში და ზოგიერთ სხვა განვითარებულ ქვეყანაში ცვლილებები მოხდა ეკონომიკურ პოლიტიკაში, რაც ორი მიმართულებით განხორციელდა. პირველი, მასობრივად დაიწყო წარმოებაში რესურსების დამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენება და მეორე – აქტიური ანტიილაციური პოლიტიკის გატარება. ასეთმა ლონისძიებებმა მალე სასურველი შედეგი გამოილო: დაიწყო სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რომელსაც თან ახლდა ინფლაციის ტემპის და უმუშევრობის დონის საგრძნობი შემცირება.

ეკონომიკური ციკლების გენერირებაში განსაკუთრებით დიდია ტექნოლოგიური შოკების როლი. ე. პრესკოტის აზრით, „ტექნოლოგიურ შოკებზე მოდის ომისშემდგომი პერიოდის რყევების თითქმის 75%“¹. ეკონომიკური ციკლის ცნობილი მკვლევარი ჯ. გალი ტექნოლოგიურ შოკებს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ერთადერთ ფაქტორად განიხილავს.²

ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი გრ. მენქიუ აშშ-ს ეკონომიკაში „მიწოდების ხლსაყრელ შოკად“ მიიჩნევს 1990-იან წლებში განხორციელებულ თვისებრივ ტექნოლოგიურ ძვრებს, რომელთა შორის უმთავრესი იყო ინტერნეტის ეპოქის დადგომა. ინტერნეტმა არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა მხარეზე მოახდინა ზეგავლენა. მან „მნიშვნელოვნად გაზარდა

¹ Балашова Е. Финн Кюдланд и Эдвард Прескотт: движущие силы экономических циклов. с.15.

² Gali J. Technology, Employment and the Business Cycle: Do Technology Shocks Explain Aggregate Fluctuation? // American Economic Review, 1999. Vol.89. p. 249-271.

პროდუქტიულობა და მიწოდების ხელსაყრელ შოკად მოგვე-ვლინა¹. ე. პრესკოტმა ტექნოლოგიური შოკების ზემოქმედე-ბის გასაზომად 1986 წელს შემოიღო წარმოების ფაქტორთა მწარმოებლურობის მაჩვენებელი (Total Factor Productivity -TFP), რომელმაც შემდგომში ფართო გავრცელება ჰპოვა ეკონო-მიკურ ლიტერატურაში. ტექნოლოგიური შოკები, ძირითადად, განიხილება პოზიტიური ფაქტორის სახით. უარყოფითი ტექნო-ლოგიური შოკების საქმიან აქტიურობაზე ზეგავლენის კვლევამ ეკონომიკურ ლიტერატურაში ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება².

დროთა განმავლობაში ხდებოდა RBC მოდელების გაფარ-თოება მათში ახალი შოკების შეტანის გზით. რ. ლუკასის აზრით, თანამედროვე ეკონომიკური ციკლები განპირობებულია „მოულოდნელი ფულადი შოკებით.³ ამასთანავე, მონეტარული შოკები ხშირად განიხილებოდა ტექნოლოგიურ შოკებთან ერ-თად, რაც შემდეგი მიზეზით იყო გამოწვეული – მოკლევადიან პერიოდში ტექნოლოგიური შოკების ეკონომიკურ ზრდაზე ზე-გავლენის მოხდენა შესაძლებელია ადეკვატური ფულად-საკრე-დიტო პოლიტიკის საშუალებით.

ასევე ხდებოდა RBC მოდელებში ფისკალური შოკების შეა-ტანა, რომელიც განპირობებული იყო საგადასახადო განაკვეთე-ბისა და სახელმწიფო ხარჯების ცვლილებით. საქმიანი ციკლის რყევების მიზეზად ზოგიერთი ეკონომისტი ასახელებს ახალი ამბებით გამოწვეულ შოკებს (News Shocks), რომელიც იყოფა ორ ნაწილად: „ცუდი ახალი ამბების შოკი“ ანუ „პიგუს შოკი“⁴ და „კარგი ამბებით“ გამოწვეული შოკი. ვთქვათ, ეკონომიკურმა აგენტებმა მიიღეს ინფორმაცია ახალი პერსპექტიული ტექნოლო-

¹ მენქიუ გრ. ეკონომიკის პრინციპები... გვ.783.

² Rebelo S. Real Business Cycle Models: Present, Past and Future// Scandinavian Journal of Economics. 2005. Vol.107, №2, p.217-238.

³ Lucas R. In Defence of The Dismal Science //The Economist. 2009. Aug. 6 www.economist.com//4165405.

⁴ Jajmovich N., Rebelo S. Can News about the Future Drive the Business Cycle?//American Economic Review. 2009. Vol. 99. №4, p.1097-1118.

გიის დანერგვის შესაძლებლობის შესახებ, რომელიც მომავალში ზეგავლენას იქონიებს წარმოების ფაქტორთა მნარმოებლურობაზე. ამ შემთხვევაში ორი დადებითი ეფექტი წარმოშობა – იზრდება მოხმარება და ინვესტიციებიდან რეალური უკუგება. RBC მოდელებში ხდება ასევე საგარეო კონიუნქტურის შოკების ჩართვა, რომლის ქვეშ იგულისხმება მსოფლიო ბაზრებზე ფასების და საპროცენტო განაკვეთების მოულოდნელი ცვლილებები.

იმის მიუხედავად, რომ RBC მოდელები და DSGE თეორია მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ეკონომიკური რყევების (კრიზისების) შესწავლის პროცესში, ორივე მათგანს სერიოზული მეთოდოლოგიური ხარვეზები ახასიათებს. კერძოდ:

- ისინი შეზღუდული არიან ნეოკლასიკური თეორიის ჩარჩოებით, რის გამოც ალიარებენ წონასწორობის პრიმატს ნებისმიერი ძლიერი შოკის მიმართ. რეალურ სინამდვილეში საპირისპირო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: ძლიერი ეგზოგენური და ენდოგენური შოკები იწვევს ეკონომიკური სისტემის წონასწორობის მდგომარეობიდან მნიშვნელოვან და ხანგრძლივ გადახრას. სისტემის წონასწორობაში დაბრუნება ავტომატურ (თვითრეგულირებად) რეჟიმში, როგორც წესი, შეუძლებელია;

- ადგილი აქვს რეალური სინამდვილიდან დაშორებას, მის ზედმეტად გამარტივებულ ასახვას და არარეალური დაშვებების სიჭარბეს. RBC მოდელებში ეკონომიკა საკუთარი შინაგანი ლოგიკით ვითარდება და წაკლებად ითვალისწინებს რეალურ გარემოს და პირობებს¹;

- ციკლის თანამედროვე თეორიის ერთ-ერთი წაკლოვანებაა კრიზისების პროგნოზირების ასპექტის იგნორირება²;

- ციკლის თანამედროვე თეორიის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ხარვეზად ზოგიერთი ეკონომისტი, მაგალითად ო.

¹ RBC მოდელების თეორიული წანამდლვრების შემქნელი რ. ლუკასი წერდა, რომ ეკონომიკა წარმოადგენს რობოტებით დასახლებულ ხელოვნურ და მექანიკურ სამყაროს – Lucas R. In Defence of The Dismal Science. p. 38

² „ციკლის თეორია, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ეს ფაქტი, კრიზისის ფენომენს გამორიცხავს საკუთარი ანალიზიდან – Мировая экономика в начале XXI века. Под ред. Л. Григорьева, М.: Direct Media, 2013, с.146.

ბლანშარი მიიჩნევს ციკლის გენერირების მოდელში ფინანსური სექტორის როლის არასათანადო შეფასებას¹. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მთლიანად დაადასტურა აღნიშნული მოსაზრების მართებულობა.

ციკლის (კრიზისი) თანამედროვე ნეოკლასიკური თეორიის აღნიშნული და ზოგიერთი სხვა ნაკლოვანება პრობლემის კვლევისადმი პრინციპულად განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. ასეთად ჩვენ მივიჩნევთ ეკონომიკურ დინამიკას და მის ჩარჩოებში ეკონომიკური კრიზისების თეორიის 1900-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებულ რუსულ სკოლას (გ. ტუგან-ბარანოვსკი, ა. ბოგდანოვი, ნ. კონდრატიევი)². მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ვანიჭებთ ნ. კონდრატიევის კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორიას, რომელიც შემდგომში განვითარებული იყო თვალსაჩინო ავსტრიელი თეორეტიკოსი-ეკონომისტის ი. ა. შუმპეტერის მიერ³. მან აჩვენა, რომ კონიუნქტურის დიდი ციკლების საფუძველი ინოვაციური ტალღებია. პრობლემის კვლევაში ჩვენ ასევე ვიყენებთ ეკონომიკური კრიზისის მარქსის თეორიის ელემენტებს⁴ და ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, პოსტკეინზიანური მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენლის ჰ.მინსკის თეორიულ მიდგომებს⁵.

¹ Blanshard O., Simon J. The Long and Large Decline in US Output Volatility // Brookings Papers on Economic Activity. 2001. Vol.32. №1. p.135-164.

² Туган-Барановский М.И. Периодические промышленные кризисы. Общая теория кризисов. М.: Наука – РОССПЭН, 1997; Богданов А.А. Тектология. Всеобщая организационная наука. Книга 2. М. : Экономика, 1989; Кодратьев Н. Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения. М.: Экономика, 2002.

³ შუმპეტერი, როგორც ეს კეთილსინდისიერ მკვლევარს შეეფერება, აღიარებდა ნ. კონდრატიევის პიონერულ როლს კონიუნქტურის დიდი ციკლის შესწავლაში, რომელსაც მან „კონდრატიევის ციკლები“ უწოდა // Шумпетер Й. Теория экономического развития. М.: Прогресс, 1982.с.49.

⁴ მარქსი კ. კაპიტალი. ტ.III, ნაწ.2,თბ.,1959.

⁵ Minsky H. Financial Crisis: Sistemic or Indosyncratic, Jerome Levy Economic Institute. Bard Colledge, Working Paper, №51, აპრილი, 1991; Minsky H. Finance and Stability. The Limit of Capitalism. Jerome Levy Economic Institute. Bard Colledge, Working Paper, №93, 1993.

3.2. გლობალური ფინანსური პრიზისის პლავისადმი დინამიურ-სისტემური მიღება

ეკონომიკის ციკლური რყევების (კრიზისების) პრობლემა განხილული უნდა იქნეს სისტემის ზოგადი თეორიის ანალიზის კონტექსტით. ამ შემთხვევაში ხაზი ესმება მის უნივერსალურ ხასიათს. ასეთი მიდგომა პირველად გამოიყენა რუსმა ეკონომისტმა ა. ბოგდანოვმა, წიგნში „ტექტოლოგია“. საყოველთაო ორგანიზაციული მეცნიერება¹. იგი წერს: „სისტემისთვის წონასწორობა მხოლოდ კერძო შემთხვევაა ... ტექტოლოგიისთვის კრიზისების ცნება უნივერსალურია“¹. მისივე აზრით, „სისტემის ყოველგვარი ცვლილება განხილული უნდა იქნეს როგორც განსაკუთრებული კრიზისი. ყოველი უწყვეტობა ანალიზის გზით შეიძლება დანაწევრდეს კრიზისების უსასრულო ჯაჭვის სახით“². ბოგდანოვის ამ ზოგადი თეორიული მოსაზრების კონკრეტიზირებას კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკასთან მიმართებით ახდენს ნ. კონდრატიივი: „ჭარბნარმოების კაპიტალისტური კრიზისი ყოველთვის რთულია, მტკიცნეულია, მაგრამ, გარკვეული აზრით, კაპიტალისტური სისტემის თანმდევი მოვლენაა“³. ბოგდანოვის თეორიაში კრიზისი ერთდროულად ძველი წონასწორობის დარღვევაცაა და ახალ წონასწორობაზე გადასვლაც. ამ თვალსაზრისით მკვლევარი ორი ტიპის – „C“ და „D“ კრიზისებს გამოჰყოფს. „C“ ტიპის კრიზისებს კონიუგაციური ანუ შემაერთებელი ფუნქცია აკისრია, რომლის შედეგია ახალი კავშირების წარმოქმნა. „D“ ტიპის კრიზისები არის განმაცალკევებელი, ანუ ახალი საზღვრების წარმომქმნელი⁴. მეცნიერი იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი დაყოფა პირობითია და სინამდვილეში ნებისმიერი კრიზისი აღნიშნული ირი მხარის ერთიანობაა. ამასთანავე, ამოსავალი პუნქტი ყოველთვის არის

¹ Богданов А. Тектология. Всеобщая организационная наука. С.253.

² იქვე.

³ Кондратьев Н.Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения. С.337.

⁴ Кондратьев Н.Д. Большие циклы ... გვ. 218.

„C“, საბოლოო ფაზა კი – „D“¹. კრიზისის ამგვარი ინტერპრეტაცია პირდაპირ კავშირშია ამ ცნების სემანტიკასთან. ბერძნულ ტრანსკრისპციაში „კრიზისი“ ნიშნავს „გადაწყვეტას“ ან „შემობრუნების პუნქტს“, ლათინურში „გაყოფას“, „გარდატეხას“; ჩინურში „საფრთხესაც“ და „შესაძლებლობასაც“. აღნიშნულიდან გამომდინარე, კრიზისი, ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებიდან განსხვავებით, რომელიც ამ ფენომენს მხოლოდ ნეგატიურ დატვირთვას ანიჭებს, განხილული უნდა იქნეს არა მხოლოდ დამანგრეველი, არამედ როგორც შემქმნელი ძალაც. ამ თვალსაზრისით, „კრიზისი“ განსხვავდება „კატასტროფისგან“, რომელიც წარმოადგენს კრიზისის მხოლოდ დესტრუქციულ ელემენტს². აქვე შევნიშნავთ, რომ გლობალიზაციის ეპოქაში „კრიზისის“ ცნება ახალი ნიშნებით იტვირთება, რომელთა შორის განსაკუთრებით შეიძლება გამოყოფილი ტრანსნაციონალური ხასიათი. კრიზისების წარმომობის მიზეზები ისევ ლოკალურია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში კრიზისი სწრაფად ვრცელდება ქვეყნიდან ქვეყანაში, კონტინენტიდან კონტინენტზე და, როგორც წესი, მისი შედეგების ინტერნაციონალიზაცია ხდება.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიური მიდგომის მეორე მხარე გულისხმობს ანალიზის პროცესში ეკონომიკური დინამიკის პრინციპების გამოყენებას. ეკონომიკური დინამიკა შეისწავლის სამეურნეო ცხოვრების ელემენტების ცვლილების კანონზომიერებებს მათ ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში. მისი თეორიული ფასეულობა ის არის, რომ აღნერს ეკონომიკური სისტემის განვითარების შინაგან მიზეზებს, იმპულსებს და ზოგად ტრაექტორიას. აღნიშნული მეთოდოლოგიის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს

¹ იგივე წყარო, გვ.215.

² ასეთ მეთოდოლოგიურ მიდგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოსტკრიზისული განვითარების პერსპექტივის ანალიზისთვის, რასაც უფრო დაწვრილებით ნაშრომის მომდევნო ნაწილში შევხებით.

სისტემის განვითარების პროგნოზირებაში. გამოვყოფთ ეკონომიკური დინამიკის მთავარ პოსტულატებს¹.

• ეკონომიკური სისტემის წონასწორობა და მყარი პროპოზულობა გამონაკლისია, დინამიური უწონასწორობა კი წესი.²

• ეკონომიკური სისტემის წრფივი განვითარება აბსტრაქციაა, რომელიც მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში აღწერს კორექტულად სისტემის ფუნქციონირების კანონზომიერებებს. გრძელვადიან პერიოდში სისტემა არაწრფივად ვითარდება და რამდენიმე ფაზას გაივლის. მეტად მნიშვნელოვანია ბიფურკაციის, ანუ სისტემის სიღრმისეული ცვლილების წერტილი. ეს უკანასკნელი გამოიჩინა ე.წ. „გაურკვევლობის ხაფანგით“, რომელსაც განაპირობებს სწორი ინფორმაციის სიმწირე ან არასწორი ინფორმაციის სიჭარბე. ბაზრის ირაციონალურობას ინფორმაციის ასიმეტრიულობა განაპირობებს, რომლის თვითკორექტირება საბაზრო ეკონომიკის ჩარჩოებში შეუძლებელია და აუცილებელია გარედან რამე ინსტიტუციური ხასიათის ჩარევა.

• ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა ელემენტის ცვლილების სიჩქარეებს შორის თუკი დიდი განსხვავება არ არის, ეს ნორმალური მდგომარეობაა და საფრთხეს არ უქმნის სისტემის მდგრადობას. სიჩქარეთა შორის მკვეთრი განსხვავების წარმოქმნის შემთხვევაში სისტემა ვარდება ტურბულენტობის, ანუ სახიფათო რყევების მდგომარეობაში.

¹ მექვაბიშვილი ე. გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია// ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი VIII, №2, 2015, გვ.12-13.

² ი. შუმპეტერი წონასწორობას განიხილავდა როგორც ცოცხალი ორგანიზმის გარკვეულ მდგომარეობას, რომლისკენაც ნებისმიერი დროებითი მოცემულობა მისაწრაფვის. წონასწორობა, მისი აზრით, გაურკვეველია მაშინაც კი, როცა იგი მიღწეულია. იგი წერს: „წონასწორობა ვერ უზრუნველყოფს ვერც სრულ დასაქმებას და ვერც მაქსიმალურ წარმოებას იდეალური კონკურენციის თვალსაზრისით“ // Schumpeter J. Capitalism, Socialism and Democracy. London Unwin Paperbooks, (1942) 1987.

• გრძელვადიანი ციკლური დინამიკა მრავალგანზომილებიანი და მრავალფაქტორიანია, მოიცავს შემთხვევით ფლუქტუაციათა საკმაოდ დიდ რაოდენობას. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მათი აღწერა მათემატიკურ ფორმულებში. საკითხი ასევე ეხება ტენდენციებს და არა ერთმნიშვნელოვნად გამოხატულ კანონზომიერებებს.

ნ .კონდრატიევის ციკლების თეორია უფრო ფართო და ზოგადი დინამიკის თეორიის შემადგენელი ნაწილია. ეს უკანასკნელი მხოლოდ ეკონომიკური სისტემით არ შემოიფარგლება და ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ და სოციალურ მხარეებზე. იგი აგრეთვე ასახავს საზოგადოების ტექნოლოგიურ ბაზისში მიმდინარე თვისობრივ ცვლილებებს.

3.2.1. 6. კონდრატიევის¹ კონიუნქტურის დიდი ტალღების თეორია

მეცნიერი თავდაპირველად აყალიბებს კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. იგი მსჯელობს მეურნეობის, როგორც ერთიანი სისტემის დინამიკურ ასპექტში განხილვის აუცილებლობაზე, ფაქტობრივად აიგივებს კონიუნქტურის და ციკლის თეორიებს, ორივეს კი დინამიკური თეორიის შემადგენელ ნაწილებად წარმოგვიდგენს.

კონიუნქტურის ცნება განმარტებულია როგორც „სამეურნეო ცხოვრების ერთობლივი ელემენტების წინა პერიოდებთან შედარებით ცვლილების მიმართულება და ხარისხი“².

¹ ნიკოლაი დიმიტრის ძე კონდრატიევი – 1920-1930-იანი წლების რუსი ეკონომისტი. ამერიკელ მიტჩელთან და ავსტრიელ ი. შუმპეტერთან ერთად ითვლება ეკონომიკური ციკლების თეორიის შემქმნელად. 1930-იან წლებში რეპრესირებული იყო საბჭოთა რეჟიმის მიერ. მისი ნაშრომები მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოს გახდა ხელმისაწვდომი მკითხველთა ფართო წრისთვის.

² Большие циклы конъюнктуры и теория предвидения....С.17.

დაახლოებით 1450 წლიდან დღევანდელ პერიოდამდე განვლილი დრო შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ცხოვრებისეულ ციკლად, რომელიც მოიცავს აღმოცენების, ნორმალური განვითარების და დასრულების ფაზებს¹. კაპიტალისტური სისტემის ცხოვრებისეული ციკლი იყოფა სხვადასხვა ქვეციკლებად. ნ. კონდრატიევი წერს: „თანამედროვე ეკონომიკური თეორია იცნობს მხოლოდ 7 და 11 წლიანი ხანგრძლივობის ციკლებს. სინამდვილეში მათთან ერთად, როგორც ჩანს, არსებობს ეკონომიკური დინამიკის სხვა ციკლები – 48 და 55 წლიანი ხანგრძლივობით. ჩვენ მას ვუწოდებთ დიდ ეკონომიკურ ციკლებს“². ნაშრომში „მსოფლიო ეკონომიკა და მისი კონიუნქტურები ომის დროს და ომის შემდეგ“ მეცნიერი ისევ უბრუნდება ამ საკითხს, აღრმავებს მის ანალიზს და მიუთითებს: „ეკონომიკური კონიუნქტურების დინამიკა რიტმულია. მაღალი კონიუნქტურის პერიოდები იცვლება მისი მეტად ან ნაკლებად დაქვეითების პერიოდებით. ამგვარი მერყეობის ორი მთავარი ციკლი შეიძლება გამოყოფა: დიდი ციკლები, რომლებიც დაახლოებით 50 წელს მოიცავს და სამრეწველო-კაპიტალისტური ციკლები – დაახლოებით 8-11 წლის ხანგრძლივობით.³ აქვე აღნიშნულია, რომ ორივე სახეობის ციკლი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. დასა-დასტურებლად მოყვანილია დიდალი ციფრობრივი და ფაქტობრივი მასალა. ნაჩვენებია, რომ „დიდი ეკონომიკური ციკლების აღმავალ ტალღაზე მოკლე და საშუალო (სამრეწველო) კაპიტალისტური ციკლები ხასიათდება დეპრესიის მოკლევადიანობით და აღმავლობის ინტენსიურობით. დიდი ციკლების დაღმავალ ფაზაზე საპირისპირო სურათთან გვაქვს საქმე. პატარა ციკლების აღმავლობა დიდი ციკლის დაღამავალ ფაზაზე მოკლებუ-

¹ Валлерстайн И. Глобализация и переходный период // Экономические стратегии. 2000, №2, с.15.

² Кондратьев Н.Д. Мировое хозяйство и его конъюнктуры во время и после войны. Вологда, 1922, с.252.

³ იქვე.

ლი იქნება იმ ინტენსიურობას, რაც მისთვის დამახასიათებელი იყო დიდი ციკლის აღმავალ ფაზაზე. პირიქით, კრიზისები ამ დროს უფრო მკვეთრი, ხოლო პატარა ციკლების დეპრესიები კი უფრო ხანგრძლივი იქნება¹.

6. კონდრატიევმა დაასაბუთა, რომ კონიუნქტურის დიდი ციკლების მატერიალური საფუძველია კაპიტალური საქონლის მასობრივი განახლება, რომელიც საჭიროებს ინვესტირების მაღალ ტემპს და კაპიტალის კონცენტრაციას. ამ თვალსაზრისით იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სამეცნიერო ტექნიკურ პროგრესს და დასძნდა, რომ სამეცნიერო-ტექნიკური გამოგონებები მანამდე უსარგებლოა, ვიდრე არ აღმოცენდება მათი გამოყენებისთვის აუცილებელი პირობები. „დიდი ციკლების მატერიალური საფუძველია ძირითადი კაპიტალური დოვლათის (საქონლის – ე.მ.) ცვეთა, შეცვლა და გაფართოება, რომელიც ხანგრძლივ დროს და უზარმაზარ დანახარჯებს მოითხოვს“ – წერს მეცნიერი². ძირითადი კაპიტალური დოვლათის (საქონლის) შეცვლა არა მდორედ, არამედ ბიძგებით მიმდინარეობს: „დიდი ციკლის აღმავალი ფაზა დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალური სიმდიდრის განახლებასთან და გაფართოებასთან, საზოგადოების ძირითადი საწარმოო ძალების რადიკალურ ცვლილებასთან და გარდაქმნასთან³. კონდრატიევის კონიუნქტურის დიდი ციკლი პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: კონდრატიევის ტექნოლოგიური ციკლი და კონდრატიევის ინსტიტუციონალური ციკლი. ტექნოლოგიური ციკლი ახასიათებს საზოგადოების ტექნოლოგიური წყობის ცვლილების ნახევარსაუკუნოვან რიტმს, რომელსაც თან ახლავს ტურბულენტობა მსოფლიო ეკონომიკური სისტემის შიგნით. სწორედ აქ ვლინდება ყველაზე თვალსაჩინოდ კავშირი კონდრატიევის თეორიასა და შუმპეტერის ევოლუციონისტურ

¹ Кондратьев Н.Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения... С.141.

² Кондратьев Н.Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения ...გვ.153.

³ იგივე წყარო, გვ.155.

თეორიას შორის, რომელიც განვითარების წყაროდ ინოვაციებს მიიჩნევდა. ინსტიტუციონალური მხარე შემდეგში გამოიხატება: განვითარების გარკვეულ ეტაპზე არსებული საზოგადოებრივი ინსტიტუციები თავს ვერ ართმევენ წარმოქმნილ პრობლემებს, რაც განაპირობებს მათი რეორგანიზაციის, მოდერნიზაციის, ან ახალი ორგანიზაციული სტრუქტურებისა და ინსტიტუტების წარმოქმნის აუცილებლობას. კრიზისი არის ამ წინააღმდეგობის გადაჭრის ერთ-ერთი მექანიზმი (ფორმა).

კონიუნქტურის დიდ ციკლებს კონდრატიევი სწავლობდა, პირველ რიგში, ეკონომიკასთან მიმართებით და აანალიზებდა ისეთი მაჩვენებლების მერყეობას, როგორიცაა: „საქონელზე ფასები, სარგებლის გააკვეთი, რენტა, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, ლითონისა და თუჯის წარმოება, ქვანახშირის მოპოვება და ა.შ.! ამასთან ერთად, ყოველთვის აკეთებდა მინიშნებას ტალღისებრი განვითარების უნივერსალურ ხასიათზე და აღნიშნავდა, რომ იგი იწვევს სიღრმისულ სოციალურ ძვრებს – ომების, რევოლუციების, ტერიტორიული ექსპანსიის სახით: „ომებიც და სოციალური რყევებიც ერთვება დიდი ციკლების რიტმულ პროცესებში და წარმოადგენს ამ განვითარების არა ამოსავალ ძალას, არამედ განვითარების გამოვლენის ფორმას. თუმცა წარმოშობისთანავე ისინი ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკური დინამიკის ტემპსა და მიმართულებაზე“².

6. კონდრატიევი ინდუსტრიულ ეპოქაში ცხოვრობდა და მისი ანალიზი ინდუსტრიული საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს შეეხებოდა. ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით პოსტინდუსტრიულ და გლობალიზაციის ეპოქაში, რაც განაპირობებს ამ მეცნიერის თეორიის გარკვეულ მოდიფიცირების საჭიროებას. ეს უკანასკნელი შემდეგში გამოიხატება:

ა) კონდრატიევის მექანიზე ტალღა დროში ემთხვევა ეკონომიკურად განვითარებულ (პოსტინდუსტრიულ) ქვეყნებში საზო-

¹ Кондратьев Н.Д. Мировое хозяйство и его конъюнктуры... с.111.

² Кондратьев Н.Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения ... გვ.171.

გადოების მეხუთე ტექნოლოგიური წყობიდან მეექვსე წყობაზე გადასვლას. ეს უკანასკნელი ძირითადად ორიენტირებულია მედიცინის ყველაზე უახლეს მიღწევებზე ბიოგენურ და ნანო ტექნოლოგიებზე, კომპიუტერის ფუნქციონირების ახალ (კვანტურ) პრინციპებზე, ახალ კომპოზიციურ მასალებზე, ნოოსფეროს ინტენსიურ გამოყენებაზე და ა.შ.

ბ) ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი უზრუნველყოფს მსოფლიო მეურნეობაში კონდრატიევის დიდი ტალღის ფაზების სინქრონიზაციას და როგორც ეკონომიკური ზრდის, ასევე დაცემის მკვეთრად გამოხატული გლობალური ტენდენციის არსებობას.

გ) შექმნილი სიტუაცია შეიძლება განხილული იქნეს როგორც გარდატეხის მომენტი, როცა განვითარების ერთი ეტაპი სრულდება და საფუძველი ეყრდნობა მეორე ეტაპის დასაწყისს. გარკვეული აზრით, საუბარია გლობალურ ტრანსფორმაციაზე, რომელიც გამორჩევა მსოფლიო ეკონომიკში კრიზისული მოვლენების გაძლიერებით. XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე მომრავლებული ფინანსური კრიზისები ამ კანონზომიერების პირდაპირ გამოხატულებას წარმოადგენს.

დ) ინოვაციური პროცესების გაძლიერება თანამედროვე პირობებში, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური ინოვაციების მომრავლებასა და მათი როლის გაძლიერებაში ვლინდება. ეს ფაქტი, როგორც შემდეგში დავინახავთ, მეტად წინააღმდეგობრივია და საკუთარ თავში შეიცავს სისტემისთვის როგორც განვითარების, ისე დესტრუქციის პოტენციალს.

3.2.2. ეკონომიკის ფინანსებიზაცია

გლობალურ და უპირატესად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში მოქმედებს თერმოდინამიკის პირველი კანონი. ბოლო 25-30 წლის განმავლობაში გამოვლენის ფორმაა ეკონომიკის ფინანსური სექტორის უფრო სწრაფი განვითარება რეალურ სექტორთან შედარებით. აღნიშნულმა კანონზომიერებამ ეკონომიკურ ლიტერატურაში მიიღო ეკონომიკის ფინანსებიზაციის სახელწოდება, რომელსაც თავისი რაოდენობრივი და თვისობრივი მხარე გააჩნია. პროცესის რაოდენობრივ მხარეზე ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები:

- 1970-იან წლებში ფინანსური ინსტიტუციების მიერ იქმნებოდა ეკონომიკის მთლიანი მოგების დაახლოებით 15%, ამჟამად კი იქმნება 50%-ზე მეტი¹
- 1980-2005 წლებში ფინანსური სექტორის მოგება რეალურ გამოხატულებაში 800%- ით გაიზარდა, მატერიალურ სექტორში კი 250%-ით².
- მსოფლიო ფინანსური ბაზრების კაპიტალიზაცია 2002-2007 წლებში თითქმის 3-ჯერ, ანუ აბსოლუტურ მაჩვენებელში 47 ტრლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა და შეადგინა გლობალური მშპ-ს 272% (2007), ნაცვლად 204,7%-ისა(2002). ცალკეული განვითარებული ქვეყნების მიხედვით ასეთი მდგომარეობა იყო: აშშ-ში ზრდამ შეადგინა 445,0%, ევროზონაში 557,6%, იაპონიაში 546,6%³ და ა.შ.

- ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სისტემატურად მცირდებოდა ეკონომიკის რეალურ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ხვედრითი წილი – კერძოდ, იგი

¹ Айазов А. Роль ФРС США в мировой финансовой системе, <http://www.warandpeace.ru/exclusive/view85818>

² Асемоглу Д., Робинсон Дж. Политика или экономика? Ловушки стандартных решений // Вопросы экономики. 2013. №12 с.16.

³ Плисецкий Д. Трансформация глобальных финансов // Мировая Экономика и международные отношения. 2010, №7, с. 6-7

შეადგენდა: 1959 წელს 55%-ს, 1987 წელს – 52%-ს, 1995 წელს – 48%-ს, 2000 წელს – 41%-ს, 2008 წელს – 35%-ს. სამაგიეროდ იზრდებოდა ფინანსურ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ხვედრითი ნილი. მაგალითად, აშშ-ში მშპ-ს ზრდის 67% მოდიოდა საფინანსო მომსახურებასა და უძრავი ქონებით ვაჭრობაზე¹.

- ყველაზე დიდი მოგების მქონე 500 ამერიკული კომპანიან პირველ ათეულში შემავალი ყველა კომპანია 1993 წლამდე მატერიალური ნარმოების სფეროში ოპერირებდა. 2007 წელს კი პირველ ათეულს მხოლოდ ფინანსური კომპანიები იკავებდა².

- 1980-იან წლებში ფინანსური კორპორაციები შეადგენდა მთელი კომპანიების 10%-ს, 2007 წელს კი 40%-ს³.

ბუნებრივია, რომ აღნიშნულმა რაოდენობრივმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი თვისებრივი ძვრები გამოიწვია. ეს გამოიხატა ეკონომიკის ფუნქციონირებაში ფინანსური სექტორის ფუნქციისა და როლის პრინციპული შეცვლით.

თავდაპირველად, ფინანსური სექტორი საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში დაქვემდებარებულ როლს თამაშობდა „ფიზიკურ ეკონომიკასთან“ (ლ.ლაროში) მიმართებით და მისი მთავარი ფუნქცია (დანიშნულება) მდგომარეობდა რეალური სექტორის მომსახურებაში მისი ფინანსური რესურსებით მომარაგების გზით. აღნიშნული დადებითი კორელაცია ეკონომიკის ორ სექტორს შორის XX საუკუნის 50-60-იან წლებში არსებობდა, 1970-იანი წლებიდან კი დაიწყო ფინანსური სექტორის მოწყვეტა რეალური სექტორისგან და ამჟამად მათ შორის დაშორება იმდენად დიდია, რომ „მისი კორელაცია შეიძლება იყოს

¹ Лавровский. К вопросу о природе современного кризиса // Вопросы экономики. 2009. №4.с.146

² Смирнов А. Кредитный пузырь и перелокация финансового риска // Вопросы экономики. 2009. №9.с.9

³ Столбов М. Глобальный экономический кризис: критика и перспективы развития финансовых теорий деловых циклов // Мировая Экономика. 2010, №1, с.17

მხოლოდ კრიზისული, შოკური. რასაც პოლიტიკა ვერ აკეთებს „წინასწარ“, კრიზისმა უნდა გააკეთოს „შემდეგ“, თუმცა ეს ძალიან ძვირი ჯდება“ – აღნიშნავს პოლონელი პროფესორი გუ. კოლოდკო.¹ დღევანდელ ეკონომიკურ რეალობაში ფინანსური სექტორი არა მხოლოდ მოწყდა რეალურ სექტორს და საკუთარი ლოგიკით ვითარდება, არამედ ხშირ შემთხვევაში იგი განსაზღვრავს რეალური ეკონომიკის ფუნქციონირების წესს, კანონზომიერებებს და როგორც ფრანგი მკვლევარი ბუაიე შენიშნავს: „ფინანსები ტირანულ ძალად გადაიქცა და ეკონომიკურ სისტემაში იკავებს იმ სტრუქტურულ პოზიციას, რომელიც მას საშუალებას აძლევს საკუთარი წესები და ლოგიკა თავს მოახვიოს სხვა სტრუქტურულ ელემენტებს“.

უარყოფითი კორელაცია ფინანსური სექტორის მასშტაბის გიგანტურ გაფართოებასა და რეალურ ეკონომიკურ ზრდას შორის რამდენიმე ეფექტის სახით ვლინდება, რომლებიც სისტემატიზებული სახით ჩამოყალიბებულია ამერიკელი ეკონომისტის მ. ბინსვაგერის მიერ².

„გამოდევნის ეფექტი“. ფინანსური რესურსები შეიძლება ინვესტირდეს რეალურ ან ფინანსურ აქტივებში. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, უფრო სწრაფად უფრო მეტი მოგების შესაძლებლობას იძლევა, რის გამოც ინვესტორები უპირატესობას ანიჭებენ ფინანსურ სფეროს, რეალურ სექტორს კი აუცილებელი რესურსები აკლდება. ამის მაგალითად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის – აშშ-ის მოყვანა შეიძლება, სადაც ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე არ შეინიშნებოდა ინოვაციური გარღვევები, თუ არ ჩვთვლით ფინანსურ ინოვაციებს, რომლებიც შეძლებდა უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიური და სტრუქტურული ძვრების ინიცირებას³. ზოგადად კი შეიძლება აღინიშნოს,

¹ Колодко Гж. Неолиберализм и мировой экономический кризис // Вопросы экономики. 2010. №3, с.61.

² Binswager M. Co-evolution between the Real and Financial Sectors: The Optimistic “New Growth Theory” View Versus the Pessimistic “Keynsian” View. 1999.

³ Снеговая М. Роль инновации в развитии мировой экономики//Вопросы экономики. 2009. №9.с.15

რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი გამორჩეული იყო არა რევოლუციური აღმოჩენებით და გადატრიალებებით, არამედ უკვე აღმოჩენილის მასობრივი გამოყენებით და მათი კომერციალიზაციით.

„გამოდევნის ეფექტის“ მოქმედების გამოხატულებაა რეალური ეკონომიკის დარგების, განსაკუთრებით მრეწველობის ზრდის ტემპის სანგრძნობი შემცირება და ამის შემდეგ მისი ხვედრითი წილის განუხრელი დაცემა მშპ-ში, რაც პირველ რიგში, ეკონომიკურად განვითარებული, ე.წ. პოსტინდუსტრიული ქვეყნებისთვისაა ნიშანდობლივი. კერძოდ: 2010 წლისათვის გადამამუშავებელი მრეწველობის – დამატებული ლირებულების შექმნის ამ ძირითადი წყაროს ხვედრითი წილი მშპ-ში დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში შეადგენდა მხოლოდ 10%-ს, აშშ-სა და ესპანეთში – 12%-ს, მაშინ როცა ჩინეთში – 33%-ს, სამხრეთ კორეაში – 29%-ს, ინდონეზიაში – 25%-ს და ა.შ.¹

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კიდევ უფრო გაამნვავა სიტუაცია: აშშ-ს მრეწველობაში დამატებული ლირებულების ფიზიკური მოცულობის ინდექსი შემცირდა 11,5%-ით, ევროკავშირის მასშტაბით 16,3%-ით. ასევე აშშ-ის მშენებლობის სექტორში დამატებული ლირებულება შემცირდა 28,5%-ით².

„ფინანსური დომინირების ჰიპოთეზა“. უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ცვლადებზე – საპროცენტო განაკვეთსა და ვალუტის კურსზე სულ უფრო მზარდ ზეგავლენას ახდენს ფინანსური სპეცულაციები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში დამახინჯებულად ასახავენ ეკონომიკაში შექმნილ მდგომარეობას. რეალურ სექტორზე ფინანსური სექტორის დომინირებიდან გამომდინარე, ფინანსური მაჩვენებლები ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ყალბ ორიენტირს რეალურ სექტორში განხორციელებული საქმიანობისთვის.

¹ Фридман Дж., Краус В. Рукотворный финансовый кризис. М.: ИР ИСЭН и Мысль.2010, с.123

² ლოკივ ფ., ბლეიდსი დ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ. თბ., 2015, გვ.485.

„მოკლევადიანობის ჰიპოთეზა“. ფინანსური ბაზრები ძალიან მიმზიდველია სპეკულანტებისთვის, რომლებიც ორიენტირებული არიან მოკლევადიან ოპერაციებზე და ფასები აქ სწრაფად რეაგირებს ბაზრის სუბიექტების მოლოდინებზე. ფირმების მენეჯერები თავიანთ გადაწყვეტილებებში მაქსიმალურად ითვალისწინებენ ფინანსური ბაზრების დამოკიდებულებას მოკლევადიან (უპირატესად სპეკულატიურ) გარიგებებზე. ისინი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ გრძელვადიან სტრატეგიულ ამოცანებს იმ მიზეზის გამო, რომ მათი საქმიანობა ფასდება ფირმების (კომპანიების) საქმიანობის მიმდინარე ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე.

ჰაიმან მინსკის ფინანსური არასტაბილურობის (სიმყიფის) ჰიპოთეზა. მეცნიერი აყალიბებს ფინანსურ მოდელს, რომლის ელემენტებია: ა)საკრედიტო ექსპანსია და გიგანტური მასშტაბების მქონე ვალების დაგროვება; ბ) ე.ნ. პონცი-ინვესტირების მაღალი ხვერითი წილი საერთო დაფინასებაში; გ)ფინანსური ინოვაციების ფეთქებადი ზრდა, რომელიც არღვევს ეკონომიკის საერთო სტაბილურობას.

მინსკის მოდელში საკრედიტო ექსპანსიას და ვალის დაგროვებას განაპირობებს სპეკულატიური აქტივების შეძენის სურვილი. აქტივებს იმიტომ ყიდულობენ, რომ შემდგომში ისინი უფრო სარფიანად გაყიდონ. ამასთანავე, „საკრედიტო ემისიას ღრმა დეპრესიამდე და კრახამდე მიჰყავს კაპიტალსიტური ეკონომიკა“¹. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ეკონომიკურმა პოლიტიკამ უზრუნველყოს „საკრედიტო ექსპანსიის ყველა არხზე კონტროლის დაწესება“².

სპეკულაცია უკიდურეს გამოხატულებას პოულობს ე.ნ. პონცი-ინვესტირებაში,³ რომელიც გულისხმობს დაუფარავ

¹ MinskyH. The Transition to a Market Economy: Financial Options. Jerome Levy Economic Institute. Working Paper. №66. November, 1991.p.17.

² Minsky H. Financial Crisis: Sistemic or Idiosyncratic. Jerome Levy Economic Intitute. Bard Coledge. Working Paper, №51.1991. p. 71.

³ სახელწოდება ნარმოდგება ნარმოშობით იტალიელი ფინანსისტის კარლო პონცის (1882-1949) სახელიდან. იგი 1903 წელს ემიგრაციაში წავიდა აშშ-ში და

ვალზე პროცენტების გადახდას ახალი ვალის აღებით. ამ დროს დავალიანება პერმანენტულად იზრდება მაშინაც კი, როცა არ ხდება ახალი შემოსავლების მომტანი აქტივების შეძენა. მესამე ელემენტი, ანუ ფინანსური ინოვაციები გულისხმობს საფინანსო ოპერაციებში დერივატივების ფართო გამოყენებას, რის შესახებაც დაწვრილებით მსჯელობა მომდევნო ქვეპარაგრაფში გვექნება.

ამრიგად, ჰ.მინსკი გვთავაზობს „კაპიტალიზმის ფინანსური სიმყიფის“ („Financial Fragility“) ფრიად ორიგინალურ თეორიას, რომლის თანახმადაც ფინანსური არასტაბილურობა კაპიტალიზმის იმანენტური თვისებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეცნიერი კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს ნორმალური ფუნქციონირების პროცესშიაც კი.¹ სხვა ნაშრომში იგი ავითარებს შემდეგ მოსაზრებას: „მანამ, ვიდრე ეკონომიკა კაპიტალისტური რჩება, იგი ფინანსურად არამყარი იქნება“².

თანამედროვე პირობებში ჰ. მინსკის ფინანსური მოდელი ტრანსფორმირდა კრედიტების უსაზღვრო გაფართოებასა და ვალების დაგროვებაზე დამყარებულ (originate-and-distribute lending model – ODLM) მოდელად. ამ უკანასკნელის მასშტაბებზე ნათელ ნარმოდგენას გვაძლევს შემდეგი შედარება: აშშ-ში 1929 წელს, ანუ „დიდი დეპრესიის“ დაწყებისას ფირმებზე და საოჯახო მეურნეობებზე გაცემული კრედიტები შეადგენდა ამ ქვეყნის მშპ-ს 160%-ს, რომელიც 1932 წელს გაიზარდა

იქ დაიწყო ე.ნ. „ფინანსური პირამიდების“ შექმნა. ე.ნ. „პონცი-სქემის“ მიხედვით, პონცი მაღალი პროცენტით იღებდა სესხებს, თითქოსდა, დიდი მოგების მომტანი ფინანსური იპერიუდების განსახორციელებლად. პროცენტებებს იგი ფარავდა ახალი სესხების აღებით. პონცი-სქემის გამო აშშ-ში უამრავი ადამიანი დაზარალადა. იგი რამდენიმეჯერ გაასამართლეს ფინანსური მაქინაციების-თვის და სიღატაკეში მყოფი გარდაცვალა.

¹ „კაპიტალიზმის ყველა ტიპი არასტაბილურია. თუმცა, ზოგიერთის (პირველ რიგში იგულისხმება ფინანსური კაპიტალიზმის – ე.მ.) არასტაბილურობის სარისხი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა დანარჩენის“ Minsky H. Transition to a Market Economy: Financial Options ... p.19

² Minsky H. The Financial Instability Hypothesis: Capitalist Processes and the Behavior of the Economy. 1994. P.224.

250%-მდე. 2008 წელს, ანუ „დიდი დეპრესიის“ საწყის პერიოდში დაკრედიტების მოცულობა (დერივატივების გამოკლებით) შეადგენდა აშშ-ს მშპ-ს 365%-ს¹. როგორც სწორად შენიშნავს პროფ. ჯ. სტიგლიცი: „რეალურ სექტორში ინვესტიციების ნაცვლად, რაც გრძელვადიან პერსპექტივიაში ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს, კრედიტზე ადვილი ხელმისაწვდომობა იწვევს ფინანსური ბუშტების გაპერვას“².

ეკონომიკის ფინანსებიზაცია რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის მკვეთრი დისპალანსის ჩამოყალიბება ფინანსური კრიზისებისა და რეცესიების აღმოცენების რეალური საფრთხის შემცველია, რომელიც კიდევ უფრო იზრდება ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად, ვინაიდან ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა ეროვნული ეკონომიკებიდან მსოფლიო ეკონომიკაზე გადადის³.

ფინანსებიზაციის კიდევ ერთი შედეგია გლობალური მასშტაბით ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელსაც „მართავს არა ბაზარი, როგორც ეს დამახასიათებელი იყო „კლასიკური“ კაპიტალიზმისთვის, ან სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, როგორც ეს ხდებოდა სოციალიზმის დროს, არამედ სპეკულანტების კორპორაცია და მის მიერ შექმნილი სამყარო, რომელშიაც შეუძლია მშვიდად გამდიდრდეს და არაფრის ეშინოდეს“⁴.

ამრიგად, საყოველთაო ფინანსებიზაციის შედეგად თანამედროვე ეკონომიკურმა სისტემამ გადაყირავებული პირამიდის კონფიგურაცია მიიღო, რამაც საგრძნობლად გაზარდა მისი მოწყვლადობა სხვადასხვა შოკების მიმართ, კონიუნქტურული რყევების ამპლიტუდა და სამეურნეო რისკების ხარისხი მიკრო, მაკრო და მეზო ეკონომიკურ დონეებზე.

¹ Сорос Дж. Прогнозы: Будущее в форме W// Ведомости, 2010, 15 Января.

² Stiglitz J. E. The Price of Inequality. N. Y., L., Norton, 2012. P.8.

³ Wolfson M. Minsky's Theory of Financial Crisis in a Global Context// Journal of Economic Issues. 2002, June. P.396

⁴ Попов Г. Об экономическом кризисе 2008 года // Вопросы Экономики. 2008, №12, с.113.

3.2.3. ეკონომიკის დერივატიზაცია და „დერივატული კაპიტალიზაცია“

პირველი თერმოდინამიკის კანონის მოქმედებით გამოწვეული დისპალანსი, და ოფორტუნის ამის შედეგი – ტურბულენტობა ახასიათებს არა მარტო მთლიან ეკონომიკურ სისტემას, არამედ მის ფინანსურ კომპონენტსაც. იგი გამოიხატება დისპროპორციაში პირველად საბაზისო ფასისან ქაღალდებსა და წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს (დერივატივებს) შორის. ფინანსური გლობალიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი დერივატივების ფეთქებადი ზრდაა. ეტიმოლოგიურად „დერივატივის“ ცნება წარმოქმნილია ინგლისური სიტყვიდან „derivative“, რაც ნიშნავს „წარმოებულს“. ფინანსურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში დერივატივების რამდენიმე განმარტება არსებობს. დერივატივები, როგორც „ფინანსური კონტრაქტი ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელიც ემყარება საბაზრო აქტივების მომავალ ღირებულებას“ ხაზგასმა ჩვენია – ე.მ.;¹ დერივატივები, როგორც „ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მიბმულია რომელიმე ბაზისურ აქტივზე (მაგალითად, უკვე ემიტირებულ აქციებზე, სასერთიფიკატო ვალდებულებებზე და ა.შ.) და მიმართულია რისკების ეკონომიკურ მართვისკენ“².

დერივატივები მკვლევართა მიერ ფინანსურ ინოვაციებად განიხილება. ამ უკანასკნელის ქვეშ იგულისხმება ისეთი ახალი ფინანსური პროდუქტების (მომსახურების სახეობების), ტექნოლოგიების, ბიზნესის ორგანიზაციული ფორმების გამოყენება, რაც ეკონომიკური აგენტების საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯების და რისკების შემცირების შესაძლებლობას იძლევა³.

¹ Буренин А. Рынки производных инструментов. М.: Инфра-М. 1996. С.13.

² Реформирование мировой финансовой системы: повестка дня для «Большой Двадцатки». М., 2013, с.28.

³ Farme S., White L. Empirical Studies of Financial Innovation: Lots of Talk, Little Action// Journal of Economic Literature. 2004. V.42 p.118.

1980-2007 წლებში მსოფლიო ეკონომიკაში დაახლოებით 200 სახეობის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი იყო გამოყენებული¹.

დერივატივების ყველაზე გავრცელებული სახეობებია: ოპ-ციონები, ვარანტები, სვოპები, ფორვარდული და ფიუჩერსული კონტრაქტები და სხვ. გლობალური ფინანსური კრიზისის წინა პერიოდში სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობდა ე.წ. „გამჭოლი იპოთეკური ფასიანი ქაღალდები“ – „mortgage backed securities (MBS)“; „წარმოებული სტრუქტურიზებული იპოთეკური ფასიანი ქაღალდები“ – „collateralized mortgage obligations (MO)“; „საცხოვრებელი ფართის გირაოში ჩადებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები“ – „collection debt obligations (CDO) და „სეკურიტიზებული აქტივები“.

თანამედროვე ფინანსურ პრაქტიკაში ასევე ფართოდ გამოიყენება საკრედიტო-დეფოლტური სვოპები – credit default swaps (CDS), რომლის ხვედრითი წილი ბირჟის გარეთ არსებული საკრედიტო დერივატივების 90%-მდე შეადგენს.

გლობალურ ეკონომიკაში დერივატივების გიგანტური მოცულობით გავრცელებაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები: 2008 წლის შუა ხანისთვის დერივატივების მსოფლიო ბაზრის მოცულობამ 683 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა და 10-ჯერ უფრო მეტად გადააჭარბა იმ პერიოდისთვის გლობალურ მშპ-ს (68 ტრლნ აშშ დოლარი). დერივატივების ბრუნვის საერთო მოცულობა კი შეადგენდა ფანტასტიკურ რიცხვს – 1,5 კვადრო (ათას ტრილიონ) აშშ დოლარს². ჯ.სოროსის შეფასებით, საკრედიტო დეფოლტური სვოპების (CDS) მოცულობა მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში (2008 წლის აპრილიდან 2008 წლის დეკემბრის ბოლომდე) 45 ტრლნ

¹ Шамрай Ю. «Новый Рынок» и «Новая конкуренция» как составляющие стратегии преодоления глобального кризиса. // Междуннародная экономика». 2010, №1.с.19.

² Раппопорт Г., Герц А. Глобальный экономический кризис 2008-2009 года: истоки и причины // Вопросы Экономики. 2009, №11, с.91.

აშშ დოლარიდან 58 ტრლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა¹. დერივატივები ყველაზე ფართოდ აშშ-ის ფინანსურ ბაზარზეა წარმოდგენილი, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები: ბირჟის გარეთ დერივატივებით ვაჭრობის მოცულობა აშშ-ში 2007 წელს შეადგენდა – აბსოლუტურ სიდიდეში – 24 ტრლნ აშშ დოლარს, ანუ მსოფლიო მოცულობის 40%. ბირჟაზე დერივატივებით ვაჭრობის მოცულობა 42 ტრლნ 814 მლრდ აშშ დოლარს, ანუ მსოფლიო მოცულობის 50,8%-ს. ამავე დროს აშშ-ს მშპ-ს მოცულობა შეადგენდა მსოფლიო მშპ-ს 21,3%-ს, ანუ აბსოლუტურ მაჩვენებელში 13 ტრლნ 811 მლრდ აშშ დოლარს².

დერივატივების გამოყენებას არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. მის ჩანასახობრივ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ სავალუტო ფიუჩერსები, რომლითაც 1972 წელს ჩიკაგოს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა დაიწყო ამერიკელმა ადვოკატმა ლეო მელამედმა³. მანამდე არსებობდა სასაქონლო ფიუჩერსები, რომელიც გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მომავალში ფასების შესაძლო შემცირების შემთხვევაში ფერმერების შემოსავლების დანაკარგთა კომპენსირების მიზნით. დერივატივების განვითარების მომდევნო ეტაპი იყო ჩიკაგოს ოპციონების ბირჟის წარმოქმნა, რომელ-საც საფუძვლად დაედო ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორების, ნობელის პრემიის ლაურეატების ფ. ბლეკის და მ. შოულზის მიერ ოპციონების ღირებულების შეფასების თეორიის შემუშავება⁴.

დერივატივები როგორი და წინააღმდეგობრივი ფინანსური ინსტრუმენტია. ერთი მხრივ, მისი შემოღებით საგრძნობლად

¹ Вопросы Экономики. 2009, №7, с.144.

² Булатов А. Сходство и различия экономического кризиса в США и России // Вестник института Кенана в России. Выпуск 15. М., 2009. 29.c

³ მექვაბიშვილი ე. გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია//ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი VIII, №2, 2015. გვ.15

⁴ იგივე წყარო.

უმჯობესდება ინვესტირების მახასიათებელი პარამეტრები: გადასახადის ნაკადები, გადახდისუნარიანობა, ლიკვიდურობა და აშ. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე ფართოვდება ბაზრის აქციონერების მანევრირების არეალი. დერივატივები ასევე მიჩნეულია ბევრი ფინანსური ამოცანის, მათ შორის, სარგებლის გაზრდისა და რისკების შემცირების ეფექტიან საშუალებად. დერივატივების მნიშვნელოვანი ფუნქციაა არბიტრაჟული და სპეციალური გარიგებების რეალიზაცია, რომელიც ფინანსურ აგენტებს ლევერიჯის გამოყენების გზით მაღალი მოგების შესაძლებლობას აძლევს. საზოგადოდ, ეკონომისტები დერივატივების სწრაფი გაცემების ძირითად მიზეზად იმას თვლიან, რომ იგი იძლევა დიდი მოგების სწრაფად მიღების შესაძლებლობას. დერივატივების მთავარ დანიშნულებად ეკონომიკურ ლიტერატურაში მიჩნეულია სამეურნეო (ფინანსური) რისკების ხარისხის შემცირება,¹ რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწარაფად ცვალებად და რთულ გარემოში ეკონომიკური სუბიექტების ეფექტიანი ფუნქციონირების თვალსაზრისით.

ეკონომისტთა მეორე ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დერივატივების, როგორც სპეციფიკური ფასიანი ქაღალდების საკურსო ღირებულებას განსაზღვრავს მისგან მომავალში მიღებული შემოსავალი. ეს იმას განაპირობებს, რომ დერივატივები უშუალოდ უკავშირდებიან სპეციულატიური ოპერაციების გაფართოებას და ბაზარზე ფინანსური ბუშტების გაბერვას, რომელთა ჩაფუშვა, ანუ ფინანსური კრიზისის დაწყება გარდაუვალი (პერიოდულად მიმდინარე) მოვლენაა. როგორც პროფ. ბ. ლავროვსკი აღნიშნავს: „სპეციულატიურმა კაპიტალმა მოინდომა მომავალში შეძრომა, რამაც უაღრესად გაზარდა მსოფლიო ფინანსური კრიზისების წარმო-

¹ Miller M. Financial Innovation: The Last Twenty Years and the Next//Journal of Financial and Qualitative Analysis. Dec. 1986. Vol.21(4); Allen F., Galle D. Financial Inovation and Risk Sharing. Cambridge (MA) 1994; Маршал Дж., Бансал В. Финансовая инженерия. Полное руководство по финансовым инновациям. М.: Инфра-М.1998 და სხვ.

შობის საფრთხე¹! მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული ნობელიანტ ამერიკელ ეკონომისტს კ.ეროუს: „ფინანსურ სფეროში ადამიანთა მოტივაციები სულ უფრო მეტადაა ორიენტირებული მომავალზე (ხასგასმა ჩვენია – ე.მ.), მაშინ როცა ბაზარი აწმყოში ცხოვრობს“².

დერივატივების ძლიერი ორიენტირება მომავალზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ფინანსური აგენტების (და არა მხოლოდ მათ) მოლოდინებს. აღნიშვნული თვალსაზრისით, ფინანსური კრიზისი შეიძლება ჩაითვალოს გადაჭარბებული მოლოდინების კრიზისად, რომელსაც საბოლოო ანგარიშით, ფინანსურ ბაზრებზე დერივატივების ირაციონალური სიჭარბე განაპირობებს. საფონდო ინდექსების და კაპიტალიზაციის მაჩვენებლების ამაღლების მიზნებმა კომპანიებში გადაფარა შრომის მწარმოებლურობის და რეალური ეფექტინობის ამაღლების მნიშვნელობა. გადაჭარბებული მოლოდინების პრობლემა, გარდა ბიზნესისა, პირადი მოხმარების სტანდარტსაც შეეხო. ეს იმაში გამოიხატა, რომ პირადი მოხმარების ზრდა ნაკლებადაა უზრუნველყოფილი რეალური შესაძლებლობებით. დღეს ჩვენ, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს არა „გამომუშავებულ“, არამედ „სესხად აღებულ“ კეთილდღეობასთან, რომლის გაზრდასაც ამჟამინდელი თაობა ხშირად ცდილობს მომავალი თაობების კეთილდღეობის შემცირების ხარჯზე. ასე აშენდა „მოლოდინების პირამიდა“, რომელიც კრიზისის პირველი დარტყმისთანავე მთლიანად დაინგრა.

ზოგჯერ მკვლევარები ეჭვის ქვეშ აყენებენ დერივატივების პიზიტიურ როლს ფინანსური რისკების შემცირებაში. აღნიშვნება, რომ ისინი ნაკლებად ან საერთოდ არ ექვემდებარებიან შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან კონტროლს და მათი მეშვეობით რისკების თავიდან აცილება კი არ ხდება, არამედ

¹ Лавровский Б. К вопросу о природе современного кризиса // Вопросы Экономики. 2009, №4, с.146.

² Гринберг Р., Рубинштейн А. Теория, инновации и контуры будущей экономики в диалоге с Кенетом Эрроу // Вопросы Экономики. 2010, №10, с.16.

ისინი ინილბება და გადანაწილდება მრავალრიცხოვან ინვესტორს შორის. აღნიშნულის გამო შეუძლებელია პოტენციურად გადახდისუუნარო მსესხებლის დროულად გამოვლენა. აღნიშნულის უტყუარი დადასტურებაა CDS-ით ვაჭრობის არსებული პრაქტიკა. CDS-ის შესყიდვა არ ხსნის კრედიტორის, ე.ი. CDS-ის მყიდველის რისკს, არამედ ერთ რისკს ცვლის მეორეთი: მსესხებლის დეფოლტის რისკი იცვლება CDS-ის გამყიდველის რისკით.

გლობალური ფინანსური კრიზისის გამოცდილებამ აჩვენა, რომ CDS თავისთავად არ წარმოადგენდა ბანკებისა და სხვა საფინანსო სტრუქტურების აქტივების გაუფასურებისა და მათი „ტოქსიკურ“ კატეგორიაში გადასვლის მიზეზს. თუმცა, დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა CDS-ის მიერ „ტოქსიკური“ აქტივების არატოქსიკურად წარმოჩენა და ხელი ეწყობოდა ფინანსური ბუშტების წარმოქმნას. ფინანსური სიტუაციის გაუარესებისთანავე დამზღვევმა მექანიზმა ვერ იმუშავა და არ განხორციელდა ინვესტორთა დანაკარგების ანაზღაურება. ამრიგად, CDS-ს არ წარმოადგენს დანაკარგებისგან თავის დაღწევის რეალურ და ქმედით საშუალებას. ამავე დროს, იგი საკმაოდ ადუნებს ბანკების სიფხიზლეს და მათი მხრიდან მკაცრი რისკ-მენეჯმენტის განხორციელების სურვილს. სწორედ ამაშია CDS-ს მაპროვოცირებელი როლი სხვადასხვა ტიპის ფინანსური კრიზისების წარმოქმნის პროცესში.

ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული წინააღმდეგობებიდან გამომდინარე, დერივატივების როლის შეფასება ეკონომისტების მიერ არის საკმაოდ განსხვავებული. ცნობილი ამერიკელი ლიბერტარიანელის, ფედი-ს ყოფილი თავმჯდომარის ა. გრინსპენის პოზიტიურ შეფასებას – „რაც მეტია დერივატივები, მით უფრო მყარია ფინანსური სისტემა“¹ აშკარად სჭარბობს ამ ფინანსური ინსტრუმენტის კრიტიკა, რომელიც განსაკუთრე-

¹ Гринспен А. Эпоха потрясений. Проблемы и перспективы мировой финансовой системы. М.: Сколково, 2010, с.98.

ბით გაძლიერდა გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ. ნობელის პრემიის ღაურეატი, ამერიკელი ეკონომისტი პ. სამუელსონი წერს: „დერივატიზაცია, როგორც ეშმაკის მუყაოს სახლის კონსტრუირება“¹. უ. ბაფეტი დერივატივებს უწოდებს „მასობრივი განადგურების ფინანსურ იარაღს“². დერივატივების წინააღმდეგობრივ მხარეზე აკეთებს აქცენტს ჯ. სოროსიც: „ფინანსური ინოვაციები (რომლის ქვეშ დერივატივები იგულისხმება – ე.მ.) თავისუფალი ბაზრის ერთადერთ უპირატესობადაა მიჩნეული, თუმცა ფინანსურ ბაზრებზე ინოვაციები გარდაუვლად წარმოშობს არასტაბილურობას“³. პროფ. ჯ. სტიგლიცის აზრით: „წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში ინვესტორს არ შეუძლია მოსალოდნელი ან წარმოქმნილი რისკების სწორი შეფასება“⁴. დერივატივების განსაკუთრებით მკაფრი კრიტიკით გამოირჩევა პროფ. პ. კრუგმანი, რომელიც წერს: „რატომ აღმოჩნდა მდგომარეობა ასეთი დამთრგუნველი? ამის მიზეზი ფინანსური ინოვაციებია. ამ ორ სიტყვას თავზარდამცემი ეფექტი გააჩნია ინვესტორებისთვის. რა თქმა უნდა, ყველა ფინანსური ინოვაცია ცუდი არ არის, მაგრამ უკანასკნელი წლების ინოვაციები სხვა არაფერია, სიბრიყვის გარდა. ისინი შემოთავაზებული იყო როგორც რისკების უკეთესი განაწილების და უსაფრთხო ინვესტირების მექანიზმი. ამის ნაცვლად მათ ხელი შეუწყვეს ბაზრებზე პანიკური განწყობილებების წარმოქმნას და აიძულეს ინვესტორები საკუთარ თავზე აეღოთ გაუმართლებლად მაღალი რისკები. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ამ ინსტრუმენტების შემქნელები საგრძნობლად გამდიდრდნენ და ერთი ცენტიც არ დაუკარგავთ, როცა მათ მიერ აგებულმა პირამიდებმა ნგრევა დაიწყო“⁵.

¹ Мир перемен. 2009, №1, с.10.

² Баффет М., Кларк Д. Баффетология. Минск: Попурри, 2006, с.196.

³ Сорос Дж. Открытое общество. Реформируя глобальный капитализм. М., 2001.

⁴ Stiglitz J. Markets Can't Rule Themselves. Neuswek, 2008, 31 December

⁵ Krugman P. Inovating: Our Way to Financial Crisis//New York Times. 007, 3 December. www.nytimes.com/2007/12/03/opinion/03krugman.html

დერივატივები არის სეკურიტიზაციის მთავარი ინსტრუმენტი. სეკურიტიზაცია გულისხმობს იპოთეკური სავალო ვალდებულებათა საფუძველზე ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) ემისიას, ანუ ძველი ვალების სხვადასხვა წარმოებულ ფასიან ქაღალდად ტრანსფორმირებას და ინვესტორებისთვის მათ მიყიდვას. სეკურიტიზაცია პირველად გამოიყენეს აშშ-ში 1970-იან წლებში სამშენებლო ბაზრის სტიმულირების მექანიზმის სახით. შემდგომში იგი გაცდა ამ სფეროს და საფონდო ინსტიტუტების ხელში გადაიქცა მაღალი მოგების მიღების საშუალებად. იგი ასევე მიიჩნეოდა ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში გრძელვადიანი ინვესტირების და მასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციის ინსტრუმენტად. გლობალური ფინანსური კრიზისს წინა პერიოდში ბანკების მიერ სეკურიტიზაციის ფართო გამოიყენებამ ისინი ლიკვიდურობის მიმწოდებლიდან მის მომხმარებლებად გადააქცია. სეკურიტიზაციამ გამოიწვია ფინანსური ორგანიზაციების ბალანსებზე რთული და ძნელად შესაფასებელი აქტივების დიდი მოცულობით დაგროვება, თავად ფინანსური სიტემის გართულება და გაუმჯობესება. ამასთანავე, მასობრივად ემიტირდა ფასიანი ქაღალდები, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო არა ბანკების აქტივებით (კრედიტით, იპოთეკით და სხვ.), არამედ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით – დერივატივებით, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისთავად არასტაბილურობის დიდი საფრთხის მატარებელი იყო. შემთხვევითად არ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ პ. კრუგმანი 2007-2008 წლების გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს უწოდებს „სეკურიტიზაციის პირველ კრიზისს“¹.

¹ Krugman P. End This Depression Now! N.Y., L Norton, 2012.

3.2.4. ეკონომიკის ვირტუალიზაცია

ვირტუალიზაციას კაპიტალისტური საბაზრო სისტემის მა-ლალი დინამიზმი განაპირობებს, რასაც თან ახლავს ჭარბნარ-მოების პროცესი. კაპიტალიზმის აღრეულ სტადიებზე ადგილი ჰქონდა საქონლის ჭარბნარმოებას, რომელთან ერთად ამჟამად გაჩნდა ფინანსური ინსტრუმენტების ჭარბნარმოება. კანონზო-მიერება ის არის, რომ თუ არ ინარმოება საკმარისზე მეტი,¹ ეს იწვევს შეზღუდულ მოთხოვნას და დეპრესიას.² ფინანსური ინს-ტრუმენტების ჭარბნარმოება არის დერივატივების, ანუ სიმბო-ლოების, ნიშნების შექმნა, რომლებსაც მთლიანად აქვს დაკა-რგული კავშირი რეალურ მატერიალურ წარმოებასთან. ისინი არაფერს ნიშნავენ „საკუთარი თავის გარდა“ და ფასეულობა გააჩნიათ მხოლოდ მსგავს ნიშნებთან და სიმბოლოებთან მი-მართებით. დერივატივები, ე.ნ. ციფრული ფული (მაგალითად, ბიტკოინი და სხვ.) არის ფიქტური კაპიტალი, ანუ ფიქტური სიმდიდრე, როგორც სოციალური ლირებულების უაღრესად სპეციფიკური (ირაციონალური) ფორმა, რომელიც ფუნქციო-ნირებს ვირტუალურ ეკონომიკაში. თანამედროვე პირობებში ეკონომიკის ვირტუალიზაცია განსაკუთრებით სწრაფად მიმდი-ნარეობს, რასაც ხელს უწყობს უახლესი საინფორმაციო-საკო-მუნიკაციო ტექნოლოგიები, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ინტერნეტი. დერივატივების უკან დგას „ვირტუალური ფულის“ კოლოსალური ბრუნვა: მიღიარდობით

¹ „საკმარისზე მეტის“ წარმოებას პროფ. გ. მალაშხია უკავშირებს „უქმი ეკონო-მიკის არსებობას [გ.მალაშხია უქმი ეკონომიკა. თბ., „უნივერსალი“. 2014], რომელშიც ინარმოება „უქმი დოკლათი“. ეს დოკლათი „უქმია“ იმიტომ, რომ „ჯერ-ერთი ჭარბია, და მეორე, ილუზორულია.“ იგი წერს: მნარმოებლები „მოგების გადიდების მიზნით ქმნიან ფაქტობრივად არაფრის მომცემ, ფიქცი-ურ სიახლეებს... ეს ის შემთხვევაა, როცა საბაზრო მექანიზმის მოქმედებას, კონკურენციას საბოლოოდ თან სდევს წარმოებისა და გონივრული მოხმარების ურთიერთდაცილება, ფაქტობრივად, უქმი ეკონომიკის გაფართოება“ [იგვენაშრომი, გვ.68].

² „კაპიტალიზმი არსებითად აკვლავნარმოებს მოთხოვნილებებს, იმის ნა-ცვლად, რომ დააკმაყოფილოს ისინი“ [Экономические стратегии. 2005, №4, с.116].

დოლარი წამებში, ტრილიონობით კი ყოველდღიურად იცვლის თავის მესაკუთრეს. „ვირტუალური ფული“ ხმარდება არა რეალური საქონლისა და მომსახურების წარმოება-გაცვლის პროცესს, არამედ მეორეული, მესამეული და ა.შ. ფინანსური ინსტრუმენტების წარმოქმნას. აქ ჩვენ საქმე გვაქვს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების თვითწარმოებასთან.

ეკონომიკის ვირტუალიზაციის კვლევის პირველ მცდელობას ჩვენ ვპოულობთ კ. მარქსის „კაპიტალში“. მარქსი სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, თუმცა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თავი იჩინა ფინანსური კაპიტალიზმის პირველმა ნიშნებმა, რომელიც მეცნიერის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. მათი ანალიზი მოცემულია „კაპიტალის“ მესამე ტომის მეორე ნაწილში. მარქსი განიხილავს ფიქტიური კაპიტალის კატეგორიას, რომლის ქვეშ გულისხმობს ფასიან ქაღალდებს, კერძოდ, თამასუქებს. ფიქტიური კაპიტალის საფუძველი რეალური კაპიტალია. როგორც მარქსი შენიშვნავს: „ფიქტიური კაპიტალი ტიტულებია ნამდვილი კაპიტალის მიმართ¹. ფიქტიური კაპიტალი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში წყდება თავის საფუძველს – რეალურ ეკონომიკას და იწყებს თავის დამოუკიდებელ არსებობას. ფიქტიურ კაპიტალში „კაპიტალის ლირებულების ნამდვილი ზრდის პროცესთან კავშირის ყოველი კვალი დაკარგულია და განმტკიცებულია წარმოდგენა კაპიტალზე, როგორც ავტომატურად თვითმზარდ ლირებულებაზე“.² მარქსი გამოჰყოფს ფიქტიური კაპიტალის ორ დამახასიათებელ ნიშანს: ილუზორულობას და სპეციულატიურ ხასიათს. ილუზორულია იმდენად, რამდენადაც „წარმოსახვითი სიმდიდრეა“.³ სპეციულატიურია იმიტომ, რომ იგი განისაზღვრება „არა მხოლოდ ნამდვილი, არამედ აგრეთვე მოსალოდნელი, წინასწარ გამოანგარიშებული შემოსავლით“⁴.

¹ მარქსი კ. „კაპიტალი“. ტომი III, ნაწილი 2, თბ. 1959, გვ. 22.

² იგივე წყარო, გვ.9.

³ იგივე წყარო, გვ.23.

⁴ იგივე წყარო, გვ.10.

იგი ასევე აღნიშნავს, რომ ფიქტიურ კაპიტალს კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გაფართოების ტენდენცია ახასიათებს¹ და გვთავაზობს კაპიტალისტური საზოგადოების სიმდიდრის შემდეგ კლასიფიკაციას:

„საქონლური და „ნივთიერი (ნამდვილი) სიმდიდრე“	„ფულადი სიმდიდრე“	„ფიქტიური სიმდიდრე“
მწარმოებლური კაპიტალი	„ფულადი კაპიტალი“	„ფიქტიური კაპიტალი“

როგორც ამ სქემიდან ჩანს, მარქსის წარმოსახვაში „ნამდვილი კაპიტალი“, „საქონლური და მწარმოებლური კაპიტალის“ ერთობლიობაა, „ფულადი კაპიტალი“ კი გარდამავალი საფეხურია „ნამდვილ კაპიტალსა“ და „ჭეშმარიტად ფიქტიურ კაპიტალს“ – სახელმწიფო ქაღალდებს, ხაზინის მოწმობებს, ყოველგვარ აქციებს, თამასუქებს, ჰიპოთეკებს შორის².

ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია „კაპიტალში“ იმ გარემოებაზე მინიშნება, რომ „ფიქტიური კაპიტალის ზრდა ჭარბწარმოებასა და უზომო სპეციალურიასთან ხელჩაკიდებული მიმდინარეობს“³.

ამასთანავე, კრიზისის დროს ფიქტიური კაპიტალი მეტისმეტად „მცირდება“ და ამის დასტურად მარქსს მოჰყავს ინგლისის 1847-1848 წლების ეკონომიკური კრიზისის მაგალითი. ამ კრიზისის შედეგად ადგილი ჰქონდა ფასიანი ქაღალდების კატას-

¹ იგივე წყარო, გვ.25.

² მარქსის მიერ გავეთებულ ამ ჩამონათვალში ფიგურირებს როგორც საბაზისი, ისე წარმოებული ფასიანი ქაღალდები, გარდა დერივატივებისა, რომლებიც გაწნდა გაცილებით გვიან, 1970-იანი წლების შუა ხანებში.

³ მარქსი., გვ.39.

ტროფულ გაუფასურებას, თუმცა „მათი ასეთი გაუფასურება არ გამოხატავდა წარმოების, რკინიგზებსა და არხებზე ტრანსპორტის ნამდვილ შეჩერებას ან უკვე დაწყებულ წარმოებაზე ხელის აღებას, ანდა კაპიტალის ამაო ჩაყრას მართლა ღირებულ საწარმოებში. ერთი ერთი გროშითაც ღარიბი არ გამხდარა იმის გამო, რომ გასკდა ნომინალური ფულადი კაპიტალის ეს საპნის ბუშტი“.¹

ამრიგად, ეკონომიკის ვირტუალიზაციასთან მიმართებით კ. მარქსის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილია რამდენიმე მნიშნელოვანი გარემოება:

- დაფიქსირებულია ფიქტიური კაპიტალის კატეგორია, რომელიც ეკონომიკის ვირტუალიზაციის ქვაკუთხედია;
- გამოყოფილია ფიქტიური კაპიტალის ილუზორული და სპეცულატიური მხარეები;
- დაფიქსირებულია ფიქტიური კაპიტალის გაფართოების, როგორც კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის დამახასიათებელი კანონზომიერება;
- ფიქტიური კაპიტალის ჭარბწარმოება ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნის ერთ-ერთ შიზეზადაა განხილული.

თანამედროვე ფინანსური კაპიტალის უმეტესი ნაწილი შეიძლება მიჩნეული იქნეს კ. მარქსის ეპოქის ფიქტიური კაპიტალის პირდაპირ მემკვიდრედ. ამასთანავე, მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის თანამედროვე მიღწევებმა, ფართო მასშტაბის ინფორმატიზაციამ და ინტერნეტიზაციამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ვირტუალური ეკონომიკური სამყაროს შექმნას. უახლესი საინფორმაციო საშუალებების გამოყენების საფუძველზე მონიტორიზე მორბენალი ციფრების მანიპულირებით შესაძლებელი გახდა ვირტუალური სივრციდან უზარმაზარი თანხების „ამოქაჩვა“. ფინანსურ ოპერაციებს ასრულებენ არა ბროკერები და დილერები, არამედ კომპიუტერები მათთ-

¹ მარქსი კ. „კაპიტალი“. ტომი III, ნაწილი 2, თბ. 1959, გვ.22.

ვის მიცემული ალგორითმების შესაბამისად. ამ ტიპის ოპერა-ციების ხვედრითი წილი 2010 წელს ლონდონის ბირჟაზე შეად-გენდა განხორციელებული ოპერაციების საერთო მოცულობის 50%-ს, ნიუ-იორკის ბირჟაზე კი 80%-ზე მეტს.¹

ეკონომიკის ვირტუალზაციის გაძლიერების აშკარა გა-მოხატულებაა ე.წ. კრიპტოვალუტის მოცულობის სწრაფი ზრდა, რომელიც ურთიერთანგარიშსწორებისთვის გამოიყენება ინტერნეტის ქსელის გავლით. კრიპტოვალუტის ყველაზე გავრცელებული სახეობაა ე.წ. „ბიტკოინი“, რომელიც ეტიმო-ლოგიურად ორი ნაწილისგან შედგება: „ბიტ“-ი ინფორმაციის ერთეულია, „კოინი“ წარმოდგება „კოინზ“-ისგან, რაც მონეტას ნიშნავს. ბიტკოინი „არენაზე“ გამოჩნდა 2009 წელს. მის ემი-სიას ახორციელებს არა რომელიმე ცენტრალური ბანკი, არა-მედ იგი გენერირდება კომპიუტერული ქსელის მიერ. ბიტკოინი უზრუნველყოფს ანონიმურობის მაღალ ხარისხს, თავისუფალია ნებისმიერი კონტროლისგან და ემყარება ურთიერთნდობას. მისი გამოყენება ხდება ინტერნეტ ტრანსაქციებში. 2013 წელს ბიტკოინი აშშ-ს კონგრესის მიერ აღიარებული იქნა კანონიერ საგადასახდელო საშუალებად. ბიტკოინის მიმართ განსაკუთ-ბულ ინტერესს იჩენენ ჩინეთში, იაპონიაში, რუსეთში. ამჟამად ბიტკოინის საბაზრო კაპიტალიზაცია 7,2 მლრდ აშშ დოლარადაა შეფასებული. 2013 წლის ოქტომბერში კანადის ქალაქ ვანკუ-ვერში ამჟავდა პირველი ბანკომატი, რომელიც ბიტკოინის ნაღდ ფულზე გაცვლის შესაძლებლობას იძლევა. ბიტკოინის დიდი პოპულარულობის მიუხედავად,² ბევრი ეკონომისტი სკეპ-ტიკურადაა განწყობილი ამ ვირტუალური ვალუტის მიმართ. აღინიშნება, რომ ეს არის ახალი ფინანსური პირამიდის აგე-

¹ Асемоглу Д., Робинсон Дж. Политика или экономика?.....c.16

² იხ. მაგალითად: ბიტკოინი და ვალუტის გაცვლის ციფრული სამყარო // https://www.Intechopen.com/books/financial/managment_from_an_emerging_market_perspective/bitcoin_and_the-world-of-digital-currencies/; <https://www.weroforum/prg/agenda/2017/12/bitcoin-consume-more-power-than-world-2020/> და სხვ.

ბის მცდელობა, რომელიც შესაძლებელია მაღე ჩამოიშალოს. ზოგადად, ფიქტიური კაპიტალისა და ეკონომიკის ფიქტიური (ვირტუალური) სექტორის ჭარბი მოცულობით არსებობა განიხილება XX-XXI საუკუნეეთა მიჯნაზე ფინანსური კაპიტალიზმის არასტაბილურობის მნიშვნელოვან მიზეზად.¹

3.3. გლობალური ფინანსური პრიზისის ანტრაპოლოგიული ანალიზი

გლობალური ფინანსური კრიზისის პრობლემის ირგვლივ ფართო წრის ლიტერატურა არსებობს, რომელშიაც ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ტექნიკურ ასპექტებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგილი აქვს **ტექნოცენტრულ** მიდგომას. ტექნიკური ასპექტები (დერივატივების ფეთქებადი ზრდა, სეკურიტიზაცია, დერეგულირება, ფინანსური სფეროს გაუმჯორვალეობა და მართვის არაეფექტური სისტემა და ა.შ.), რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. თუმცა, პრობლემის სიღრმეში ჩასაწვდომად, ჩვენი აზრით, პირველარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კვლევაში **ანტროპოცენტრული** მიდგომის გამოყენებას, რომელიც გულისხმობს ადამიანის ფენომენის წინა პლანზე წამონევას და საკითხების განხილვას ადმიანის ბუნების, ცნობიერების, მორალის, მრნამსის, კულტურის, ზოგადად ადამიანური ფასეულობების კონტექსტით.² ამ თვალსაზრისით, გლო-

¹ ლარუში ლ. მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური სისტემა და ეკონომიკური ზრდის პრობლემა – კრებულში „მსოფლიო შეთქმულება“. თბ., 200; Sammers I. International Financial Crisis: Causes, Prevention and Cures//American Economic Review. 2009, Vol.90, №2; Кинделбергер Ч., Алибер Р. Мировые финансовые кризисы: мани, паники и крах. СПб.: Питер, 2010 და სხვ.

² „გლობალური ფინანსური ეკონომიკური კრიზისის მიზეზები ფილოსოფიურია და გამოწვეულია ადამიანის, როგორც მოვლენის მცდარი გაგებით“ – გუნია ნ. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ლარუშ-ლაბნიცის „ფიზიკური ეკონომიკის“ შუქზე // კრებულში „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. თბ., 2010, გვ.360.

ბალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი შეიძლება აღქმული იქნეს ზოგადცივილიზაციური კრიზისის პირდაპირ გამოვლინებად; იმ კრიზისისა, რომელსაც ადამიანი და მასთან ერთად თანამედროვე საზოგადოება განიცდის სწრაფად გლობალიზებად სამყაროში,¹ სადაც, ერთი მხრივ, ადგილი აქვს ნივთიერი სიმდიდრის ფეტიშიზაციას, მეორე მხრივ კი ადამიანის საყოველთაო გაუცხოებას:

- საკუთარი ჭეშმარიტი ადამიანური ბუნებისგან;
- სწრაფად ცვალებადი ცხოვრების პირობებისგან;
- ბუნებრივი გარემოსგან;
- სხვა ადამიანისგან და საზოგადოებისგან.

მსოფლიო დონის მოაზროვნე, ფსიქოლოგი კ. იუნგი ადამიანების ორ კატეგორიას გამოჰყოფს: **ექსტრავენტურ**, ანუ სიმდიდრისა და ძალაუფლებისაკენ მიღრეკილ ადამიანებს და **ინტრავენტურ** ადამიანებს, რომლებიც სულიერ ფასეულობებზე არიან ორიენტირებულები.² მსგავსი ტიპოლოგია აქვს მოცემული გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსს ი.ჯავახიშვილს, რომელიც საზოგადოებაში გამოჰყოფს „ერისკაცებს“ და „მოწესებს“. მეცნიერის აზრით, „ერისკაცი“ ქვეყნის

¹ უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის საალდგომო ეპისტოლები აღნიშნულია (19.04.2009): „ისტორიის თანამედროვე ეტაპი მომხმარებლური საზოგადოების ღირებულებათა ზეობის დროცაც... „ამ საზოგადოების ადამიანისთვის მთავარი მიწიერი კეთილდღეობა და არა სულიერი სიმდიდრე. ამიტომაცაა გამართლება ექსპერტისა და არა სულიერი გამდიდრების ყველა საშუალებას... „ და თუ „ეს მომხმარებლური პროცესი დროზე არ შეჩერდა, საზოგადოება კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება“. რომის კათოლიკური ეკლესიის კარდინალის ტორჩინიონი ბერტონის აზრით „კრიზისის გამომწვევი მიზეზია სწრაფი გამდიდრებისა და მოკლევადიანი მოგების დაუკეტელი სურვილი, რომელიც ენინალმდეგება ქრისტიანულ მორალს“ – მესხია ი. გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები //ეკონომისტი, 2009, №2, გვ.9. პროფ. ჯ. სტიგლიცი ზერს: „ამერიკული კაპიტალიზმი უკანასკნელ წლებში ზღვარგადასული სიხარბით გამოიჩეოდა, რასაც ადასტურებს 2008 წლის ფინანსური კრიზისი“ – სტიგლიცი ჯ. ჩვენი უკმაყოფილების გლობალიზაცია. <http://www.project-syndicate.org/commentary/globalization-of-discontent-by-joseph-e-stiglitz-2017>

² Юнг К. Психологические типы. М., 1998. ст. 561

ყოფა-ცხოვრების მიმდევარი იყო და „ვითარცა სიმდიდრის და კეთილდღეობის მონატრებული, მთელი თავისი არსებით „მაც-დურ“ ქვეყანას იყო დაკავშირებული“. ¹ „ერისკაცის“ უპირველესი მიზანი იყო ქონების დაგროვება -გაფართოება, მოგება და გამდიდრება. „ვინც დიდ უძრავ-მოძრავ ქონებას შეიძენდა და ქონებრივ კეთილდღეობას მოიპოვებდა, იმას შეეძლო პატივის-ცემა დაემსახურებინა ხალხში“ (იქვე). სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესი ჰქონდა „მოწესეს“, რომლისთვისაც მთავარი იყო სულიერი ცხოვრება და ზნეობრივ-სარწმუნოებრივი სისპეტაკე. ამის მისაღწევად მას უნდა მიეტოვებინა ახლობლებიც, საზოგადოებაც და თავი დაენებებინა თავისი საკუთრებისათვის, ვინაიდან ყოველი სიბოროტის, უკეთურების და ანგარების მიზეზად კერძო საკუთრება იყო მიჩნეული.² ი. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერისკაცისთვის მარტო ქონების დაგროვება და მატერიალური კეთილდღეობის მოპოვება არ იყო საკმარისი საზოგადოების თვალში პატივისცემის დამსახურებისათვის. ეკონომიკური კეთილდღეობა შერწყმული უნდა ყოფილიყო ზნეობრივ სიფაქიზესთან და ღვთისნიერ ცხოვრებასთან. ეკონომიკური კეთილდღეობა კი უნდა მოპოვებული ყოფილიყო შრომით. „ეს შეხედულება პირად შრომას ამაღლებდა, ასპეტაკებდა და ზნეობრივ მიმზიდველობას ანიჭებდა. თვით აღებ-მიცემობასაც კი, თუ იგი მართალსა და პატიოსან გზას მისდევდა, არავინ სათაკილოდ არ ცნობდა“.³

¹ ჯავახიშვილი ი. ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში. (პირველი ლექცია). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2015, გვ.34.

² „სამონასტრო წესდების ძირითადი დებულება იმაში მდგომარეობდა, რომ ბერებს კერძო საკუთრება არ უნდა ჰქონოდათ არამც თუ თავიანთოვის პირადად („არცა გაჰყიდეს და არც იყიდდეს და არცა მოირენდეს და არც რას მოიგებდეს“), არამედ ყველაფერი საერთო უნდა ყოფილიყო. თვით ტანისამოსის დაჭრაც ერთმანეთისთვის და დაჩიქმება არ შეეძლოთ“ – ჯავახიშვილი ი. ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში... გვ.37.

³ ივ. ჯავახიშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 35-36.

ადამიანის აღნიშნულ ტიპებს ი. ჯავახიშვილი კაპიტალიზ-მამდელ ეპოქებში განიხილავს. კაპიტალისტურმა საზოგადოე-ბრივმა სისტემამ წარმოშვა ადამიანის სპეციფიკური ტიპი – „ეკონომიკური ადამიანი“, რომელსაც ბევრი ეკონომისტი კრიზისების წარმოშობის მიზეზად თვლის. თანამედროვე პი-რობებში ეკონომიკის ფინანსებიზაციისა და ფინანსური გლო-ბალიზაციის შედეგად „ეკონომიკური ადამიანი“ ტრანსფორ-მირდა „ფინანსურ ადამიანად“ და ეს პროცესი გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოქმნის ძლიერ მაპროვოცირებელ ფაქტორად იქცა, რაც აღნიშნული საკითხის უფრო დაწვრილე-ბით განხილვას მოითხოვს.

3.3.1. „ეკონომიკური ადამიანის“ (homo economicus) ტრანსფორმირება „ფინანსურ ადამიანად“ (homo financicus)

„ეკონომიკური ადამიანის“ ცნების წარმოშობა და მისი მეცნიერული შესწავლა კლასიკური ინგლისური პოლიტიკური ეკონომიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის ადამ სმიტის დამსახურე-ბაა. სმიტის თანახმად ინდივიდის მთავარი მამოძრავებელი მო-ტივი პირადი დაინტერესება და პირადი სარგებლობის მიღე-ბაა. აღნიშნული მოტივი ბაზარზე, გამყიდველთან მიმართებით კრისტალიზდება მოგების მიღების სურვილში, მყიდველთან კი მინიმალური დანახარჯით მაქსიმალური სარგებლის მიღება-ში. ამასთანავე, ინდივიდის პირადი სარგებლიანობის მიღწევა შეუძლებელია სხვა ინდივიდებთან ურთიერთკავშირისა და ურ-თიერთზემოქმედების გარეშე, რომელიც რეალიზდება შრომის დანაწილებისა და შრომის პროდუქტების გაცვლის გზით. ა.სმი-ტი აღნიშნავს: „... ცალკეული პირი ნაკლებად ფიქრობს საზო-გადოებრივ ინტერესზე და ... მხოლოდ საკუთარი ინტერესით მოქმედებს, მაგრამ ჯამში მისი მოქმედება საზოგადოებისთ-

ვისაც სასარგებლოა, თუმცა ეს საერთოდ არ შედიოდა თავად ამ პირის მიზნებში. ხშირად ასე გაუცნობიერებლად მოტანილი სარგებლობა უფრო დიდია, ვიდრე ის, რომელსაც ეს პირი საზოგადოებას შეგნებულად მოუტანდა“.¹

სმიტის „ეკონომიკური ადამიანის“ კონცეფცია არის გვიანდელი ფეოდალური ეპოქის მერკანტილიზმის ეკონომიკური დოქტრინის იმ იდეის გაგრძელება, რომლის თანახმადაც ზღვარგადასული სიხარბე ეკონომიკური პროგრესის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. მერკანტილისტები თვლიდნენ, რომ მომხვეჭელობა და მოგების მიღების დაუოკებელი სურვილი ერთი მიმართულებით წარმართავდა კაცობრიობის მოდგმის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილ იდეურ მრწამსს და მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს. „ეკონომიკური ადამიანის“ ფენომენი ემყარება შოტლანდიური ფილოსოფიური სკოლის წიაღში აღმოცენებულ მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმს, ინდივიდის რაციონალური ქცევის პრინციპს და ეგოიზმის ლევიათანურ ეთიკას. ამ ფილოსოფიურ-ეთიკური მიდგომის ეკონომიკური დასაბუთება მოცემულია XVIII საუკუნის ცნობილი მოაზროვნების: ჰოლანდიელი ფილოსოფოსის პ. მანდევილის, ინგლისელი ფილოსოფოსის ე. ბენტამის და ბრიტანელი (შოტლანდიელი) ეკონომისტის ა. სმიტის ნაშრომებში. მანდევილი მიიჩნევდა, რომ ლევიათანური ეთიკის მთავარ ფასეულობას – ბედნიერებას საფუძვლად ედო სიხარბე და მომხვეჭელობა. ბენტამის აზრით, ადამიანთა ბედნიერება უშუალოდაა დაკავშირებული მის მატერიალურ კეთილდღეობასთან. უფრო მეტიც, იგი, ისე როგორც ა. სმიტი, ბედნიერებას და მატერიალურ კეთილდღეობას სინონიმებად მიიჩნევდა. ბენტამი იმაზეც მიუთითებდა, რომ მხოლოდ საკუთარ ბედნიერებაზე მოფიქრალი ადამიანი ვერ იქნებოდა კმაყოფილი, თუკი სხვა ადამიანის

¹ სმიტი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ. თბ., 1938, გვ. 17.

ბედნიერებაზე არ იფიქრებდა.¹ ეს არის ე.წ. „ჰედონისტური პარადოქსი“,² რომლის ახსნის მცდელობასაც წარმოადგენს „კონსიუმერიზმის“ თანამედროვე კონცეფცია: „ეკონომიკური ადამიანის“ კეთილდღეობა განისაზღვრება მის მიერ ბაზარზე შეძენილი საქონლისა და/ან მომსახურების გამოყენებიდან მიღებული სიამოვნებით. „ეკონომიკური ადამიანის“ კონცეფციაში სამი საყრდენი კატეგორიის გამოყოფაა შესაძლებელი: **მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის, ეკონომიკური ეგოიზმის და რაციონალური ქცევის.** უფრო დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი გულისმობს „საზოგადოებრივი მოვლენების ახსნას ინდივიდის ქცევის ტერმინებში.³ იგივე შინაარსის მქონეა ფ. ა. ფონ ჰაიენის „ინდივიდუალური ქცევის თეორია“, რომელსაც ზოგჯერ **პრაქსოლოგიასაც უწოდებენ.**⁴ აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომის თანახმად, ეკონომიკური პროცესების განხორციელებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდებს. სოციალური ინსტიტუტები და სტრუქტურები წარმოიქმნება ადამიანთა მიზანშეწონილი საქმიანობის შედეგად და ამიტომ ისინი ყოველთვის მეორადია ინდივიდებთან შედარებით. აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა: არავის აქვს უფლება ადამიანს გარედან თავს მოახვიოს რაიმე მიზანი და ინტერესი. ჰაიენთან ეს მოთხოვნა კრისტალიზდება ე.წ. სპონტანური წესრიგის ცნებაში.⁵ უნდა

¹ ბენტამის ამ მოსაზრებაში კიდევ ერთხელ იკვეთება მსგავსება ა. სმიტის შეხედულებასთან, რომლის თანახმადაც ადამიანის პირადი მატერიალური ინტერესის რეალიზება შესაძლებელი იყო მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთკავშირში.

² Konow J; Earley J. The Hedonistic Paradox: IS Homo Economicus Happier? //Journal of Public Economics. 1999. № 92, p.21.

³ Кирдина С. О своевременности современной экономической теории // Вопросы экономики. 2010. №6, с.138

⁴ ოქმაზნშვილი მ. ფრიდრიხ ფონ ჰაიენის ეკონომიკური თეორიის წარკვევები. თბ., 2004, გვ.9.

⁵ ჰაიენი ფ. გზა მონობისაკენ. თბ., 2002.გვ.15.

აღინიშნოს, რომ ჰაიკეის ამ მოსაზრებას და ზოგადად მეთო-დოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპს დღეს ბევრი კრი-ტიკოსი ჰყავს. ჯ. სორისი, მაგალითად, აღნიშნავს: „ცხოვრება გაცილებით საინტერესო იქნებოდა ჰაიკეი სწორი რომ ყოფი-ლიყო და საერთო ინტერესი ყალიბდებოდეს კერძო ინტერესთა ურთიერთზემოქმედების წინასწარ განუსაზღვრელი შედეგის სახით. სინამდვილეში, ვიწრო კერძო ინტერესების შეკრე-ბას საბაზრო მექანიზმის საშუალებით ხშირად არ მივყავართ საზოგადოებრივ ინტერესებამდე“!¹ ძნელია არ დაეთანხმო სო-როსის ამ მოსაზრებას. მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის აბსოლუტიზება, ჩვენი აზრითაც, არასწორი და მიუღებელია. სინამდვილეში ადამიანს ამოძრავებს არა მხოლოდ საკუთარი „მე“, არამედ მის ფარგლებს გარეთ გასული მოტივები. მას პასუხიმგებლობა გააჩნია სხვა ადამიანების, კოლექტივის მი-მართ. ადამიანები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ზოგჯერ უარს ამბობენ პირად და კერძო ინტერესებზე.² როგორც ცნო-ბილი ქართველი ეკონომისტი გრ. თოდუა შენიშნავდა: „ინდი-ვიდუალურისა და საზოგადოებრივის გათიშვა შეუძლებელია. ადამიანის არსებაში გასაიდუმლოებული ეს ორი მხარე არის ერთიანის გაორება“.³

ეკონომიკური ეგოიზმი – პირადი ინტერესი და მაქსიმა-ლური სარგებლის მიღება ეკონომიკური ადამიანის უპირველე-სი პრიორიტეტებია. მას ამოძრავებს მომხვეჭელობა, როგორც ეგოისტურ-ანგარებითი მიზანი. მისთვის ნიშანდობლივია მძაფრ კონკურენციაში სხვისი ინტერესების უგულებელყოფა და ხშირ

¹ Сорос Дж. Кризис мирового капитализма. М.:1999, ст.12.

² მსგავს ალტრუიზმს ჩვენ ვხვდებით ზოგიერთი სახეობის ფრინველის ქცევ-აში. მტაცებლის მიახლოებისას ისინი თავისებურ ხმებს გამოსცემენ, რითაც აფრთხილებენ სხვა ფრინველებს, თუმცა ამით საკუთარ თავს საფრთხეში იგ-დებენ. ბიოლოგიაში ჯერ-ჯერობით ვერ ხსნიან მათი ასეთი ქცევის მოტივს და მექანიზმს.

³ თოდუა გრ. ეკონომიკური ადამიანი, როგორც ინდივიდუალურ და საზოგა-დოებრივ მხარეთა დიალექტიკური ერთიანობა// სოციალური ეკონომიკა. 2000, №1, გვ.56.

შემთხვევაში სხვის ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობის შექმნის სურვილი. ეკონომიკური ეგოიზმი ა.სმიტს აბსოლუტის რანგში აქვს აყვანილი, რასაც დღეს ბევრი ეკონომისტი არ იზიარებს. თვალსაჩინო ამერიკელი მეცნიერი კ. ეროუ, მაგალითად, წერს: „თუკი ჩვენ საქმე გვაქვს თავისუფალი ბაზრისა და იმ ყაიდის ადამიანთა სიმბიოზთან, რომლებიც ხელმძღვანელობენ მხოლოდ საკუთარი ინტერესებით და ხშირ შემთხვევაში არაადეკვატური წარმოდგენებით, მაშინ არსებობს დიდი და თვით კატასტროფული პრობლემების წარმოქმნის საფრთხე“.¹ სამოქალაქო საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, არსებობს ადამიანის პირადი თუ კერძო ინტერესი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ეგოიზმის გარკვეული ელემენტები, რომლის მთლიანად აღმოფხვრა შეუძლებელია. თუმცა შესაძლებელია მისი მაქსიმალური შეზღუდვა და მორალურ-ეთიკური პრინციპებით დეტერმინებულ ჩარჩოში მოქცევა. ამ თალსაზრისით განსაკუთრებული როლი ენიჭება ადამიანის აღზრდას, განათლებას, კულტურას, მრნამსს და ასევე შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიან გამოყენებას. მათი ერთობლიობით შესაძლებელია თავდაპირველად გარედან ნაკარნახევი ქცევის ტიპის ტრანსფორმირება ინდივიდის შინაგანი ფასეულობების ელემენტად, რომელიც შესაბამისობაში მოვა მის სამოქალაქო ვალდებულებებთან და სოციალურ პასუხისმგებლობასთან. აღნიშნულ კონტექსტში უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საკუთრების პრობლემის ერთი ასპექტი. ყოველ ადამიანს უნდა გააჩნდეს ოპტიმალური ზომის საკუთრება, რომელიც მას ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას მისცემს. რა თქმა უნდა, „საკუთრების ოპტიმალური ზომა“ ყოველთვის განსხვავებულია ეპოქების, ქვეყნების და საზოგადოებების მიხედვით, მაგრამ პარადიგმა – საკუთრების დიფერენციაციას აწონანორებს სამართლიანობა, მორალი და პუმანიზმი – ყოველთვის ძალაში უნდა დარჩეს. ასეთ

¹ Гринберг Р., Рубинштейн А. Теория, инновации и контуры будущей экономики в диалоге с Кеннетом Эрроу // Вопросы экономики. 2010. №10, ст. 14.

შემთხვევაში საკუთრება და მასთან დაკავშირებული მატერიალური სიმდიდრე ადამიანის თვითმიზნად კი არ გვევლინება, არამედ ღირსეული ადამიანური ცხოვრების მიღწევის საშუალებაა.¹ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ჩვენი აზრით, საშუალებას იძლევა დაძლებული იქნეს „სამომხმარებლო საზოგადოების“, ანუ როგორც მარქსი აღნიშნავდა, „საქონლური ფეტიშიზმი“, რომელიც ადამიანს ნივთების მონა-მსახურად აქცევს, „სულს აცლის“, ანუ სულიერად აღატაკებს. სულიერებას მოკლებული ადამიანი შორდება ღმერთს და მის გულში ღვთის სიყვარულის ადგილს „ვერცხლმოყვარეობა“, ანუ ფულის სიყვარული იკავებს. ადამიანი ცდილობს მაქსიმალურად ბევრი მოხვეჭოს, რაშიაც ხედავს საკუთარ ბედნიერებას და სიამოვნებას.²

შეუძლებელია, რომ საღად მოაზროვნე თანამედროვე ადამიანი იყოს საკუთრების, სიმდიდრის, საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის წინააღმდეგი. კრიტიკა, ჩვენი აზრით, უნდა ეხებოდეს: სიმდიდრის თვითმიზნად გადაქცევას,³ ნივთების ფეტიშიზმს.⁴ მღვდელი პაისი ათონელი ასე აფრთხილებს ადამიანებს: „ნუ მიეცემით მატერიალურს მთელი არსებით. სხვა-გვარად ადამიანი კერპთაყვანისმცემელი ხდება“.

პროფ. გ. მალაშხია წერს: „ადამიანთა განკარგვაში აღებული ნივთები არ უნდა აღემატებოდეს მათ სამომხმარებლო ძალას. სხვანაირად ნივთები ბატონობს ადამიანებზე. ადამიანე-

¹ როგორც ქართველი ერის „მამად“ აღიარებული მოღვაწე ი.ჭავჭაძე შენიშნავდა: „ადამიანი, თუ მთელი ერი იმისთვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური ჭამოს, არამედ პურს ჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავისი მომავალი“ – ჭავჭაძე ი. თხზ., ტ.4, ობ; 1955, გვ.204.

² „სიმდიდრისენ სწრაფვა ცხოვრების ზეიმია. ცხოვრება სასიამოვნო უნდა იყოს, თორემ სხვანაირად იგი აზრს დაკარგავს“ – გრინსპენ ა. ეпоха потрясений. Проблемы и перспективы мировой финансовой системы. М.: Сколково, 2010, с.27.

³ „მართლმადიდებლობა სიმდიდრის დაგროვებას თავისთავად არ თვლის ცოდვად. მთავარია, რომ ეს თვითმიზანი არ იყოს“ – მღვ. ბასილი(ახვლედიანი), შიხაშვილი გ. , ბაკაშვილი ნ. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბ., 2009, გვ.31.

⁴ პროფ. ნ ჩიხლაძეს მოჰყავს შესანიშნავი შეგონება ბიბლიიდან: „მდიდრები კი არა, სიმდიდრის მსახურნი განისჯებიანა“ – ჩიხლაძე ნ. მართლმადიდებლობის ეკონომიკი პარალელები. ქუთაისი, 2013, გვ.165.

ბი ეფლობიან ნივთებში, ისინი მძიმე ტვირთად აწვება მათ ... ნივთებისა და ნივთობრივ ურთიერთობათა მეტისმეტი გაზრ-და საფრთხედ იქცევა ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის¹. ჭეშმარიტი მართლმადიდებლისათვის მიუღებელია სიმდიდრის მოპოვება უშრომელი და უპატიოსნო გზით², ჭარბი სიმდიდრის ქონა ან მისი სურვილი.³

ამრიგად, ეკონომიკური ეგოიზმი ის ფაქტორია, რომელიც ხელს უშლის ადამიანს ჰუმანური მიზნების მიღწევაში და აუცხოებს მას საკუთარი სუბსტანციური საწყისისგან. ეგოიზმი მისთვის მაქსიმალური სარგებლის მომტანია და ამავე დროს აქცენტი კეთდება ოპტიმალურობაზე, ანუ მაქსიმალური სარგებლის მინი-მალური დანახარჯებით მიღებაზე. ბაზარი ამ შემთხვევაში ინდი-ვიდთა მოქმედების ერთადერთი საშუალებაა და უზრუნველყოფს ეკონომიკაში საერთო წინასწორობის მიღწევას.

ეკონომიკური ადამიანი ორი ფორმით გვევლინება – მომხმა-რებელი და მნარმოებელი. როგორც მომხმარებელი იგი ცდი-ლობს მეტი მოიხმაროს ნაკლები დანახარჯებით ან მეტი დაა-გროვოს მომავალში მეტი მოხმარების მიზნით. მნარმოებლის მიზანიც ნაკლები დანახარჯებით მეტის წარმოებაა და ამ თვალ-საზრისით მათი ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს. ყოველი წარმოება თავისი ადეკვატური მოცულობისა და სტრუქტურის მოხმარებას წარმოქმნის. უ.ბ. სეის ამ კანონს აკრიტიკებდა ჯ.მ. კეიინზი. მას იზიარებდნენ კლასიკოსი და ნეოკლასიკოსი ეკონო-მისტები. საბაზრო ეკონომიკაში, ერთი შეხედვით, ყველაფერი მომხმარებლის ინტერესებს ემორჩილება, თუმცა ეს არის მხო-ლოდ ილუზია. სინამდვილეში, როგორც ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯ.კ. გელბრეიტი შენიშნავს: „არც ერთი მნარმოე-

¹ მალაშხია გ. უქმი ეკონომიკა. გვ. 29. იგივე მოსაზრებები იხილეთ ნიკოლა ქ. მ. 2006; Маркузе Г. Одномерный человек. М., 1994 და სხვ.

² „ნეტარია ყოველი, რომელსაც ეშინია უფლისა და იარება მისი გზებით. შენ ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება შენ და სიკეთე შენ“ (ფსალმუნი 127).

³ ღვთისმეტყველი იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ყოველი ბოროტების სათავე სი-ჭარბე და მეტი ქონის სურვილია“ - ჩიხლაძე ნ. მართლმადიდებლობის ეკონომი-კური პარალელები. გვ. 173.

ბელი არ დაიწყებს პროდუქტის წარმოებას მასზე მოთხოვნის წინასწარ შექმნამდე, რასაც უზრუნველყოფს რეკლამის-გაყიდვების ამ დიდი ხელოვნების განვითარება და ცხოვრებაში ფართოდ დანერგვა¹ რა თქმა უნდა, მომხმარებელს აქვს არჩევანის თავისუფლება, მაგრამ „ეს არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მას ბაზრის ზეგავლენისგან“.² საბაზრო ეკონომიკის მთავარი პრინციპი ის არის, რომ „ვერავინ ვერაფერს გაყიდის, თუ არ მართავს სამოხმარებლო მოთხოვნას და არ აკონტროლებს მას“.³ თანამედროვე ეკონომიკაში „კორპორაციები აკონტროლებენ ინდივიდუალურ მოთხოვნას, რასაც ხშირად მანიპულირების ხასიათი აქვს“ (იქვე). ამავე ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას პროფ. გ.მალაშენია: „გაყიდვებისა და მოგების გადიდების მიზნით მნარმოებლები ქმნიან ფაქტიურად არაფრისმომცემ, ფიქტიურ სიახლეებს, რომელთა გასაღებასაც ახერხებენ კიდეც მყვირალა რეკლამის და მაცდური მარკეტინგული საშუალებებით“.⁴

კაპიტალის დაუოკებელი ლტოლვა მოგებისადმის წარმოების უსაზღვრო გაფართოებას გულისხმობს, რომლის რეალიზება ასევე უსაზღვრო მოთხოვნის პირობებშია შესაძლებელი. იქმნება მოჯადოებული წრე, რომელიც მრავალ მწვავე პრობლემას

¹ Гелбрейт Дж. Экономика невинного обмана. Правда нашего времени. М., 2009, с.22.

² Гелбрейт Дж. Экономика невинного обмана. Правда нашего времени... с.22

³ იგივე ნაშრომი გვ.30

⁴ მალაშენია გ. უქმი ეკონომიკა... გვ.68.

⁵ „კაპიტალს ეშინა მოგების უქონლობის ან ფრიად მცირე მოგებისა, როგორც ბუნებას -სიცარიელისა. სათანადო მოგების დროს კაპიტალი მამაცი ხდება. 10 პროცენტის პირობებში კაპიტალის გამოყენება ყველაზე შეიძლება; 20 პროცენტის დროს იგი იწყებს გაცხოველებას; 50 პროცენტის დროს კარგავს წონასწორობას; 100 პროცენტის დროს ფეხქვეშ თელავს ყველა ადამიანურ კანონს; 300 პროცენტის დროს არ მოიპოვება ისეთი ბოროტმოქმედება, რომელიც მან არ გაძედოს, თუნდაც ამისთვის თვით სახრჩობელა მოელოდეს, თუ შფოთსა და დავიდარაბას მოგება მოყვება, კაპიტალი ორივეს ხელს შეუწყობს“ [მარქსი კ. კაპიტალი პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკა. ტომი პირველი. ობ., 1954, გვ.954] ასე აღნირს კ. მარქსი კაპიტალისა და მოგების „საბედისწერო“ დამოკიდებულებას, რომელიც „ამენებს“ და ამავე დროს „ანგრევს“ კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკურ სისტემას.

წარმოშობს და საზოგადოებას უბიძგებს მდგომარეობისაკენ, რასაც ეკონომიკურ ლიტერატურაში „ეკონომიკური ზრდის ლიმიტირების პარადიგმას“ უწოდებენ,¹ საბაზრო ეკონომიკისა და ეკონომიკური ადამიანის რაციონალობას კი საყოვეთაო ირაციონალობა ცვლის.

„ეკონომიკური ადამიანი“ აბსტრაქტული ფენომენია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ა. სმიტის, სხვა კლასიკოსებისა და ნეოკლასიკოსების მიერ იგი განხილულია კონკრეტული დროის, სივრცის, ისტორიული და სოციო-კულტურული ფასეულობების სისტემისგან მოწყვეტით. იგი ასევე დაცლილია ემოციებისგან და როგორც ე. ფრომი სამართლიანად შენიშნავდა: „საბაზრო ხასიათების მატარებელმა ადამიანებმა არც სიყვარული იციან და არც სიძულვილი“.² „ეკონომიკური ადამიანი“ სოციალურა-დაც ნეიტრალურია და სოციალური იმპერატივების უგულე-ბელყოფით საფრთხეს უქმნის სოციალურ სტაბილურობას და ადამიანის „ჭეშმარიტ“ ბედნიერებას.³

ამრიგად, ა. სმიტის „ეკონომიკური ადამიანი“, რომელიც მის მიერ ერთმნიშვნელოვნად იყო მიჩნეული პროგრესულ მოვლენად, როგორც შუასაუკუნეობრივი შეზღუდვების წინააღმდეგ, ეკონომიკური და პიროვნული თავისუფლების, პოლიტიკური თანასწორობის⁴ დამკვიდრებისათვის მებრძოლი ძალა, მისთვის იმანენტური წინააღმდეგობებიდან გამომდინარე, ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე ეგზისტენციური საფრთხის

¹ Медоуз Д. , Рандерс Й. Пределы роста: 30 лет спустя. М.: Академ книга.2007., Маркузе Г. Эрос и цивилизация. Одномерный человек: исследование развитого индустриального общества. М.,2002; Попов Г. О цивилизации XXI века // Вопросы экономики. 2013, №2, ст. 94 და სხვ.

² Фром Э. Иметь или быть. М., 1990, с.154.

³ Sachs J. D. Restoring Virtue Etichs in the Quest for Happiness, ... p.4.

⁴ პოლიტიკური თანასწორობის პროგრესული იდეის „ბუნებრივ-მეცნიერული“ დასაბუთების საფუძველი იყო თეზა, რომ თავიანთი მოთხოვნილებებით, მიღ-რეკილებებით ყველა ადამიანი დაბადებიდანვე ერთნაირია, ანუ წარმოადგენს „ტაბულა-რასას“, ანუ სუფთა დაფას. ამიტომ ისინი ყველანი თანაბარი უნდა იყვნენ კანონის წინაშე, მათ უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები და მოვალეობები საზოგადოებაში.

მატარებელ ფაქტორად იქცევა.¹ თანამედროვე პირობებში ამ საფრთხეს აძლიერებს ეკონომიკის მიკრო, მაკრო და მეგა დონეებზე განვითარებული პროცესები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკის საყოვეთაო ფინანსებიზაცია, ფინანსური გლობალიზაცია და ამის საფუძველზე „ეკონომიკური ადამიანის“ ტრანსფორმირება „ფინანსურ ადამიანად“, რომელსაც ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. რეალური ეკონომიკისა და ფინანსური ეკონომიკის დაპირისპირება, რომლის შესახებაც უკვე ვიმსჯელეთ, ანტიკური ეპოქიდან იწყება. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე ერთმანეთისგან განასხვავებდა „ეკონომიკას“, ანუ მიწათმოქმედებას და „ქრემატისტიკას“, ანუ „ფულის კეთებას“ მსხვილი ვაჭრობისა და მევახშეობის გზით.² არისტოტელე სვამს კითხვას – „არსებობს თუ არა სიმდიდრის ზღვარი?“ და დადებითად პასუხობს მას. სიმდიდრე, მისი აზრით, „საშუალებათა ერთობლიობაა, რომელიც აუცილებელია ცხოვრებისათვის და სასარგებლოა სახელმწიფოსა და ოჯახისთვის“³:

კაპიტალიზმის ადრეულ პერიოდში ერთმანეთს დაუპირისპირდა ხმელთაშუა ზღვის ქალაქ – სახელმწიფოების გენუისა და ვენეციის სავაჭრო-ფინანსური კაპიტალიზმი, რომელიც ფინანსურ ოლიგარქიას ემსახურებოდა და ინგლისურ-ჰოლანდიური „ანტეპრენიორული“, ანუ სამეწარმეო კაპიტალიზმი, რომელიც სამრეწველო გადატრიალების და „პირველი ინოვაციური ტალღის“ პროდუქტს წარმოადგენდა. მეოცე საუკუნეში „ეკონომიკური ადამიანი“ რამდენიმე იპოსტაზში ვლინდება: „ნოვატორები“ და „კონსერვატორები“ – ი. შუმპეტერთან,⁴

¹ მალაშენია გ. კრიზისი და განვითარება... გვ.183-184.

² სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები. თბ., 2010, გვ. 40-41.

³ Аристотель. «Политика». соч., Т.4 М.: «Мысли», 1984.с. 384.

⁴ მექვაბიშვილი ე. „თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები“... გვ.114-115. შუმპეტერის „ნოვატორი მენარმე“ ის ადამიანია, რომელიც ეძებს და პოულობს პროდუქტების (მომსახურების) წარმოების ახალ ხერხებს, ტექნილოგიურ რესურსებს, ორგანიზაციულ ფორმებს. მისი ანტიპოდია კონსერვატორ-ოპორტუნისტული ფსიქოლოგის ეკონომიკური აგენტი, რომელიც წებისმიერი ხერხის გამოყენებით ცდილობს ბაზარზე საკუთარი სეგმენტის შენარჩუნებას.

„ოპორტუნისტები“, „მტაცებლები“, „ნოვატორები“ და „რუტინორები“.¹ ი. ოლსევიჩთან და სხვა. აღნიშნული თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ამერიკელი ე.წ. „Self made man“ -ის ფენომენი, რომელიც გულისხმობს ადამიანს, რომელიც ნულიდან იწყებს თავის კარიერას და საკუთარი ძალისხმევით მაღლა მიაბიჯებს იერარქიულ კიბეზე. თუმცა გზები, მეთოდები, რესურსები, რომელთა გამოყენებითაც ეს ზეასვლა ხდება, ფრიად განსხვავებულია. ამ ადამიანთა შორის ჩვენ ვხედავთ როგორიცაც დიუპონებს, როკფელერებს, მორგანებს, ვანდებილდებს..., რომლებიც მდიდრდებოდნენ ნებისმიერი ხერხით, მათ შორის არაკანონიერითაც. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ჯონ პირპონტ უფროსს ამერიკაში „კორსარს“, ანუ ყაჩალს უწოდებდნენ. მეორე მხრივ, ისტორია იცნობს ისეთ ადამიანებს, როგორიც იყვნენ ჰენრი ფორდი, ნიკოლა ტესლა..., რომლებმაც უზარმაზარი საქმიანი იმპერიები შექმნეს, თავიანთი გენიალური გამოგონებების, უბადლო საინჟინრო ტალანტის და უნაკლო ორგანიზაციული ნიჭის ხარჯზე. ამჟამადაც ჩვენ ვხედავთ ორი კატეგორიის ადამიანებს: ბილ გეიტს და სტივენ ჯობსს, უნიჭიერეს ინჟინრებს და ნოვატორ- მენარმეებს – ერთი მხრივ, და ჯორჯ სოროსს, რომელმაც მიღიარდობით ქონება დააგროვა საფონდო ბირჟებზე სპეცულაციის გზით.

ეკონომიკური ადამიანის ტრანსფორმირება ფინანსურ ადამიანად განსაკუთრებული ინტენსიურობით 1970-იან წლებში დაიწყო. ეკონომიკის საყოველთაო ლიბერალიზაციის და დერეგულირების შედეგად მსხვილი კომპანიის სათავეში მოექცნენ ადამიანები, რომლებსაც ფედ-ის ყოფილი თავმჯდომარის ჯ. ვოლკერის სიტყვებით, ახასიათებდა „სიხარბე, შიში და ქედ-მაღლობა“. მათ შეძლეს ფინანსური კომპანიების კონტროლის ქვეშ მოექციათ მიღიარდობით დოლარი, რაც განხორციელდა შემდეგი ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ღონისძიებით:

¹ Ольсевич Ю. Психологические основы экономического поведения. М.: Инфра – М., 2009, с.5-6.

- ბანკებისა და სხვა ფინანსური ორგანიზაციების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვება და მასობრივი ჩართვა საპირუო სპეცულაციებში;
- ფინანსური ბაზრების დერივატიზაცია და მის საფუძველზე გაუმჭვირვალე პირამიდული ფინანსური სტრუქტურების აგება;
- სეკურიტიზაცია, ანუ ბაზრებზე სხვადასხვა ტიპის გარიგებათა რისკების დამზღვევი განშტოებული ქსელების არამდგრადი სისტემის შექმნა.

ამ ტიპის ადამიანების საქმიანობის და უზომო გამდიდრების ყველაზე ხელსაყრელი გარემო ფინანსური სისტემა აღმოჩნდა, სადაც გაცილებით ადვილი იყო „დიდი ფულის სწრაფად კეთება“. ფინანსურ ბაზრებზე ფართო მასშტაბის სპეცულატიური ოპერაციები არის „ფინანსური ადამიანის“ გენერირების წყარო. ამჟამინდელ უმსხვილეს მსოფლიო საფონდო ბირჟებზე, რომელთა კაპიტალიზაცია ტრილიონობით აშშ დოლარს აღწევს, მოგება ძირითადად მიღება სპეცულატიური გარიგებების გზით. ასე მაგალითად, 2011 წელს დაარსებული გაერთიანებული ტრანსატლანტიკური ბირჟა – NYSE Euronet/ Deutsh Börse მოგების 37% იღებს კლირინგიდან და დერივატივებით ვაჭრობიდან, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სპეცულატიური ოპერაციების სიჭარბე და რისკების მაღალი დონე.¹

თანამედროვე საფონდო ბირჟებზე იმის რეალური შესაძლებლობა არსებობს, რომ „ნებისმიერი კომპანიის აქციის კურსი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს მათი მდგომარეობის ცვლილებიდან დამოუკიდებლად“.²

ამრიგად, საფინანსო, სადაზღვევო და უძრავი ქონების ბაზრების უპირატესმა განვითარებამ წარმოშვა ე.ნ. „ფინანსური ადამიანი“ – საქმიანი ადამიანის სპეციფიკური ტიპი, რომლის მიზანია მოგების მიღება არა სამეწარმეო საქმიანობით, არა-

¹ Fokus World Federation of Exchange. 2011, №2, p. 30.

² Баффет М., Кларк Д. Баффетология ... с.196.

მედ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის გზით, რაც უმეტეს შემთხვევაში სპეცულატიურ ხასიათს ატარებს და მაღალი ხარისხის რისკებთანაა დაკავშირებული. ეს არის დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის და მორალური სტანდარტების მქონე ინდივიდი, რომელიც „დაუნდობელია, როგორც კონკურენტი და თუნდაც პარტნიორი. ყველა შემთხვევაში იგი ცდილობს მოგებული იყოს, რისთვისაც ნებისმიერ ხერხს მიმართავს“!¹

ამრიგად, „ეკონომიკური ადამიანის“ ტრანსფორმირება „ფინანსურ ადამიანად“, თანამედროვე ეკონომიკური სისტემის მიკრო, მაკრო და მეგა დონეებზე განვითარებული პროცესებთან ერთად, გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს.

3.4. გლობალური ფინანსური პრიზისის ზოგიერთი ფსიქოლოგიური ასპექტი

გლობალური ფინანსური კრიზისის პრობლემისადმი ანტროპოცენტრულმა მიდგომამ ლოგიკურად „მიგვიყვანა“ ა. სმიტის „ეკონომიკური ადამიანის“ ცნებასთან. აღინიშნა, რომ ეგოიზმი და რაციონალური ქცევა მისი სუბსტანციური თვისებებია. ჩვენ ასევე დავინახეთ, რომ საკუთარი სარგებლის მაქსიმიზაციაში გამოხატული ინდივიდის რაციონალური და ოპტიმიზირებული ქცევის თეზისი ინარჩუნებს თანამედროვე მეინსტრიმული ეკონომიკური თეორიის (ნეოკლასიკის) ერთ-ერთი პოსტულატის როლს. იგი ორი მიმართულებით ვლინდება: რაციონალური მოლოდინის თეორიაში (რ. ლუკასი, თ. სარჯენტი, რ. ბარო, ე. პრესკოტი)² და ნეიმან-მორგენშტერნის რაციონალური გადაწყ-

¹ Малашкия Г. Экономика человечная. с.84

² მექვაბიშვილი ე. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები... გვ.96-97.

ვეტილებების მოდელში.¹ ამავე რიგში შეიძლება იქნეს განხილული მაღალი განუსაზღვრელობის, რისკის და არასრულყოფილი ინფორმაციის პირობებში ინდივიდთა რაციონალური ქცევის მოდელი.² ამ თეორიების საერთო დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ ანალიზის ქვაკუთხედია „უნიფიცირებული ფსიქიკის“ მქონე, ყოველგვარი გრძნობისა და ემოციისაგან დაცლილი აბსტრაქტული ინდივიდი. ეკონომიკური სისტემის გართულების კვალდაკვალ იზრდება გარემოს განუსაზღვრელობის და მისგან გამომდინარე რისკების ხარისხი, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ეს ზეგავლენას არ ახდენს სამეურნეო სუბიექტის რაციონალურ ქცევაზე. ამის მთავარი მიზეზი, კლასიკოსებისა და ნეოკლასიკოსების აზრით, ის არის, რომ ქცევას ყოველთვის განსაზღვრავს გონება. რეალურ სინამდვილეში ჩვენ განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: სამეურნეო სუბიექტების მიერ გადაწყვეტილების მიღება და მათი ქცევა გონებასთან ერთად ემყარება გრძნობებს. აქედან გამომდინარე, ქცევა არის არა მხოლოდ და არა იმდენად რაციონალური, არამედ არარაციონალური.³

საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე მიჩნეული იყო, რომ ეკონომიკურმა თეორიამ გონებით დეტერმინებული რაციონალური ქცევა უნდა შეისწავლოს, გრძნობებზე დამყარებული ქცევის შესწავლა კი ფსიქოლოგიური მეცნიერების პრიორიტეტია. აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ეკონომიკუ-

¹ Нейман Дж. Моргенштерн О. Теория игр и экономического поведения. М., 1970.

² Дю Ш. Психология финансовых рынков: Кейнс, Мински и поведенческие финансы// Вопросы экономики. 2010. №1, с. 110.

³ „რაციონალების (იგულისხმება რაციონალური ადამიანები, ანუ homo economicus – ე.მ.) გამოყონილი სამყაროსგან განსხვავებით, ადამიანები ხშირად არარაციონალურად (არასწორად) იქცევიან და ეს ნიშნავს, რომ არასწორ ეკონომიკურ პროგნოზებს იძლევიან, რასაც შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვეს... ასე იყო სინამდვილეში, როცა ვერც ერთმა ეკონომისტმა ვერ შეძლო 2007-2008 წლების კრიზისის ნინასწარმეტყველება და უფრო უარესიც, ბევრი თვლიდა, რომ ეს კრიზისი არ უნდა მომხდარიყო“ (Талер Р. Новая поведенческая экономика. Почему люди нарушают правила традиционной экономики и как на этом заработать. М.: 000 „Издательство“ „Э“, 2017. с.12.

რი თეორია და ფსიქოლოგია ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გზებით ვითარდებოდა. მოგვიანებით მათი ძალისხმევის გაერთიანების შედეგად წარმოიშვა ახალი მიმართულება – „ქცევითი ეკონომიკა“, რომელიც პროფ. რ. ტალერის აზრით „არის არა ახალი დისციპლინა, არამედ იგივე ეკონომიკა, თუმცა მნიშვნელოვნად გამდიდრებული ცოდნით ფსიქოლოგიდან და სხვა სოციალური მეცნიერებებიდან“¹.

ბოლო პერიოდებში ფინანსური სექტორის უპირატესმა განვითარებამ და მისი როლის წინა პოზიციაზე წამოწევამ განაპირობა „ქცევითი ფინანსების“ აღმოცენება, რომელიც შეიძლება „ქცევითი ეკონომიკის“ შემადგენელ ნაწილად იქნეს განხილული. სწორედ ამ კონტექსტშია აუცილებელი რამდენიმე საკითხის შესწავლა და მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია პასუხის გაცემა კითხვაზე – რა მიზეზები განაპირობებს ეკონომიკური ურთიერთობის სუბიექტების ქცევის არარაციონალურობას? ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად შეიძლება განვიხილოთ ადამიანის განკარგულებაში არსებული რესურსების შეზღუდულობა და მისგან გამომდინარე გაურკვევლობის მაღალი ხარისხი, რომელიც გამოიხატება ბაზარზე ასიმეტრიული ხასიათის ინფორმაციის ცირკულაციაში. აღნიშნული მდგომარეობა ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია „პაზრის არასრულყოფილების“ სახელწოდებით.²

ცოდნის შეზღუდულობა ზოგადფილოსოფიური, კერძოდ, გნოსეოლოგიური პრობლემაა. ეკონომიკურ სფეროსთან მიმართებით იგი გაანალიზებულია ლ. ფონ მიზესის, ა. ფონ პაიეკის, ფ. ნაიტის და სხვ. ნაშრომებში. მიზესმა შექმნა უნივერსალური დედუქციური მეცნიერება ადამიანის ქცევის შესახებ – პრაქსოლოგია, რომლის შემადგენელ ნაწილად განხილა საბაზრო ქცევის თეორია, ანუ კატალაქტიკა. იგი წერდა: „შემთხვევითობის სახით მოვლენის განხილვა არ ნიშნავს იმის

¹ Талер Р. Новая поведенческая экономика... с.19.

² Доу Ш. Психология финансовых рынков... с.113].

უარყოფას, რომ იგი წინა განვითარების შედეგია. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, მოკვდავებმა, არ ვიცით მოხდება თუ არა ეს მოვლენა“.¹ აქედან გამომდინარე, მიზესის აზრით, „ფილოსოფოსმა უნდა აღიაროს, რომ არ არსებობს წესი, რომლის გამოყენებითაც ადამიანი რაიმე ცოდნას შეიძენს მომავლის შესახებ“ და ამიტომ „ერთადერთი, რაც შეიძლება მომავლის შესახებ ვიცოდეთ, ეს ალბათობაა“. როგორც აქ მოყვანილი ამონარიდებიდან ჩანს, მიზესი ცოდნას მომავალთან მიმართებით განიხილავს და ხაზს უსვამს მის მრავალვარიანტულ, ანუ ალბათურ ხასიათს. მსგავს მოსაზრებას გვთავაზობს ფ. ნაიტი: „ცოდნის პრობლემა განპირობებულია მომავლის წარსულისგან განსხვავებით, მაშინ როცა ამ პრობლემის გადაჭრა მათ შორის მსგავსებაზეა დამოკიდებული“.²

ნაიტის თეორიის ფუნდამენტური კატეგორიაა გაურკვევლობა (Upcerity), რომელსაც უშუალოდ უკავშირდება ალბათობა (Probablity). გაურკვევლობა ბადებს შეცდომებს, თუმცა მათი არსებობა, მეცნიერის აზრით, აუცილებელია, ვინაიდან მათ გარეშე საზოგადოება ვერ გამოვა სტაგნაციიდან და ვერ განვითარდება. ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, ჰ. მინსკის ეპისტომოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს ინდივიდების არარაციონალური ქცევა და სწორედ ამიტომ იგი ერთგვარი ლოგიკური „ხიდის“ როლს თამაშობს ეკონომიკურ თეორიასა და ფიქოლოგიას შორის.

ბაზრის აქტორების ცოდნისა და ინფორმაციის შეზღუდულობა გარკვეულ პრობლემებს რომ წარმოშობს, ამის საილუსტრაციოდ რეალურ სინამდვილესთან მიახლოებულ ერთ სიტუაციას განვითარავთ. აშკარაა, რომ თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირება წარმოუდგენელია უძრავი ქონებით ვაჭრობის გარეშე. შესაბამისი პროექტები, როგორც წესი, მუშავდება გარკვეული ანალიზისა და შემოქმედებითი მიდგომე-

¹ Мизес Л. Теория и история интерпретации экономической эволюции. Челябинск: Социум, 2007, с.78.

² Найт Ф. Риск, неопределенность, прибыль. М.: Дело, 2003, с. 297.

ბის საფუძველზე. როცა ისინი საოჯახო მეურნეობათა დონეზე დაიყვანება, ხშირად იკარგება პროექტებისთვის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისება – პროცესების დეტალური ცოდნა. აღნიშნულის გამო ინვესტირების სრული სტრატეგია შესაძლებელია ძალიან მარტივად ტრანსფორმირდეს ტრაფარეტულ წესში – „იყიდე უძრავი ქონება“ და მხედველობაში არ იქნეს მიღებული იპოთეკური ბაზრის კონკრეტული მდგომარეობა დროის მოცემულ პერიოდში. ეს, რა თქმა უნდა, გააძლიერებს ქონების სპეცულატიურ შესყიდვებს და ხელს შეუწყობს ფინანსური არასტაბილურობის წარმოშობას.

ბაზრის სუბიექტებს რაღაც დოზით ყოველთვის ახასიათებთ არარაციონალურობა, თუმცა ფინანსური სექტორის რეალური ეკონომიკიდან საგრძნობი დაცილების პირობებში ირაციონალურობის ხარისხი მნიშვნელოვნად იზრდება. ფასების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლის შესრულებას იწყებს მოლოდინები. განსაკუთრებით ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში ეკონომიკური აგენტების ოპტიმისტური განწყობა მძლავრობს, რომელიც ხშირად ბინდავს რაციონალურ წარმოდგენებს და მათ გაუმართლებელი რისკებისკენ უბიძგებს. ეს თეზისი საკვანძო პუნქტად მიგვაჩნია, რის გამოც მის განხილვაზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

საქმიანი ციკლის ფაზა – **ბუმი** არის „წარმოების, ვაჭრობის, საქმიანი აქტივობის ხელოვნურად გამოწვეული მოკლევადიანი აღმავლობა. იგი მაღალი ერთობლივი მოთხოვნის შედეგია, რომელიც ან ბუნებრივად ხდება, ან სტიმულირებულია ექსპანსიონისტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკით“¹.

გლობალურ ფინანსურ კრიზისს წინ უძლოდა ეკონომიკური ბუმი, რომელიც გამოწვეული იყო, როგორც უკვე დავინახეთ, ხელოვნური მიზეზით – აქტივების სპეცულატიური შესყიდვებით და ამ მიზნით ე.წ. „ცუდი კრედიტების“ მასობრივი გა-

¹ ეკონომიკური ლექსიკონი. პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2001. გვ. 70.

ცემით. შინა მეურნეობების დავალიანებამ აშშ-ში უზარმაზარ მასშტაბს მიაღწია, რომელსაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა დავალიანების მწვავე კრიზისი. როგორც ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჰ. მინსკი შენიშნავს, ვალების დაგროვება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მისი მიზანია სამომავლოდ სპეციალური აქტივების შესყიდვა, კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის „ფინანსური სიმყიფის“ (ანუ ფინანსური არასტაბილურობის – ე.მ.) წარმოქმნის უშუალო მიზეზია.¹

ი. შემპეტერის აზრით, ბანკები ქმნიან ფულს, „რაც ნიშნავს სამომხმარებლო უნარის შექმნას არაფრისგან“.² ჩამოთვლილ შემთხვევაში ვალები, როგორც წესი, შუამავლების ხელში გროვდება, შემდეგ ეკონომიკის სხვა სფეროებში გაედინება და არღვევს მთლიანად ეკონომიკური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას.

ვალების დიდი მოცულობით დაგროვებას წმინდა ფინანსურ-ეკონომიკურ მიზეზებთან ერთად ფსიქოლოგიური მოტივებიც განპირობებს. ცნობილი ამერიკელი მენარმე და ფილანტროპი დ. კარნეგი, რომელსაც გრ. მენქიუ „მეოცე საუკუნის ყველაზე დიდ ინდუსტრიალისტს“ უწოდებს,³ ამერიკელი მოქალაქეებს ფსიქოტიპისთვის დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნევდა „ახლისადმი გაშმაგებულ მისწრაფებას და მეზობლისთვის გასწრების დაუოკებელ სურვილს“. ვალების დაგროვებასა და დავალიანების გიგანტურ ზრდაში ადამიანის ცნობიერების, კერძოდ კი – ფსიქოლოგის როლი შთამბეჭდავადაა აღნერილი ამერიკელი ავტორის, ინვესტიციების ექსპერტის და უურნალისტის ჯეისონ ცვეიგის ძალიან საინტერესო წიგნში „თქვენი ფული და თქვენი ტვინი: როგორ შეუძლია ახალ მეცნიერებას ნეიროეკონომიკას დაგეხმაროთ, რომ გამდიდრდეთ“ („Your Money and Your Brain: How the Neu Science of Neuroeconomics Can Help

¹ Papadimitrou D., Wray R. Minsky's Analysis of Financial Capitalism. Jerome Levy Institute. Working Paper. №875. 1999.

² Щумпетер Й. Теория экономического развития. М.: Прогресс. 1982. с.167.

³ წყარო: მენქიუ გრ. ეკონომიკის პრინციპები... გვ.741

Make Rich“). განყოფილებაში – „მეცნიერება ნეიროეკონომიკას შეუძლია თქვენ გაგამდიდროთ“, ავტორი წერს: „ლოგიკურია იმის მოლოდინი, რომ ადამიანისთვის ემოციურად მტკივნეულია სესხის აღება და მისი ხარჯვა, ვინაიდან ფულის ქონა ერთმნიშვნელოვნად სასიამოვნოა, ხარჯვა კი უსიამოვნო“. აქედან გამომდინარე, „დიდი თანხიდან მცირეზე გადასვლა ადამიანს ტკივილს აყენებს“. თუმცა, „როცა ადამიანები კრედიტს იღებენ და ფულს ხარჯავენ, მათ ტვინში წარმოიქმნება „კმაყოფილების ცენტრები“, რამეთუ „როცა თქვენ ფულს სესხად იღებთ, იმაზე კი არ ფიქრობთ რა იქნება შემდეგ, არამედ იმით ხართ კმაყოფილი, რომ ჯიბებში გიდევთ სოლიდური თანხა. რასთანაა მომავალში ეს დაკავშირებული, ეს ხშირად აბსტრაქტული საკითხია თქვენთვის“. სწორედ ამგვარი ფსიქოლოგიური განწყობიდან აანალიზებს ცვეიგი გლობალური ფინანსური კრიზისის პერიოდში აშშ-ს საცხოვრებელი ბინების ბაზარზე შექმნილ სიტუაციას. იგი წერს: „როცა 1 მილიონ დოლარს სესხად ვიღებ ბინის შესაძნად, იმაზე ფიქრი, რომ ვერ შევძლებ ამ თანხის გადახდას, ჩემიალება იმის განცდით, რომ ჩემს განკარგულებაშია 1 მილიონი დოლარი, რაც ძლიერ აღაგზნებს ჩემს ცნობიერებას“. აქედან გამომდინარე: „მაღალი რისკების შემცველი იპოთეკური სესხების ინდუსტრია ძალიან წააგავს საკრედიტო სესხების ინდუსტრიას. ორივე მათგანი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს „დღეს“ ფულის ფლობიდან გამომდინარე სიამოვნებაზე და წაკლებად ითვალისწინებს იმ გარადაუგალ გარემოებას, რომ აუცილებელია მომავალში ამ ფულის უკან დაბრუნება“.

ამრიგად, ფსიქოლოგიური ფაქტორები მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელოვნური მოთხოვნის ჩამოყალიბების გზით ეკონომიკური ბუმის წარმოქმნაში. როგორც ამერიკელმა ფინანსისტ-ეკონომისტმა ჩ. კინდელბერგერმა და მისმა თანამოაზრებმა აჩვენეს თავიანთ ნაშრომებში,¹ ბუმის პირობებში

¹ Kindleberger C. Manias, Panics and Crashes. Macmillan. 1996; Кинделбергер Ч., Алибек Р. Мировые финансовые кризисы: Мании, паники и крахи. СПБ.: Питер. 2010 დასხვ.

ეკონომიკურ სუბიექტებს უჩნდებათ გადაჭარბებული ოპტი-
მისტური მოლოდინები, რომლებიც ბაზარზე ხშირად იწვევს
ეიფორიას. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ რეაქციაა სტიმულზე,
ანუ ხელსაყრელ პირობებში შესაძლებლად მაქსიმალური მოგე-
ბის მიღებაზე, არამედ ახალი დამატებითი სტიმულის მიღების
სურვილიცაა. მსგავსი ფსიქოლოგიური განწყობა ხშირად ეი-
ფორიულ აღგზნებადობაში გადადის, მანიაკალური ეიფორიის
სახეს იღებს და ბერავს ფინანსურ ბუშტებს. აღნიშნულის
გამო ხშირია კონფლიქტების გაჩენა აქტივების ემოციურ და
რეალურ შეფასებებს შორის. მისი დაძლევის მიზნით ბაზრის
აქტორები ხშირად ცდილობენ რეალობისგან გაქცევას და შე-
დეგად სულ უფრო მატულობს მათი რიცხვი, ვინც ფანტაზიებს
რეალურობაზე წინ აყენებს. რეალურად მოაზროვნე სუბიექტე-
ბი, როგორც წესი, ეთიშებიან ბაზარზე დაწყებულ „რბოლას“
და ტოვებენ ასპარეზს. შესაბამისად იზრდება იმ აგენტების
რაოდენობა, რომლებიც ფანტაზიების ტყვეობაში იმყოფებიან
და ეს კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას. შესაძლებელია ფან-
ტაზიებში ყოფნა დიდხანს გაგრძელდეს. ბაზარი რეალური მო-
ცემულობებით „ცხოვრობს“ და რაღაც მომენტში ფანტაზიები
ითანაბება, ფინანსური ბუშტები სკდება, იწყება საყველთაო
პანიკა. ტოტალურ ოპტიმიზმს კი ასეთივე პესიმიზმი ცვლის.
ამასთან ერთად, გარკვეული აზრით, ილუზიები და ფანტა-
ზიები აგრძელებენ არსებობას, რაც იმაში გამოიხატება, რომ
მომხდარ კატასტროფაში ადამიანები სხვების დადანაშაულებას
ცდილობენ იმის ნაცვლად, რომ მისი მიზეზი საკუთარ თავში,
კერძოდ, არარეალისტურ აზროვნებაში ეძებონ.

საბაზრო პანიკისა და კრახის წარმოქმნაში ასევე მნიშვ-
ნელოვან როლს თამაშობს ისეთი ფსიქოლოგიური ფანტორი,
რომელსაც „ჯოგურ ინსტიქტს“ უწოდებენ.¹ მისი არსი შემდეგ-

¹ Акерлоф Дж., Шиллер Р. *Spiritus Animals – или как человеческая психология управляет экономикой и почему это важно для мирового капитализма*. М.: Алпина Бизнес Букс. 2010.].

შია: ერთი ინდივიდი გადაწყვეტილებას იღებს და მოქმედებას იწყებს სხვების მიბაძვით. ამასთანავე ის, ვისაც ბაძავენ, შესაძლებელია, სულაც არ იქცეოდეს რაციონალურად. მაგალითად, რეალურად ვერ აფასებდეს იმ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და სამომავლო შესაძლებლობებს, რომლის ფასიან ქაღალდებს ყიდულობს საფონდო ბაზარზე. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება მეორადი (წარმოებული) ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შემთხვევაში. სწორედ ამ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას ცნობილი ამერიკელი პროფესორი, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი კ. ეროუ, რომელიც წერს, რომ სხვისი მიბაძვით მოქმედება განსაკუთრებით ფინანსური ბაზრებისთვისაა დამახასიათებელი და „ყველაფერი ამისათვის თვალის მიდევნება არის ძალიან რთული. ჯერ-ჯერობით ჩვენ არ შეგვიძლია ამ ამოცანის გადაწყვეტა (იგულისხმება წარმოებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის რეგულირება და გაკონტროლება – ე.მ.). მთავარ სირთულეს მე იმაში ვხედავ, რომ ჩვენი მოტივაციები ძირითადად მომავალზეა ორიენტირებული, ბაზარი კი ანტიკონტროლებული“.¹

„ბაზრის ფსიქოლოგია“ (გადაჭარბებული მოლოდინები, გაურკვევლობა, ეიფორია, „ჯოგური ინსტიტი“ და სხვ.) უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ეკონომიკური სისტემის არასტაბილურობის ალმოცენებაში და ამის დამადასტურებელი ბევრი ფაქტი არსებობს. მათგან ჩვენ სამ შემთხვევაზე გავამახვილებთ ყურადღებას. პირველი ეხება მაღალი ტექნოლოგიების შემქმნელი კომპანიების ფასიანი ქაღალდების ბაზრის, ანუ ე.ნ. „დოტკომების“ კრიზისს (2001წ.). ამ კრიზისმა აშშ მოიცვა და მისი მიზეზი ის იყო, რომ როგორც გრ. მენქიუ მიუთითებს: წინა პერიოდში „კაპიტალის ბაზრების ბევრი ინვესტიორი ოპტიმისტურად იყო განწყობილი ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართ და სულ უფრო მაღლა წევდა ფასებს,

¹ Гринберг Р., Рубинштейн А. Теория, инновации и контуры будущей экономики в диалоге с Кенетом Эрроу // Вопросы экономики. 2010. №10, ст. 16.

განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური კომპანიების აქციებზე. დროთა განმავლობაში ეს ოპტიმიზმი გადაჭარბებული აღმოჩნდა. საბოლოოდ კი, 2000 წლის აგვისტოდან 2001 წლის აგვისტომდე აქციების ფასის დაახლოებით 25%-იანი კლება დაფიქსირდა. კაპიტალის ბაზარზე შექმნილმა ვითარებამ საოჯახო მეურნეობების კეთილდღეობა შეასუსტა, რამაც, თავის მხრივ, სამომხმარებლო ხარჯები შეამცირა¹.¹

მეორე შემთხვევა ეხება ჩვენს მიერ უკვე განხილულ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების 1997 წლის ფინანსურ კრიზისს. სხვადასხვა ხელსაყრელი ფაქტორის ურთიერთდამთხვევის შედეგად 1990-იანი წლების დასაწყისში ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკა მიმზიდველი აღმოჩნდა უცხოელი ინვესტორებისთვის. დაინტენდი დიდი მოცულობით ინვესტიციების შემოდიზება, რომლის დიდ ნაწილს შეადგენდა მოკლევადიანი კრედიტები „მოკლე“ („ცხელი“) ფული. ეს ფული, როგორც წესი, იდებოდა არა რეალურ სექტორში, არამედ საფინანსო ოპერაციებში, უძრავი ქონებით ვაჭრობაში და ა.შ. მათი უმეტესი ნაწილი, როგორც სპეციულატიური წარმოშობის, ასევე სპეციულატიური დანიშნულების იყო და „ფინანსური ბუშტების“ გაბერვას ემსახურებოდა. ეკონომიკაში სირთულის პირველი ნიშნების გაჩენისთანვე „ცხელმა“ ფულმა სწრაფად დატოვა ეს ქვეყნები. ამან მნიშვნელოვნად გაამწვავა პრობლემები და ფინანსურ კრიზისში გადაზარდა ისინი.

გადაჭარბებული ოპტიმიზმით იყო გამოწვეული 2007 წელს აშშ-ს იპოთეკური ბაზრის კრიზისი, რომელიც შემდეგ გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა და ამის შესახებაც ჩვენ უკვე გვქონდა ვრცელი მსჯელობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია, ადამიანის გონებიდან გამომდინარე, მის რაციონალურ ქცევას განიხილავს, თუმცა არსებობს სხვა ეკონომიკური თეორიები, რომლებიც საბაზრო ქცევის ჩამოყალიბებაში

¹ მენქიუ გრ. ეკონომიკის პრინციპები... გვ.729.

გრძნობების მონაწილეობასაც აქცევს ყურადღებას. ასეთი მიდგომის პიონერი, რაც უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს ეს ფაქტი, ა. სმიტია. მან თავის ძირითადი ეკონომიკური ნაშრომის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776) გამოქვეყნებამდე, საკმაოდ ადრე დაწერა ფილოსოფიური ესსე „ზნეობრივი გრძნობების თეორია“ (1759). როგორც ნაშრომის სათაურიდან ჩანს, სმიტი ჯერ კიდევ არ მსჯელობდა „ეკონომიკური ადამიანის“ შესახებ და პრობლემას უფრო ფართო რაკურსით განიხილავდა. ინდივიდის საბაზრო ქცევისა და სამეწარმეო საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევას ჩვენ ვხვდებით ისეთი ეკონომისტების ნაშრომებში, როგორებიც იყვნენ ტ. ვებლენი, ვ. პარეტო, ა. მარშალი, ვ. ზომბარტი, ი. შუმპეტერი, ჰ. მინსკი და სხვები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჸ. მ. კეინზის ლგანლი. მან „დიდი დეპრესია“ ახსნა ადამიანის შიშით, გაუბედაობით და მერყეობით. სწორედ მომავლის წინაშე შიში აიძულებს, კეინზის აზრით, ადამიანებს შეზღუდონ მიმდინარე მოხმარება და შემოსავლის დიდი ნაწილი დაზოგვას მოახმარონ. ეს კანონზომიერება გამოიხატება ე.წ. „ფუნდამენტურ ფსიქოლოგიურ კანონში“, რომლის არსი შემდეგშია: „საშუალოდ ადამიანები დროის უმეტეს ნაწილს საკუთარი მოხმარების გაზრდას უთმობენ მათი შემოსავლის ზრდასთან ერთად, მაგრამ არა მასზე მეტი მოცულობით. ამასთანავე, შემოსავლის ზრდასთან ერთად მისი სულ უფრო მეტი ნაწილი მიდის დაგროვებაზე“!¹

„ზოგად თეორიაში“ კეინზი ასევე ფართოდ მსჯელობს ე.წ. „ნდობის მდგომარეობაზე“, რომელიც ფსიქოლოგიური ფენომენია. მას შეუძლია მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოვევა, როგორც ნავარაუდევი შემოსავლის, ასევე ინვესტიციების მოცულობაში. „ნდობის მდგომარეობა“ კეინზს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია ბირჟების ფუნქციონირების კონტექსტში. იგი წერს საბირჟო სპეციალაციაზე „რომლის, როგორც ადა-

¹ მექვაბიშვილი ე. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები... გვ.34.

მიანის საქმიანობის გარკვეული სახეობის არსი, მდგომარეობს ბაზრის ფსიქოლოგიის წინასწარ განჭვრეტაში¹. მისივე აზრით, „სპეცულაციის ბატონობის საფრთხე იზრდება ფინანსური ბაზრის ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად“ და სიტუაცია განსაკუთრებით რთულდება, როცა „სპეცულაციის ქარბუჯში“ საწარმო საჰაერო ბუშტად, ხოლო კაპიტალის განვითარება „კაზინოს საქმიანობის სუპპროდუქტად იქცევა“.² მოყვანილი მსჯელობიდან შეიძლება გაკეთდეს სულ მცირე ორი დასკვნა. პირველი, კეიინზმა გენიალურად იწინასწარმეტყველა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების მიმართულება სამეწარმეო კაპიტალიზმის ფინანსურ კაპიტალიზმად გარდაქმნის კუთხით. მეორე, „ბაზრის ფსიქოლოგიის“ ცნება მის მიერ გამოყენებულია ეკონომიკური ანალიზის ორგანულ შემადგენლენ ნაწილად. ამის მიუხედავად, „ბაზრის ფსიქოლოგიის“ შედარებით სრულყოფილი შესწავლა, როგორც აღინიშნა, ეკონომიკური თეორიისა და ფსიქოლოგიის ძალისხმევის გაერთიანების საფუძველზე მოხერხდა. ჩამოყალიბებულ ახალ თეორიულ მიმართულებებს – „ქცევით ეკონომიკას“ და „ქცევით ფინანსებს“ განვითარების კარგი პერსპექტივა აქვს. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ამერიკელი ეკონომისტის რ. ტალერის თეორია – „ახალი ქცევითი ეკონომიკა“ 2017 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოვდა.

ამასთანავე, სამეურნეო ცხოვრებაში ამჟამად მიმდინარე სწრაფი და ფუნდამენტური ცვლილებების ფონზე აშკარაა, რომ ანალიზში მხოლოდ ფსიქოლოგიური კომპონენტის ჩართვა უკვე აღარ არის საკმარისი. მასთან ერთად აუცილებელია ადამიანის სხვა სუბსტანციური თვისებების კვლევაც.

¹ მექვაბიშვილი ე. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები... გვ.36.

² იქვე

თავი IV. გლობალური ფინანსური პრიზისის დიალექტიკა

4.1. გლობალური ფინანსური პრიზისის აღმოცენების მიზანები, განვითარების ლოგიკა და შედეგები

გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც ისტორიაში შევიდა „დიდი რეცესიის“ სახელწოდებით, 1930-იან წლებში „დიდი დეპრესიის“ მსგავსად, აშშ-ში აღმოცენდა. მკვლევართა ერთსულოვანი მოსაზრებით ეს ფინანსური კრიზისი, პირველ რიგში, აშშ-ის ეკონომიკაში, განსაკუთრებით მის საფინანსო სექტორში არსებული ჭარბი ლიკვიდურობის შედეგი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია იმის ანალიზი, ათწლეულობის მანძილზე როგორ ხდებოდა ამ ჭარბი ლიკვიდურობის შექმნა და რა ფაქტორები განაპირობებდა მას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კრიზისის წინა 10-15 წლიანი პერიოდი გამორჩეულად წარმატებული იყო აშშ-ის ეკონომიკის ისტორიაში. 1991-2000 წლებში ეკონომიკის ზრდის საშუალო წლიური ტემპი $3.2\%-ს$ შეადგენდა.¹ 1998 წელს რეალური ეკონომიკური ზრდა 4.6% , ნომინალური გამოხატულებით 6.0% იყო. 1999 წელს შესაბამისად: 4.2% და $5.5\%.$ ² ინფლაციისა და უმუშევრობის მაჩვენებლები 1.3% და 4.0% ყველაზე დაბალი იყო უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. სამომხმარებლო ფასების წლიური ინდექსი $1.6\%-მდე$ დავიდა, რაც ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენე-

¹ მენქიუ გრ. ეკონომიკის პრინციპები. დიოგენე, 2008, გვ.782.

² მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., 2009, გვ.112.

ბელი იყო. 1998 წელს იქნა მიღწეული პროფიციტური ბიუჯეტი, ასევე პირველად 1969 წლის შემდეგ. შესაძლებელი გახდა შიგა ვალის პროგნოზირებულ მაჩვენებელზე – 5,4 ტრლნ დოლარზე გაცილებით დაბალ ნიშნულზე – 3,6 ტრლნ დოლარზე შემცირება.¹ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის რეჟიმიდან აშშ-ის ამოვარდნა მოხდა 2001 წელს მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელი კომპანიების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე წარმოქმნილი კრიზისის (ე.ნ. “dotcom”-ის კრიზისი) გამო. 2001 წლის აპრილში მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელი კომპანიების NASDAQ ინდექსი იმავე წლის მარტის პიკურ მაჩვენებელთან შედარებით 35%-ით შემცირდა მაშინ, როცა 1999 წლის განმავლობაში 86%-ით ზრდას ჰქონდა ადგილი.² გლობალური ბაზრის კაპიტალიზაცია ასევე 35%-ით შემცირდა, რამაც აბსოლუტური გამოხატულებით 11 ტრლნ 300 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.³ აქციების მფლობელთა ზარალი დაახლოებით 7 ტრლნ დოლარს გაუტოლდა.⁴

„dotcom“-ის კრიზისის შემდგომ პერიოდში შეიმჩნეოდა ფინანსური სახსრების მასობრივი გადადინება მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელი სფეროდან საბინაო მშენებლობის სფეროში, რომელიც იმუამად აღმავლობას განიცდიდა. საბინაო ბაზრაზე ადგილი ჰქონდა ფასების განუხრელ ზრდას, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად განპირობებული იყო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეკონომიკური ზრდით და აქედან გამომდინარე ამერიკელი მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესებით, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა მათი ერთობლივი მოთხოვნა, განსაკუთრებით კი, საცხოვრებელი ბინების შესყიდვის მიმართულებით. ამავე მიმართულებით მოქმედებდა აშშ-ის მთავრობის ეკონომიკუ-

¹ მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია ... გვ.112 -113.

² მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია ... გვ.105.

³ Allen R. Financial Crisis and Recession in Global Economy. Edward Elgar, 2009, p.117.

⁴ Супян В. Кризис в США: Экономический контекст Вестник ин-та Кенана в России. Выпуск 15. М., 2009, с.14.

რი პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იყო მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე, რაც სავსებით ბუნებრივია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკური ზრდის დაახლოებით 80% ერთობლივი მოთხოვნის გადიდებაზე მოდიოდა.

აშშ-ის ეკონომიკაში ლიკვიდურობის ზრდას ხელი შეუწყო ფედი-ს მონეტარულმა პოლიტიკამ, რომელიც შეშფოთებული იყო „dotcom“-ის კრიზისის შედეგად ხანგრძლივი რეცესიის წარმოქმნის საფრთხით და მნიშვნელოვნად ამცირებდა სადის-კონტო განაკვეთს: 2002 წლის 6,5%-იდან 2006 წელს იგი 1,25%-მდე შემცირდა.¹ მიმოქცევაში ფულის მასის გადიდებამ ხელი შეუწყო საბინაო ბაზარზე ფასების ზრდას.

ჭარბი ლიკვიდურობის შექმნის ასევე მნიშვნელოვანი მიზეზი იყო აშშ-ის ეკონომიკაში საზღვარგარეთიდან დიდხალი ფინანსური სახსრების შედინება, რასაც რიგი ობიექტური გარემოება განაპირობებდა. მათ შორის აღსანიშნავია ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდის შედეგად სპარსეთის ყურის ქვეყნების და რეუსეთის მიერ აშშ-ის დოლარებში დიდი სავალუტო რეზერვების დაგროვება,² რომლის უმეტესი ნაწილის განთავსება სახაზინო ვალდებულებებში ხდებოდა. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩინეთის როლი. აშშ-ის ბოლო ათწლეულების მანძილზე საგრძნობი დეფიციტი გაჩნდა ჩინეთთან ვაჭრობაში. აშშ-დან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან მიღებული დოლარებით ივსებოდა ჩინეთის ცენტრალური ბანკის სავალუტო რეზერვები,³ რომლის მოცულობა 1978 წლის 5 მლრდ აშშ დოლარიდან 2012 წელს 3 ტრლნ დოლარამდე გაიზარდა. მიღებული დოლარებით ჩინეთის ცენტრალური ბანკი

¹ Суупян В. Кризис в США ... с.16.

² 1999-2008 წლებში აღმოსავლეთ ქვეყნების სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყნების სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელი ქვეყნების და რუსეთის ჯამური საგალუტო რესურსები 600 მლრდ აშშ დოლარიდან 4,9 ტრლნ დოლარამდე გაიზარდა და ამ სახსრებით იფარებოდა აშშ-ის საბიუჯეტო დეფიციტის 54% – Мировая экономика и международные отношения. 2009, № 8, с. 17.

³ Попов В. Глобальные дисбалансы – нетрадиционная трактовка // Вопросы экономики. 2013. №1, ст. 70.

ყიდულობდა აშშ-ის სამთავრობო ობლიგაციებს და ამ გზით დოლარები უკან ბრუნდებოდა აშშ-ში, თუმცა იდებოდა არა რეალურ ეკონომიკაში, არამედ საფინანსო სექტორში.¹

აშშ-ის საფინანსო ბაზარზე სახსრების შედინების გაზრდაში გარკვეული როლი ითამაშა 2007 წლის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონულმა ფინანსურმა კრიზისმაც, რომლის შედეგად ფინანსური ნაკადების გადაადგილებამ მიმართულება შეიცვალა – განვითარებადი ბაზრებიდან აშშ-ის საფინანსო ბაზრებისკენ. საფინანსო სფეროში ჭარბი ფულის დაგროვებამ ანუ ჭარბმა ლიკვიდურობამ განაპირობა ფულის „სიიაფე“, „იაფი ფული“ კი ადგილად ტრანსფორმირდა „იაფ კრედიტად“, რომელიც გამოიხატა არა მხოლოდ კრედიტზე დაბალ სარგებელში, არამედ მის ადვილად ხელმისაწვდომობაში. ბანკების მიერ მასობრივად გაიცემოდა სესხები კლიენტებზე, რომლებსაც არ ჰქონდათ სტაბილური სამუშაო, მაშასადამე, სტაბილური შემოსავალი ან ბანკისთვის მისაღები რაიმე აქტივი კრედიტის საგარანტიო უზრუნველსაყოფად. ეს იყო დაბალხარისხიანი, ნაკლებად საიმედო ე.წ. subprime სესხები, რომელთა გადახდა იმთავითვე ეჭვის ქვეშ იდგა. subprime კრედიტების მოცულობის ზრდას რამდენიმე გარემოება განაპირობებდა. მათ შორის პირველ რიგში შეიძლება დასახელდეს 2000-2006 წლებში საცხოვრებელ ბინებზე ფასების მუდმივი ზრდა. აშშ-ს მოქალაქეები ბანკებიდან აღებული კრედიტებით ბინებს ყიდულობდნენ მომავალში მათი უფრო სარფიანად გასაყიდად და არა საკუთარი სარგებლობისთვის. მოქმედებდა აპრობირებული სქემა: მოქალაქე ბანკიდან კრედიტს იღებდა ზოგჯერ პირველი შენატანის გაკეთების გარეშეც, ყიდულობდა ბინას და მას დებდა კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფის სახით. ერთი წლის შემდეგ იგი ამ ბინას ყიდდა დაახლოებით 20%-ით უფრო

¹ ჩინეთის ბანკის სავალუტო რეზერვების მოცულობამ XXI საუკუნის დასაწყისში ამ ქვეყნის მშპ-ს 50% შეადგინა, რაც მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. საერთოდ, სავალუტო რეზერვების მოცულობა იშვიათად აჭარბებს ქვეყნაში 6 თვის იმპორტის მოცულობას.

ძვირად, მიღებული შემოსავლით ფარავდა კრედიტს და მოგებასაც იღებდა. ერთი შეხედვით, მსგავსი საფინანსო ოპერაციების ჩატარება არ იყო რისკის შემცველი. უძრავ ქონებაზე განსაკუთრებით საცხოვრებელ ბინებზე ფასების ზრდის პირობებში კრედიტის ღირებულება შეფარდებითად მცირდებოდა გირაოში ჩადებული ქონების ღირებულებასთან შედარებით.

იპოთეკური კრედიტების ზრდა მნიშვნელოვნად იყო სტიმულირებული სეკურიტიზაციის პროცესით. ფინანსური კრიზისის წინა პერიოდში კომერციული ბანკები მასობრივად ქმნიდნენ სპეციალურ საფინანსო ინსტიტუტებს, რომლებიც, თავის მხრივ, პულებად კრავდნენ ბანკების მიერ გაცემულ იპოთეკით უზრუნველყოფილ სესხებს და მათ საფუძველზე ახდენდნენ მეორადი ფინანსური ინსტრუმენტების – დერივატივების ემისიას. იპოთეკურ ბაზარზე მიმოქცეოდა შემდეგი სახეობის დერივატივები: გამჭოლი იპოთეკური ფასიანი ქაღალდები (mortgage backed securities-MBS); წარმოებული სტრუქტურიზებული იპოთეკური ფასიანი ქაღალდები (collateralized mortgage obligations-CMO); საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები (residential MBS, RMBS) და სავალო ვალდებულებებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები (collateral debt obligations – CDO). ჩამოთვლილ საფინანსო ინსტიტუტებს ის თავისებურება ახასიათებს, რომ ისინი უაღრესად მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რის გამოც ერთი „მათგანის“ ჩაგარდნა საფრთხეს უქმნის მთელი სისტემის სტაბილურობას. სწორედ ამ გარემოებამ ითამაშა უმნიშვნელოვანესი როლი მოგვიანებით ფინანსური კრიზისის წარმოქმნის საქმეში. იპოთეკური დერივატივების გამოშვება კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევდა: პირველი, რისკი გადაენაზილებინათ მათ მიერ შექმნილ საფინანსო ინსტიტუტებზე და მათი მეშვეობით დერივატივების შემსყიდვები კლიენტებზე. მეორე, კრედიტები გაიცემოდა ნაკლებ საიმედო კლიენტებზე (ე.წ. subprime სესხები). 2005-2006 წლებში აშშ-ში კომერციული ბანკების მიერ გაი-

ცა 1.3 ტრლნ დოლარის იპოთეკური კრედიტი, ანუ ამ ქვეყნის იმუამინდელი მშპ-ს 10% და აქედან 60% იყო სეკურიტიზებული ანუ უპირატესად subprime-ს ტიპის სესხი.¹ იპოთეკური დერივატივების შესყიდვის გზით ადგილი ჰქონდა კომპანიებში „საკრედიტო მხარის“ დაუსაბუთებელ დაგრძელებას – ე.წ. leverage -ს, რაც ნიშნავს ნასესხები თანხების ხვედრითი წილის ზრდას კომპანიის აქტივების მთლიან მოცულობაში. აღნიშნული გარემოება საფინანსო და მთლიანად ეკონომიკური სისტემის სტაბილურობისთვის სერიოზული საფრთხის შემცველი ფაქტორი იყო. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ფინანსური კრიზისის დაწყებისთანავე სწორედ ის კომპანიები (Lehman Brothers, Meril Linch) აღმოჩნდნენ გაკოტრების წინაშე, რომლებსაც დაუსაბუთებლად გრძელი საკრედიტო მხარი გააჩნდა. მაშასა-დამე, იპოთეკური ხასიათის მქონე დერივატივების მოცულობის გიგანტური ზრდა გადაიქცა იმ მექანიზმად, რომელმაც ხელი შეუწყო იპოთეკურ ბაზარზე ჭარბი ლიკვიდურობის წარმოქმნას და აქედან გამომდინარე „საფინანსო ბუმების“² გაპერვას. შემდგომში მათ „ჩაფუმვას“ მოჰყვა ლიკვიდურობის კრიზისი.

დაბალხარისხიანი (subprime) კრედიტების დაუსაბუთებელ ზრდასა და საფინანსო არასტაბილურობის ფართო ზონების წარმოქმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აშშ-ში არსებულმა საფინანსო სფეროს მოწყობის ინსტიტუციურმა სისტემამ, იგი შედგებოდა: ა) ფედერალური დონის სახელმწიფო და ბ) კვაზი სახელმწიფო დანესებულებისგან, პირველს მიეკუთვნებოდა ფედერალური საბინაო აღმინისტრაცია (Federal Housing

¹ Булатов А. Сходство и различия экономического кризиса в США и России // Вестник института Кенана в России. Выпуск 15. М., 2009, с.29.

² „საფინანსო ბუმებს“ (finance bubbles) ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე ლ.ლარუში „ფიზიკური ეკონომიკის სხეულზე წარმოქმნილ წყლულებს“ უწოდებს || ნიგნიდან „მსოფლიო შეთქმულება“. თბ., 2000, გვ.57. ასევე ცნობილი ამერიკელი ნობელიანტი ეკონომისტი პ.კრუგმანი წერდა, რომ გლობალური ფინანსური კრიზისი არის „სეკურიტიზაციის ეპოქის პირველი კრიზისი“. || Krugman P. End This Depression Now N.Y.,L., Norton & Company, 2012. p.17.

Administration – FHA) და სამთავრობო ნაციონალური ასოციაცია – ე.წ. Gini Mae, რომლის ოფიციალური სახელწოდებაა Government National Mortgage Association. მეორე ჯგუფში შედიოდა ფედერალური ნაციონალური იპოთეკური ასოციაცია Federal National Mortgage Association (Fannie Mae) და საბინაო იპოთეკური კრედიტის ფედერალური კორპორაცია Federal Home Loan Mortgage Corporation (Freddie Mac). ეს დაწესებულებები კერძო ბანკების მიერ საცხოვრებელი ბინების შესაძენად გაცემული კრედიტების გარანტიორებად გამოდიოდნენ, რაც ბანკებს სესხების შეუზღუდავად გაცემის შესაძლებლობას აძლევდა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტორი, რომ რამდენიმე წლის მანძილზე 30 მილიონმა ამერიკელმა მოქალაქემ მიმართა ბანკებს იპოთეკური კრედიტის აღების თხოვნით და მათგან 29 მილიონმა მილო კრედიტი. იმის გათვალისწინებით, რომ იპოთეკური კრედიტები 30 წლის ვადით გაიცემოდა, აშშ-ის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს იპოთეკური კრედიტები ჰქონდა აღებული. მთლიანობაში აშშ-ში ფირმებისა და საოჯახო მეურნეობებს ტოტალურ დავალიანებას ჰქონდა ადგილი, რასაც მონმობს ქვემოთ მოყვანილი მონაცემები. 2000 წლისთვის აშშ-ს კერძო სექტორში დავალიანებამ 2,25-ჯერ, ხოლო საერთო დავალიანებამ (როგორც კერძო და სახელმწიფო დავალიანებათა ჯამში), 3-ჯერ გადააჭარბა ამ ქვეყნის მშპ-ს მოცულობას და დავალიანების უმეტესი ნაწილი მოდიოდა საფინანსო სექტორზე¹

აშშ-ის მოქალაქეთა 80% თანხის დაზოგვის ნაცვლად, ვალების აღებით ცხოვრობდა და „დიდი რეცესიის“ დაწყების წინ მათი დანახარჯები 10%-ით აღემატებოდა მათსავე შემოსავლებს. 2005 წელს მოსახლეობის დავალიანება ერთ სულზე გაანგარიშებით 42,6, ათას დოლარს შეადგენდა. საშუალო ამერიკელი 3-4-ჯერ მეტს მოიხმარდა, ვიდრე საშუალო ჩინელი ან ინდოელი მოქალაქე. აშშ-ს წილად მოდიოდა გლობალური მოხმარევის

¹ The New Face of Capitalism: Slow Growth Excess Capital and a Mountain of Debt|| Monthly Review.2002. vol.53.N11.

ბის 35% და წარმოების 20%.¹ რაც შეეგბა დაგროვების ნორმას, აშშ-ს მაჩვენებელი -13,1% მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ჩინეთის – 46,8% და ინდოეთის – 29,5% მაჩვენებლებს.²

როგორც ცნობილი ამერიკელი მაკროეკონომისტი გრ.მენქიუ აღნიშნავს: „ამერიკელები გაცილებით მცირე ნაწილს ზოგავენ, ვიდრე, ვთქვათ, გერმანელები და იაპონელები“ და „შეერთებული შტატების ბევრ პოლიტიკოსს ამერიკელთა მიერ დაზოგვის ასეთი დაბალი დონე უმთავრეს პრობლემად მიაჩნია“,³ რადგანაც „დანაზოგების სიდიდე ქვეყნის მნარმოებლურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტია გრძელვადიან პერიოდში.“⁴ დაკრედიტების უზომო გაფართოებაზე წარმოდგენას გვაძლევს „დიდი დეპრესიის“ და „დიდი რეცესიის“ წინა პერიოდების ერთმანეთთან შედარება. აშშ-ში 1929 წელს ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა შეადგენდა ამ ქვეყნის მშპ-ს 165%-ს და 1932 წელს იგი გაიზარდა 250%-მდე. 2008 წელს დაკრედიტების მოცულობა შეადგენდა მშპ-ს 365%-ს, დერივატივების გამოკლებით. ასე მიმდინარეობდა ბანკების მიერ ფულის შექმნა არაფრისგან.⁵ ამრიგად, ათწლეულების განმავლობაში აშშ-ში ყალიბდებოდა ვალების დაგროვებაზე დამყარებული ეკონომიკური ზრდის მოდელი (originate-and-distribute leading model), რომელიც გამოირჩეოდა ფინანსური სიმყიფით და კრიზისების წარმოქმნის მაღალი ალბათობით.

ჩვენი აზრით, ცალკე განხილვას იმსახურებს გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოქმნაში ეკონომიკის დერეგულირების როლი. კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ფართო რეგულირების თეორიასა და პრაქტიკას, საფუძველი, როგორც ცნობილია, 1930-იანი წლების მიჯნაზე ჩაეყარა. აქედან

¹ Сакасса Н. Предотвращение будущих кризисов // Финансы и развитие. 2010. выпуск 45. с.19.

² Stiglitz J.E. The Price of Inequality. N.Y.,L., Norton & Company 2012. p.13.

³ მენქიუ გრ. ეკონომიკის პრინციპები. „დიოგენე“, 2008, გვ.556.

⁴ იქვე

⁵ Шумпетер Й. Теория экономического развития. М. : Экономика, 2007, с. 116.

მოყოლებული იგი გაბატონებულ მიმართულებას წარმოადგენ-და მსოფლიო ეკონომიკურ აზროვნებასა და სამეურნეო პრაქ-ტიკაში. სწორედ რეგულირებას უკავშირებენ მსოფლიო ეკონო-მიკის და მისი ლოკომოტივის აშშ-ის ეკონომიკის წარმატებულ განვითარებას, სოციალური წინააღმდეგობების შერპილებას ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში.¹

1970-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიზეზად ეკონომიკის ფუნქციონირება-ში სახელმწიფოს ზედმეტი ჩარევა და რეგულირების მაღალი ხარისხი იქნა მიჩნეული. შესაბამისად, დასავლეთ სამყარო-ში დაიწყო ტოტალური შეტევა რეგულირების წინააღმდეგ და ეკონომიკის დერეგულირების პროცესი. დერეგულირებას თეორიულ საფუძვლად დაედო ეკონომიკური ლიბერალიზმის იმ დროისათვის ახალი წეოკლასიკური მიმართულება, მისი მთავა-რი პოსტულატი – „თავისუფალი ბაზრის ყოვლისშემძლეობის“ შესახებ, რომელიც დასაბუთებული იყო ცნობილი თეორეტი-კოსი ეკონომისტების მ. ფრიდმანის, რ.ლუკასის, ბ.ბერნანკეს, მ.გეტლერის და სხვების ნაშრომებში. მათი აზრით, ფინანსურ სტაბილურობას ფასების სტაბილურობა განაპირობებს და არ არის საჭირო ცენტრალურმა ბანკმა მის ხელთ არსებული ინსტრუმენტები გამოიყენოს საფინანსო ბაზრების პირდაპი-რი რეგულირებისათვის, მათ შორის ფინანსური ბუშტების გა-ბერვის თავიდან ასაცილებლად. მეოცე საუკუნის ბოლოს ეს მიმართულება კიდევ უფრო გაღრმავდა, უკიდურესი ფორმა მიიღო და ლიბერტარიანიზმის იდეოლოგიის სახით ჩამოყალიბ-და.² აშშ-ში დერეგულირების პირველი პრაქტიკული ნაბიჯები

¹ მექვაბიშვილი ე. გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტიკონომიური ანატომია || ეკონომიკა და ბიზნესი. ტ.VIII, 2015, გვ.18-19.

² ლიბერტარიანიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია ფილოსოფოსი ნოზიკი, რომელ-იც თავის წიგნში „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“ წერს: „... არც ერთ ადამი-ანს თუ ადამიანთა ჯგუფს არა აქვს უფლება გაანაწილოს რესურსები, მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენად მომჭირნედ უნდა გაიცეს ეს რე-სურსები, ის, რასაც თითოეული ადამიანი იღებს, სხვა ადამიანებისგან რამეს სანაცვლოდ ან საჩუქრად“ - გრ.მენქიუ ეკონომიკის პრინციპები, გვ.422.

დაუკავშირდა პრეზიდენტ ჯ.ფორდს და მის ადმინისტრაციას. 1975 წელს ფორდმა ამერიკელი მენარმების წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „ამერიკელი ბიზნესმენების ბორკილებისგან განთავისუფლება“ და დაპირდა მათ, რომ ყველაფერს გააკეთებს, რაც მის შესაძლებლობაშია იმისთვის, რომ „ფედერალური მთავრობა არ მიძვრებოდეს თქვენს ბიზნესში, თქვენს ცხოვრებაში და თქვენს საფულეებში.“¹

აშშ-ს ეკონომიკაში დერეგულირებამ ყველაზე ფართო მასშტაბები 1990-იან წლებში მიიღო და, ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ იგი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის დაწყებას დაემთხვა, მიჩნეული იყო, რომ ეროვნულ-სახელმწიფო დონეზე ტოტალურ დერეგულირებას შეცვლიდა ზესახელმწიფოს (ზეეროვნულ დონეზე) რეგულირების დაწყება. დერეგულირება ყველაზე უფრო საფინანსო სფეროს შეეხო. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 1999 წელს აშშ-ს კონგრესის მიერ გრემ-ლიჩ-ბლაილის კანონის მიღებას, რომელმაც ფაქტობრივად გააუქმა საფინანსო ბაზრების ყოველგვარი სახელმწიფო რეგულირება. ასევე გაუქმდა ბანკების კომერციული და საინვესტიციო საქმიანობის ერთმანეთისგან გამიჯვნა, რომელიც 1930-იანი წლებიდან მოქმედებდა.

ლიბერტარიანელები, რომელთა შორის თავისი აქტიურობით გამოირჩეოდა ფედი-ს იმუამინდელი ხელმძღვანელი ა.გრინსპენი, ამტკიცებდნენ, რომ დერეგულირება ეკონომიკის განვითარების დაჩქარების მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა. აღნიშნული მტკიცება, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტების ელემენტის შემცველი იყო. დერეგულირებამ გამოათავისუფლა კერძო ბიზნესის შემოქმედებითი ენერგია და ხელი შეუწყო ფირმების მოგების ზრდას განსაკუთრებით საფინანსო სფეროში.

¹ Гринспен А. Эпоха потрясений. Проблемы и перспективы мировой хозяйственной системы. М.: Сокольково, 2010, с.80.

ამასთან ერთად, საყოველთაო რეგულირებამ ბევრი წინააღმდეგობა და მწვავე პრობლემა წარმოშვა ეკონომიკის ფუნქციონირებაში. გატარებული ღონისძიებების შედეგად უზარმაზარ საფინანსო ნაკადებზე კონტროლმა სახელმწიფოდან დიდი კორპორაციების ხელში გადაინაცვლა. ახლა უკვე ყველა პრინციპულ საკითხს, მათ შორის ახალი ფინანსური პროდუქტების ბაზრებზე გატანას, თავად საფინანსო ინსტიტუტები წყვეტდნენ ისე, რომ უმეტეს შემთხვევაში არავინ იცოდა რა ზეგავლენას იქონიებდა ისინი მთელი საფინანსო სისტემის ფუნქციონირებაზე, რა რისკებს შეიცავდნენ ეს ინსტრუმენტები საფინანსო და ზოგადად ეკონომიკური სისტემის სტაბილურობასთან მიმართებით. საფინანსო ინსტრუმენტების კოლოსალურ ზრდასთან ერთად იზრებოდა ოპერირების ინსტიტუტების რაოდენობა, რომელთა საქმიანობა ასევე ხორციელდებოდა სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი რეგულირების და კონტროლის გვერდის ავლით. არ არსებობდა მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც გარკვეულნილად შეზღუდავდა მაღალი რისკის მატარებელი ისეთი საფინანსო ინსტრუმენტების გიგანტურ ზრდას, როგორიც იყო ბირჟის გარეთ მიმოქცევადი დერივატივები, რომელთა მოცულობა 2000-2007 წლებში 7-ჯერ და საკრედიტო დეფოლტების სვოპები (credit-defolt swaps), რომლებიც იმავე პერიოდში 6-ჯერ გაიზარდა¹ ბირჟის გარეთ მიმოქცევადი დერივატივების მოცულობა 2007 წელს 11-ჯერ, ხოლო 2008 წელს 8-ჯერ აღემატებოდა გლობალური მშპ-ს მოცულობას.²

კონტროლის ზემოაღნიშნულმა გადანაცვლებამ სახელმწიფოდან მსხვილი საფინანსო კომპანიების გამგებლობაში განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა კორპორატიული მართვის საკითხს, რომელიც, როგორც მოგვიანებით მოვლენათა გან-

¹ Сакасса Н. Предотвращение будущих кризисов // Финансы и развитие. 2010. выпуск 45. с.12.

² Сакасса ... с.15.

ვითარებამ აჩვენა, სულაც ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. პირველი საგანგაშო სიგნალი „ენრონის“ გაკოტრება იყო. პრობლემის სიმწვავე განსაკუთრებით გლობალური ფინანსური კრიზისის დროს გამოჩნდა იმ ზომით, რომ საფინანსო სფეროს დერეგულირების მთავარი შემოქმედი ა.გრინსპენი იძულებული გახდა ელიარებინა: „მისი იდეოლოგია არასწორი აღმოჩნდა“. ეს იმაში გამოიხატა, რომ „მსხვილი საფინანსო კორპორაციების ტოპ-მენეჯერებს საკუთარი ინტერესების გამო არ შეეძლოთ აქციონერთა ზარალისგან დაცვა“,¹ ვინაიდან მათ მთავარ ორიენტირს წარმოადგენდა ზემოგების სწრაფი მიღება რისკების საყოველთაო იგნორირების ხარჯზე.

ამრიგად, დერეგულირება იყო ის ფაქტორი (მიზეზი), რომელმაც ყველაზე ძლიერ ფინანსურ სფეროზე იმოქმედა, დაბლა დასწია ფინანსური ოპერტაორების პასუხისმგებლობა, გააძლიერა მათი ორიენტირება სპეციულატიურ ოპერაციებზე, აამდლა რისკების დონე. დერეგულირების ინტენსიურად წარმართული პოლიტიკის პირობებში აშშ-ს შესაბამისმა ინსტიტუტებმა ვერ შეძლეს ვერც „ფინანსური ბუშტების“ წარმოქმნის პრევენცია და ვერც უკვე დაწყებული ფინანსურ-ეკონომიკური რყევების ნეიტრალიზება.

იპოთეკური ბაზრის კრიზისი აშშ-ში 2007 წლის აგვისტოდან დაიწყო, თუმცა მისი უშუალო წანამდღვრები 2006 წლის შუა პერიოდში ჩამოყალიბდა, როცა შესამჩნევი გახდა ბინებზე ფასების შემცირების ტენდენცია. აღნიშნულის გამო 2,5 მილიონმა მსესხებელმა ვეღარ შეძლო განრიგის მიხედვით კრედიტის დაფარვა. ამას თან მოჰყვა იპოთეკაში ჩადებული ბინების მასობრივი გაყიდვა და მობინადრეთა ბინებიდან გამოსახლება. 2008 წლის მხოლოდ მესამე კვარტალში 800000 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა. აღნიშნულმა გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა ბაზარზე ბინების მიწოდება და დაბლა დასცა მათი

¹ Palley T. After the Bust: the Outlook for Macroeconomic Policy || The Real-World Economic Review, 2009. №49, p.28.

ფასი.¹ (2009 წლის დასაწყისში საცხოვრებელი პინების 20%-ს უარყოფითი ღირებულება გააჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მიმდინარე ღირებულება მათ შექნაზე აღებული კრედიტის თანხაზე ნაკლები იყო). სიტუაციის გამწვავებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფედ-მა, რომელმაც იპოთეკურ ბაზარზე ბუმის პირობებში მიიღო გადაწყვეტილება საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შესახებ, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საოჯახო მეურნეობების დავალიანება. ვალების მასობრივად დაუბრუნებლობამ, ბუნებრივია, განაპირობა სეკურიტიზებულ ვალებზე ანუ დერივატივებზე დაფუძნებული ფასიანი ქალალდების გაუფასურება და გაკოტრების რეალური საფრთხის ქვეშ დააყენა მათ უკან მდგარი საინვესტიციო ინსტიტუტები.² უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა აშშ-ს უმსხვილესი იპოთეკური სააგენტოები Fanny Mae და Freddie Mac, რომელთა აქციების კოტირება მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში 300%-ით შემცირდა. აშშ-სა და მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სააგენტოები AIG (American International Group Inc). საყოველთაო ყურადღების ცენტრში ასევე 2008 აგვისტოში აღმოჩნდა, როცა მან გაასაჯაროვა მონაცემები საკუთარი ასტრონომიული ზარალის შესახებ. გაირკვა, რომ 2008 წლის მხოლოდ მეორე კვარტალში მისი დანაკარგები შეადგენდა 5,36 მლრდ დოლარს, როცა წინა წლის იმავე პერიოდში მას ჰქონდა 4,28 მლრდ აშშ დოლარის მოგება. ამის გამო კომპანიის აქციე-

¹ Супян В. Кризис в США: Экономический аспект. Вестник ин-та Кенана в России. Выпуск 15. М., 2009, с.20.

² 2008 წლის აგვისტოში გაკოტრდა მსოფლიოში სიდიდით მეხუთე ბანკი Lehman Brothers. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე მხოლოდ ერთი დღის მანძილზე მისი აქციების ღირებულება 50%-ით შემცირდა. იპოთეკური ობლიგაციების ფონდმა Carlyle -16 მლრდ აშშ დოლარი დაკარგა. აშშ-ში სიდიდთ მეოთხე იპოთეკური ბანკის Wachovia-ს ზარალმა 8,9 მლრდ დოლარი შეადგინა. საინვესტიციო კომპანიამ Merile Lynch-მ 2008 წლის განმავლობაში 34,6 მლრდ დოლარი იზარალა. 2008 წლის 13 ივლისს გაკოტრდა კიდევ ერთი უმსხვილესი იპოთეკური ბანკი Indy Mac, რომლისგანაც მხოლოდ 11 დღეში ინვესტორებმა 1,3 მლრდ აშშ დოლარი გაიტანეს. (ე.მექვაბიშვილი. ეკონომიკური გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., 2009, გვ.65-66).

ბის კურსი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე 50%-ით დაეცა და მსოფლიოს წამყვანმა სარეიტინგო სააგენტოებმა მკვეთრად შეამცირეს მისი რეიტინგი.

2008 წლის სექტემბრიდან იპოთეკური ბაზრის კრიზისი აშშ-ში გადაიზარდა საბანკო კრიზისში. ბანკთაშორის ბაზარზე ადრე არსებული ჭარბი ლიკვიდურობა შეცვალა ლიკვიდურობის მწვავე ნაკლებობამ. ბანკებს შორის დიდი ურთიერთუნდობლობა წარმოიქმნა და ფულის მიმოქცევაში თავისებური „თრომბები“ ჩამოყალიბდა, რომელმაც მთელი პროცესის სერიოზული შეფერხება განაპირობა. 2008 წლის მეოთხე კვარტალში აშშ-ს საბანკო სექტორის მოგება წინა ანალოგიური პერიოდის 35,2 მლრდ დოლარიდან 8,5 მლრდ დოლარამდე შემცირდა, ხოლო ამ ქვეყნის უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტების დანაკარგებმა 500 მლრდ დოლარი შეადგინა,¹ რაც იმას ნიშნავდა, რომ სახეზე იყო მწვავე საფინანსო კრიზისი.

იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის ფინანსური ბაზრის კაპიტალიზაცია, რომელიც იმ პერიოდში შეადგენდა დაახლოებით 48ტრლნ აშშ დოლარს და 3-ჯერ აღემატებოდა ქვეყნის მშპ-ს მოცულობას, ადვილი მისახვედრია, რომ ამ სფეროს კრიზისი სწარაფად გადედო რეალურ სექტორს: 2008 წლის მე-3-ე და მე-4-ე კვარტლებში აშშ-ს ეკონომიკის ზრდის ტემპი შესაბა-მისად 0,5%-ით და 6,2%-ით შემცირდა, რაც რეცესიის დაწყების მომასწავებელი იყო. დაცემის განსაკუთრებული სიღრმე შეინიშნებოდა მრეწველობაში. მაგალითად, 2009 წლის აპრილში სამრეწველო წარმოების მოცულობა წინა თვესთან შედარებით 14,5%-ით შემცირდა. უძნვავეს პრობლემებს განიცდიდა აშშ-ს საავტომობილო მრეწველობის დარგი.

ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებას თან მოჰყვა უმუ-შევართა რაოდენობის გაზრდა, კერძოდ, 2009 წლის იანვარში უმუშევრობის დონემ აშშ-ში 7,6% შეადგინა, როცა წინა ათი

¹ The Crisis: Basic Mechanism and Apropriate Policies – O.Blanchard IMF Working Papers, 2009, p.11.

წლის განმავლობაში იგი 4-5%-ის ფარგლებში მერყეობდა. და-ფიქსირდა ციკლური ეკონომიკური კრიზისისთვის დამახასიათებელი კანონზომიერება, როგორიცაა სამომხმარებლო ფასების ინდექსის შემცირება. მსოფლიო ეკონომიკაში აშშ-ს როლიდან გამომდინარე, გლობალური ცირკულირების მექანიზმების საშუალებით აშშ-ში მიმდინარე კრიზისი მთელ მსოფლიოში გავრცელდა და გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის სასიათი მიიღო.¹

გლობალური ფინანსური კრიზისის ყველაზე მნვავე ფაზა დაახლოებით ერთ წელიწადს გაგრძელდა -2008 წლის აგვისტოში Lehman Brothers -ის გაკოტრებიდან 2009 წლის შემოდგომამდე. ამ „დიდი რეცესიის“ ანუ „XXI საუკუნის დიდი დეპრესიის“ სილრმეზე, სიმწვავეზე და მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკაზე ზეგავლენაზე, ვფიქრობთ, ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოყვანილი ცხრილი

¹ „ამერიკაში დაწყებული საფინანსო კრიზისი ... გადაიზარდა არა მარტო მსოფლიო საფინანსო კრიზისში, არამედ უკვე სახეზე გვაქვს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი“ – თ. აქტუარდია. ეკონომიკური კრიზისის ფინანსური და პოლიტიკური მდგრელი. თბ., 2009. გვ.19.

ცხრილი 2.

მსოფლიოს დიდი ქვეყნების ძირითადი მაკროეკონო-მიკური მაჩვენებლები % წინა წლის შესაბამის პერიოდთან¹

წელი	2007	2008	2009
მშპ-ს დინამიკი % წინა წლის შესაბამის პერიოდთან			
აშშ	2,1	0,4	-2,6
ევროკავშირი-27	2,9	0,7	-4,2
დიდი ბრიტანეთი	2,6	0,5	-4,9
გერმანია	2,6	1,0	-4,7
საფრანგეთი	2,3	0,3	-2,5
იაპონია	2,3	-0,7	-5,2
ბრაზილია	5,7	5,1	-0,2
რუსეთი	8,1	5,8	-6,0
ინდონეთი	9,3	7,5	5,7
ჩინეთი	13,0	9,0	8,7
სამრეწველო წარმოების დინამიკი % წინა წლის შესაბამის პერიოდთან			
აშშ	1,5	-2,2	-9,3
ევროკავშირი-27	3,5	-1,8	-13,8
დიდი ბრიტანეთი	0,3	-3,1	-10,1
გერმანია	6,1	0,0	-16,4
საფრანგეთი	1,2	-2,4	-12,3
იაპონია	2,9	-3,2	-21,2
ბრაზილია	5,8	2,7	-7,2
რუსეთი	12,0	0,9	-9,4
ინდონეთი	9,9	4,4	6,7
ჩინეთი	17,7	13,0	11,2

¹ Мониторинг мирового кризиса . 2010, №16. с..6

სამომხმარებლო ფასების ინდექსი % წინა წლის შესაბამის პერიოდთან			
აშშ	2,9	3,8	-0,1
ევროკაცშირი-27	2,4	3,7	1,0
დიდი ბრიტანეთი	2,3	3,6	2,2
გერმანია	2,3	2,8	0,2
საფრანგეთი	1,6	3,2	0,1
იაპონია	0,1	1,4	-1,4
ბრაზილია	3,6	5,7	4,9
რუსეთი	9,0	14,1	11,6
ინდოეთი	6,4	8,4	10,9
ჩინეთი	4,8	5,9	-0,7
უმუშევრობის დონე			
აშშ	4,6	5,8	9,3
ევროკაცშირი-27	7,1	7,0	8,9
დიდი ბრიტანეთი	5,3	5,7	7,6
გერმანია	8,4	7,3	7,5
საფრანგეთი	8,3	7,9	9,4
იაპონია	3,9	4,0	5,1
ბრაზილია	9,3	7,7	8,1
რუსეთი	6,1	6,4	8,4
ჩინეთი	4,1	4,1	4,3
წელი	2007	2008	2009
მშპ-ს დინამიკა % წინა წლის შესაბამის პერიოდთან			
აშშ	2,1	0,4	-2,6
ევროკაცშირი-27	2,9	0,7	-4,2
დიდი ბრიტანეთი	2,6	0,5	-4,9
გერმანია	2,6	1,0	-4,7
საფრანგეთი	2,3	0,3	-2,5
იაპონია	2,3	-0,7	-5,2
ბრაზილია	5,7	5,1	-0,2
რუსეთი	8,1	5,8	-6,0

ინდოეთი	9,3	7,5	5,7
ჩინეთი	13,0	9,0	8,7
სამრეწველო წარმოების დინამიკა % წინა წლის შესაბამის პერიოდთან			
აშშ	1,5	-2,2	-9,3
ევროკავშირი-27	3,5	-1,8	-13,8
დიდი ბრიტანეთი	0,3	-3,1	-10,1
გერმანია	6,1	0,0	-16,4
საფრანგეთი	1,2	-2,4	-12,3
იაპონია	2,9	-3,2	-21,2
ბრაზილია	5,8	2,7	-7,2
რუსეთი	12,0	0,9	-9,4
ინდოეთი	9,9	4,4	6,7
ჩინეთი	17,7	13,0	11,2
აშშ	2,9	3,8	-0,1
ევროკავშირი-27	2,4	3,7	1,0
დიდი ბრიტანეთი	2,3	3,6	2,2
გერმანია	2,3	2,8	0,2
საფრანგეთი	1,6	3,2	0,1
იაპონია	0,1	1,4	-1,4
ბრაზილია	3,6	5,7	4,9
რუსეთი	9,0	14,1	11,6
ინდოეთი	6,4	8,4	10,9
ჩინეთი	4,8	5,9	-0,7
უმუშევრობის დონე			
აშშ	4,6	5,8	9,3
ევროკავშირი-27	7,1	7,0	8,9
დიდი ბრიტანეთი	5,3	5,7	7,6
გერმანია	8,4	7,3	7,5
საფრანგეთი	8,3	7,9	9,4
იაპონია	3,9	4,0	5,1

ბრაზილია	9,3	7,7	8,1
რუსეთი	6,1	6,4	8,4
ჩინეთი	4,1	4,1	4,3

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2007-2009 წლებში მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში ადგილი ჰქონდა მშპ-ს ზრდის ტემპის მნიშვნელოვნად შემცირებას, ხოლო ორი ქვეყნის გამოკლებით მოხდა უარყოფითი ეკონომიკური ზრდა. რაც შეეხება ჩინეთს მშპ-ს ზრდის ტემპი შემცირდა 7,5%-იდან(2008) 6,7%-მდე(2009) და ინდოეთში 17,7%-იდან (2007) 11,2%-მდე.

აშშ-ში, ევროკავშირში, იაპონიაში, ბრაზილიასა და რუსეთში ადგილი ჰქონდა სამრეწველო წარმოების უარყოფით დინამიკას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩა რუსეთი, სადაც 2007 წლიდან 2009 წლამდე სამრეწველო წარმოების მოცულობა 21,4%-ით შემცირდა. სამრეწველო წარმოების მოცულობა კრიზისის პერიოდში სისტემატურად მცირდებოდა ჩინეთში, ინდოეთში შემცირება მოხდა 2008 წელს, ხოლო 2009 წელს წინა წელთან შედარებით იგი 2,3%-ით გაიზარდა. ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზის თან ახლდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უმუშევრობის ზრდა. მაგალითად, აშშ-ში 2009 წელს უმუშევრობამ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 9,3% შეადგინა, რაც ამ ქვეყანაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე. ევროკავშირის წამყვანი ქვეყნებიდან 2009 წელს უმუშევრობის მაღალი დონე დაფიქსირდა საფრანგეთში – 9,4%, კიდევ უფრო მაღალი იყო უმუშევრობის დონე ესპანეთში 17,7% და ისლანდიაში – 9,7%.¹ უმუშევრობის შედარებით დაბალი დონე იყო იაპონიასა და ჩინეთში. ქვემოთ მოგვყავს ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით უმუშევრობის დონეს 2000-2010 წლებში.

¹ Ковзанадзе И. Уроки мирового кризиса: Необходима новая модель регулирования экономики // Вопросы экономики. 2010. №4, ст. 114.

ცხრილი 3.
**უმუშევრობის დონე ქვეყნებისა და რეგიონების მიხედ-
 ვით, % 2000-2010¹**

წელი	2000	2008	2009	2010
მსოფლიო, მლნ ადამიანი	173	185	212	209
% ეკონომიურად აქტიური მოსახლეობა				
მსოფლიო	6,2	5,8	6,6	6,4
განვითარებული ქვეყნები	6,7	6,0	8,4	8,8
აშშ	4,0	5,8	8,9	9,4
ევროკავშირი-27	8,7	7,0	9,3	9,6
იაპონია	4,7	4,0	5,1	5,1
დასთ და სამხრეთ-აღმო- სავლეთი ევროპა	10,6	8,3	10,3	10,1
რუსეთი	10,6	6,3	8,4	8,2
ახლო აღმოსავლეთი	9,5	9,2	9,4	9,2
სამხრეთი აზია	4,5	4,8	5,1	4,9
სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და ოკეანეთი	5,0	5,3	5,6	5,5
აღმოსავლეთი აზია	4,5	4,3	4,4	4,3
კორეის სახალხო რეს- პუბლიკა	-----	4,1	4,3	4,2
ლათინური ამერიკა	8,4	7,0	8,2	7,9

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი საგრძნობ-
 ლად შეეხო პოსტკომუნისტურ, განსაკუთრებით ბალტიის
 ქვეყნებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კრიზის ამ რე-
 გიონში წინ უძლოდა სერიოზული ეკონომიკური აღმავლობა
 – ყოველწლიური 7-8%-იანი ეკონომიკური ზრდის სახით. ბალ-
 ტიის ქვეყნებში ეკონომიკის „გადახურებასაც“ კი ჰქონდა ად-

¹ Мониторинг мирового кризиса . 2010, №16. с.8.

გილი, რაც გამოწვეული იყო ფიქსირებული სავალუტო კურსების დაწესებით, და ამ ქვეყნების ეროვნული ვალუტების მყარ ვალუტაზე „მიბმით“. აქედან გამომდინარე, იქ შედიოდა დიდი მოცულობის ფინანსური ნაკადები უპირატესად მოკლე ვადიანი კრედიტების სახით. 2008 წლის დეკემბრიდან კრედიტების მოცულობა საგრძნობლად შემცირდა. პირიქით, დაიწყო კაპიტალის გადინების პროცესი, რაც სერიოზული დარტყმა იყო ამ ქვეყნების ეკონომიკისთვის. მშპ-ს მოცულობა 2008-2009 წლებში შემცირდა: ლატვიაში 22%-ით, ლიტვაში 16%-ით, ესტონეთში 17%-ით.¹

ბალტიის ქვეყნებში განვითარებული კრიზისის მიზეზები და ლოგიკა ძალიან მსგავსი აღმოჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 1997 წლის ფინანსური კრიზისის. ორივე მათგანი პროვო-ცირებული იყო ფიქსირებული კურსის დაწესების შედეგად ე.წ. „ცხელი ფულის“ დიდი მასის მოდინებით და კერძო სექტორის დავალიანების გიგანტური გაზრდით. ეს კრიზისები წარმოიშვა არა საბიუჯეტო სექტორში, არამედ სწორედ კერძო ფინანსურ სექტორში და ეკონომიკის სხვა სეგმენტებზე ამ სექტორი-დან გავრცელდა. ფინანსურმა კრიზისმა ძლიერი უარყოფითი ზეგავლენა იქონია განვითარებადი და გარდამავალი ეკონო-მიკის ქვეყნებში ინვესტიციების შედინებაზე. განვითარებადი ბაზრებისა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საგარეო დაფინანსებამ 2008 წლის ბოლოს შეადგინა 572,3 მლრდ აშშ დოლარი, რაც 2007 წლის დონის მხოლოდ 60% იყო.² ეს გან-საკუთრებით საგრძნობი გახდა 2008 წლის შუა პერიოდში, რო-მელიც მსოფლიო ფინანსური კრიზისის „ფსკერი“ აღმოჩნდა. ასე მაგალითად, უცხოური ინვესტიციების შედინება ჩინეთსა და ინდოეთში შემცირდა 2,1-ჯერ, ბრაზილიაში 1,7-ჯერ, მე-ქსიკაში 1,6-ჯერ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მძიმე

¹ Alvakez-plata P. Engerer H. The Baltic States: No end to the Crisis. DIW Berlin Weekly Report. 2009, 34, p.15.

² Греф Г., Юданова К. Российская банковская система в условиях глобального кризиса // Вопросы экономики. 2009. №7, ст. 12.

აღმოჩნდა არგენტინის მდგომარეობა, სადაც უცხოური ინვესტიციების მოცულობა 5-ჯერ შემცირდა.¹ 2009 წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული გარკვეული პოზიტიური ძვრების მიუხედავად, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკაში შეინიშნებოდა, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კაპიტალის შედინება არ გაზრდილა და კრიზისის წინა პერიოდის დონეს დაახლოებით 2-ჯერ ჩამორჩებოდა. ამასთანავე მოხდა უცხოური სესხების დაახლოებით 250-300%-ით გაძვირება,² რაც გლობალურ-საფინანსო ბაზრებზე ლიკვიდურობის მწვავე კრიზისის პირდაპირი შედეგი იყო.

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი შედეგები გამოიხატება იმ ეკონომიკური ზარალით, პოლიტიკური, სოციალური, მორალურ-ფინანსური ხასიათის დანაკარგებით, რომელებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურად უმეტესმა ნაწილმა განიცადა ამ კრიზისის შედეგად. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მათგანის შესახებ გვექნება ქვემოთ მსჯელობა.

კრიზისის შედეგად აქტივების, უძრავი ქონების ღირებულების, საფონდო ბირჟის კაპიტალის და ა.შ. დანაკარგებმა, აზიის განვითარების ბანკის შეფასებით 50 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა, რომელშიაც 29 ტრლნ დოლარი საფონდო ბაზრების კაპიტალიზაციის შემცირებაზე მოდის. აშშ-ის შინა მეურნეობის კეთილდღეობა 2007 წლის პიკურ მაჩვენებელთან შედარებით 20%-ით შემცირდა და ჯამურმა დანაკარგებმა შეადგინა 13 ტრლნ დოლარი, ანუ ამ ქვეყნის მშპ-ს ეკვივალენტი.³

ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტებიდან დაახლოებით 8 ტრლნ აშშ დოლარი გამოიყო, რომელიც ფაქტობრივად გადასახადის გადამხდელ

¹ Григорьев П. , Салихов М. финансовый кризис – 2008: вхождение в мировую рецессию // Вопросы экономики. 2008. №12, ст. 72.

² ოგივე წყარო, გვ.77

³ Греф Г., Юданова К. Российская банковская система в условиях глобального кризиса // Вопросы экономики. 2009. №7, ст.

მოქალაქეთა ჯიბიდან ამოღებული ფული იყო და უკიდურესად აუარესებდა მათ მატერიალურ მდგომარეობას.

კრიზისის უარყოფითი ეკონომიკური შედეგები ასევე გამოიხატა როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ-სახელმწიფო დონეზე საქონლისა და მომსახურების მიწოდების შემცირებით და ამავე დროს ერთობლივი მოთხოვნის საგრძნობი შეკუმშვით, სამომხმარებლო ფასების ინდექსის შემცირებით, საფონდო იდექსების დაცემით, უმუშევრობის დონის ამაღლებით და ა.შ. ამასთანავე, მისი უარყოფითი შედეგები მხოლოდ ეკონომიკური ასპექტით როდი ამოიწურება. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ზოგიერთ ქვეყანაში სერიოზულ პოლიტიკურ რყევებს დაუდო სათავე. მათ შორის უნდა დავასახელოთ ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი და სტაბილური ქვეყანა ისლანდია, რომლის ბაკებსაც უზარმაზარი დავალიანება დაუგროვდა უმსხვილესი ევროპული, განსაკუთრებით ბრიტანული და პოლანდიური ბანკების მიმართ. ეკონომიკური მდგომარეობის საგრძნობლად გაუარესებით უკამაყოფილო მოსახლეობა ქუჩის მასობრივ დემონსტრაციებზე გამოვიდა, რასაც შედეგად ისლანდიის მთავრობის გადადგომა მოყვა. ისლანდიის პრეზიდენტმა გამოაცხადა საყველთაო სახალხო რეფერენდუმი, რომელზედაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ევროპის კომერციული ბანკების მიმართ დავალიანების გასტუმრებაზე უარის თქმის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ფინანსური კრიზისის გამო უმძიმეს ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩნდა ბალტიის სამივე ქვეყანა, სადაც ასევე მასობრივი გამოსვლები დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებით ლატვია გამოირჩა, რომლის მთავრობა იძულებული გახდა გადამდგარიყო. იგივე მიზეზის გამო გადადგა უნგრეთის პრემიერ-მინისტრი და მისი მთავრობაც. 2008 წლის ნოემბერში ფართო მასშტაბის ანტისახელისუფლებო გამოსვლები დაიწყო თბილისში, რომელიც 7 ნოემბერს დამთავრდა ძალოვანი სტრუქტურების, მათ შორის საჯარისო ნაწილების გამოყენებით მომიტინგეთა დარბევით. საქართ-

ველოს პარლამენტმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა. ნოემბრის გამოსვლებს თან მოჰყვა პოლიტიკური კრიზისი. პრეზიდენტი სააკაშვილი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ მონაწილეობა მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში და გაიმარჯვა მცირე უპირატესობით.

ნოემბრის გამოსვლები პირველი სერიოზული დარტყმა იყო სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმზე, რომელმაც ხელი შეუწყო 2012 წლის ოქტომბერში მისი საპარლამენტო გზით შეცვლას.

გლობალური ფინანსური კრიზისი ბევრი პირვენული ტრაგედიის უშუალო მიზეზადაც იქცა. აშშ-ს უმსხვილესი იპოთეკური სააგენტოს Freddie Mac-ის ფინანსურმა დირექტორმა დ.კელერმანმა 2008 წლის 22 აპრილს თავი მოიკლა. თვითმევლელობის მიზეზი ოფიციალურად არ დასახელებულა, თუმცა პრესა ამ ფაქტს კომპანიაში წარმოქმნილ პრობლემებს უკავშირებდა. 2009 წლის 7 იანვარს ტყვია დაიხალა უძრავი ქონებით ვაჭრობის ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული ფირმის დირექტორმა ს.გუდმა. თვითმევლელობამდე ცოტა ხნით ადრე გუდმა საჯაროდ გამოხატა თავისი შეშფოთება კრიზისის გამო, რომელმაც ნეგატიური ზეგავლენა იქონია უძრავი ქონების ბაზარზე და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაზე. გუდის თვითმევლელობამდე ერთი დღით ადრე მატარებელს ჩაუვარდა გერმანელი მილიარდერი ა.მერკლე, რომელმაც რამდენიმე დღის განმავლობაში ორი მილიარდი ევრო დაკარგა. 2008 წლის დეკემბერში, შობის წინა დღეებში ვენები გადაიჭრა ფრანგმა ინვესტორმა რენე ტიერი დე ლა ვულუშემ. მიზეზი იყო 1,5 მლრდ დოლარის დაკარგვა, რომელიც მას ჩადებული ჰქონდა ერნარდ მეიდოფის ფრანგულ საფინანსო პირამიდაში. მეიდოფის მიერ ბიზნეს პარტნიორებისთვის მიყენებულმა ზარალმა საერთო ჯამში 50 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ასევე 2008 წლის დეკემბერში ლონდონის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში თავი ჩამოიხრჩო HSBC-ის ტოპ-მენეჯერმა კ. შნორმა.

აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდისთვის ამ ბანკს მწვავე ფინანსური პრობლემები ჰქონდა. კერძოდ, წლის დასაწყისში ბანკმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აშშ-ში დახურავდა ბევრ ფილიალს და მოახდენდა თანამშრომელთა მასობრივ დათხოვნას. 2008 წელს HSBC-ის მოგება წინა წელთან შედარებით 70%-ით შემცირდა. „ეკონომიკური სტრესის“ სიაში კიდევ ბევრი ფინანსისტი და ბიზნესმენი მოხვდა, რომლებსაც სერიოზული ნერვული აშლილობა დაემართა მიმდინარე პროცესების გამო.

ამრიგად, 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი მოვლენა აღმოჩნდა, რომლის მსგავსი კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაში არ ყოფილა 1930-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ შემდეგ.

4.2. ანტიკრიზისული პოლიტიკა სახელმწიფო და ზესახელმწიფო დოკუმენტები

ფინანსური კრიზისისადმი დამოკიდებულება სახელმწიფოს და ზესახელმწიფო წარმონაქმნების მხრიდან ფრიად განსხვავებული იყო კრიზისის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. თავდაპირველად უპირატესობა მიენიჭა პროცესში ჩაურევლობის პრინციპს, რომელიც ემყარებოდა შემდეგ თეორიულ პოსტულატს: კერძო სამეურნეო სუბიექტები ყველაზე უკეთესად არიან ინფორმირებული ბაზარზე მიმდინარე მოვლენებზე. შესაბამისად შეუძლიათ ამ მოვლენებზე რაციონალური რეაგირება. ისინი ასევე თავად აგებენ პასუხს მათ წინაშე წამოჭრილ პრობლემებზე. სწორედ ასეთ მიდგომას ჰქონდა ადგილი აშშ-ს ერთ-ერთი უმსხვილესი და უძველესი – 175 წლის ისტორიის მქონე საინვესტიციო ბანკის – Lehman Brothers-ის მიმართ. ფაქტობრივად გაკოტრების წინაშე მყოფმა ბანკმა ფინანსური დახმარებისთვის ფედერალურ სარეზერვო სისტემას (ფედი) მიმართა და მისგან უარი მიიღო. ბანკი გაკოტრდა, რამაც კატა-

ლიზატორის როლი ითამაშა ფინანსური კრიზისის დაჩქარებაში, აჩვენა რა პროცესში სახელმწიფოს ჩაურევლობის სიმცდარე და კონტრპროდუქტიულობა. აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი დიდ ბრიტანეთშიც: ფინანსური კრიზისის საწყის ეტაპზე ქვეყნის იმუამინდელმა პრემიერ მინისტრმა გორდონ ბრაუნმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ გამართლებულად არ მიაჩნდა საბანკო სფეროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების გაწევა. მოგვიანებით მსგავსი შეხედულებები თითქმის ყველგან შეიცვალა. წამყვანი ქვეყნის მთავრობები და გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად შეუდგნენ ანტიკრიზისული ღონისძიებების განხორციელებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია აშშ-ის გამოცდილება.

4.2.1. აშშ-ს და ზოგიერთი სხვა წამყვანი ქვეყნის ანტიკრიზისული სამთავრობო პოლიტიკა

აშშ-ს მთავრობის მხრიდან პრობლემური ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების დახმარება რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა:

- ე.წ. „რბილი ნაციონალიზაცია“, ანუ კომპანიების წილში სახელმწიფოს შესვლა;
- რეკაპიტალიზაცია, რომლის სამი მეთოდი იქნა გამოყენებული: ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი ფინანსური დახმარების გაწევა; ბ) სახელმწიფოს მიერ ე.წ. „ცუდი“, ანუ „ტოქსიკური“ აქტივების შეძენა და გ) სახელმწიფოს მონაწილეობა უფრო მსხვილი, ფინანსურად ძლიერი ბანკების მიერ პრობლემური ბანკების არასაბაზრო ნომინალური ღირებულებით შესყიდვების პროცესში. არსებობდა შემთხვევები, როცა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების კომბინირებული გა-

მოყენება ხდებოდა. მნიშვნელოვან ანტიკრიზისულ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს კერძო კომპანიების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერება, რასაც ადგილი ჰქონდა კრიზისის პირობებში და უშუალოდ პოსტკრიზისულ პერიოდში. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული უწმინდესსა და უნეტარესს ილია II, რომელიც ბრძანებს: „ახალი სისტემური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით დასავლეთმა კურსი ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო სექტორის შედარებით გაძლიერებაზე აიღო, რაც თავისთავად თავისუფალი ბაზრიდან უფრო რეგულირებად ბაზარზე გადასვლას გულისხმობს“.¹

რეგულირებას ითვალისწინებდა პრეზიდენტ ბ. ობამას ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული პროგრამა, რომლის მიხედვითაც ფედერალურ სარეზერვო სისტემას მიენიჭა აშშ-ს მთელ ფინანსურ სისტემაზე ზედამხედველობის უფლება. პროგრამის ფარგლებში მიღებული კანონით ერთმანეთისგან გაიმიჯვა ბანკების პროფილური (საბანკო) და ინვესტიციური ფუნქციები, რასაც არ ჰქონდა ადგილი 1990-იანი წლებიდან.²

საფინანსო სფეროს სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებას ემსახურებოდა აშშ-ს მთელი რიგი მაკონტროლირებელი ინსტიტუციური სტრუქტურების შექმნა. ასე მაგალითად: 2009 წლის ბოლოს შეიქმნა „ფინანსური მომსახურების მიწოდებაზე კონტროლის საბჭო (Financial Oversight Council)“, რომლის ძირითად ამოცანებად განისაზღვრა პოტენციურად სახითაო რისკების აღრეულ სტადიებზე გამოვლენა, არსებულ მარეგულირებელ ორგანოებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება

¹ ეკონომიკა და ბიზნესი. 2009, , N3, გვ.29.

² უნდა აღინიშნოს, რომ ბანკების პროფილური და არაპროფილური საქმიანობის გამიჯვნა 1929-1933 წლების „დიდი დეპრესიის“ გავლენით მოხდა. კერძოდ, 1933 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო ე.ნ. გლასს-სიგალის კანონი, ანუ „საბანკო აქტი“, რომელიც ბანკებს უკრძალავდა საინვესტიციო და სხვა არაპროფილურ საქმიანობას. ეს აკრძალვა ექვს ათეულ წელზე მეტი გაგრძელდა და 1999 წელს გაუქმდა გრემი-ლიჩი-ბლაილის კანონით, რომელიც, ფაქტობრივად, ყოველგვარ კონტროლს ხსნიდა სფინანსო სფეროზე.

და ყველა ფინანსური კომპანიისგან შესაბამისი ინფორმაციის მიღება. ასევე შეიქმნა ეროვნული საბანკო რეგულატორი (National Bank Supervisor), რომელსაც დაევალა პრუდენციული რეგულირების ფუნქციის განხორციელება. ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში ჩამოყალიბდა „დაზღვევის ეროვნული ოფისი (National Insurance Office)“. აქვე შევნიშნავთ, რომ მანამდე აშშ-ში ფედერალურ დონეზე სადაზღვევო სფეროს ერთიანი რეგულატორი არ არსებობდა. ფინანსურ ბაზრებზე მომხმარებლებისა და ინვესტორთა უფლებების დაცვის გაძლიერების მიზნით, ერთიანი ფედერალური მარეგულირებელი ორგანოს სახით შეიქმნა „მომხმარებელთა ფინანსური დაცვის სააგენტო (Consumer Financial Protection Agency – CFPA)“. ყოველივე აღნიშნული იმას ადასტურებს, რომ ფინანსური კრიზისის მძიმე გამოცდილებიდან გამომდინარე, აშშ-ში, რომელიც ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის კლასიკურ მოდელს წარმოადგენს, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ეკონომიკის რეგულირების გაძლიერების თვალსაზრისით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშშ-ში ბანკების და სხვა მნიშვნელოვანი საფინანსო ინსტიტუტების რეკაპიტალიზაცია განხორციელდა „რბილი ნაციონალიზაციის“ გზით. აღნიშნულის კლასიკურ მაგალითად შეიძლება მიჩნეული იქნეს კრიზისის პირობებში სახელმწიფოს დამოკიდებულება ამერიკული იპოთეკური სააგენტოების Fanny Mae და Freddie Mac მიმართ. ეს ორი კომპანია ამერიკის იპოთეკური ბაზრის სისტემაშემქმნელი ელემენტი იყო, რომელთა წილად მოდიოდა აშშ-ს იპოთეკური ბაზრის დაახლოებით 50%, 5 ტრილიონი აშშ დოლარის გარიგებით.

2008 წლის ზაფხულში მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში ამ კომპანიების აქციების საბაზრო ღირებულება 30%-ზე უფრო მეტად შემცირდა და მათი გაკოტრების თავიდან ასაცილებლად ფინანსთა სამინისტროს უფლება მიეცა 18 თვის მანძილზე მათთვის ულიმიტო საკრედიტო ხაზი გაეხს-

ნა. სანაცვლოდ კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ამგვარად განხორციელდა აღნიშნული კვაზი სახელმწიფო ფინანსური სტრუქტურების¹ ნამდვილ სახელმწიფო სტრუქტურებად ტრანსფორმირება.

2008 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში ფედ-ის მმართველთა საბჭომ აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია AIG (American International Group Inc) – ისთვის 152 მლრდ დოლარის გამოყოფის შესახებ. აქედან 60 მლრდ დოლარი მას მიეცა ხუთწლიანი სესხის სახით, ხოლო 52,5 მლრდ დოლარად გამოსყიდული იქნა კომპანიის პრობლემური აქტივები. სამაგიეროდ AIG-ის აქციების 79,9% აშშ-ის მთავრობის კონტროლის ქვეშ მოექცა, რაც ამ კომპანიის „რბილ“ ნაციონალიზაციას ნიშნავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ფედ-ის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ბ. ბერნანკემ განაცხადა, რომ ეს ღონისძიება განიხილებოდა ერთგვარი „ტამი-აუტის“ აღების სახით, რათა განხორციელებულიყო ფინანსური შუამავლების როლის გადახედვა მისი გაძლიერებისა და სრულყოფის თვალსაზრისით.

აშშ მთავრობის ანტიკრიზისულ ღონისძიებათა პაკეტში წამყვანი პოზიცია დაიკავა „პრობლემური აქტივების გამოსყიდვის პროგრამამ (The Troubled Asset Relief Program – TARP)“ ანუ „პოლსონის გეგმამ“,² რომელიც შემუშავდა აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული „საგანგებო ეკონომიკური სტაბილიზაციის აქტის – (The Emergency Economic Stabilization Act)“ საფუძველზე. მასში აღნიშნულია, რომ აშშ-მ უნდა ჩამოაყალიბოს „თა-

¹ Fanny Mae-ს და Freddie Mac -ის, რომელთა სრული სახელწოდებებია Federal National Mortgage Assotiation -ფედერალური ნაციონალური იპოთეკური ასოციაცია და Federal Home Loan Mortgage Corporation – საცხოვრებელი ბინების იპოტეკური კრედიტის ფედერალური კორპორაცია, ოფიციალურ სტატუსს ნარმოადგენდა „სახელმწიფოს მიერ სპონსორირებული სანარმოები“ - Government Sponsored Enterprises. ისინი გამოდიოდნენ კერძო ბანკების მიერ საცხოვრებელი ბინების (სახლების) შესაძენად გაცემული კრედიტების გარანტორების რილში.

² ამ დოკუმენტის სახელწოდება მომდინარეობს მისი შედეგენის ინიციატორის – აშშ-ს ფინანსთა მინისტრის პენრი პოლსონის გვარიდან.

ნამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი უფრო მოქნილი და სწრა-
ფად ცვალებადი გარემოსადმი ადაპტირებული სტრუქტურა,
რომელშიც უფრო აქტიურად იბრძოლებს წარმოქმნილი პრო-
ბლემების გადასაჭრელად, უფრო ეფექტიანად დაიცავს ინ-
ვესტიორებსა და მომხმარებლებს“. ფაქტობრივად, პოლსონის
გეგმის მიღება ახალი ეტაპის დაწყებას მოასწავებდა ამერიკის
მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში, რაც ნიშნავდა რეგუ-
ლირების არატრადიციული ინსტრუმენტების ფართო გამოყე-
ნებას. „პოლსონის გეგმის“ მთავარი ფინანსური შინაარსი იყო
ნაციონალური ბანკების გაკოტრებისგან გადასარჩენად და
საბანკო პანიკის თავიდან ასაცილებლად ფინანსთა სამინის-
ტროს მიერ უზარმაზარი თანხების – დაახლოებით 700 მლრდ
დოლარის გამოყოფა. აღნიშნული თანხის ფარგლებში ცხრა
უმსხვილესი ამერიკული ბანკის რეკაპიტალიზაციაზე გამოიყო
125 მლრდ დოლარი. აქედან: Citigroup-მა მიიღო 20 მლრდ დო-
ლარი, Bank of America-მ 45 მლრდ დოლარი და ა.შ. სახელმწი-
ფო (ფედერალური) ბიუჯეტიდან მიღებული კრედიტების გა-
მოყენებით უმსხვილესმა ბანკებმა შეისყიდეს გაკოტრების
წინაშე მყოფი ბანკები. კერძოდ: 2008 წლის სექტემბერში ღრმა
კრიზისში მყოფი საინვესტიციო ბანკი Meril Lynch დაახლოე-
ბით 50 მლრდ აშშ დოლარად შეიძინა Bank of America-მ, აშშ-ს
ერთ-ერთი უმსხვილესი შემნახველი ბანკი – Washington Mutua,
რომელმაც 2008 წლის შემოდგომაზე მეანაბრეთა „მასობრივი
შესვეის“ შედეგად მხოლოდ ათი დღის განმავლობაში 16 მლრდ
დოლარზე მეტი დაკარგა და გაკოტრების რელური საფრთხის
წინაშე აღმოჩნდა, შეიძინა JP Morgan hase ბანკმა. ამ გარიგება-
ში აქტიურად მონაწილეობდნენ ანაბრების დაზღვევის ფედე-
რალური კორპორაცია და ფედერალური სარეზერვო სისტემა,
რაც იმას ნიშნავს, რომ იგი განხორციელდა სახელმწიფოს აქ-
ტიური მეთვალყურეობის ქვეშ.

სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარება არ შემო-
იფარგლულა მხოლოდ უმსხვილესი ბანკებით და იგი გავრცელ-

და რეგიონალურ საშუალო და მცირე ბანკებზეც. სახელმწიფო ბიუჯეტიდან 68 მლრდ აშშ დოლარი გამოიყო მათ დასახმარებლად და ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც ერთი ბანკი თუ შემნახველი საზოგადოება, მათ შორის უმცირესობის ჩათვლით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა ბანკების გარდა მოიცავდა სხვა საფინანსო და არასაფინანსო ორგანიზაციებს. ასე მაგალითად: აშშ ფინანსთა სამინისტრომ 200 მლნ აშშ დოლარი გამოიყო მცირე ბიზნესის დასახმარებლად. 2009 წლის 25 სექტემბერს მონეტარულმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ წინა პერიოდში მიღებული ანტიკრიზისული ღონისძიებების ფარგლებში კიდევ 1 მლრდ 250 მლნ დოლარს გამოყოფდა ამერიკის ეკონომიკის მხარდასაჭერად და დაფინანსების პროცესში უპირატესობას მიანიჭებდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებას. 2009 წლის იანვრიდან ფედმა დაიწყო ფინანსური შუამავლებიდან გირაოთი უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების (Mortgage Based Securities- MBS) შესყიდვა, რა მიზნითაც გამოიყო 694 მლრდ დოლარი, რომელსაც 2010 წლის მეორე კვარტალში დაემატა 556 მლრდ დოლარი. ამ ღონისძიებების მთავარი მიზანი იყო იპოთეკური დაკრედიტების ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ხელის შეწყობა. 2008 წლის თებერვალში კონგრესის მიერ დამტკიცებული ეკონომიკის სანაციის პროგრამის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო დაახლოებით 167 მლრდ დოლარი, რომელიც მოხმარდა საგადასახადო შეღავათებს. 117 მილიონმა საოჯახო მეურნეობამ მიიღო შეღავათი შემდეგი პროპორციით: 600 დოლარი ოჯახის თითოეულ მოწიფულ წევრზე, 1200 დოლარი ოჯახურ წყვილზე და 300 დოლარი ოჯახში თითოეულ ბავშვზე. საგადასახადო შეღავათების დაწესება ემსახურებოდა ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას, რომელსაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეეწყო ეკონომიკური ზრდისთვის. ამგვარი მიდგომა სწორი და ლოგიკური იყო, ვინაიდან აშშ-ში

ეკონომიკური ზრდის 80% მოდიოდა ერთობლივი მოთხოვნის გადიდებაზე. მომდევნო პერიოდში კვლავ გაგრძელდა საოჯახო მეურნეობების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები. 2008 წლის 30 ივნისიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი The Housing and Economic Recovery Act of 2008, რომელიც ითვალისწინებდა იპოთეკური დავალიანების მქონე საოჯახო მეურნეობებისათვის 300 მლრდ დოლარის დახმარების გაწევას. 2009 წლის 25 მარტს ფედერალურმა სარეზირვო სისტემამ გამოაცხადა სამომხმარებლო დაკრედიტების სტიმულირების პროგრამა და შექმნა შესაბამისი ფონდი Tekm Asset Backet Sekuritie Lending Facility (TAUF), რომლის მთავარი დანიშნულება იყო მცირე ბიზნესის და ინდივიდუალური მომხმარებლების ხელმისაწვდომობის გაზრდა შედარებით მცირე მოცულობის კრედიტებზე. ფონდში გადაირიცხა 200 მლნ აშშ დოლარი.

ამრიგად, კრიზისის პერიოდში შშ-ის მთავრობამ უპრეცედენტო ინტერვენციები განახორციელა ეკონომიკაში, რომელიც მხოლოდ საწყის ეტაპზე აშშ-ს მშპ -ს დაახლოებით 5%-ს შეადგენდა. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ რუზველტის მიერ გატარებული „ახალი კურსის“ ფარგლებში 1930-1940-იან წლებში ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმუამინდელი ბიუჯეტის 2% გამოიყო, რაც ასევე უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელი იყო იმ პერიოდისთვის.

აშშ-ში განხორციელებული ანტიკრიზისული პროგრამა მხოლოდ ფინანსური კომპონენტისგან არ შედგებოდა და მასში გათვალისწინებული იყო ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ფართო სპექტრი: სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდა განათლებაში, ჯანდაცვაში, სოციალურ დაზღვევაში, ინფრასტრუქტურაში, ეკოლოგიაში და მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი კატეგორის დახმარება. ამ კონტექსტით უნდა იქნეს განხილული ეკონომიკის აღდგენისა და ამერიკაში რეინვესტირების კანონი (American Recovery and Reinvestment Act 2009). კანონის ძირი-

თადი მიზანი იყო ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რისთვისაც გამოიყო 787 მლრდ აშშ დოლარი. კანონი ასევე ითვალისწინებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 43,2 მლრდ დოლარის გამოყოფას დაწყებითი განათლების და უმაღლესი სკოლის მოდერნიზაციასა და ტექნიკურ აღჭურვაზე, ზოგადად სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ღარიბების, შეზღუდული შესაძლებლობების პირების და ორენოვანი მოსახლეობის განათლების გაუმჯობესების საკითხს. 15,6 მლრდ დოლარი გამოიყო სტუდენტების სტიპენდიებზე. ჯანდაცვის ბიუჯეტი დამატებით გაიზარდა 22,4 მლრდ დოლარით. განხორციელდა უმუშევრების დახმარების ვადებისა და მოცულობის გაზრდა. ყველაზე შეჭირვებულ ოჯახთა დასახმარებლად გამოიყო 5 მლრდ დოლარი. ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ აშშ-ს მთავრობამ კარგად გააცნობიერა ჭეშმარიტება – სოციალურ კაპიტალში სახსრების ინვესტირება არის არა მარტო მწვავე ფინანსური კრიზისიდან თავის დაწევის საშუალება, არამედ ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. აღნიშნული თვალსაზრისით ნიშანდობლივია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამაში იმ დარგების პრიორიტეტულ დაფინანსებაზე ხაზგასმა, რომლებმაც კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს აშშ-ს, როგორც მსოფლიო ლიდერის პოზიციები. ეს შეეხება მაღალი ტექნოლოგიისა და მეცნიერებათტევად მიმართულებებს. აშშ მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე გამოსვლისას ამერიკის იმუშამინდელმა პრეზიდენტმა პ. ობამამ მიმოხილა ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი რთული მდგომარეობა და განაცხადა: „არსებობენ ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ ამ რთულ მომენტში ჩვენ თავს უფლება არ უნდა მივცეთ გავზარდოთ ინვესტიციები მეცნიერებაში და შემოვიფარგლოთ მხოლოდ მინიმალური აუცილებლობით. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები ამას. მეცნიერება დღეს, როგორც არასდროს,

საჭიროა ჩვენი კეთილდღეობისათვის, უსაფრთხოებისთვის, ჯანმრთელობისთვის, ჩვენი საცხოვრისი გარემოს და ცხოვრების ხარისხის შენარჩუნებისთვის“.¹

გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც აშშ-ში დაიწყო, სხვადასხვა სიმწვავით შეეხო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას. შესაბამისად საინტერესოა ამ ქვეყნების მთავრობათა მიერ განხორციელებული ანტიკრიზისული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის ანალიზი.

როგორც აღვნიშნეთ, **დიდი ბრიტანეთის** მთავრობის დამოკიდებულება ფინანსური კრიზისის მიმართ თავდაპირველად თავშეკავებული იყო. ეს იმაშიაც გამოიხატა, რომ ინგლისის ცენტრალური ბანკი (ინგლისის ბანკი) აშშ-ში მიმდინარე კრიზისის მიუხედავად საკმაოდ ზომიერ ფულად პოლიტიკას ატარებდა. მოგვიანებით, განსაკუთრებით Northern Rock ბანკის გაკოტრების ფონზე, ასეთი პოლიტიკა არაეფექტიანად იქნა მიჩნეული და დაიწყო აქტიური ანტიკრიზისული ღონისძიებების განხორციელება, რომელთა შორის აღსანიშნავია ორი მსხვილი ბანკის Northern Rock და Bank of Scotland საკონტროლო პაკეტის და ასევე Lloyds Banking Group-ის აქციების 43%-ის შესყიდვა სახელმწიფოს მიერ. მთლიანობაში, სახელმწიფომ გამოისყიდა 50 მლრდი გირვანქა სტერლინგის პრობლემური აქტივები. 2008 წლის აპრილში ინგლისის ბანკმა შემოიღო ლიკვიდურობის მიწოდების ახალი სქემა, რომელიც ითვალისწინებდა „იპოთეკით უზრუნველყოფილი მაღალი ხარისხის ფასიანი ქაღალდების“ „სვოპ-ის“ გაცვლას სახელმწიფო ობლიგაციებზე 3 წლამდე ვადით.²

2009 წლის იანვრისთვის სახელმწიფო ობლიგაციებზე გაცვლილი აქტივების მთლიანმა მოცულობამ 185 მლრდ გირვ.

¹ Remarks by President at the National Academy of Sciences Annual Meeting. The White House, Office of the Press Secretary. April 27, 2009. <http://www.scientific.ru/trv/2009/obama.htm>

² ელიავა ლ. საბანკო კრიზისების პროგნოზირება. თბ., 2013, გვ.134.

სტერლინგი შეადგინა.¹ თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ ამ პროგრამას შეზღუდული ვადა ექნებოდა, თუმცა ამან ვერ უზრუნველყო ბანკების მდგომარეობის გაუმჯობესება და მიღებული იქნა გადაწყვეტილება პროგრამის ვადის შეუზღუდავად გაგრძელების თაობაზე. 2008 წლის შემოდგომაზე ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტრომ და ინგლისის ბანკმა 500 მლრდ გირვ. სტერლინგი გამოყო ბანკების ვალების გარანტიებსა და რეკაპიტალიზაციაზე. ამის შედეგად დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ვალი საგრძნობლად გაიზარდა – მთლიანი შიგა პროდუქტის 224%-დან(1990წ.) 466%-მდე 2009 წელს.²

მნიშვნელოვან ანტიკრიზისულ ღონისძიებად შეიძლება იქნეს მიჩნეული დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ დამატებული ლირებულების გადასახადის 17,5%-იდან 15%-მდე შემცირება,³ რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ბიზნესის სტიმულირებისათვის და დადებითად ემოქმედა როგორც ერთობლივი მოთხოვნის, ისე ერთობლივი მიწოდების მხარეებზე.

გერმანიის ბუნდესბანკმა აქტიური მოქმედება კრიზისის პირველი დღეებიდავე დაიწყო. 2008 წლის დასაწყისში მთავრობას ფინანსური დახმარებისთვის მიმართა იპოთეკურმა ბანკმა Hyporeal Estate Group(HRE), რომლის დანაკარგებმა 50 მლრდ ევრო შეადგინა. 2008 წლის სექტემბერში გერმანიის ფინანსთა სამინისტრომ მას გაუკეთა გარანტია 26,5 მლრდ ევროზე, რომლის ქვეშაც ბუნდესბანკისგან HRE-მ მიიღო 20 მლრდ ევროს კრედიტი. კრიზისში მყოფი ყველა გერმანული ბანკის დასახმარებლად ფინანსთა სამინისტროს მიერ დაახლოებით 1 ტრილი ევრო იქნა გაცემული. აღნიშნული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა ბანკებში გერმანელი მოქალაქეების შენატანების 100%-იან დაცვას. მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე გამოიყო 82 მლრდ ევრო. ამასთან ერთად, 2009

¹ ელიავა ლ. დასახელებული ნაშრომი, იქვე

² www.bank-of-england.co.uk/publications/news/2009/019.htm

³ Международная экономика 2009. №7 с.15.

წლის დასაწყისში ფედერალურ დონეზე შეიქმნა ფინანსური სტაბილიზაციის ფონდი 480 მლრდ ევროს მოცულობით. ფონდის შენატანების 65% განხორციელდა ფედერალური, ხოლო 35% ცალკეული მიწების ბიუჯეტებიდან. კრიზისის პირობებში გერმანიაში საგრძნობლად მოიმატა უმუშევრობამ, რის გამოც ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები იქნა მიმართული ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

იაპონიაში გლობალური ფინანსური კრიზისი დაემთხვა სანგრძლივვადიან, ანუ ე.წ. „საუკუნის რეცესიას“. იაპონიის ცენტრალური ბანკი (იაპონიის ბანკი) ტრადიციულად ახორციელებდა ექსპანიონისტურ საკრედიტო პოლიტიკას და კრედიტებს აძლევდა როგორც კერძო ფინანსურ ორგანიზაციებს, ისე მთავრობას. იგი ძალიან დაბალ დონეზე ინარჩუნებდა რეფინანსირების განაკვეთებს და კომერციული ბანკები შედარებით დაბალ პროცენტიან სესხებს გასცემდნენ. იაპონიის ეკონომიკური სტრუქტურა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ცენტრალური ბანკი აქ გაცილებით დიდ როლს თამაშობს სამეურნეო ცხოვრებაში, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკი. ფინანსური კრიზისის დაწყების შემდეგ ეს როლი კიდევ უფრო გაძლიერდა და იაპონიის ბანკმა ქვეყნის მთავრობასთან ერთად, მიიღო როგორც ქვეყნის საფინანსო სისტემის შექმნელი კომპანიების, ისე საშუალო და მცირე სანარმოების აქტიური საფინანსო დახმარების პროგრამა. ამ მიზნით 2009 წლის ბოლოს-თვის უკვე გამოყოფილი იყო 5,5 ტრლნ იენი. მთავრობისა და იაპონიის ბანკის მიერ განხორციელებული ფინანსური ინტერვენციების მოცულობამ 2010 წელს 31 მარტის მდგომარეობით 9,6 ტრლნ აშშ დოლარი, ანუ ქვეყნის მშპ-ს 225% შეადგინა.¹

სახელმწიფოთა მთავრობების მიერ განხორციელებული ანტიკრიზისული პოლიტიკის ანალიზი სრული ვერ იქნება, თუკი არ შევეხებით მის ზოგიერთ მიკროეკონომიკურ ასპექტს. მკვლევარები ძირითადად თანხმდებან იმაში, რომ ფინანსური

¹ Зотин А. Великий деловеридж //Финансы, 2010, №10, с. 36.

კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი იყო კომპანიების საქმიანობაში კაპიტალიზაციის მაჩვენებლების გაფეტიშება და მისი დომინირება ყველა სხვა ეკონომიკურ მაჩვენებელზე. სწორედ კაპიტალიზაციის მაღალი დონე აინტერესებდა მენეჯერებს ყველაზე უფრო, ვინაიდან ამას მოითხოვდნენ მათგან კომპანიების აქციონერები. ამით ფასდებოდა მათი საქმიანობა, შესაბამისად ხორციელდებოდა მათი შრომის ანაზღაურება და მატერიალური სტიმულირება. ისეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები, როგორიცაა შრომის მწარმოებლურობა, ეკონომიკური ეფექტიანობა, წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური განახლება და სხვა, ჩრდილში იყო მოქცეული. ამან, საბოლოო ანგარიშით, კომპანიების დემოტივაცია წარმოშვა ინოვაციებისა და ტექნოლოგიური პროგრესის მიმართ. სწორედ აღნიშნულ გარემოებაზე ამახვილებდა ყურადღებას ცნობილი ამერიკელი ნობელიანტი ეკონომისტი პოლ სამუელსონი, რომელიც კრიტიკას არ იშურებდა უმსხვილესი კომპანიების ტოპ-მენეჯერთა მისამართით, რომლებიც, მისი აზრით „უსინდისოდ მაღალ ანაზღაურებას იღებენ“ და ეს ანაზღაურება 400-ჯერ მეტია ჩვეულებრივი მუშაკების ჯამაგირზე. ოცი წლის წინ კი განსხვავება მხოლოდ 40-ჯერადი იყო.¹ მეცნიერის აზრით, ამგვარი განსხვავება „ძირს უთხრის მწარმოებლურობას“, ვინაიდან ტოპ-მენეჯერებმა შესაძლებელია დიდი ბონუსები მიიღონ მოკლევადიან პერიოდში მოგების გაზრდის და არა კომპანიის გრძელვადიანი წარმატებული განვითარების შემთხვევაში. სამუელსონი ასევე მიიჩნევდა, რომ მოგების ზრდა სხვადასხვა გარემოების გამო, მენეჯერების არაეფექტიანი საქმიანობის პირობებშიც არის შესაძლებელი. კრიზისის პირობებში დღის წესრიგში დადგა მენეჯერთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ამოცანა და პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა ამ მიმართულებით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 25 ათასიან და უფრო მაღალ

¹ პროფ. პ. სამუელსონის ინტერვიუ გერმანულ გაზეთ „Die Welt“-ს || მир перемен. 2009, №1, გვ.10-11.

ბონუსზე დაწესდა 50%-იანი საშემოსავლო გადასახადი, აშშ-ში უარი ეთქვა ტოპ-მენეჯერებზე გარანტირებული ბონუსების გაცემას და ა.შ.

ამრიგად, აშშ-ში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, სახელმწიფო ანტიკრიზისული პოლიტიკის მთავარი სუბიექტის როლში მოგვევლინა და მთლიანობაში წარმატებით განახორციელა ეს ფუნქცია. 2010 წლის შუა პერიოდში კრიზისი ძირითადად დაძლეული იქნა. რიგმა ბანკებმა წარმატებით დაიწყეს აღებული სესხების სახელმწიფოსთვის უკან დაბრუნება. მაგალითად: აშშ-ში TARP-ის ფარგლებში მთავრობის მიერ ბანკებისთვის მიცემული 204 მლრდ დოლარიდან 2010 წლის ბოლოს მათ უკან დააბრუნეს 164 მლრდი დოლარი. მათ შორის Citi Group-მა – 20 მლრდი დოლარი, Jp Morgan Chase და Wells Fargo-მა – 25-25 მლრდი დოლარი; Bank of Marin Bancorp-მა – 28 მლრდი დოლარი; Bank of America-მ 45 მლრდი დოლარი¹ და ა.შ.

4.2.2. ანტიკრიზისული პოლიტიკა გლობალურ (ზესახელმიწოდო) დონეზე

ფინანსური კრიზისის გლობალურმა ხასიათმა განაპირობა სახელმწიფოების ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებების, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კომპანიების ძალისხმევის გაერთიანების აუცილებლობა კრიზისის დასაძლევად. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო „დიდი ოცეულის“ (G20) სამიტები და დავოსის ეკონომიკური ფორუმები, რომლებიც გლობალური ფინანსური კრიზისის მიმდინარეობის პერიოდში გაიმართა. 2008-2009 წლებში შედგა ოთხი შეხვედრა: ვაშინგტონში (2008 წლის ნოემბერი), ბერლინში (2009 წლის თებერვალი), ლონდონში (2009 წლის აპრილი) და პიტსბურგში (2009 წლის სექტემბერი). ასევე

¹ Вперёд в прошлое? //Национальный банковский журнал. №4. с.21.

მნიშვნელოვანი იყო დავოსის 2010 წლის იანვრის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მიღებული გადაწყვეტილებები. აღნიშნულ შეხვედრებზე დაფიქსირდა გლობალური ეკონომიკის რეფორმირების ახალი ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიის შექმნის აუცილებლობა იმ ღრმა ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს სისტემაშემქმნელ სტრუქტურებში განხორციელდა ბოლო პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული კონტექსტით, მნვავე შეფასება მიეცა გლობალიზაციის გაბატონებულ ნეოლიბერალურ (ანგლო-საქსურ) მოდელს. ხაზი გაესვა მსოფლიოს უმეტესი ქვეყნისა და ხალხისთვის მისაღები მოდელის შექმნის აქტუალურობას.

G20-ის ბერლინის სამიტზე საფრანგეთის პრეზიდენტმა ნ. სარკოზიმ განაცხადა: „საჭიროა კაპიტალიზმის შექმნა თავიდან დავიწყოთ“ და იქვე ახსნა ამის მიზეზი: „სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ყველაფერი საბოლოოდ დაინგრეოდა ... ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ბაზარი ყოველთვის მართალია და შეიქმნა სამყარო, რომელშიც ყველაფერს იღებს კაპიტალი და თითქმის არაფერს მშრომელი ... ჩამოყალიბდა კაპიტალიზმი, სადაც სხვისი კაპიტალით თამაში ნორმალურია და დიდი ფულის შოვნა განსაკუთრებულ ძალისხმევას არ მოითხოვს... ამჟამად მთავარი ამოცანაა ეკონომიკამ ადამიანისთვის იმუშაოს“.¹ დავოსის მსოფლიო ეკონომიკის ფორუმზე, 2010 წლის 30 იანვარს, სარკოზიმ ჩამოყალიბა ამ ახალი მოდელის, მისი აზრით, სამი მთავარი პოსტულატი:

- „ფინანსური ოლიგარქია“ უნდა შეცვალოს „სამეწარმეო კაპიტალიზმა“;
- ფინანსურ სფეროზე უნდა დამყარდეს კონტროლი როგორც სახელმწიფო, ისე ზესახელმწიფო დონეებზე და ზოგადად, უნდა მოხდეს რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა;²

¹ Мировая экономика. 2009, №2, с.5.

² Мировая экономика. 2010, №1, с.6.

- ეკონომიკა უნდა ემსახუროს არა ფინანსურ კაპიტალს, არამედ ადამიანს.

დავოსის იმავე მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გერმანიის კანცლერმა ა. მერკელმა დასძინა, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის მსგავსი მოვლენების თავიდან აცილების ყველაზე საუკეთესო საშუალებაა მსოფლიოში სოციალური საბაზრო სისტემის საყოველთაო გავრცელება. მანვე დააყენა საკითხი გაეროს უშიშროების საბჭოს მსგავსი ორგანოს – გაეროს მსოფლიო ეკონომიკური საბჭოს შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ, რაც მან იმით დაადასტურა, რომ „დღეს ჩვენ არ გავვაჩნია დამაკმაყოფილებლად ფუნქციონირებადი გლობალური არქიტექტურა“¹. მისივე აზრით „მსოფლიოს ახლა სჭირდება მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელი საერთაშორისო საფინანსო სისტემა“.

უჩვეულო კრიტიკით გამოირჩა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ გ. ბრაუნის მოხსენება G20-ის ლონდონის სამიტზე. მან პირდაპირ განაცხადა, რომ „ვაშინგტონის კონსესუსმა საკუთარი თავი ამონურა და საჭიროა განვითარების ახალი მოდელის შექმნა“.

კრიზისების პრევენციის უმნიშვნელოვანეს საშუალებად მიჩნეული იქნა გლობალური ფინანსური ბაზრების რეგულირების მექანიზმის შექმნა და ეფექტიანი ფუნქციონირება. საერთაშორისო დონეზე ფინანსური ბაზრების რეგულირების აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას ცნობილი მილიარდერი და ქველმოქმედი ჯ. სოროსი: „საერთაშორისო ბაზრებს აუცილებლად სჭირდება საერთაშორისო რეგულირება“.² G20-ის ლონდონის სამიტზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გ. ბრაუნმა წამოაყენა რეგულირების საერთაშორისო ორგანოს „ფინანსური სტაბილურობის საბჭოს“ შექმნის იდეა და ასე განსაზღვრა მისი ძირითადი ფუნქცია: „საბჭომ უნდა გააუმჯობესოს ყველა

¹ იქვე

² Сорос Дж. Прогнозы: Будущее в форме W// Ведомости. 2010, январь.

სისტემურად მნიშვნელოვანი ინსტიტუტის და ბაზრის რეგულირება და კონტროლი¹. საბოლოო ანგარიშით, საბჭოს შექმნა, მისი იდეის ავტორის აზრით, ხელს შეუწყობს „რეგულირების სისტემის იმგვარად შეცვლას, რომ საფინანსო ხელისუფლებამ შეძლოს რისკების იდენტიფიცირება და თავიდან აცილება“². ამასთანავე, ლონდონის სამიტზე გარკვეული დისკუსია გაიმართა მის მონაწილეებს შორის კრიზისიდან გამოსვლის გზების შესახებ. ევროპელები გლობალური ფინანსური კრიზისის დაძლევის მთავარ ინსტრუმენტად მიიჩნევდნენ საფინანსო ბაზრების რეგულირების გაძლიერებას, აშშ-ს წარმომადგენლები კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან კრიზისში მყოფი ბანკებისათვის, საინვესტიციო, სადაზღვევო და სხვა საფინანსო ორგანიზაციებისთვის საფინანსო დახმარების განევას. განსხვავებულ მოსაზრებებს ჰქონდა ადგილი იმსათან დაკავშირებითაც, თუ რა უნდა ყოფილიყო როგორც საერთაშორისო, ისე სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან საფინანსო დახმარების ობიექტი. აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის დამოკიდებულება საფინანსო ბაზრებზე გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, იაპონიასა და ჩინეთში. აქედან გამომდინარე, აშშ-ს და ბრიტანეთის მთავრობების წარმომადგენლები პრიორიტეტულად მიიჩნევდნენ საკუთრივ საფინანსო სექტორის მხარდაჭერას, სხვა ქვეყნებისა კი – ბანკებში დამატებითი ლიკვიდურობის უზრუნველყოფაზე აკეთებდნენ აქცენტს. ამ გზით მათ შესაძლებლად მიაჩნდათ წარმოქმნილი „საკრედიტო შეკუმშვის“ გადალახვა, ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების დაკრედიტების გაზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო რეგულირების სისტემას საფუძველი შვიდ ათეულ წელზე მეტი წელის წინათ ჩაეყარა ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე და იგი გამოიხატა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის (WB) შე-

¹ www.g20.org/documents/2009-communique-harham.uk.

² იქვე

ქმნით. თუმცა, გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისების გამოცდილებამ აჩვენა, რომ არსებული სტრუქტურების ძალისხმევა გლობალური ფინანსური სტაბილურობის უზრუნველ-საყოფად აშკარად არასაკმარისია. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გლობალურ დონეზე ანტიკრიზისული ღონისძიე-ბების მთავარმა სიმძიმემ G20-ის ქვეყნების ლიდერთა მხარეს გადაინაცვლა. თუმცა, საერთაშორისო ფორუმებზე რეგულარუ-ლად აღინიშნებოდა არსებული საერთაშორისო საფინანსო ინს-ტიტუტების (განსაკუთრებით საერთაშორისო სავალუტო ფონ-დის და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის) როლის გაძლიერების აუცილებლობა. 255 მლრდ აშშ დოლარი, რომელსაც სსფ თავისუფალი რესურსის სახით ფლობდა გლობა-ლური ფინანსური კრიზისის დაწყებამდე, აშკარად არასაკმარისი იყო ასეთი სერიოზული პრობლემის გასამკლავებლად. აღნიშნუ-ლის გათვალისწინებით, გადაწყდა სსფ-ისთვის 1 ტრლნ აშშ-ს დოლარის გამოყოფა, რომლისგანაც 250 მლრდ დოლარი უნდა მოხმარებოდა კრიზისში მყოფი ქვეყნების დახმარებას, ხოლო 220 მლრდ დოლარი საერთაშორისო ვაჭრობის გამოცოცხლე-ბას. მნიშვნელოვანი იყო ზოგიერთი იმ ქვეყნის (მაგალითად იაპონიის) მთავრობის გადაწყვეტილება სსფ-ში თანხების გადა-რიცხვის შესახებ, რომლებიც მანამდე არ თანამშრომლობდნენ ამ ორგანიზაციისათან.

მთავარი ცვლილების შინაარსი, რომელიც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერების აზრით, საერთაშორისო სავა-ლუტო ფონდმა უნდა განიცადოს სწრაფად გლობალიზებად სამყაროში, ნათლად ჩამოაყალიბა დიდი ბრიტანეთის პრე-მიერ-მინისტრმა გ. ბრაუნმა G20-ის პიტსბურგის სამიტზე. მან აღნიშნა: „საერთაშორისო სავალუტო ფონდი დაკავებული უნდა იყოს კრიზისების თავიდან აცილებით და არა ფულის გა-მოყოფით მაშინ, როცა კრიზისი უკვე დაწყებულია“.¹ ბრაუნის

¹ Ковзанадзе И. Уроки мирового кризиса: необходима новая модель регулирования экономики // Вопросы экономики, 2010, №4.с. 115.

ეს მოსაზრება სრულ უნისონშია სსფ-ს ყოფილი დირექტორ-განმკარგულებლის მ. კამდესიუს ადრე გამოთქმულ მოსაზრებასთან: „მეხანძრის“ ფუნქციის ნაცვლად, რასაც მონეტარული ფონდი აქამდე ასრულებდა, მან უნდა შეასრულოს „პოლიციელის“ ფუნქცია!“¹

გლობალური ანტიკრიზისული რეგულირების ინსტიტუციური უზრუნველყოფის საკითხი შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირველი, ფინანსური სფეროს მარეგულირებელი ახალი წესების (ნორმების, ნორმატივების) ჩამოყალიბება და მეორე, რეგულირების ძველი ინსტიტუტების მოდერნიზება და ახალი ინსტიტუტების შექმნა.

G20-ის ბერლინის სამიტზე (2009 წლის თებერვალი) დეკლარირდა ღონისძიებები, რომლებიც შეხვედრის მონაწილეთა აზრით, ხელს შეუწყობდა როგორც კრიზისიდან გამოსვლას, ასევე მსგავსი ახალი კრიზისების თავიდან აცილებას:

- რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების ამაღლება;
- ფინანსური სექტორის ტრანსპარანტულობის ხარისხის ამაღლება;
- ოფშორულ ზონებზე, ე.წ. „საგადასახადო ოაზისებზე“ ეფექტიანი კონტროლის დაწესება;
- გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე ნათლად გამოხატული სპეციალური ხასიათის მქონე ოპერაციების წინააღმდეგ აქტიური ღონისძიებების გატარება,² მათ შორის ე.წ. „ტობინის

¹ მექვაპიშვილი ე. ეკონომიკური გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., 2009, გვ 81-82.

² სამიტზე აშშ-ს ნარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2009 წლის ბოლოდან ამ ქვეყნის მთავრობა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბაზარზე ფასების მინიპულირებისთვის დააწესებდა დღეში 1 მლნ აშშ დოლარის ჯარიმას და შეიმუშავებდა ღონისძიებებს სანავთობე ფიუჩერსებთან მიმართებით, რაც ნაკლებ საინტერესოს გახდიდა ამ ბაზარს სხვადასხვა ჰეჭ-ფონდისთვის, შეამცირებდა ნავთობის ფასებს და ხელს შეუწყობდა სპეციალური ოპერაციების შემცირებას.

გადასახადის¹ ამოქმედება და მიღებული შემოსავლებიდან ფონდის შექმნა, რომელიც მოხმარდებოდა კრიზისში მყოფი ქვეყნების და ეკონომიკის დარგების ფინანსურ დახმარებას.

G20-ის პიტსბურგის სამიტზე (2009 წლის სექტემბერი) ჩა-მოყალიბდა საერთაშორისო ფინანსური სფეროს რეგულირების შემდეგი კონკრეტული მიმართულებები:

- საკმარისი კაპიტალის ნორმატივების დაწესება და გა-კონტროლება საერთაშორისო მასშტაბით;
- ნასესხები თანხების გამოყენების (Leverage) შეზღუდვა;
- ჰეჭ-ფონდებზე კონტროლის გამკაცრება, განსაკუთრებით მათი საქმიანობის გამჭვირვალობის ამაღლების თვალ-საზრისით;
- ბირჟის გარეთ მიმოქცევადი დერივატივების „ბაზრის-თვის“ ე.წ. „კონტრაგენტის“ ინსტიტუტის შემოღება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა დერივატივების უზარმაზარი უკონტროლო მასისთვის თვალყურის დევნება და რეგულირების არეალში მოქცევა;
- საფონდო ბირჟებზე სპეცულატიურ ოპერაციებში ბანკების მონაწილეობის შეზღუდვა, რაც ნიშნავდა მსოფლიო მასშტაბით იმ პრაქტიკაზე დაბრუნებას, რომელიც „დიდი დეპრესიის“ შემდეგ იყო გავრცელებული აშშ-ში.
- საფინანსო კომპანიებში ტოპ-მენეჯერთა ბონუსებსა და დივიდენდებზე შეზღუდვების დაწესება.

ხაზი უნდა გაესვას სარეიტინგო სააგენტოების რეგულირებისა და კონტროლის ასპექტს. ისინი სულ უფრო მზარდ როლს თამაშობენ გლობალიზებული საფინანსო ბაზრების ფუნქციონირებაში და ხშირ შემთხვევაში გვევლინებიან ცალკეული საფინანსო ინსტიტუტების მიერ გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტებად. მკვლევართა აზრით, ბევრმა წამყვანმა სა-

¹ ამ გადასახადის იდეა ეკუთვნის ცნობილ ეკონომისტს, ნობელის პრემიის ლაურეატს ჯ. ტობინს, რომელიც მან 1970-იანი წლების დასწყისში წამოაყენა და გულისხმობდა სპეცულატიური ხასიათის ტრანზაქციების დაბეგვრას მათი წლიური მოცულობის 1%-ის ოდენობით.

რეიტინგო სააგენტომ სერიოზული შეცდომა დაუშვა კორპორაციათა საფინანსო მდგომარეობის შეფასებაში, რითაც განვითარების ყალბი ორიენტირი შეიქმნა.¹ იგივეს ამტკიცებს ცნობილი საინვესტიციო ფონდის Blachstone Group LP დირექტორი ჯ. შვარცნმანი: სარეიტინგო სააგენტოებმა ბევრ ისეთ კომპანიას მიანიჭეს „AAA“ (ანუ უმაღლესი-ე.მ.) რეიტინგი, რომელთა აქციების კურსი მოგვიანებით მკვეთრად დაეცა და გლობალური ფინანსური კრიზისის აღმოცენებას შეუწყო ხელი.²

აღნიშნულიდან გამომდინარე, სარეიტინგო სააგენტოების საქმიანობაზე მყარი კონტროლის დაწესება და მათი რეგულირება გარდაუვალ აუცილებლობად იქნა მიჩნეული.

საფინანსო სფეროს უმნიშვნელოვანესი ელემენტის ბანკების საერთაშორისო მასშტაბით რეგულირების გაუმჯობესების მიზნით საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა 2009 წლის ბოლოს შეიმუშავა საკრედიტო ორგანიზაციების მარეგულირებელი ახალი წესების პაკეტი, რომელიც მოიცავდა შემდეგინადადებებს:³

- პირველადი კაპიტალის მიმართ ახალი მოთხოვნების დაწესება;
- ბანკების მიერ გარედან მოზიდული საკრედიტო რესურსების მოცულობის შეზღუდვა;
- ბანკების ყველაზე რისკიან აქციებზე კონტროლის განსაკუთრებული გამკაცრება;
- კაპიტალის საკმარისობის და ლიკვიდურობის დამატებითი მაჩვენებლების შემოღება.

¹ „კრიზისის ეტაპზე სარეიტინგო სააგენტოების ფატალური შეცდომები არა თუ ცხადი გახდა, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მათ წვლილი მიუძღვით საფინანსო-საბანკო კრიზისის წარმოქმნასა და დესტაბილიზაციაში“ აღნიშნავს პროფ. ი.მესხია. საერთაშორისო სარეიტინგო ბიზნესი და ფინანსური კრიზისები || ეკონომიკა და ბიზნესი. 2011. №5, გვ.18.

² http://www.arteksgroup.com/article_about_crisis_3.html.

³ კოვანაძე ი. უроки мирового экономического кризиса ... с.162.

ევროკავშირი ყოველთვის გამოირჩეოდა ეკონომიკის რე-გულირების მაღალი დონით, თუმცა გლობალურმა ფინანსურ-მა კრიზისმა აქაც მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა მისი (რეგულირების) გაძლიერების მიმართულებით. ევროკავშირში ფინანსური სფეროს რეგულირება 1998 წელს ევროპის ცენტრალური ბანკის შექმნით დაიწყო. იგი ახორციელებდა ემი-სიისა და ნაციონალური საბანკო სისტემის საზედამხედველო ორგანოს როლს, თუმცა არ გააჩნდა ევროკავშირის მასშტაბით სულ უფრო მზარდი და ინტეგრირებადი საფინანსო ბაზრების ზედამხედველობის უფლებამოსილება. ეს ნაწილობრივ იმითაც იყო გამოწვეული, რომ მას ხელთ არ ეპყრა რეგულირების ისეთი მექანიზმი, როგორიცაა „ევროპის სახაზინო ბილეთი“, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ევროკავშირის შიგნით წარმოქმნილი ხარჯების დასაფინანსებლად. დღესაც კი ეროვნული სახელმწიფოების მთავრობებს შეუძლია ევრო-ში დომინირებული სახაზინო ობლიგაციების დამოუკიდებლად გამოშვება.

გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე გამოჩნდა, რომ ჯერ ერთი, საფინანსო სფეროს მაკონტროლებელი ეროვნული ორგანოები სათანადო დონეზე ვერ ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციას და რაც მთავარია, საერთო ევროპულ სტრუქტურებს სწორ ინფორმაციას არ აწვდიდნენ წარმოქმნილი პრობლემების შესახებ. ევროკავშირის შიგნით ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთ სისუსტედ უნდა ჩაითვალოს ფისკალურ სფეროში კოორდინაციის, ფაქტობრივად, არარსებობა, რის გამოც ევრო-პის სავალუტო კავშირი და ერთიანი ვალუტა – ევრო ყოველთვის იდგება სერიოზული საფრთხის ნინაშე. ის განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა პოსტკრიზისულ პერიოდში. როგორც ეკონომიკის დოქტორი ვ. ჭარაია აღნიშნავს: „ევროს ისტორიაში 2011 წელი ყველაზე კრიტიკული იყო“.¹

¹ ჭარაია ვ. ევრო: რეალობა და პერსპექტივები // ეკონომიკა და ბიზნესი. 2012. №1, გვ.125.

2007-2008 წლების გლობალურმა კრიზისმა არა მხოლოდ გამოააშკარავა არსებული ხარვეზები და პრობლემები, არამედ ამასთანავე ბიძგი მისცა ფინანსური სფეროს რეგულირების ახალი ინსტიტუციური კარკასის ჩამოყალიბების, რეგულირებისა და ახალი ფორმების მეთოდების, ინსტრუმენტების შემოღების პროცესებს.

ევროკავშირის ფარგლებში ფინანსურ ბაზრებზე ზეეროვნული (ზესახელმწიფო) კონტროლის გაძლიერების მიზნით შეიქმნა ახალი და მოდიფიცირება განიცადა ძველმა სტრუქტურებმა. ჩამოყალიბდა:

- სისტემური რისკების შეფასების ევროპული საბჭო (European Sistemic Risk board – ESBR), რომლის ამოცანაა ევროპის ცენტრალურ ბანკთან მჯიდრო თანამშრომლობით განახორციელოს სისტემური რისკების წარმოშობის პრევენცია და შეიმუშაოს უკვე არსებული რისკების დაძლევის ღონისძიებები;

- ფინანსური ზედამხედველობის ევროპული სისტემა (European Sistem of Financial Supervisors – ESFS), რომელიც განახორციელებს ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ბანკებზე მაკროპრუდენციალურ ზედამხედველობას;

- ფინანსური სტაბილურობის ევროპული ფონდი (EFSF), რომლის მიზანია კრიზისულ სიტუაციებში მყოფი ევროკავშირის ქვეყნების დახმარება. ფონდის ბიუჯეტი 2012 წელს შეადგენდა 2 ტრლნ ევროს.

მოდიფიცირება განიცადა:

- საბანკო ზედამხედველობის ევროპის კომიტეტმა (CEBS), შეცვალა ევროპის საბანკო ორგანიზაციამ (EBA);
- დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის ევროპის ორგანიზაციამ (European Insurance and Ocupational Resions Authority – EIOPA), რომელმაც შეცვალა საპენსიო და სადაზღვევო უზრუნველყოფის კომიტეტი (CEIOPS).

აღნიშნული საორგანიზაციო ცვლილებების მთავარი მიზანი იყო ევროკავშირის შიგნით ფინანსურ ბაზრებზე კონტროლის

გაძლიერება, სავარაუდო რისკების ადრეულ სტადიაზე შემჩნევა, რეგულირების ევროპულ და ეროვნულ – სახელმწიფობრივ სტრუქტურებს შორის კოორდინაციის გაძლიერება.

ამრიგად, გლობალური ფინანსური კრიზისის გამოცდილებიდან გამომდინარე, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით ჩამოყალიბდა გლობალური ფინანსური სისტემის რეგულირების კონტურები და შეიქმნა ადეკვატური ინსტიტუციური ჩარჩო. ამ ღონისძიებათა მთავარ მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო ინსტიტუტების პასუხისმგებლობის ამაღლება მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და, აქედან გამომდინარე, რისკებზე. არსებითი გადაწყვეტილებები განხორციელდა ევროკავშირში, რომლებიც ორიენტირებული იყო ფინანსური სექტორის რეგულირების ორდონიანი (საერთო ევროპული სტრუქტურები – ეროვნული სახელმწიფოებრივი ორგანოები) სისტემის შექმნაზე, რეგულირების სუბიექტებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებაზე და რეგულირების ევროპული მექანიზმის გლობალურ მექანიზმში ეფექტიანად ინტეგრირებაზე.

გ) გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მზარდი ეკონომიკის ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთის როლი. G20-ის ლონდონის სამიტზე დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად განაცხადა: „1989 წელს კაპიტალიზმმა გადაარჩინა ჩინეთი,¹ 2009 წელს კი ჩინეთმა გადაარჩინა კაპიტალიზმი“.²

¹ მინისტრი გულისხმობდა 1989 წლის გაზაფხულზე ტიანმინის მოედანზე განვითარებულ მოვლენებს. ეს იყო სტუდენტებისა და ახალგაზრდების რამდენიმე დღიანი გამოსვლა-დემონსტრაციები, რომლებიც ითხოვდნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში რადიკალური ლიბერალიზაციის დაწყებას, ეს მოძრაობა ჩახშობილი იქნა მთავრობის მიერ ძალის გამოყენებით. თუმცა ამ მოვლენებს უკვალოდ არ ჩაუვლია და ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნაში ეკონომიკური რეფორმების დაჩქარების შესახებ.

² Orient Express|| The Times, 12.01.2010

ჩინეთი და მზარდი ეკონომიკის სხვა ქვეყნები სისხლხორ-ცეულად იყვნენ დაინტერესებული დასავლეთ სამყაროში საე-ქსპორტო ბაზრების შენარჩუნებით, რასაც განაპირობებდა ამ ბაზრების როლი მათი ეკონომიკების განვითარებაში. ასე მაგალითად, უცხოური კომპანიების მიერ ჩინური პროდუქ-ციის რეალიზების მოცულობა 1985 წლის 25-იდან 2006 წლს 60%-მდე გაიზარდა¹ აღნიშნულიდან გამომდინარე ისინი აქტიუ-რად ეხმარებოდნენ დასავლეთის ქვეყნებს კრიზისიდან თავის დაღწევაში. შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთმა, რომელიც სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს გლობალიზაციის პროცესში, გადამწყვეტი როლი ითამაშა აშშ-ს და დასავლეთის ქვეყნების სხვა ღრმა კრიზისიდან უფრო სწრაფად და ნაკლები დანაკა-რებით გამოსვლაში. გლობალური კრიზისის პერიოდში ბევრი ექსპერტი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ მოხდებოდა კრიზი-სის არეალის შეცვლა – ჩინეთში, ინდოეთში და სხვა სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში მისი გადანაცვლება. ეს პრო-გნოზი არ გამართლდა, რადგან ამ ქვეყნებმა, პირველ რიგში ჩინეთმა, შედარებით მოკლე დროში შეძლო ეკონომიკის პე-რეორიენტაცია საერთაშორისო ბაზრებიდან შიგა მოხმარების ზრდაზე, რამაც მას საშუალება მისცა თავიდან აეცილებინა ღრმა და ხანგრძლივი ეკონომიკური რეცესია.

4.2.3. ანტიპრიზისული პოლიტიკის გამოცდილების ზოგიერთი თეორიული ასპექტი (დასკვნა)

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ჩასახვის, განვითარების, გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებე-ბის ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

- კრიზისის წარმოქმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზე-ზი აღმოჩნდა ფინანსური სფეროს მნიშვნელოვნად ნინმსწრები

¹ Bernstein J. Why the East and West Should Switch Roles || Seeking Alpha. 16.11. 2008,

ტემპით განვითარება მის მარეგულირებელ მექანიზმებთან შედარებით. ეს, თავის მხრივ, განაპირობა აშშ-სა და ინდუსტრიულად დაწინაურებულ სხვა ქვეყნებში 1970-იან წლებში დაწყებულმა ეკონომიკის ტოტალურმა დერეგულირებამ, რომელიც მოგვიანებით ნაწილობრივ შეეხო გლობალურ ეკონომიკასაც.

• ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი ფინანსური კომპონენტის რეგულირება, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განხილული უნდა იქნეს ეკონომიკის არა მხოლოდ კრიზისიდან გამოყვანის, არამედ მსგავსი კრიზისების თავიდან აცილების და უფრო მეტიც – პოსტინდუსტრიული სისტემის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელ პირობად.

• სახელმწიფომ, გამოვიდა რა ანტიკრიზისული პოლიტიკის მთავარი წარმმართველის როლში, ნათლად აჩვენა, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში როგორც „უკანასკნელი ინსტანციის მაშველს“ ბადალი არ მოეძებნება. გამოცდილება იმასაც გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს ასევე წარმატებით შეუძლია ე.წ. „პრიჯ-მენეჯმენტის“, ანუ პოსტკრიზისული პერიოდის საწყის ეტაპზე ეკონომიკის აღდგენის პროცესის წარმმართველი ძალის ფუნქციის შესრულება.

• აუცილებელია ერთმანეთისგან წათლად გაიმიჯნოს სახელმწიფოს როლი მოკლევადიან, ანუ კრიზისის პერიოდში, რომელიც „სასწავლო დახმარების ბრიგადის“ მისის შესრულებას შეიძლება შედარდეს და სახელმწიფოს გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანები: მეურნეობრიობის სისტემის (მოდელის) საფუძვლიანი შეცვლა, სტრატეგიული პროგრამების შემუშავება – რეალიზება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამღლების და ამ გზით ერთობლივი მოთხოვნის ხელშეწყობა, სოციალური კაპიტალის გაძლიერების მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური სფეროს სტიმულირება განხორციელდეს რეალური ეკონომიკის განვითარების პარალელურ რეჟიმში, რათა არ მოხდეს ინფლაციის პროვოცირება და „ფინანსური ბუშტების“ გაბერვა.

• კაპიტალის ფუნქციონირების დიალექტიკა ის არის, რომ ეკონომიკის ნორმალური (სტაბილური) ფუნქციონირების პირობებში იგი ვერ ეგუება გარედან რაიმე ჩარევას, კრიზისის დროს კი ენერგიულად მიმართავს სახელმწიფოს და მისგან ითხოვს ქმედით დახმარებას.

• კრიზისის დასრულების შემდეგ მსოფლიო ბაზრებზე კვლავ იძერება „ფინანსური ბუშტები“, იზრდება სპეკულატიური კაპიტალის მოცულობა. უზარმაზარი სახსრები კვლავ გადადის რეალური ეკონომიკიდან ფინანსურ სფეროში. მსოფლიოში კვლავ „დაეხეტება“ უზარმაზარი „ცხელი ფული“, რომელიც ეძებს სპეკულატიური გამოყენების სფეროებს, სადაც გარანტირებული ექნება ზემოგების მიღება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფინანსური კრიზისების პრობლემის გადაწყვეტა პალიატიური მეთოდებით შეუძლებელია და აუცილებელია ეკონომიკის ფუნქციონირების არსებული მოდელის ცვლილება.

• რატომ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო კრიზისში ჩავარდნილ ინსტიტუტებს? იმიტომ, რომ არსებობს ე.ნ. „ხელშეუხებელთა“ კატეგორია, რომლის მიმართ მოქმედებენ პრინციპით – to big to fail – ძალიან დიდი საიმისოდ, რომ გაკოტრდეს. სიდიდის ქვეშ აქ იგულისხმება ფირმების (კომპანიების) არა მხოლოდ მასშტაბი, არამედ მათი ეკონომიკური, სოციალური და ზოგჯერ პოლიტიკური მნიშვნელობა. მეორე მიზეზია ძლიერი ლობისტური ჯგუფების არსებობა, რომლებიც აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ სახელმწიფო აპარატზე კერძო კომპანიების-თვის მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით.¹

¹ გლობალური ფინანსური კრიზისის პერიოდში აშშ-ს საავტომობილო მრეწველობის კომიტეტმა წინადადებით მიმართა მთავრობას ამ დარგისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ. წინაღმდეგ შემთხვევაში „კომიტეტი“ პროგნოზირებდა საავტომობილო მრეწველობაში სამუშაო ადგილების 14 მილიონიან შემცირებას. დამოუკიდებელი ექსპერტების გაანგარიშებით სამუშაო ადგილების დანაკარგი მხოლოდ ორი მილიონი შეიძლება ყოფილიყო.

- ვის უნდა დაეხმაროს სახელმწიფო და რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს დახმარება?

პირველი, XX საუკუნის მეორე ნახევარში მცირე და ნაწილობრივ სამუალო ბიზნესი საყოვეთაოდ განიხილებოდა ინოვაციებისა და დინამიზმის წყაროდ – „Small is beautiful“. ფინანსური კრიზისის დროს დიდი კომპანიების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გაცილებით უფრო მეტი ყურადღება იყო დათმობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წერიგში დადგა ეკონომიკის სტრუქტურაში დიდი და მცირე საწარმოთა ურთიერთმიმართების ახლებურად გააზრების პრობლემა: რა უზრუნველყოფს ერთდროულად ეკონომიკური სისტემის სტაბილურობას და ამასთანავე, მის დინამიზმს? რამდენად ადეკვატური აღმოჩნდა დიდი კომპანიების რეორგანიზაცია სახელმწიფოს მიერ მათვის განეული ფინანსური დახმარების მოცულობის გათვალისწინებით? სამომავლოდ ეს კითხვები აუცილებლად მოითხოვს პასუხების გაცემას.

მეორე, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ეფექტიანია სახელმწიფოს დახმარება იმ ეკონომიკური სუბიექტების მიმართ, რომლებიც დროებით აღმოჩნდნენ მძიმე ფინანსურ მდგრამარებაში და პერსპექტივაში გადახდისუნარიანი შეიძლება იყვნენ. სხვა შემთხვევაში ნებისმიერი დახმარება ფირმების ზომბირებას გამოიწვევს და გააჭიანურებს კრიზისიდან გამოსვლას. ასევე გასათვალისწინებელია ე.წ. „არაკეთილსინდისიერი ქცევის ეფექტი“ („moral hazard“). თუკი სახელმწიფო საკუთარ თავზე აიღებს კერძო ფირმების გადაჭარბებული რისკიდან მიღებულ ზარალს, ამით ძალაუნებურად მათ მსგავსი მოქმედების განმეორების სტიმულს შეუქმნის. ამ შემთხვევაში ფირმებს იმის განცდა გაუჩნდებათ, რომ ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში სახელმწიფო მათ გვერდით დადგება და ამიტომ მომავალშიც არ მოერიდებიან მაღალი რისკის მქონე, უპირატესად სპეცულატიური ოპერაციების განხორციელებას. სახელმწიფოს მხრიდან კომპანიებისთვის მუდმივი დახმარე-

ბა აფერხებს მათში სერიოზული მოდერნიზაციის დაწყებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ფინანსურ დახმარებას, ჯერ ერთი, უნდა პქონდეს შეზღუდული ვადა და მეორე, ორიენტირებული უნდა იყოს ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე წარმოების მოდერნიზაციაზე.

• ახლებურ გააზრებას მოითხოვს სხვადასხვა სახის საკუთრების ურთიერთმიმართების და ნაციონალიზაციის საკითხები. XX საუკუნის განმავლობაში ნაციონალიზაციის პრობლემის მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად იცვლებოდა, რაც ძირითადად იდეოლოგიური მოტივაციით იყო ნაკარნახევი. იდეოლოგების ერთი ჯგუფი – რუსი კომუნისტებიდან დაწყებული ბრიტანელი ლეიბორისტების ჩათვლით, სახელმწიფო საკუთრებას უფრო ეფექტურად მიიჩნევდა კერძოსთან შედარებით. 1970-იანი წლებიდან ეკონომიკურ თეორიასა და სამეურნეო პრაქტიკაში გაბატონდა დერეგულირება და საყოველთაო პრივატიზება. გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენით არსებით ცვლილებას განიცდის ეკონომიკური განვითარების პარადიგმა. კრიზისის პირობებში დერეგულირებისა და ლიბერალური ეკონომიკის ციტადელში – აშშ-ში განხორციელებულმა მასობრივმა ე.წ. „რბილმა პრივატიზებამ“ ბევრი ადამიანის ცნობიერება შეცვალა. ეკონომისტების აბსოლუტური უმრავლესობა თუმცა დღესაც უპირატესობას ანიჭებს კერძო საკუთრებას,¹ მაგრამ ისიც აღიარებულია, რომ: ა) მწვავე კრიზისებიდან გამოსვლა სახელმწიფოს აქტიური მოქმედების გარეშე შეუძლებელია და ბ) სახელმწიფო საკუთრებას ეკო-

¹ ვარშავის სოციალური და ეკონომიკური კვლევის ცენტრის (CASE) პრეზიდენტის მ. დაბროვსკის აზრით, ნაციონალიზაცია კრიზისის პირობებში შეზღუდული მასშტაბით უნდა გამოიყენებოდეს და მხოლოდ იმ საფინანსო ინსტიტუტების მიმართ, რომლებსაც სისტემური მნიშვნელობა გააჩნია და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფინანსური გაჯანსაღების სხვა ვარიანტი გამორიცხულია – Дабровски М. Антикризисное регулирование: центр и периферия// Переходный период: вопросы развития. N13, Июль 2009, с.5.

ნომიკური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნების ფუნქცია ეკისრება.

• გლობალური ფინანსური კრიზისის დაძლევაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გამოცდილების მიუხედავად, ამ პროცესს დღესაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მას აკრიტიკებენ „მარჯვნიდან“ და „მარცხნიდან“. ზოგიერთი ეკონომისტი სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკურ პროცესებში უკავშირებს „დიდი სახელმწიფოს“ იდეის აღორძინების მცდელობას და ამ კუთხით აკრიტიკებს მას. „მე ვაკეთებ დასკვნას, რომ ამჟამინდელი სამთავრობო აქტიურობა ხელს უშლის ეკონომიკის აღდგენას და კეთილდღეობის დადებითი ეფექტის მიღწევას“ – აღნიშნავს ლიბერტარიანიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფედი-ს ყოფილი ხელმძღვანელი ა. გრინსპენი.¹ ჯ. ტეილორის აზრით, სახელმწიფო რეგულირება თვითონ არის სისტემური რისკების შემცველი.²

რუსეთში მოღვაწე ეთნიკურად ქართველი ეკონომისტის ვ. ზაგაშვილის აზრით: „კრიზისული პერიოდებისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერების ტენდენცია, რამაც შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს“.³

ჩვენი აზრით, ეკონომიკური სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს ეკონომიკური როლის იგნორება, სახელმწიფოს და ბაზრის ერთმანეთთან დაპირისპირება მცდარია, რასაც გლობალური ფინანსური კრიზისის გამოცდილება ნათლად ადასტურებს.

¹ Greenspan A. Activism // International Finance. 2011.

² Taylor J. Exploding Debt Threatens America//The Financial Times. 2009, May 27, p.9.

³ Загашвили В.С. Государство на новом этапе экономической глобализации // Мировая экономика и международные отношения. 2009, N5, с.50.

4.3. გლობალური ფინანსური პრიზისის ასახვა საქართველოს ეკონომიკაში

ქვეყნის მოდერნიზაცია, რომელიც „ვარდების ხელისუფლების“ პირობებში დაიწყო, ეკონომიკასაც შეეხო. საზოგადოებრივი მომსახურების ეფექტიანი სისტემის დანერგვამ, საყოფაცხოვრებო კორუფციის აღმოფხვრამ, ფისკალური წესრიგის დამყარებამ, ადმინისტრირების გამკაცრების გზით ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარება, საბიუჯეტო სფეროს მუშაკების სახელფასო და საპენსიო დავალიანებების დაფარვა უზრუნველყო. იმუამინდელმა მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ბიზნესთან მიმართებით მისი წარმოების გაადვილების მიზნით. 2005 წლიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი და გადასახადების რაოდენობა 27-დან 5-მდე შემცირდა, საგადასახადო ტვირთი კი შემსუბუქდა. საგრძნობლად გამარტივდა და ზოგიერთ შემთვევაში საერთოდ გაუქმდა ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი ლიცენზიებისა თუ ნებართვების აღების წესები. ასევე გამარტივდა საკუთრების უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის პროცედურები. ყოველივე აღნიშნულის შედეგად საქართველომ სწრაფად წაინა წინა პოზიციებზე „ბიზნესის კეთების სიადვილის“ სხვადასხვა რეიტინგში. კერძო ბიზნესის-თვის ხელსაყრელი გარემოს შექმნამ უცხოური ინვესტიციების ზრდა განაპირობა საქართველოს ეკონომიკაში, რომელმაც თავის ისტორიულ მაქსიმუმს 2007 წელს მიაღწია და 2 მლრდ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა. ამასთანავე, ინვესტიციების ზრდის ტემპი საგრძნობლად აჭარბებდა რეალური ეკონომიკის ზრდის ტემპს. მოზიდული უცხოური ფინანსების უმეტესი ნაწილი თავმოყრილი იყო უძრავი ქონებით ვაჭრობის სფეროში და ამასთან ერთად საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის იმპორტის დაფინანსებას ხმარდებოდა.

ამრიგად, 2003-2007 წლების პერიოდი საქართველოს ეკონომიკაში აღმავალი დინამიკით იყო გამორჩეული: 2003-2007 წლებში ნომინალური შიგა პროდუქტის ზრდის საშუალო ტემპი 20%-ს აღემატებოდა, რეალური მშპ-ს ზრდის საშუალო ტემპი კი 2005-2007 წლებში 10%-ს აჭარბებდა.¹

სწრაფი ეკონომიკური ზრდა ამ პერიოდში მნიშვნელოვნად იყო განპირობებული ფულის საერთაშორისო ბაზრებზე „იაფი ფულის“ სიჭარბით, რომელიც ადვილად ტრანსფორმირდებოდა ადგილობრივ „იაფ კრედიტებში“. საქართველოს კომერციული ბანკები შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთებით კრედიტს იღებდნენ სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან და უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით გასცემდნენ შიგა მომხმარებლებზე.

გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყების შემდეგ (და შედეგად) საქართველოს საბანკო სისტემა დადგა კაპიტალის შემოძინების მკვეთრი შემცირების ფაქტის წინაშე. ამ გარემოებას ემატებოდა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის სუსტი დივერსიფიკაცია, რომელიც ვიწრო და არაეფექტური სპეციალიზაციის პირობებში ზედმეტად მგრძნობიარეს ხდიდა ეროვნულ ეკონომიკას საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურული ცვლილებების მიმართ.

საგარეო ფაქტორების ნეგატიური ცვლილება, რა თქმა უნდა, დიდი პრობლემა იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის, თუმცა უნდა აღინიშნოს საშინაო ფაქტორებიც, რომელთა შორის პირველ ადგილზე შეიძლება დასახელდეს საფინანსო პირამიდების ჩამოყალიბება. ამ პროცესში, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ცილიდა მონაწილეობას. მთავრობა უმვებდა დიდი რაოდენობის სახაზინო ვალდებულებებს, რომელსაც ყიდულობდნენ კომერციული ბანკები ანუ მათ მიერ კრედიტდებოდა მთავრობა. ამის შედეგად ბიუჯეტის ფული იმის ნაცვლად, რომ რეალურ ეკონომიკას მოხმარებოდა, ბანკების მოგების გაზრდის წყაროს ნა-

¹ საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ოქტომბერი, 2008, გვ.7.

მოადგენდა. ბანკები იღებდნენ გარანტირებულ შემოსავალს მს-გავს კრედიტებზე უპრეცედენტოდ მაღალი პროცენტის სახით. არსებობდა ახალი ფინანსური პირამიდის წარმოშობის რეალური საფუძველიც: კომერციული ბანკებიდან აღებული სესხის ვერგადახდის შემთხვევაში კლიენტი იძულებული გახდებოდა აეღო ახალი სესხი და ა.შ.

ობიექტური წანამდლვრების არსებობის მიუხედავად, გლობალური ფინანსური კრიზისის საქართველოს ეკონომიკაზე ზემოქმედების მიმართ იმ პერიოდში ქართველ და უცხოელ ექსპერტებში ჩამოყალიბდა გადაჭარბებულად ოპტიმისტური მიდგომა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში ფინანსური ბაზარი უკიდურესად განუვითარებელია, საერთოდ არ არის ინტეგრირებული საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან და ამიტომ, მათი აზრით, გლობალური კრიზისი გვერდს აუვლიდა საქართველოს ეკონომიკას.¹ ჩვენ მაშინ არ ვიზიარებდით ასეთ მოსაზრებას, ვწერდით საქართველოში მოსალოდნელი მწვავე ფინანსური კრიზისის შესახებ.² 2007 წლის ზაფხულის დასაწყისში საქართველოს საბანკო სისტემა სერიოზულ სიძნელეებს განიცდიდა, რაც უცხოეთიდან ფულის შემოდინების შემცირებით და ლიკვიდურობის სერიოზული პრობლემების წარმოქმნით იყო განპირობებული.³ ასეთ პირობებში კომერციულმა ბანკებმა მასობრივად გააძვირეს სესხები, ზოგიერთმა მათგანმა კი საერთოდ შეწყვიტა მათი გაცემა. საბანკო სისტემაში წარმოქმნილი სირთულეების პირდაპირი გამოძახილი იყო ლონდონის ბანკების ბანკის (IBRD) ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მ.დევივი 2008 წლის გაზაფხულზე წერდა: „მსოფლიო ბაზრებზე არსებული კრიზისი საქართველოს ეკონომიკაზე ნაკლებად აისახება, რადგანაც საქართველო საერთაშორისო რესურსებზე დამოკიდებული არ არის“ // ბანკები და ფინანსები, ივნისი 2008, N157, გვ.6.

¹ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (IBRD) ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მ.დევივი 2008 წლის გაზაფხულზე წერდა: „მსოფლიო ბაზრებზე არსებული კრიზისი საქართველოს ეკონომიკაზე ნაკლებად აისახება, რადგანაც საქართველო საერთაშორისო რესურსებზე დამოკიდებული არ არის“ // ბანკები და ფინანსები, ივნისი 2008, N157, გვ.6.

² მექვაბიშვილი ე. გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი: მიზეზები,

ხასიათი და პერსპექტივები // ბიზნესი და კანონმდებლობა. აპრილი, 2008. გვ.23-

27.

³ კოგზანაძე ი. ლიკვიდურობის პრობლემა საქართველოს საბანკო სისტემაში //

რეზონანსი. 28 იანვარი, 2009. გვ.3.

ნის საფონდო ბირჟაზე ქართული ბანკების აქციებზე ფასების შემცირება. 2008 წელი საქართველოს საბანკო სისტემამ, პირველად ბოლო ათი წლის განმავლობაში, ზარალით დაამთავრა. 2009 წელს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა და ერთი წლის განმავლობაში ბანკებმა 550 მლნ ლარზე მეტი ზარალი განიცადეს.¹ „კრედიტინფორმში“ მოხვედრილ ურჩ გადამხდელთა რაოდენობამ 300 ათასს გადააჭარბა, ვადაგადაცილებული სესხების მოცულობამ კი 2009 წლის პირველ ექვს თვეში 196 მლნ ლარი შეადგინა.² ბანკებში წარმოქმნილმა სერიოზულმა სირთულეებმა გამოიწვია მათი თანამშრომლების მასობრივი დათხოვნები – 6000 თანამშრომელი ან სამსახურიდან გაანთავისუფლეს, ან უხელფასო შვებულებაში გაუშვეს.³

საბანკო კრიზისი პირდაპირ და უშუალოდ აისახა სამშენებლო სექტორზე, რომელიც მეორე ყველაზე წარმატებული სფერო იყო საბანკო სისტემის შემდეგ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სამშენებლო და დეველოპერული კომპანიები პირდაპირ იყვნენ მიბმული ბანკებზე და მათგან იღებდნენ საქმიანობის-თვის აუცილებელ რესურსებს, რის გამოც შეიზღუდა როგორც ახალი მშენებლობების დაწყება, ისე დაწყებულის დასრულება. ასევე მკვეთრად შემცირდა აშენებული ობიექტების რეალიზაციის მაჩვენებლები და დაზარალდნენ დეველოპერული კომპანიები. მკვეთრად შემცირდა ბინების ფასები, ვინაიდან მათი შეძენა ხდებოდა უცხოეთიდან გამოგზვნილი თანხებით, რომლებმაც ასევე მკვეთრად იკლო. მშენებლობის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 50000-ით შემცირდა, რაც საქართველოსთვის ძალიან მაღალი მაჩვენებელი იყო. მშენებლობის მოცულობის შემცირებამ გამოიწვია სამშენებლო მასალებზე ფასების მკვეთრი დაცემა და მათი მწარმოებელი ადგილობრი-

¹ მექვაპიშვილი ე. ეკონომიკური გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., 2009, გვ.75.

² ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკა გლობალური კრიზისის ფონზე // ეკონომიკა და ბიზნესი. 2010, , N6, გვ.31.

³ ეკონომისტი. 2009. , N2, გვ.12.

ვი ფირმების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება. ამგვა-
რად ჩამოყალიბდა მანკიერი ეკონომიკური წრე, ანუ კრიზისის
ჯაჭვი საქართველოში:

**საბანკო კრიზისი \rightarrow სამშენებლო კომპანიების
კრიზისი \rightarrow სამშენებლო მასალების დეველოპერული
კომპანიების კრიზისი \rightarrow მნარმოებელი ფირმების კრიზისი**

ზემოაღნიშნულთან ერთად კრიზისი განვითარდა საქართ-
ველოს ეკონომიკის სხვა სფეროებში. იგი გამოიხატა წარმოე-
ბის მოცულობის შემცირებით. კერძოდ, 2008 წელს სოფლის
მეურნეობაში შემცირდა 4,4%-ით, დამამუშავებელ მრეწველობა-
ში – 1,5%-ით, ტრანსპორტზე – 9,5%-ით. 2009 წელს წარმოების
მოცულობის შემცირება გრძელდებოდა: სოფლის მეურნეობაში
– 5,7%-ით, დამამუშავებელ მრეწველობაში – 8,4%-ით, მშენე-
ბლობაში -12%-ით, ვაჭრობაში – 17,8%-ით, სასტუმროებსა და
რესტორნებში – 6,9%-ით.¹ გაჩერდა ან არასრული დატვირთ-
ვით ფუნქციონირებდა ისეთი საწარმოები, რომლებიც კრი-
ზისის დაწყებამდე საკმაოდ წარმატებული იყვნენ: რუსთავის
მეტალურგიული კომპინატი და აზოტის ქარხანა, ზესტაფონის
ფეროშენადნობთა ქარხანა, ჭიათურმარგანეცი, ქსნის მინის
ქარხანა და სხვ. ეკონომიკაში შექმნილმა კრიზისულმა სიტუა-
ციამ ასახვა პოვა დასაქმების დონეზე უმუშევართა რაოდენო-
ბის გადიდების კუთხით. 2007 წელს უმუშევრობა შეადგინდა
13,3%-ს, 2008 წელს კი 16,2%-მდე, ხოლო 2009 წელს 16,9%-მდე
გაიზარდა. ეს იყო ბოლო ათი წლის განმავლობაში უმუშევრო-
ბის ყველაზე მაღალი ოფიციალური მაჩვენებელი საქართვე-
ლოში. 2010 წელს დაფიქსირდა უცხოური ინვესტიციების ყვე-
ლაზე დაბალი მაჩვენებელი – 433 მლნ აშშ დოლარი.² გაეროს,
ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის კვლევების თანახმად, 2009
წელს საქართველოში გაიზარდა სიღარიბის დონის მაჩვენებე-

¹ ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკა გლობალური კრიზისის ფონზე // ეკონო-
მიკა და ბიზნესი. 2010, , N6, გვ.33.

² ხადური ნ. დასახელებული ნაშრომი გვ.34.

ლი და 100 ათასი ერთეულით შემცირდა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

გლობალური ფინანსური კრიზისის საქართველოს ეკონომიკაზე ზემოქმედების ანალიზის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ფაქტორი, რომელსაც აკად. ვ. პაპავაძ „ომის პარადოქსი“ უწოდა.¹ მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: ეკონომიკურ-ფინანსურ კრიზისს საქართველოში დაემთხვა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ხუთდღიანმა ომმა სერიოზული დანაკარგები გამოიწვია საქართველოში. ომისგან მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ 2008 წლის ოქტომბერში ბრიუსელში გამართულ დონორთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებით 38 ქვეყანამ და 15 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტმა საქართველოს გამოუყო 4,55 მლრდ აშშ დოლარი. აქედან დაახლოებით 2 მლრდ გრანტი იყო, ხოლო დანარჩენი – კრედიტი.² ჩამოყალიბდა სიტუაცია – „როცა ომი უარყოფით შედეგებს იწვევს, მაგრამ ზოგიერთი დადებითი ეფექტიც ახლავს.“³ დახმარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საპანკო სისტემისთვის. კომერციულ ბანკებს იმ დროისთვის დაახლოებით 500 მლნ აშშ დოლარის დავალიანება გააჩნდა. თუ საიდან და როგორ წარმოიშვა იგი, ცალკე კვლევის საგანია. აღნიშნული დახმარების ფარგლებში მათ 636 მლნ აშშ დოლარი ერგოთ.

ამრიგად, საქართველოს მცირე, ლია და სუსტი ეკონომიკა ვერ აცდა გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენას, რომელიც იგრძნობა თითქმის ათი წლის შემდეგ. კრიზისის შედეგად მშპ-ს ზრდის ტემპი 2008 წლის 8%-იდან 2009 წელს 2,5%-მდე დაეცა. 2009 წლის მარტ-აპრილში „ვარდების ხელისუფლების“ პირობებში პირველად დაფიქსირდა ბიუჯეტის

¹ პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბ., 2015, გვ.168.

² <http://vestikavkaza.ru/articles/mik-fin-kriz/4249htm/>

³ პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკა... გვ.167.

დეფიციტი 64 მლნ ლარის ოდენობით. მიმდინარეობდა სეპ-ის საერთაშორისო რეზერვების სისტემატური კლება, რომელმაც 2008 წლის განმავლობაში მთელი 20% შეადგინა და წლის ბოლოს 750 მლნ აშშ დოლარამდე დავიდა.

ამასთანავე, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის სიღრმე და სიმწვავე გაცილებით მეტი იქნებოდა, ადგილი რომ არ ჰქონოდა გარკვეული არაეკონომიკური ფაქტორების მოქმედებას.

თავი V. პოსტკრიზისული ეკონომიკური განვითარების ზიგზაგები

პოსტკრიზისული განვითარების ხასიათს, მიზნებს და მი-
მართულებებს კრიზისი განსაზღვრავს. კრიზისი მოასწავებს
„საზოგადოებრივი სისტემის ბაზისური ფასეულობების, ნორ-
მების და ძირითადი სტრუქტურების მიმართ სერიოზულ სა-
ფრთხეს, რომელიც წარმოშობს კარდინალური გადაწყვეტილე-
ბების მიღების აუცილებლობას შეზღუდულ დროში და მაღალი
ხარისხის გაურკვევლობის პირობებში“.¹ კრიზისი უმნიშვნელო-
ვანესი გარდამტეხი მომენტია სისტემის განვითარებაში, რო-
მელსაც შეიძლება შედეგად მოპყვეს მისი ფუნქციონირების
გაუმჯობესება ან პირიქით – კიდევ უფრო გაუარესება და
მთელი სისტემის დანგრევაც კი. ნეგატიურ მხარეებთან ერ-
თად კრიზისს პოზიტიური მისიაც აკისრია, რომელიც იმაში
მდგომარეობს, რომ მას შეუძლია სუსტი ადგილების გამოაშკა-
რავება, მათი ლიკვიდაცია ან გაჯანსაღება. კრიზისი ყოველ-
თვის აღვიძებს სისტემის შიგნით მთვლემარე კონსტრუქციულ
და პერსპექტიულ ძალებს, ათავისუფლებს პოზიტიურ სოცია-
ლურ ენერგიას და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით,
სისტემის თვითგანვითარების იმპულსად გვევლინება. სწორედ
კრიზისის ამ თვისებაზე ამახვილებდა ყურადღებას ი. შუმპე-
ტერი, რომელიც არაერთხელ წერდა „შემოქმედებითი ნგრევის“
ფენომენის შესახებ.

გლობალური ფინანსური კრიზისი ლოგიკურად „ენერება“
კრიზისების საყოველთაოდ აღიარებულ მოდელში. ამ კრიზი-
სის პირობებში, თუმცა დიდი დანაკარგების და დანახარჯების

¹ Rosental U., Charles C. Steks, Riots and Terrorism. Springfield: Charlesc. Thomas. 1999.p.10.

ფასად, მოხერხდა ეკონომიკაში არსებული ვიწრო ადგილების დაძლევა: დაკრედიტების ხარისხის და სტანდარტების ამაღლება, ლიკვიდურობის უფრო მაღალი მწარმოებლურობის მქონე სფეროებში გადანაცვლება, ბანკების საკუთარ კაპიტალსა და ნასესხებ სახსრებს შორის დისბალანსის შემცირება და ა.შ.

კრიზისის პოზიტიური პოტენციალის გამოყენების ეფექტურობა პირდაპირაა დამოკიდებული პოსტკრიზისული განვითარების სტრატეგიის (exit strategy) სწორად შერჩევასა და განხორციელებაზე. ამოცანის სირთულეს განაპირობებს ის მოცემულობა, რომ პოსტკრიზისული პერიოდი გამოირჩევა გამოწვევებისა და სირთულეების დიდი რაოდენობით. მათმა სათანადო შეუფასებლობამ და იგნორირებამ შესაძლებელია გაართულოს კრიზისიდან გამოსვლა და ხელი შეუშალოს ეკონომიკის წარმატებულ პოსტკრიზისულ განვითარებას.

5.1. პოსტკრიზისული მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები

მსოფლიო ეკონომიკის ზრდის საშუალო წლიური ტემპი პოსტკრიზისულ პერიოდში (2010-2017) შეადგენდა 3,8%-ს, რაც ოდნავ ჩამორჩებოდა 1995-2015 წ.წ. ტემპს – 3,9%-ს და მნიშვნელოვნად – კრიზისის წინა (2006 წ. – 5,6% და 2007 წ. – 5,7%) პერიოდებს. 2018 წლისთვის გლობალური ეკონომიკის ზრდის საპროგნოზო მონაცემი 4,0%-ია. აღნიშნული იმას მოწმობს, რომ მთლიანობაში, პოსტკრიზისულ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკა სტაბილურად იზრდება და გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის წევატიური შედეგები ძირითადად გადალახულია.

განვითარებული ქვეყნების მშპ-ს ზრდის საშუალო წლიური ტემპი 1995-2005 წლებში შეადგენდა 2,8%-ს, 2010-2015 წლებში – 1,8%-ს, ევროზონის ქვეყნებისა – შესაბამისად 2,1% და 0,9%; ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა – 4,0% და 3,3%-ს;

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში -4,2%-ს და 2,3%-ს; აზიის განვითარებად ქვეყნებში – 6,9%-ს და 7,4%-ს; ლათინური ამერიკის ქვეყნებში – 2,9%-ს და 3,0%-ს.¹ განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ში – გლობალური ეკონომიკის ამ ლოკომოტივში – ეკონომიკური ზრდის ტემპის პროგნოზირებულზე უფრო მაღალ დონეზე დაფიქსირება. კერძოდ, აშშ-ს ეკონომიკა 2014 წელს 2,4 %-ით გაიზარდა, 2015 წელს ზრდის ტემპმა 3,6% შეადგინა, ხოლო 2016 წელს – 3,5%. მნიშვნელოვნად შემცირდა უმუშევრობის დონე, რომელმაც 2014 წელს 6% შეადგინა.² ეს გარემოება რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული: პირველი – თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე ენერგიის უფრო იაფი წყაროების მოხმარებაზე გადასვლა, პირველ რიგში, ე.ნ. „ფიქალის“ გაზისა და „ფიქალის“ ნავთობის გამოყენებით; მეორე – რეინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ნიშნავს არაძველ ინდუსტრიულ სისტემაზე დაბრუნებას, არამედ ახალი, უპირატესად ცოდნასა და უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დარგების აღმოცენებას. მათ ახასიათებთ წარმოების დანახარჯებში შრომის ხვედრითი წილის შემცირება და ისეთი ფაქტორების როლის ამაღლება, როგორებიცაა წარმოების სიახლოვე საკვლევ-საკონსტრუქტორო ბაზებთან და წარმოებული პროდუქტების ძირითად მომხმარებელ რეგიონებთან, გამოყენებული ენერგიის სიიაფე და ა.შ. აშშ-ს ეკონომიკურ ზრდაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კრიზისის პერიოდში შეზღუდული ხელფასის ეფექტი, რაც აიაფებდა ამ ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციას და ამაღლებდა მის კონკურენტუნარიანობას. საგრძნობი დადებითი შედეგები გამოიღო ფედი-ს მასტიმულირებელმა პოლიტიკამ, რომელიც ანტიკრიზისული მექანიზმის სახით გამოიყენებოდა და ხელს უწყობდა როგორც რეალური წარმოების ზრდას, ასევე უმუშევრობის დონის შემცირებას. შედარებით სუსტი პოზიტიური ეკონომიკური

¹ IMF World Economic Outlook Databases, October, 2015, www.imf.org

² IMF, WEO Update, January, 2015

ტენდენციები შეინიშნებოდა იაპონიაში, რომელიც ე.წ. „აბეე-კონომიკის“ დოქტრინაზე დაყრდნობით ნელ-ნელა გამოდიოდა ოცნლიანი რეცესიიდან. ამასთან ერთად, გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ადგილი ჰქონდა ე.წ. „აფთერ-შოკებს“, რომელიც შეიძლება შევადაროთ იმ სუსტ მიწისქვეშა ბიძგებს, რაც თან სდევს დამანგრეველ მიწისძვრას. „აფთერ-შოკები“, პირველ რიგში, ევროზონის მასშტაბით განვითარდა,¹ სადაც 2011 წლიდან დაწყებული, მშპ ექვსი კვარტლის განმავლობაში მცირდებოდა, ანუ წარმოიშვა ახალი რეცესია. მდგომარეობის გამოსწორება ევროზონაში მხოლოდ 2013 წლის პირველი კვარტლიდან დაიწყო. განსაკუთრებით მწვავე რეცესიას ჰქონდა ადგილი საბრძნეთში, სადაც ქვეყნის მშპ 2007-2013 წლებში 25%-ით შემცირდა. იმავე პერიოდში მშპ-ს სერიოზული შემცირება აღინიშნებოდა: პორტუგალიაში – 7,0%-ით, ესპანეთში – 5,6%ით, იტალიაში – 5,5%-ით.² სერიოზულ ეკონომიკურ სიბრძლეებს განიცდიდა ირლანდიაც.

პოსტკრიზისული აღდგენითი პერიოდისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური სახელმწიფო ვალისა და ბიუჯეტის თემები იყო. მკაცრი ეკონომიკური ღონისძიებების მიუხედავად, რომელიც ითვალისწინებდა ერთდღროულად სოციალური შეღავათების შეკვეცას და გადასახადების შემცირებას ეკონომიკის სტიმულირების მიზნით, ევროზონის ქვეყნების საგარეო ვალი განუწყვეტლივ იზრდებოდა. ეკონომიკის გაჯანსაღების შენელებული ტემპი აფერხებდა მთავრობის შემოსავლების ზრდას და ამის გამო 2009-2013 წლებში სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ში ევროზონის ყველა ქვეყანაში გაიზარდა.

პოსტკრიზისულ პერიოდში მსოფლიოს გეოეკონომიკურ ლანდშაფტზე აქტიურ ზეგავლენას ახდენდა ორი ურთიერთდა-

¹ „ევროს შესაბამისად ევროკავშირის არსებობის ისტორიაში 2011 წელი ყველაზე კრიტიკული იყო“ ჭარაა ვ. ევრო: რეალობა და პერსპექტივები // ეკონომიკა და ბიზნესი. 2012. №1, გვ.125.

² ვ. ღოვანი, დ. ბლეიდსი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვასწავლოთ და გავიგოთ. მეორე გამოცემის ქართული თარგმანი, თბ., 2015, ელ. ვერსია, გვ. 504.

კავშირებული მოვლენა: დოლარის კურსის გამყარება თითქმის ყველა სხვა ეროვნულ ვალუტასთან მიმართებით და ნავთობპრო-დუქტების მსოფლიო ბაზარზე ფასების მკვეთრი შემცირება. გლო-ბალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მარწუხებიდან თავის დაღწევის მიზნით ფედ-მა დაიწყო რაოდენობრივი შერბილების პროგრამის (Quantitativ Easing – QE) განხორციელება, რომელიც ითვალისწინებდა ცენტრალური ბანკის რესურსების ფართო გა-მოყენებას აქტივების შესაძენად. პირველ ეტაპზე, ე.წ. QE-ს ფარ-გლებში ფედ-მა 1.7 ტრლნ დოლარამდე გამოჰყო კომერციული ბანკებიდან სახელმწიფო სააგენტოების – Fannie Mae-ს და Freddie Mac-ის იპოთეკური ქაღალდების შესაძენად. 2011 წლის შუა პერიოდიდან დაიწყო QE-2-ის განხორციელება – ფედის მიერ აშშ ფინანსთა სამინისტროს სავალო ვალდებულებების (სახელმწიფო ობლიგაციების) შესყიდვა. დაახლოებით 600 მლრდ დოლარის აქ-ტივები იქნა შესყიდული ამ შემთხვევაში ფედის მიერ. 2012 წლის აგვისტოში QE-3-ის ფარგლებში ფედმა კიდევ 85 მლრდ დოლარი გამოჰყო ფასიანი ქაღალდების შესასყიდად.

რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკა საყოველთაო კონსენსუსის საგანი არ ყოფილა აშშ-ში. პირიქით, მის გარშე-მო მწვავე დისკუსია გაიშალა მეცნიერ-ეკონომისტებს, პრაქ-ტიკოს-ფინანსისტებსა და პოლიტიკოსებს შორის. პროგრამის კრიტიკოსები მიუთითებდნენ, რომ მან გამოიწვია აქციებსა და რესურსებზე ფასების გაძერვა, კრედიტების ხარისხების გაუა-რესება და ფულის მიწოდების გაზრდის გამო დოლარის ლირე-ბულების შემცირება. მას შემდეგ, რაც ამ პროგრამამ ძირითა-დად შეასრულა საკუთარი მისია – ხელი შეუწყო ეკონომიკის გამოცოცხლებას და დასაქმების ზრდას, თანაც იმგვარად, რომ ამას არ მოჰყოლია ინფლაციის გაზრდა, დღის წესრიგ-ში დადგა მისი დასრულების საკითხი. 2014 წლის ოქტომბერში ფედმა მიიღო გადაწყვეტილება რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკის შეწყვეტის თაობაზე. ამასთანავე გადაწყდა, რომ რეფინანსირების დაბალი განაკვეთი – 0-0,25%-ის ფარგლებ-

ში ხანგრძლივი დროის მანძილზე შენარჩუნებულიყო. სწორედ პროგრამის შეჩერების პირდაპირ შედეგად უნდა ჩაითვალოს დოლარის კურსის გამყარება მსოფლიო ეკონომიკაში, რამაც ასევე ზეგავლენა იქონია ჩვენი ეროვნული ვალუტის ქცევაზე ბოლო წლების განმავლობაში. აღნიშნულ საკითხზე დაწვრილებით საუბარი შემდეგ პარაგრაფში გვექნება.

მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, როგორც აღვნიშნეთ, არის ნავთობპროდუქტების მსოფლიო ბაზარზე ფასების მკვეთრი შემცირება. ეს უკანასკნელი რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. პირველი მათ შორის დოლარის საყოველთაო გამყარებაა, რომელიც განსაკუთრებით დიდ ფინანსურ დარტყმას აყენებს ნავთობის მომპოვებელი და ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკას. მეორე არის ნავთობზე მოთხოვნის მკვეთრი შემცირება, რასაც განაპირობებს მისი ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებლის – ჩინეთის ეკონომიკური ზრდის შეფერხება. მესამე არის აშშ-ს მიერ საკუთარი ნავთობის მოპოვება და გამოყენება. ეს განსაკუთრებით შეეხება ე.წ. „ფიქალის ნავთობს“. მეოთხე – ნავთობის მომპოვებელი ქვეყნები არ ამცირებენ ამ პროდუქტის წარმოებას და ბაზარზე მიწოდებას. პირიქით, ნავთობით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნის – ირანისთვის სანქციების მოხსნა განაპირობებს ნავთობ-პროდუქტების მიწოდების მკვეთრ ზრდას. კერძოდ, სანქციის მოხსნისთანავე ირანი მზადყოფნას გამოთქვამს ბაზარს დემპინგურ ფასებში მიაწოდოს დღეში 0,5 მლნ ბარელი ნავთობი, ხოლო 6-9 თვის შემდეგ მიწოდება 1,0 მლნ ბარელამდე გაზარდოს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამერიკელი ეკონომისტი კ. როგოფი პროგნოზირებდა, რომ ფიუჩერსულ ბაზრებზე ბარელი ნავთობის ფასი 60 აშშ დოლარს მხოლოდ 2020 წლისთვის მიაღწევდა.¹

¹ კ. როგოფი. ნავთობზე ფასები და მსოფლიო ეკონომიკის ზრდა. <https://www.projectsindicate.org/commentary/oilprices-global>, 2016 წელი

5.2. გამოცვევები და საფრთხეები

პოსტკრიზისული პერიოდისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია **ტექნოლოგიურ-ინოვაციური** გამოწვევა. კრიზისი ხშირად ამთავრებს ეკონომიკური განვითარების იმ ფაზას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ინოვაციური პაუზა“ და იწყებს თვისობრივად ახალ პროცესს. ასეთ ფაქტს ორჯერ ჰქონდა ადგილი გასულ საუკუნეში. პირველი იყო „დიდი დეპრესიის“ შემდეგ, როცა საფუძველი ჩაეყარა ინდუსტრიის მასობრივ განვითარებას ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე. მეორე უკავშირდება 1970-იანი წლების დასაწყისის ეკონომიკურ კრიზისს, რომელმაც რესურს და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების მასობრივ გამოყენებას დაუდო სათავე. მათ მსგავსად, გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომი პერიოდი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ძველი ინდუსტრიული მემკვიდრეობიდან განთავისუფლების და ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე წარმოების გადასვლის პროცესი, რომლის ქვაკუთხედსაც წარმოადგენს ფართო **რობოტიზაცია**. იგი ასევე გამოვლინდება მართვისა და რეგულირების პრინციპულად ახალი სისტემის ჩამოყალიბებაში, რომლის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის გაფურჩქვნას და გამოყენებას. ტექნოლოგიურ-ინოვაციური გამოწვევა დაკავშირებულია ეკონომიკის ძირეული სტრუქტურული მოდერნიზაციიდან მომდინარე საფრთხესთან. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, აქ მხედველობაში გვაქვს უმუშევრობის გაზრდის საფრთხე, როგორც წარმოების ფართო რობოტიზაციის პირდაპირი და უშუალო შედეგი. ამჟამად პრობლემა იმდენად მწვავე არ არის, ვინაიდან რობოტიზაციას არ მიუღწევია ისეთი მასშტაბებისთვის, რომ იგი დასაქმებისთვის რეალურ საფრთხედ გადაქცეულიყო. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რობოტი, როგორც წესი, მარტივი, დაბალკვალიფიკაციური შრომის ჩამნაცვლებელია და ნაკლებად

ეხება რთული, განსაკუთრებით კი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობით დაკავებულ მუშაკებს. Exit strategის განხორციელება გულისხმობს, რომ საწარმოების მხრიდან ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნა მყარად დაუკავშირდეს მათი ტექნიკურ-ტექნოლოგიური განახლების და მოდერნიზაციის საჭიროებებს. ამის გარეშე არსებობს ძველი ტექნოლოგიური საფუძვლის შენარჩუნების რეალური საფრთხე (ე.წ. business as usual), რომელიც უეჭველია ხელს შეუშლის ახალი თვისობრიობის მქონე ეკონომიკური ზრდის დაწყებას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ინოვაციებისადმი მენარმეთა მხრიდან დაინტერესებას ხშირად ხელს უშლის ეკონომიკაში მათი მონიპოლიური მდგომარეობა, რაც მოითხოვს ინოვაციების დანერგვის ღონისძიებებთან პარალელურ რეჟიმში ძლიერი და ეფექტური კონკურენციული პოლიტიკის გატარებას. ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს ინოვაციების გადაქცევა კონკურენციაში გამარჯვების ქმედით ინსტრუმენტად, რის შესახებაც თავის დროზე ხაზგასმით აღნიშნავდა ო. შუმპეტერი.

პოსტკრიზისული ეკონომიკური განვითარებისათვის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს ფენომენი, რომელსაც პროფ. ვ. პაპავა „ეკონომიკის ზომბირებას“ უწოდებს. იგი აღნიშნავს: „ზომბი-ეკონომიკა ფინანსური კრიზისის მემკვიდრეობას წარმოადგენს“.¹ საქმე იმაშია, რომ „ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ, ეკონომიკა მემკვიდრეობით იღებს მის არასიცოცხლი-სუნარიან ნაწილს, რომელიც ცდილობს სახელმწიფოს მხრიდან ის ფინანსური მხარდაჭერის სისტემა შეინარჩუნოს, რომლითაც იგი სტაგნაციის პირობებში სარგებლობდა“.² ზომბი-ეკონომიკის ფენომენი, უნინარეს ყოვლისა, იაპონიას უკავშირდება და 1990-იან წლებში „ჩაისახა“.³ იგი საფუძვლიანადაა შესწავლილი ამერიკელი პროფესორის პ. კრუგმანის მიერ. მეცნიერი აღნიშნავს,

¹ პაპავა ვ. ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბ., 2010.გვ.18.

² იგივე წყარო. გვ. 17-18.

³ პაპავა ვ. ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბ., 2010.გვ.16.

რომ 1990-იან წლებში იაპონიის ეკონომიკა განვითარების გზას დაადგა, რომელსაც „ზრდის რეცესიას“ უწოდებენ. ეკონომიკური კრიზისები იაპონიაში ისე მწვავედ არასდროს ვლინდებოდა, როგორც აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში, თუმცა გამოირჩეოდა დიდი ხანგრძლივობით. „იაპონური მანქანა თანდათან კარგავდა თავის ძალას, ნაცვლად იმისა, რომ მკვეთრად და ორჭიალით გაჩერებულიყო“.¹

კრუგმანის მოსაზრებით ასეთ სიტუაციას განაპირობებდა იაპონიის ეკონომიკის სტრუქტურის თავისებურება და მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი. იაპონიის მსხვილი კომპანიები ფინანსურ ჯგუფებად იყვნენ გაერთიანებული დიდი იაპონური ბანკების ირგვლივ, რომლებიც, თავის მხრივ, კონტროლდებოდნენ სახელმწიფოს მხრიდან. ეს ბანკებს საშუალებას აძლევდა კომპანიებზე გაეცათ შეუზღუდავი რაოდენობის კრედიტები. კომპანიების ძირითადი სტრატეგია იყო არა მაღალი მოგების მიღება, არამედ საექსპორტო ბაზრებზე საკუთარი წილების გაზრდა და კონკურენტების შევიწროვება. როდესაც სადაზღვევო ფონდის როლში გადასახადის გადამხდელთა სახსრები გამოდის, ბანკები და მათი კლიენტები ნაკლებ სიფრთხილეს იჩენენ და ხშირად ავადდებიან „სპეცულატიური ციებ-ცხელებით“. როგორც კრუგმანი მართებულად შენიშნავს: „ნასესხები ფული თავისი ბუნებით რისკის მფარველია“.² ასე იბერება ფინანსური ბუშტები, რომელთა ჩაფუშვასაც მწვავე კრიზისები მოსდევს.

პროფ. ვ. პაპვა ზომბი-ეკონომიკიდან გამოსვლის ერთადერთ ქმედით მექანიზმად გაკოტრების შესახებ კანონის ამოქმედებას მიიჩნევს.³ მას არა აქვს იმის ილუზია, „რომ ფინან-

¹ Krugman P. The Return of Depression Economics and the Crisis of 2008. N.Y., L.: Norton: 2009.p.57.

² იქვე.

³ პაპვა ვ. ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები) //საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ.8., თბ., 2010. გვ. 57.

სური კრიზისის პირობებში მმართველ ელიტას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ეყოფა გამბედაობა აამოქმედოს ეს მექანიზმი“. ამასთანავე „მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეს მექანიზმი ამოქმედდეს პოსტკრიზისულ პერიოდში“.¹

პოსტკრიზისულ პერიოდში ასევე განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულადი სახსრების **მიზნობრივი გამოყენების** საკითხი. აუცილებელია იმის ცოდნა – საით მიერთება, რას ხმარდება უზარმაზარი ფულადი რესურსი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კრიზისული მოვლენების დაძლევასთან ერთად, ფინანსური ინსტიტუტები კვლავ დაუბრუნდნენ ბიზნესის წარმოების ძველ ტრადიციულ მეთოდებს, რაც იწვევს სპეცუალატიური ოპერაციების განხორციელების გზით ფინანსური ბუშტების გაბერვას და თავის დროზე გახდა გლობალური ფინანსური კრიზისის აღმოცენების მნიშვნელოვანი მიზეზი. შემთხვევითად არც ის ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს, რომ სწორედ კრიზისის ბოლოს და პოსტკრიზისული პერიოდის დასაწყისში წარმოიქმნა გაკოტრებული ფინანსური სტრუქტურების უპირობო გადარჩენის იდეის მოწინააღმდეგეთა საზოგადოებრივი მოძრაობა – ე.წ. „bail-out“. ისინი სრულიად სამართლიანად აყენებდნენ საკითხს: „თუკი სახელმწიფო მათ მაინც მისცემს ჩვენგან გადასახადებით აკრეფილ ფულს, ჩვენ უფლება გვაქვს დეტალური ინფორმაცია მივიღოთ, თუ როგორ იხარჯება ეს ფული“. ამ საქმეში გამჭვირვალეობის და საზოგადოების წინაშე ფინანსური კომპანიების ანგარიშვალდებულების გარეშე მათ შესაძლებელია ადვილად გაუჩინდეთ სახელმწიფოდან მიღებული ფულის არამიზნობრივად ხარჯვის ცდუნება. ამის ნიშნადობლივი მაგალითია რუსეთი, სადაც დახმარების სახით კომპანიებმა მიღიარდობით დოლარი მიიღეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. იმის ნაცვლად, რომ

¹ პაპავა ვ. ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე... გვ.58

ეს ფული წარმოების სანაციისთვის გამოეყენებინათ, მათ იგი ქვეყნიდან გაიტანეს და უცხოეთის ბანკებში კერძო ანგარიშებზე განათვალისწინება.

დაფინანსების მიზნობრიობის საკითხი შემადგენელი ნაწილია ისეთი უფრო ფართო პრობლემისა, როგორიცაა ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფო ჩარევის გაძლიერება, რასაც განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა კრიზისის პერიოდში. კრიზისის დამთავრების შემდეგ სულ უფრო აქტუალურია კითხვები: გაგრძელდეს უნდა თუ არა აქტიური ინტერვენციონისტური პოლიტიკა? ხომ არ არის შესაძლებელი ასეთი პოლიტიკის გამოყენებით მსგავსი კრიზისების მომავალში თავიდან აცილება? რა სირთულეებთან და გამოწვევებთანაა დაკავშირებული მისი პრაქტიკული განხორციელება? ერთმნიშვნელოვანი პასუხები ამ შეკითხვებზე ჯერ-ჯერობით არ არსებობს და ისინი კვლავ რჩებიან მწვავე დისკუსიის ცენტრში. ასევე გაისმის მოწოდება, რომ „დროა გამოვაცხადოთ კრიზისზე საბოლოო გამარჯვება და უარი ვთქვათ მასტიმულირებელ პოლიტიკაზე“.¹

პოსტკრიზისული პერიოდის ერთ-ერთი ეგზისტენციური საფრთხეა სოციალური უთანასწორობის გაძლიერება. ადამიანთა ძალიან მცირე ნაწილი, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს ეს ფაქტი, გლობალური კრიზისის პერიოდში კიდევ უფრო გამდიდრდა, უმეტესი ნაწილი კი გაღარიბდა და მათი ცხოვრების სტანდარტები კიდევ უფრო გაუარესდა. კონფლიქტი გაღრმავდა არა მხოლოდ „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებსა და ე.წ. განვითარებად სამყაროს ქვეყნებს, არამედ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის. აღნიშნულის შესახებ ჩვენ გვქონდა მსჯელობა ამ წიგნის წინა ნაწილში. გარკვეული კონტექსტით მას შემდეგ გაც დავუბრუნდებით. აქ მხოლოდ იმას ვაფიქსირებთ, რომ გლობალური მასშტაბით სამართლიანობის მიღწევის გარეშე

¹ Goodhart (Ch. It is Time to Declare Victor and Withdraw Easing // The Financial Times.2009, Dec.1.p.18.

მწვავე და დამანგრეველი ცივილიზაციური კრიზისების თავი-დან აცილება პრინციპულად შეუძლებელია.

პოსტკრიზისული პერიოდის ყველაზე დიდ საფრთხეს, ჩვენი აზრით, „ლიკვიდურობის ხაფანგის“ არსებობა წარმოადგენს. კრიზისის შემდეგ და შედეგად ეკონომიკა მოდუნებულია და მისი ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად აუცილებელია ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება, რომელსაც რბილი ფულად-საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელება სჭირდება. მის გარეშე არსებობს რეცესიის გახანგრძლივების საფრთხე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა „დიდი დეპრესიის“ შემდგომ პერიოდში. მეორე მხრივ, რბილმა ფულად-საბიუჯეტო პოლიტიკამ შესაძლებელია გამოიწვიოს ინფლაციური პროცესების გაძლიერება, როგორც ეს მოხდა აშშ-სა და მსოფლიო ეკონომიკაში 1970-1980-იანი წლების მიჯნაზე.¹

სწორედ ეს არის „ხაფანგი“, რომლისგან თავის დაღწევა ძალიან რთულია, თუმცა სახელმწიფოს გააჩნია ინსტრუმენტები, რომელთა სწორად გამოყენებითაც შესაძლებელია თუ ხიდათის მთლიანად თავიდან აცილება არა, მისი საგრძნობი შერბილება მაინც. სახელმწიფომ უნდა განხორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

- რესურსების პერეორიენტაცია საფინანსო სფეროდან რეალური ეკონომიკის სფეროში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბანკების აქტიურად ჩართვა რეალური ეკონომიკის განვითარებაში, რასაც ჯერ კიდევ დავოსის 2010 წლის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ხაზი გაუსვა ევროპის ცენტრალური ბანკის იმუამინდელმა მმართველმა უ.კ. ტრიშემ.²

- სახელმწიფო ფინანსურად არ უნდა დაეხმაროს წამგებიან და არარენტაბელურ საწარმოებს და ამით მინიმუმამდე დაიყ-

¹ ცნობილი ამერიკელი მონეტარისტი ეკონომისტი ა. მელტცერი წერდა, რომ 1970-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა აშშ-ს ეკონომიკა „ინფლაციის ღრმა ორმოში ჩააგდო“ – Meltzer A. Origins of the Great Inflation // Federal Reserve Bank of St.luis Review. 2005. vol. 56, N5. p. 37.

² www.expert.ru/articles/2010/01/29.

ვანოს სიტუაცია, რომელსაც ლიტერატურაში „moral hazard“-ს უწოდებენ.

• აუცილებელია განხორციელდეს ეკონომიკური სისტემისა და სოციალური სფეროს ფუნდამენტური მოდერნიზაცია.

• უნდა მოხდეს ეკონომიკური განვითარების მიზნების გადაზრება.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს განვითარების კულტუროლოგიურ მახასიათებელებს, სოციალურ გარემოს. საზოგადოებას სჭირდება „ახალი ინსტიტუციური ინტერვენციონიზმი“, ანუ განახლებული ინსტიტუტები, რომელთა ჩარჩოში იფუნქციონირებს ინოვაციური ტიპის, განათლებასა და მეცნიერებაზე დაფუძნებული „შემოქმედებითი ეკონომიკა“, რომელიც წარმოქმნის კრიტიკული მასის მქონე ახალ დამატებულ ღირებულებას.

5.3. პოსტკრიზისული პერიოდის საქართველოს ეკონომიკა

ოპოზიციური პოლიტიკური ძალები და მათი მსარდამჭერი ექსპერტები ერთხმად ამტკიცებენ, რომ 2012 წლის შემდეგ საქართველოში ადგილი აქვს მწვავე ეკონომიკურ კრიზისს. ჩვენ არ ვეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას და მივიჩნევთ, რომ სწორი იქნება საუბარი არა ეკონომიკურ კრიზისზე, არამედ ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებაზე, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

ცხრილი №4 მშპ-ს ზრდის ნლიური ტემპები საქართველოში¹

	1995-2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საქართველო	6,5	9,4	12,6	2,6	-3,7	6,2	7,2	6,4	3,3	4,8	2

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2010 წლის შემდეგ საქართველოში მხოლოდ ორჯერ აღინიშნებოდა მშპ-ს ზრდა წინა წელთან შედარებით. პოსტკრიზისული პერიოდის მშპ-ს ზრდის საშუალო ნლიური ტემპი (4,6%) ჩამორჩებოდა როგორც 1995-2005 წლების ზრდის ტემპს, ასევე კრიზისის წინა 2006-2007 წლების ტემპებს. ამასთანავე, პოსტკრიზისული საქართველოს ეკონომიკის ყველაზე მწვავე და მასშტაბურ პრობლემას წარმოადგენდა არა იმდენად ეკონომიკური ზრდის ტემპის დაქვეითება, რამდენადაც 2014 წლის ნოემბრიდან დაწყებული ლარის ხანგრძლივი და მკვეთრი გაუფასურება. კერძოდ, 2014 წლის ბოლოდან 2016 წლის დასაწყისამდე პერიოდში ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 42%-ით შემცირდა. ლარის ასეთ მკვეთრ გაუფასურებაზე, რა თქმა უნდა, საგარეო ფაქტორები ახდენდა ძლიერ ზემოქმედებას. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ჩვენ მეზობელ და მთავარ პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური სიტუაციის მკვეთრი გაუარესება, რომელიც ხანგრძლივ რეცესიაში გადავიდა. ნავთობის ფასის კლებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ჩვენი მეზობელი და უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორის – აზერბაიჯანის ეკონომიკაზე. 2015 წლის მხოლოდ თებერვლის თვეში აზერბაიჯანული მანათი აშშ დოლარის მიმართ 33%-ით გაუფასურდა. გარკვეული პერიოდის მანძლზე ამ ქვეყნის ხელისუფლება სავალუტო ინტერვენციების გზით ცდილობდა მანათის კურსის შენარ-

¹ შედგენილია ავტორის მიერ

ჩუნებას, თუმცა იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ პოლიტიკაზე, რის შედეგადაც კურსი ერთ დღეში 31%-ით დაეცა. 2014 წელს ეკონომიკური სიტუაცია სომხეთშიც გაუარესდა, რაც განაპირობა მის მთავარ პარტნიორ ქვეყანაში – რუსეთში განვითარებულმა კრიზისმა. 2015 წელს სომხეთში 0%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ადგილობრივი ვალუტა აშშ დოლართან მიმართებაში 17%-ით გაუფასურდა. ასევე აღსანიშნავია თურქეთის ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი რყევის უარყოფითი ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. საქართველოს წამყვან პარტნიორ სავაჭრო ქვეყნებში ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებამ მკვეთრად შეამცირა საქართველოს ექსპორტის მოცულობა ამ ქვეყნებში. ასე მაგალითად, აზერბაიჯანში ექსპორტი შემცირდა 56%-ით, სომხეთში – 55%-ით, რუსეთში – 60%-ით, უკრაინაში 75%-ით და ყაზახეთში – 59%-ით. ექსპორტმა ასევე იყლო თურქეთში 200%-ით, აშშ-ში 39,3%-ით. საქართველოდან ექსპორტი გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებში 19,2%-ით და ჩინეთში – 144%-ით, რომლის უმეტესი ნაწილი იყო რეექსპორტი. ამრიგად, საქონლით ვაჭრობის დეფიციტის გაზრდამ გამოიწვია საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუარესება და დოლარზე ზენოლის გაძლიერება. იგივე მიმართულებით იმოქმედა რუსეთიდან და უკრაინიდან ფულადი გზავნილების მკვეთრმა შემცირებამ. კერძოდ, 2014 წელს რუსეთიდან ფულადი გზავნილები 43,7%-ით შემცირდა, 47,1%-იანი შემცირება დაფიქსირდა უკრაინიდან.

ამრიგად, სახეზეა რთული საგარეო ფაქტორების მთელი კომპლექსი, რომელსაც არ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა არ მოეხდინა ლარის სტაბილურობაზე. ამასთანავე, ჩვენ კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით ეროვნული ბანკის, მთავრობის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის იმ წარმომადგენლების და ზოგიერთი ქართველი ექსპერტის მოსაზრებას, რომლებიც ლარის გაუფასურებას მხოლოდ საგარეო ფაქტორებით ხსნიან. ვფიქრობთ, ეს არის სიტუაციის ხელოვნური გამარტივე-

ბის, რეალობის დამახინჯების და პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საკმაოდ წარუმატებელი მცდელობა. ჩვენი აზრით, ლარის გაუფასურებაში მნიშნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული ბანკისა და მთავრობის არათანმიმდევრულმა, არაოპერატიულმა, ხშირად კი არასწორმა მოქმედებამ, პასურობამ ან საერთოდ უმოქმედობამ. ქვემოთ მოყვანილ ანალიზში სწორედ ამ თეზისის დასაბუთებას შევეცდებით.

ეროვნული ბანკის როლი. სებ-ის მონეტარული პოლიტიკა არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი იყო. ერთი მხრივ, იგი დოლარის მასას აწვდიდა ბაზარს, მეორე მხრივ კი რეფინანსირების მექანიზმის გამოყენებით პერმანენტულად ზრდიდა ლარის მასის მიწოდებას. ასე მაგალითად, 2012 წელს სებ-ის რეფინანსირებული სესხების მოცულობა 400 მლნ ლარს შეადგენდა, 2015 წელს კი მან 965 მლნ ლარი შეადგინა. ამ შემთხვევაში ძნელია არ დაეთანხმო ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის ნ. ჯავახიშვილის შემდეგ მოსაზრებას: „როცა ხედავ, რომ მიმოქცევაში ლარის სიჭარბეა, მოთხოვნა დოლარზეა და ამ დროს 350 მლნ-დან 700 მლნ-მდე ზრდი კომერციული ბანკების დაკრედიტებას, რითაც მიმოქცევაში უშვებ ლარის უზარმაზარ მასას... როცა ლარის კურსის სტაბილურობას სერიოზული საფრთხე ემუქრება და რეალურად დამანგრეველი პროცესი მიდის... ამ დროს ეროვნულ ბანკს უჩნდება იმის ვალდებულება, ცოტათი მაინც გააძვიროს ფული და მიმოქცევაში რაც შეიძება ნაკლები იყოს ლარი.“¹ ზემოაღნიშნული პოლიტიკის შედეგი ის იყო, რომ „პირველი ინტერვენცია მეორის ხარჯზე ნეიტრალდებოდა და იყარგებოდა ის პოზიტიური ეფექტი, რომელიც უნდა მიღწეულიყო დოლარის მასის მიწოდებით“². რეფინანსირების ასეთ ზრდას ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა ხსნიდა ეკონომიკური ზრდის წახალისების აუცილებლობით.

¹ ჯავახიშვილი ნ. ვინ ათამაშებს ქართულ ლარს? კვირის პალიტრა, 2015 წ. 23 მარტი, გვ. 8.

² ბანკები და ფინანსები №4.3 ივნისი, 2015 წ. გვ. 6

თეორიული თვალსაზრისით, ეს სწორი პოსტულატია, თუმცა საქართველოს ეკონომიკური სინამდვილიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ფრიად განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. პირველ რიგში გასათვალისწინებელია რეფინანსირების სესხების გამოყენების მიმართულება. ისინი ხმარდებოდა არა სამამულო წარმოების განვითარებას, არამედ ძირითადად იმ-პორტის დაკრედიტებას. შესაბამისად, სებ-ი რეფინანსირების გზით ადგილობრივ წარმოებას კი არ ასტიმულირებდა, არამედ უცხოეთის ქვეყნების ეკონომიკაში გზავნიდა ფულს და ამასთანავე, შიგა სავალუტო ბაზარზე ზრდიდა მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე, ძირითადად დოლარზე. კომერციული ბანკები რეფინანსირების გზით ეროვნული ბანკისგან იღებდნენ ფულს, ამ ფულით ყიდულობდნენ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, ანუ მთავრობაზე გასცემდნენ სესხებს, შემდეგ კი ლიკვიდურობის შესავსებად კვლავ ეროვნულ ბანკს მიმართავდნენ სესხის ასაღებად. ამ სქემაში არსებითა შემდეგი გარემოება – კომერციული ბანკები სებ-ისგან სესხს ღებულობდნენ საშუალოდ 4,5%, მთავრობაზე, ვადიანობიდან გამომდინარე, ასესხებდნენ 6,7, 10 და 11%-ად, ამ გზით ისინი ათეულობით მილიონი ლარის საპროცენტო შემოსავალს იღებდნენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რეფინანსირების გზით ხდება ეროვნული ბანკის მიერ ბიუჯეტის არაპირდაპირი დაფინანსება. ბიუჯეტის დეფიციტის არსებობის შემთხვევაში ეს არის ემისიური დაფინანსების ფორმა.

რეფინანსირების მნიშვნელოვანი ზრდა იმ პირობებშიაც კი, როცა სავალუტო ბაზარზე დიდ რყევებს ქონდა ადგილი, ჩვენი აზრით, განპირობებული იყო ეროვნული ბანკის მიერ დეკლარირებული ინფლაციის მაჩვენებლის მიღწევის მცდელობით. როგორც ცნობილია, 2016 წელს სებ-ის ორგანულ კანონში შესწორება შევიდა, რომლის მიხედვითაც ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია არა ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე, არამედ თარგეტირებული ინფლაციის მაჩვენებელზე

და ზოგადად ფინანსური სისტემის სტაბილურობაზე. თავი რომ დავანებოთ მარტივ ჭეშმარიტებას – სტაბილური ეროვნული ვალუტის გარეშე არ არსებობს სტაბილური ფინანსური სისტემა – მიზნობრივი ინფლაციის დონის მიღწევამდე ეროვნული ბანკი, ამ შესწორებიდან გამომდინარე, სრულებით არ არის დაინტერესებული რეფინანსირების შემცირებით და ლარის გამყარებით.

საქართველოში ლარის დევალვაცია, ფასების გარკვეული ზრდის მიუხედავად, არ გადაზრდილა ინფლაციის ადეკვატურად მაღალ მაჩვენებელში, რაც ჩვენი აზრით, რამდენიმე გარემოებით აიხსნება. პირველი, ლარი არ გაუფასურებულა იმპორტიორი ქვეყნების (რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი) ეროვნულ ვალუტებთან მიმართებაში. მეორე, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობზე ფასების დაცემამ; მესამე, შემცირდა საოჯახო მეურნეობების მსყიდველობითუნარიანობა. საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც სესხები დოლარში ჰქონდა აღებული, შემოსავლებს კი ლარში იღებდა, ლარის კურსის დაცემის შემდეგ დაახლოებით 15-20%-ით მეტ თანხას ხარჯავდა ლარის დოლარში კონვერტაციაზე. ეს მნიშვნელოვნად ამცირებდა მიმდინარე მოხმარებას და გადახდისუნარიან მოთხოვნას, რაც აბრკოლებდა მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ფასების ზრდას.

ბევრ კითხვას ბადებს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო რეზერვების ხარჯვის პოლიტიკა. 2009-2010 წლებში, წელიწადნახევრის განმავლობაში სებ-მა ეკონომიკას მიაწოდა 450 მლნ აშშ დოლარი, რის შედეგადაც რეზერვების მოცულობა 1,9 მლრდ აშშ დოლარამდე შემცირდა. 2014 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ანუ საქართველოში სავალუტო კრიზისის საწყის ეტაპზე, სებ-ის სავალუტო რეზერვები შეადგენდა 2,5 მლრდ აშშ დოლარს. მათ გამოყენებას სებ-ი არ ჩქარობდა, ვიდრე სიტუაცია საგანგაშო არ გახდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო დოლარის გაყიდვა: მან სამჯერ განახორციელა დოლარის ინტერვენცია

20-20 მლნ დოლარის ოდენობით. სებ-ის ხელმძღვანელობას საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ის არგუმენტები მოჰყავდა, რომ სხვა ქვეყნებში განხორციელებულ დოლარის ინტერვენციას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია ეროვნული ვალუტების კურსის გამყარების თვალსაზრისით. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ დოლარის ინტერვენციით ეროვნულ ბანკს შეეძლო ლარის კურსის რყევის თავიდან აცილება, თუმცა ლარის კურსის გაუფასურების დაწყებისთანავე მას უნდა გამოეყენებინა ინტერვენციები, რომ არ გაჩენილიყო პანიკის ნიშნები და არ განხორციელებულიყო სპეკულაციური შეტევა სავალუტო ბაზარზე. ამასთან ერთად, ჩვენ მივიჩნევთ, რომ დოლარის ინტერვენცია და ზოგადად ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება დროებითი, მოკლევადიანი პერიოდის ღონისძება. საშუალოვადიან და განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში შემზღვდავი მონეტარული პოლიტიკა, მართალია, შეამცირებს ლარის კურსის ვარდნას, მაგრამ გაიზრდება სესხებზე საპროცენტო განაკვეთები, ეკონომიკაში შევა ნაკლები ფული და შესუსტდება ლარის ისედაც არამდგრადი ეკონომიკური საფუძველი. ამიტომ, როდის და რა ფარგლებში უნდა იმოქმედოს ეროვნულმა ბანკმა, ეს არის პრინციპული მნიშვნელობის საკითხი.

მთავრობის როლი ეროვნული ვალუტის სტაბილურობასთან მიმართებაში გამოიხატება ფისკალური კონსოლიდაციის უზრუნველყოფაში, რასაც თანამედროვე პირობებში საგრძნობლად ართულებს საბიუჯეტო ხარჯების სწრაფი ტემპებით ზრდა. ბოლო წლების მანძილზე საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე საბიუჯეტო ხარჯების ზრდის ტემპმა მნიშვნელოვნად გაუსწრო ეკონომიკის ზრდის ტემპს, რასაც შედეგად მოჰყვა შიგა ვალის დაგროვება. მართალია, საქართველოს სახელმწიფო ვალის მოცულობა (მშპ-ს დაახლოებით 40%) ნაკლებია „თავისუფლების აქტით“ განსაზღვრულ მოცულობაზე, ანუ მშპ-ს 60%-ზე, მაგრამ თუ ვალის, განსაკუთრებით შიგა

ვალის დაგროვება მზარდი ტემპით გაგრძელდა, ქვეყანა სერიოზული საფრთხის წინაშე დადგება. ბიუჯეტის დაძაბულობაში მნიშვნელოვანი როლი ითამა 2012 წლის შემდეგ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირეულმა შეცვლამ – თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკის სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკად ტრანსფორმაციამ. ამჟამად, ეკონომიკის ექსპერტები ხშირად საუბრობენ ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცაზე და სხვადასხვა თანხას ასახელებენ. ვფიქრობთ, რომ მათი მხრიდან აქცენტი ძირითადად მექანიკურ მიდგომაზე კეთდება. ჩვენი აზრით, ბიუჯეტის ტოტალური შემცირება არ არის გამოსავალი. პირიქით, ამან შესაძლებელია გამოიწვიოს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილების კიდევ უფრო მეტად შემცირება და ამით ახალ კრიზისს დაუდოს სათავე.

უაღრესად მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ საბიუჯეტო დისციპლინის მკაცრი დაცვა, რომელიც გულისხმობს ბიუჯეტიდან თანხების თანაბარზომიერ ხარჯვას და ამ გზით მიმოქცევაში ჭარბი ფულის შედინების თავიდან აცილებას. აღსანიშნავია, რომ 2014, 2015 და 2016 წლების დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა ბიუჯეტის დანახარჯები ბიუჯეტის შესრულების მაღალი მაჩვენებლის დაფიქსირების მიზნით, რამაც გაზარდა ლარის მასა მიმოქცევაში და ხელი შეუწყო ეროვნული ვალუტის გაუფასურებას.¹

მთავრობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება. მიზეზთა გამო, წლების მანძილზე საქართველოში ძირითად აქცენტი კეთდებოდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რომლის თანაფარდობა მშპ-სთან ასეთი იყო:

¹ ბანკები და ფინანსები, 2015 წ, №413, გვ. 8.

**ცხრილი № 5 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების
თანაფარდობა მშპ-სთან საქართველოში¹**

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
უპი-ს ნილი მშპ- ში (%-ში)	20	12	6	7	8	6	6	11

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ეს არის არა მხოლოდ ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, არამედ ახალი ტექნოლოგიების, „ნოუ-ჰინგ“ და ა.შ. შემოტანა. ამასთანავე, არასწორი იქნებოდა მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შემოფარგვლა. არანაკლებ მნიშვნელოვანია პორტფელური უცხოური ინვესტიციები. გარდა ამისა, ინვესტირებისათვის საქართველოში შიგა წყაროებიც არსებობს. მთავრობამ თანაბრად ხელსაყრელი პირობები უნდა შეუქმნას როგორც უცხოურ, ასევე სამამულო ინვესტიციებს. მნიშვნელოვანია საფონდო ბაზრის განვითარება, რომელიც ინვესტიციების მოზიდვის აპრობირებული მექნიზმია. სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოში საფონდო ბაზარი უკვე დიდი ხანია კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება.

მოსალოდნელი საფრთხეები და რისკები. 2018 წელს საგარეო საფრთხეები კვლავ დაკავშირებული იყო ჩვენ მთავარ საგაჭრო პარტნიორ ქვეყნებში შექმნილ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობასთან. თუკი მეზობელ ქვეყნებში გაგრძელდება ეროვნული ვალუტების გაუფასურება, რისი საკმაოდ მაღალი ალბათობაც არსებობს, ძალიან ძნელი იქნება ლარის მყარი კურსის შენარჩუნება.

მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი რეგიონული გეოპოლიტიკური ფაქტორია რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის

¹ შედგენილია ავტორის მიერ

ე.ნ. „გაყინულ“ მდგომარეობაში გადასვლა, რაც ბუნებრივია ხელს შეუშლის ამ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. უკრაინაში ეკონომიკური კრიზისი თანდათან გადადის გრძელვადიან ეკონომიკურ რეცესიაში, რაც გამოიწვევს საქართველოდან ამ ქვეყანაში ექსპორტის კიდევ უფრო შემცირებას.

როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე და მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე არ არის მოსალოდნელი ნავთობზე ფასების საგრძნობი მატება, რაც ჩვენი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის აზერბაიჯანის ეკონომიკისათვის სერიოზული უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება. შესაბამისად, არ არის მოსალოდნელი ამ ქვეყანაში საქართველოდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა.

საშინაო ფაქტორებიდან პირველ რიგში უნდა გამოყოფილი მიმდინარე წლის ბოლოს საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ამ პერიოდში განსაკუთრებით ძლიერდება ფისკალური დაძაბულობა, რომელიც სულაც არ უწყობს ხელს ლარის სტაბილურობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ამ რისკების გაცნობიერება და მუდმივი მზადყოფნის რეჟიმში მთავრობისა და ეროვნული ბანკის ფუნქციონირება, სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით საქართველოს ეკონომიკაში მოვლენათა განვითარების მრავალვარიანტული სცენარის დაწერა და თითოეულ სავარაუდო სიტუაციაზე მორგებული სამოქმედო გეგმის შედგენა.

ზემოაღნიშნული მსჯელობის შეჯამების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- საქართველოს გააჩნია ღია ეკონომიკა, რომელიც საკმარისად არის ინტეგრირებული გლობალურ ეკონომიკაში, რის გამოც საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს და კვლავაც მოახდენს საქართველოს ეროვნულ ეკონომიკურ სისტემაზე.

- 1998-1999 და 2014-2015 წლებში საქართველოში განვითარებულმა სავალუტო კრიზისებმა თვალნათლივ გვიჩვენა ჩვენი ეკონომიკის მაღალი ხარისხით მოწყვლადობა უარყოფითი საგარეო შოკების მიმართ. აშკარაა, რომ გლობალურ ეკონომიკაში და ჩვენს რეგიონში განვითარებული კრიზისული მოვლენებისგან მთლიანად თავის დაცვა შეუძლებელია, თუმცა ხელისუფლების მიერ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია უარყოფითი საგარეო შოკების გავლენის მინიმიზაცია.

პირველ რიგში უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეროვნული ვალუტის სტაბილურობა ან არაჯანსაღი რყევა, ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის სარკისებრი ასახვაა და ამ თვალსაზრისით ლარის თანამედროვე მდგომარეობა გაცილებით უფრო ადეკვატურად გამოხატავს საქართველოს ეკონომიკის რეალობებს, ვიდრე ეს წინა პერიოდში იყო. ამის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც დაემყარება შემდეგ პრინციპებს:

- 1) ლარის გამყარების მთავარი საყრდენია ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდა – მრეწველობის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და მისი პროდუქტების გადამამუშავებელი წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების დაჩქარებული განვითარება, რაც ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს;

- 2) ლარის გაუფასურების ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია სავაჭრო ბალანსის მკვეთრად გამოხატული დეფიციტი, რომლის შესამცირებლად და ლარის გასამყარებლად აუცილებელია იმპორტშემცვლელი სამამულო პროდუქციის წარმოების განვითარებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან;

- 3) ეკონომიკის „ხერხემალი“ და ეროვნული ვალუტის სიძლიერის გარანტი ინვესტიციებია. აუცილებელია აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება. მიზანშეწნონილად

მიგვაჩნია უცხოურ ინვესტიციებში მიზნობრივი ორიენტაცია გაკეთდეს ჩინეთსა და ირანზე, რომლებიც უდიდესი ეკონო-მიკური პოტენციალის მქონე ქვეყნებია, უნდა გაძლიერდეს მუშაობა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავი-სუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში ჩადებული პრეფერენციების მაქსიმალური გამოყენების მიზნით. მთავრო-ბამ პოტენციურ ინვესტორებს უნდა შესთავაზოს მზა საინვეს-ტიციო პროექტები – მაგალითად, საექსპორტო და იმპორტ-შემცვლელი პროდუქტების წარმოების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების და ა.შ. სფეროე-ბში, ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესში და სხვ.

4) „ვარდების ხელისუფლების“ დროს ლარის სტაბილურო-ბის შენარჩუნების მნიშნელოვან წყაროს საგარეო ვალის აღება წარმოადგენდა, რის გამოც მისი მოცულობა მუდმივად იზრდე-ბოდა. ამის მიუხედავად, საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია ვა-ლის აღების შესაძლებლობა. მთავარია როგორ გამოვიყენებთ აღებულ სესხებს. ჩვენი აზრით, ისინი უპირატესად უნდა მოხ-მარდეს რეალურ წარმოებას, რათა ამ გზით „დავასაქონლოთ“ ლარი, გავზარდოთ დასაქმება და ავამაღლოთ გადახდისუნა-რიანი მოთხოვნილება;

5) აუცილებელია საბიუჯეტო თანხების დისციპლინირე-ბული ხარჯვისა და მთელი საბიუჯეტო წლის მანძილზე მათი თანაბარზომიერი გადანაწილების პოლიტიკის გატარება. მთა-ვრობამ უნდა მოახდინოს საბიუჯეტო ხარჯების არა მექანიკუ-რი შეკვეცა, არამედ მათი პერეორიენტირება რეალური ეკონო-მიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე;

6) საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა შეცვალოს მის მიერ ბოლო წლების განმავლობაში წარმართული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობდა სამომხმარებლო სესხების და, მაშა-სადამე, სავალუტო ბაზარზე დოლარზე წნეხის გაძლიერებას. აუცილებელია შეიქმნას რისკების მართვის ისეთი სისტემა,

რომელიც ხელს შეუწყობს საბანკო სექტორის დაინტერესების ამაღლებას რეალური სექტორის დაკრედიტებაში;

7) უნდა შეიცვალოს ლარის კურსის განსაზღვრის არსებული წესი, რომელიც არ გამორიცხავს არაფრონრმალურ გარიგებებს სავალუტო ბაზრის უმსხვილეს მოთამაშეებს შორის და მათში ეროვნული ბანკის მონაწილეობის შესაძლებლობასაც. ეროვნული ვალუტის კურსი უნდა განისაზღვროს გამჭირვალე და არასპეციულატიურ საბაზრო გარემოში;

8) მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ერთობლივი, სწორად დაგეგმილი საქმიანობით, სტრუქტურული და ფუნქციონალური ვალდებულებების ოპტიმალური განაწილებით უნდა უზრუნველყონ ინფლაციასთან და ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებული უარყოფითი მოლოდინების ნეიტრალიზება. კატეგორიულად უნდა გამოირიცხოს ეროვნული ვალუტის პრობლემის პოლიტიზირება და ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მიერ პასუხისმგებლობის ერთმანეთზე გადაკისრება. მნიშვნელოვანია ამ საკითხში პარლამენტის პასუხისმგებლობის გაზრდაც, ვინაიდან სწორედ ისაა ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელი და მაკონტროლებელი მთავარი ორგანო.

სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პირობებში, არის იმის შანსი, რომ საქართველოს ეკონომიკა წარმატებით განვითარდეს, როგორც პოსტკრიზისულ, ისე გაცილებით გრძელვადიან პერსპექტივაში.

თავი VI. გლობალური ფინანსური პრიზისი და მომავლის ეკონომიკის კონფირები

გლობალური ფინანსური კრიზისის სიღრმისეული ანალიზი მოწმობს, რომ იგი გასულია სტანდარტული ციკლური რყევის მოდელის ჩარჩოდან და ეხება თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურულ საფუძვლებს, ბიზნესის წარმართვის ფილოსოფიას, სტრატეგიას, ზოგადად სამურნეო ცხოვრების სოციო-კულტურულ და იდეოლოგიურ საფუძვლებს. როგორც ფრანგი პოლიტოლოგი ჟ. ბენუა სამართლიანად შენიშნავს: „სინამდვილეში ჩვენ შევეჯახეთ კაპიტალისტური სისტემის ლიბერალური ყაიდის მონდიალიზმისა და ამერიკული ჰეგემონიზმის კრიზისს“.¹ ამ თვალსაზრისით, გლობალური ფინანსური კრიზისი განსაზღვრავს თანამედროვე საზოგადოების განვითარების გრძელვადიან მიმართულებებს და პერსპექტივებს, რომლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სისტემის გლობალური ტრანსფორმაციის პროცესი.^{*} კაპიტალიზმი ამჟამად აშკარად განიცდის ტრანსფორმირებას და „არსებობს იმის განცდა, რომ თანამედროვეები (modern-ად წოდებული-ე.მ.) მთავრდება, კაპიტალისტური სამყარო კი – ახალი ეპოქის (ე.წ. post-modern-ის) კარიბჭესთან დგას... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კაპიტალიზმმა მიაღწია თავისი ზრდის ზღვარს ძველი მოდელის ჩარჩოებში“.²

¹ http://www.arteks-group.com/article_about_crisis.htm/

*ტრანსფორმაციის აუცილებლობას განსაზღვრული სოციალური სისტემის ან მისი შემადგენელი ნაწილის (ქვესისტემის) კრიზისული მდგომარეობა, პოტენციალის ამონტურვა ან/და მის წინაშე წამოჭრილ გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემის უუნარობა წარმოქმნის. ტრანსფორმაციის საშუალებით სისტემა გადადის სასიცოცხლო ციკლის მომდევნო ეტაპზე ან იცვლება უფრო პროგრესული ახალი სისტემით.

² Гринберг Р. Юбилей зрелости: дела и планы., Вопросы экономики, 2010. №5, с. 14.

აქვე შევნიშნავთ, რომ მსგავს სიტუაციას ადგილი ჰქონდა კაპიტალიზმის განვითარების კეინზიანურ და ნეოკონსერვატიულ ეპოქებში, როდესაც სისტემის ძველი მოდელის კრიზისი ლამის „ისტორიის დასასრულად“ აღიქმებოდა. სინამდვილეში, ისტორია კი არ მთავრდებოდა, არამედ გარკვეული საფეხურების გავლისა და მეტამორფოზების შემდეგ ძველ მოდელს ახალი ცვლიდა. სწორედ ამ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას ცნობილი სოციოლოგი და ფუტუროლოგი ო. ვალერსტაინი. იგი წერს „პოსტ-ინდუსტრიული გარდამავალი პერიოდის“ შესახებ, რომელშიაც „მთელი კაპიტალისტური სისტემა რაღაცა სხვად დქცევა¹ (ხაზგასმა ჩვენია). ამ შემთხვევაში ხდება არა კაპიტალისტური სისტემის სილრმისეული შინაარსის შეცვლა, არამედ მისი „საკუთარ სხვად“ გადაქცევა. ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი, რომელმაც არაერთხელ დაადასტურა თავისი სიცოცხლისუნარიანობა და შეცვლილი გარემოსადმი სწრაფი შეგუების უნარი, ამჟამადაც იგივეს მიღწევას ცდილობს. აღნიშნული გარემოება კარგად ჩანს თვალსაჩინო ფუტუროლოგის ე. ტოფლერის მიერ გამოყენებულ „ტრანსპაზრის“ ცნებაში. მეცნიერი აღნიშნავს: „ტრანსპაზრის“ ქვეშ მე არ ვგულისხმობ ცივილიზაციას, რომელშიაც არ არსებობს გაცვლის ქსელი. და ინდივიდებს არ სურთ ერთმანეთთან ვაჭრობა... ტრანსპაზრის ქვეშ მე ვგულისხმობ ცივილიზაციას, რომელიც დამოკიდებულია ბაზარზე“².

მაშასადამე, კაპიტალიზმის ცვლილებებთან დაკავშირებით საუბარია პროცესზე, რომელიც „ერთი ზომის“ ფარგლებში მიმდინარეობს. „ზომა“ აქ ფილოსოფიური კატეგორიაა, რომელიც სისტემის ერთიანობას განაპირობებს. ზომის დარღვევა, მისი ფარგლიდან გასვლა მოასწავებს ძველი სისტემის დაშლას და

¹ Валерстайн И. Глобализация или «переходный период?» Экономические стратегии. 2000, №2, с.15.

² Тоффлер Э. Третья волна. М., 1999. с. 17.

პრინციპულად განსხვავებული სისტემით შეცვლას, რაც მოცე-
მულ შემთხვევაში არ ხდება.

კაპიტალისტური საზოგადოების ისტორიული გამოცდილე-
ბა, განსაკუთრებით მეოცე საუკუნისთვის დამახასიათებელი
მისი მოდელი, თანამედროვე ცხოვრება და პერსპექტიული გან-
ვითარების ტენდენციები დღის წესრიგში აქტუალურ ამოცანად
აყენებს კაპიტალისტური ცივილიზაციის განვითარების ახალი
პარადიგმის (თეორიული მოდელის) შექმნის აუცილებლობას,
რომელიც, თავის მხრივ, ახალი ეკონომიკური პოსტულატურის
შემუშავებას უნდა დაემყაროს. აღნიშნული პრობლემა (ამო-
ცანა) პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: პირველი,
პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ განვითარების რომელ მო-
დელზე ვამბობთ უარს და მეორე, უნდა გაირკვეს და ჩამოყა-
ლიბდეს ახალი მოდელისთვის დამახასიათებელი მთავარი ნი-
შან-თვისებები.

ამჟამად, განსაკუთრებით გლობალური ფინანსურ-ეკონო-
მიკური კრიზისის მნარე გამოცდილების გათვალისწინებით,
სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ის ფაქტი, რომ კაცობრიობამ
კრიტიკულად უნდა შეაფასოს და უარი თქვას კაპიტალიზმის
განვითარების მოდელზე, რომელსაც რვა ათეულზე მეტი წლის
წინ მკაცრად აკრიტიკებდა ჯ.მ. კეინზი. იგი წერდა: „ინდივი-
დუალურმა კაპიტალიზმა არ მიგვიყვანა წარმატებებამდე. იგი
არ გამოირჩევა არც გონიერებით, არც მიმზიდველობით, არც
სამართლიანობით, არც სიკეთით და არ აწარმოებს პროდუქ-
ციას. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ იგი არ მოგვწონს და უფრო
მეტიც, ზიზღის გრძნობა გვეუფლება მის მიმართ.“¹ აღნიშნუ-
ლი მოსაზრებიდან განვლილი დრო, განსაკუთრებით ბოლო
ათწლეული იყო გლობალიზაციისა და ეკონომიკის ფუნქციო-
ნირება – განვითარების ლიბერალიზაციის სიმბიოზის პერიო-
დი. გლობალური ინტეგრაცია, თავის მხრივ, წარმოადგენდა
სახელმწიფოზე ბაზრის „გამარჯვების“ იდეის ტრიუმფს.

¹ Keynes J. M. National Self-Sufficiency//Yale Review. 22, 1933, p. 760-761.

გლობალურმა კრიზისმა და პოსტკრიზისულმა განვითარებამ არსებითად შეცვალა ამ ორ ფენომენს შორის დამოკიდებულება და ეს მოხდა არა მხოლოდ საფინანსო სფეროში. ამ ფაქტს დღეს ძალიან ბევრი აღიარებს და მათ შორისაა თავისი ლიბერალურ-საბაზრო შეხედულებებით გამორჩეული პოპულარული ჟურნალი „The Economist“, რომლის ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „ულტრალიბერალურმა კაპიტალიზმა კრახი განიცადა და საჭიროა მისი შეცვლა სოციალური საბაზრო მოდელით“.¹ ცნობილი პოლონელი ეკონომისტი გუ. კოლოდკო წერს: „ეს კრიზისი (იგულისხმება 2007-2009 წლიების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი – ე.მ.) არ შეიძლება წარმოშობილიყო, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში. იგი წარმოშვა მხოლოდ ანგლო-საქსური ნეოლიბერალური მოდელის პირობებში“.²

ლიბერალური და ნეოლიბერალური თეორიები სათანადოდ ვერ აფასებენ სამეურნეო ცხოვრების სოციალურ ასპექტებს და ადამიანს არ განიხილავენ საზოგადოებრივი კვლავნარმოების წამყვან სუბიექტად. ასეთი მიდგომა მრავალი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა ბევრი თვალსაჩინო ეკონომისტის მიერ, რომელთა შორის ჩვენ გავიხსენებთ ლ. ფონ მიზესს. იგი აღნიშნავდა: „ეკონომიკური მეცნიერება თეორიული მეცნიერებაა და ამ სახით იგი თავს არიდებს ნებისმიერ შეფასებით განსჯას. მის ამოცანაში არ შედის ადამიანებისთვის მიზნების დასახვა. ეს არის მეცნიერება საშუალებების შესახებ, რომლებიც გამოიყენება დასახული მიზნების მისაღწევად... უსათუოდ, ეს არ არის მეცნიერება მიზნების არჩევის შესახებ“.³

თეორიულ-ეკონომიკური ანალიზიდან სამეურნეო საქმიანობის მიზნის გამორიცხვა უკიდურესად აკნინებს ადამიანის

¹ The Economist. Oct., 2011. p.66.

² Колодко Гж. Неолиберализм и мировой экономический кризис. Вопросы экономики. 2010, №4, с.60.

³ Мизес Л.Ф. Человеческая деятельность. М., 2000, с. 13.

როლს ეკონომიკურ პროცესებში და ავიწროებს ეკონომიკური მეცნიერების ევრისტიკული ფუნქციის სფეროს.

ამრიგად, თანამედროვე, ე.წ. modern ცივილიზაციამ მისი მთავარი აქტორი – ეკონომიკური ადამიანით, რომლისთვისაც დამახასიათებელია გადაჭარბებული მოხმარებისადმი ან მომავალში უფრო მეტი მოხმარების მიზნით აწმყოში უფრო მეტი დაგროვებისადმი მიღრეკილება, ასევე საზოგადოებამ, რომელშიაც, ერთი შეხედვით, ყველფერი მოხმარების ინტერესებს ემსახურება, სინამდვილეში კი წარმოების უსაზღვრო გაფართოების აუცილებლობითაა ნაკარნახევი, ძირითადად ამონურა თავისი დადებითი პოტენციალი. ამჟამად მისი არსებობა დაკავშირებულია რიგ გლობალურ რისკებთან, რომელთა შორის განსაკუთრებით შეიძლება გამოიყოს სასიცოცხლო რესურსების წრეგადასული ექსპლოატაცია და გარემოზე მავნე ტექნოგენური ზემოქმედება. სწორედ ამიტომ გადაუდებელი ამოცანაა მოდელის შეცვლა: განვითარების ენტროპიულიდან¹ სინერგიულ ტიპზე გადასვლა.

¹ „ენტროპია“ ბერძნული (entropia – მოსახვევი-გარდაქმნა) წარმოშობის სიტყვაა და მართვის თეორიაში ახასიათებს დინამიური სისტემის ქცევაში ქაოტურობის ზომას. ჩვეულებრივ იგი იხმარება მოუნესრიგებლობის და გაურკვევლობის აღსანიშნავად. „სინერგია“ – ბერძნ. Synergos – ერთად მოქმედებას ნიშნავს. „საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა ცალკეული ნაწილების შეერთების, ინტეგრაციის, შერწყმის შედეგად ერთ სისტემაში ე.წ. სისტემური ეფექტის (ემერჯენტულობის) ხარჯზე“ – სილაგაძე ა. ეკონომიკური ლექსიკონი, თბ., 2001, გვ. 515. ამ ტერმინით ჩვენ ვახასიათებთ ეკონომიკური სისტემის უკრიზისო, პარმონიული განვითარების მოდელს.

6.1. ეკონომიკური განვითარების ახალი პარადიგმის (თეორიული მოდელის) დამახასიათებელი ნიშნები

ეკონომიკური განვითარების თეორიულ მოდელს შინაგანი ლოგიკური სიმწყობრე ახასიათებს, რასაც მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთგანპირობებულობა წარმოქმნის. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოდელის ელემენტებს შორის სისტემურ-გენეტიკური კავშირების არსებობის შედეგია. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკის განვითარების მოდელი ორგანული სისტემაა და განსხვავდება ნებისმიერი მექანიკური ერთიანობისგან, რომელსაც ელემენტებს შორის ფუნქციონალური კავშირები განაპირობებს. ჩვენს მიერ მკითხველისთვის შეთავაზებული ახალი პარადიგმა (თეორიული მოდელი) შვიდ პოსტულატს აერთიანებს.

პირველი პოსტულატი = ეკონომიკური ზრდის ტრადიციული მოდელი, რომელიც: ა) გულისხმობს ეკონომიკის ყოველმხრივ ფინანსებიზაციას და ვირტუალიზაციას, ვალების სწრაფად პროგრესირებადი მასშტაბით დაგროვებას, ფინანსური ბუშტების „გაბერვა-ჩაფუშვის“ პერიოდულად განმეორებადობას; ბ) ემყარება ისეთი სფეროების პრიორიტეტულ განვითარებას, როგორიცაა სათამაშო და შოუ-ბიზნესი (მასკულტურა), სწრაფი კვება, ფინანსური ოპერაციები და პირველ რიგში – უძრავი ქონებით ვაჭრობა, ანუ მომსახურების ის სფეროები, რომლებიც არაფერს მატებენ „ნმინდა პროდუქტის ფიზიკურ მოცულობას“ და მხოლოდ ემსახურებიან „ნომინალური შემოსავლის“ უსარგებლო გაფართოებას“ – (ლ. ლარუში). უნდა შეიცვალოს რეალური წარმოების პროცესების გაფართოებასა და შრომის ფიზიკური მნარმოებლურობის ამაღლებაზე დამყარებული ეკონომიკური ზრდის მოდელით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფინანსური ოლიგარქიის კაპიტალიზმის მოდელი უნდა ჩა-

ნაცვლდეს „სამეწარმეო (ანტეპრენიორული) კაპიტალიზმის“ მოდელით.¹

მეორე პოსტულატი. მომავლის ეკონომიკა უნდა იყოს მრავალწლიანი, ემყარებოდეს კერძო, სახელმწიფო და კოლექტიური საწარმოების თანაარსებობას და თანამშრომლობას. საკუთრებისა და მენარმეობის ფორმის პროგრესულობის ხარისხი უნდა განსაზღვროს არა იდეოლოგიურმა კლიშემ, არამედ პრაქტიკაში მისმა ეკონომიკურმა და სოციალურმა ეფექტიანობამ. ამასთანავე, მათ თანაფარდობას უნდა არეგულირებდეს კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკა, ისტორიული გამოცდილება, განვითარების დონე, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების იერარქია და ა.შ. ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ მაღალი ალბათობით მოსალოდნელია კლასიკური ფორმით არსებული კერძო საკუთრების არეალის შეზღუდვა მისი სოციალიზაციის გზით და როგორც კოლექტიური, ისე საჯარო საკუთრების გაფართოება.

მესამე პოსტულატი. ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს როლის ახლებური, ნეოკლასიკური, ნეოლიბერალური და ლიბერტარიანული ინტერპრეტაციებისგან სრულიად განსხვავებული გააზრება.² თვითრეგულირებადი ბაზარი მზარდი ექსპანსიურობით გამოიჩინება. იგი ცდილობს საკუთარი ფუნქციონირების ფუნდამენტური პრინციპებისა და მექანიზმების სოციუმის ყველა მხარეზე გავრცელებას, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების კონტროლქვეშ მოქცევას. ასეთ პირობებში სახელმწიფო, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს

¹ გლობალურ სამყაროში საბაზრო ღირებულების ფორმირება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა აპსოლუტურად განსხვავებული მოვლენებია, ვინაიდან კაპიტალიზმის ზრდის უმეტესი ნაწილი მოდის ამა თუ იმ ფორმის სპეციალიზე.

² „ინსტიტუციურ ასპექტში ნეოლიბერალიზმმა სახელმწიფო და მარეგულირებელი პრაქტიკა საზოგადოების ნომერ პირველი მტრის რანგში აიყვნა... ნეოლიბერალები საზოგადოებას თავს ახვევენ „პატარა“, რაც ნიშნავს სუსტი სახელმწიფოს იდეოლოგიას და მოთხოვენ საბაზრო პროცესებში მის მინიმალურ ჩარევას“ – Колодко Гж. Неолиберализм и мировой экономический кризис. Вопросы экономики. 2010, №4, с.60.

ხელსაყრელი გარემო საბაზრო ძალების ნორმალური ფუნქ-
ციონიორებისათვის, მეორე მხრივ კი საზოგადოება უნდა
დაიცვას საბაზრო ფინანსურ-ეკონომიკური დიქტატისაგან. წი-
ნააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის იარსებებს თვით ბაზრი-
სა და მთელი საზოგადოების „საყრდენი სვეტის“ ჩამოშლის
რეალური საფრთხე. გლობალიზაცია და ეკონომიკური ზრდის
პოსტინდუსტრიულ სტადიაზე გადასვლა ის უმნიშვნელოვანესი
ფაქტორებია, რომლებიც აქტიურად ზემოქმედებენ ეკონომიკა-
ში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხზე, ფორმებზე, მექანიზმებზე,
ინსტრუმენტებზე და ა.შ. ამასთანავე სახელმწიფოს როლი და
მისი სუვერენიტეტი გლობალიზაციის პირობებში კი არ ქრე-
ბა, არამედ მნიშვნელოვან მოდიფიცირებას განიცდის, რაც ორ
ძირითად გარემოებაში ვლინდება. პირველი – თანამედროვე
სახელმწიფო ადგილს იყავებს არა ბაზრის „გვერდით“, ან „ზე-
ვით“, არამედ ორგანულადაა ჩართული საბაზრო სისტემაში.
იგი ბაზრის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა და, ამასთანავე,
მოწოდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს საბაზრო ჩავარდნები,
პასუხისმგებელია მთელი საზოგადოების ინტერესთა რეალი-
ზაციაზე.¹ მეორე – გლობალიზაციის ეპოქაში სახელმწიფოს
პრიორიტეტულ ფუნქციად იქცევა არა ეროვნული ეკონო-
მიკის დაცვა გარე ფაქტორების ზეგავლენისაგან, რაც პრაქ-
ტიკულად შეუძლებელია, არამედ საერთაშორისო ეკონომიკურ
კავშირებში ეროვნული ეკონომიკის მჭიდრო ჩართვა და მისი
კონკურენტუნარიანობის ამაღლება გლობალური მასშტაბით.
ამ თვალსაზრისით მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია გლობა-
ლური ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური ეკონომიკის პრიორე-
სული სტრუქტურის შექმნა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნე-
ლობა ენიჭება საინფორმაციო-ტექნოლოგიურ რევოლუციაში,
მეცნიერების, განათლების, კულტურის პრიორიტეტულ განვი-
თარებაში, ახალი ცოდნის გენერირებასა და ინფორმაციული
ეკონომიკის დამკვიდრებაში.

¹ მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები..
გვ. 144.

მეოთხე პოსტულატი. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაზრდა მისი მხრიდან საბაზრო ეკონომიკის რეგულირების გაძლიერებაში პოვებს გამოხატულებას. როგორც პროფ. ი. კოვზანაძე შენიშნავს, „პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში სახელმწიფო – ეროვნულ ეკონომიკაში და საერთაშორისო ინსტიტუტები – მსოფლიო ეკონომიკაში მოწოდებულნი არიან მართონ საბაზრო პროცესები“.¹ მომავლის ეკონომიკაში რეგულირებას ექნება მაქსიმალურად კვალიფიციური, მეცნიერულად დასაბუთებული, ზომიერი და ბაზრის ეფექტურად ფუნქციონირების მიზანს დაქვემდებარებული ხასიათი. გამოყენებული იქნება რეგულირების ფორმები, მეთოდები, ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ წონასწორობის დამყარებასა და უზრუნველყოფას: ა) ეკონომიკის რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის; ბ) საფინანსო ინფრასტრუქტურისა და მათ მარეგულირებელ სტრუქტურებს შორის; გ) მოხმარებას, დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის. რეგულირება ასევე უზრუნველყოფს კომერციული (სპეციალური) მონდომებისა და შემოქმედებითი საწყისების გაერთიანებას ბიზნეს-საქმიანობაში და მტკიცე ფუნდამენტს შექმნის ახალი ტიპის ეკონომიკურ ზრდაში. წარსულს ჩაბარდება დიქოტომიური აზროვნება: ბაზარი ან სახელმწიფო, რეგულირება ან დერეგულირება, ლიბერალიზმი ან დირიჟიზმი და იგი შეიცვლება მათი სინთეზით. საყოველთაოდ გაცნობიერდება ის ჭეშმარიტება, რომ მხოლოდ სახელმწიფოს „ხილული ხელისა“ და „ბაზრის უხილავი ხელის“ სიმბიოზი იძლევა სასურველ შედეგს, უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის სტაბილურ ზრდას. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელსაც სამხრეთ კორეის პრეზიდენტი პან გუენ პაი შემოქმედებით ეკონომიკას უნდღებს. ამ ტიპის ეკონომიკაში დამატებული ლირებულების უდიდესი ნაწილი ახალი იდეების გენერირებაზე მოდის.²

¹ Ковзанадзе И. Уроки мирового кризиса: необходима новая модель регулирования экономики.. с. 115.

² მსოფლიო – 2014, გვ.60.

მეხუთე პოსტულატი. მომავლის ეკონომიკა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისაგან განსხვავებით, რომელშიაც ფული და ფინანსები ადამიანის კეთილდღეობას კი არ ექვემდებარება, არამედ ადამიანია ჩაყენებულია მათი უკიდეგანო ზრდის სამსახურში, ორიენტირებულია ადამიანზე, როგორც უზენაეს საზოგადოებრივ ფასეულობაზე და ემსახურება მის ინტერესებს.

ეკონომიკის ჰუმანიზაციის აუცილებლობა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება თანამედროვე სამყაროში. ამას საგრძნობლად შეუწყო ხელი გლობალური ფინანსური კრიზისის დროს განვითარებულმა მოვლენებმა. მეტად საყურადღებო და საინტერესოა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე 2010 წლის 27 იანვარს საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტის ნ. სარკოზის მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია: „ამჟამად მთავარი ამოცანაა ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა ეკონომიკა იმუშავებს ადამიანისათვის“.¹

სოციალიზაციის პროცესი სხვადასხვა მიზეზის გამო რთულად, არათანმიმდევრულად და არასაკმარისი ტემპით მიმდინარეობს,² რაც დღის წესრიგში აყენებს ეკონომიკურ თეორიასა და პრატიკაში ნოვაციური ხასიათის მქონე გარღვევის აუცილებლობას.

მაშასადამე, ძველი ეკონომიკური მოდელი, რომლის ცენტრშიც დგას „ეკონომიკური ადამიანი“, უნდა შეიცვალოს „არაეკონომიკურ ადამიანზე“ ორინეტირებული, ანუ ანტროპოცენტრული მოდელით. არაეკონომიკური ადამიანისათვის შემდეგი თვისებებია დამახასიათებელი: ა) მის ქცევას განსაზღვრავს და წარმართავს საკუთარ ego-ს გარეთ გასული მოტივები; ბ) იგი არა-მატერიალურ ფასეულობებს ანიჭებს პრიორიტეტს; გ) მისთვის

¹ Мировая экономика, 2010, №1, с.6.

² „როგორც ჩანს, ეკონომიკის ჰუმანიზაციის პროცესებს თანამედროვე მსოფლიოში ის მასშტაბები არა აქვთ, რომ კერძო ინტერესებზე დამყარებული ეკონომიკური პარადიგმები შეცვალოს“-ჭითანავა ნ. გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები//საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ. 8, თბ., 2010, გვ. 97.

დამახასიათებელია მაღალი პასუხისმგებლობა სხვა ადამიანების, კოლექტივის და საზოგადოების მიმართ; დ) იგი მზადაა არეგულიროს (შეზღუდოს) მიმდინარე მოხმარება მომავალი თაოცებების საკეთილდღეოდ და შედარებით მაღალი საფასური გადაიხადოს გლობალური პრობლემების გადაჭრის დასაფინანსებლად.

მექვსე პოსტულატი. ეკონომიკის ჰუმანიზაცია შეიცავს საბაზრო ეკონომიკის სოციალიზაციის გაძლიერების მოთხოვნას, რომელიც განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე უწყვეტად მიმდინარეობდა. ეს ბევრი ფაქტით დასტურდება. მაგ.: თანამედროვე პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებში თანაფარდობა სამხედრო ხარჯებსა და სოციალური დანიშნულების ხარჯებს შორის 1:6 შეადგენს. ეს ამ ქვეყნების სოციალურად ორიენტირებულ სისტემად ტრანსფორმირების ნათელი მაჩვენებელია. განსხვავება არის ცალკეული ქვეყნების მიხედვით სოციალურობის ხარისხში. ასევე აღსანიშნავია პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში საბიუჯეტო პოლიტიკის ორიენტირებულობა ადამიანი – კაპიტალის განვითარებაზე: განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემის დაფინანსებაზე და ა.შ. სწორედ ამ ტიპის დანახარჯები მიიჩნევა ეროვნული ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და გლობალური მასშტაბით კონკურენტუნარიანობის ამაღლების გადამწყვეტ ფაქტორად.

პროფ. ი. სტიგლიცი სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის კლასიკურ მაგალითად სკანდინავიის ქვეყნებს მიიჩნევს და დასძენს: „სკანდინავიის ქვეყნების ნარმატება უზრუნველყო მათში სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნამ. ამ ქვეყნებმა დაინახეს, რომ მდგრადი აყვავებისათის აუცილებელია მისი საყოველთაობა. ეს მნიშვნელოვანი გაკვეთილია, რომელიც უნდა ისწავლოს აშშ-მ და ევროპის დანარჩენმა ნაწილმა“.¹

¹ <http://www.project-sindicate.org/commentary/lessons-anti-globalists-by-joseph-e-stiglitz-2017-0/>

პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში სოციალურ სფეროში განხორციელებული პოზიტიური ძვრების მიუხედავად, სოციალური დიფერენციაციის მაღალი ხარისხი და სოციალური უსამართლობა კვლავ რჩება მწვავე პრობლემად. სტიგლიცის აზრით, „ზედა ფენა პირდაპირ მდიდრდება იმათ ხარჯზე, ვინც სოციალური კიბის დაბალ საფეხურზე იმყოფება“. პრობლემის არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, სოციალური სამართლიანობის მიმართ მეინსტრიმული დოქტრინების დამოკიდებულებაა. მათი სილრმისეული არსი ნათლადაა ჩამოყალიბებული ამერიკელი მეცნიერის რ. პაიპსის ნაშრომში „საკუთრება და თავისუფლება“. იგი წერს: „სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, მხოლოდ იძულებით, ე.ი. თავისუფლების შეზღუდვითაა მიღწევადი. ეს აუცილებლად მოითხოვს იმ მოქალაქეთა საკუთრების უფლების უხეშად დარღვევას, რომლებიც ფლობენ უფრო მეტ ქონებას ან სარგებლობენ უფრო მაღალი საზოგადოებრივი სტატუსით, ვიდრე უმრავლესობა“.¹ ნეოლიბერალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის ა. პაიპის აზრით, საზოგადოება თუკი საოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებით იხელდლვანელებს, ვერ მიაღწევს ვერცერთ მათგანს, სამაგიეროდ დაანგრევს ეკონომიკურ ეფექტიანობას.²

მაშასადამე, თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასა და რეალურ სამეურნეო ცხოვრებაში ბევრი მიზეზი არსებობს, რომელიც წინ ელობება და ხელს უშლის ეკონომიკური განვითრების ახალი მოდელის დამკვიდრებას.

მეშვიდე პოსტულატი – მოხმარების ახალი წესი, როგორც მომავლის ეკონომიკის ორგანული შემადგენელი ნაწილი. გლობალიზაციის ასიმეტრიული ხასიათი, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ, იმაშიაც გამოიხატება, რომ თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში მოთხოვნა ჯერჯერო-

¹ პაიპსი რ. საკუთრება და თავისუფლება. თბ., 2004, გვ. 251.

² Хайек Ф. А. Пагубная самонадеянность. М., «Новости», 1992, с. 61.

ბით საკმაოდ მოდუნებულია, მიწოდება კი სისტემატურად იზრდება. ამას შედეგად მოსდევს ეკონომიკური დისპალანსების გაღრმავება, რომელიც აპროვოცირებს დეფლაციის ხანგრძლივ პროცესს. აღნიშნულის კლასიკური მაგალითი იაპონიაა, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია დეფლაციის მარწუხებშია მოქცეული. მთავრობათა არაერთმა მცდელობამ, მათ შორის შედარებით წარმატებულმა „აბეეკონომიკამ“ ვერ შეძლო სიტუაციაში ძირეული გარდატეხის მოხდენა.

წამყვანი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს სულ უფრო უძნელდებათ „ლიკვიდურობის ხაფანგის“ წინააღმდეგ ბრძოლა.¹

ამჟამად „ლიკვიდურობის ხაფანგის“ მთავარი ასპექტი, როგორც ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ე. ფელპსი მიუთითებს, გლობალური მიწოდების მრუდია. ასეთ პირობებში, მეცნიერის აზრით, მართებულია აქცენტი გადავიდეს მოთხოვნის მხარეზე და ფისკალურმა ხელისუფლებამაც უფრო მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს ამ მიმართულებით (ფელპსი ე. „გავაფართოვოთ მოთხოვნა თუ გავზარდოთ ინოვაციები“).

როგორც ცნობილია, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკის განმხორცილებელთა მხრიდან დამოკიდებულება ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების მიმართ დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდიდა. 1940-იან წლებში დაწყებული ერთობლივ მოთხოვნაზე ორიენტირებული კეინზიანური დოქტრინა 1980-იან წლებში შეცვალა რეიგანომიკამ აშშ-ში და ტეტჩერიზმა – დიდ ბრიტანეთში. ისინი ეკონომიკური ზრდის პრობლემას ერთობლივი მიწოდების მხრიდან უდგებოდნენ. ინვესტიციების წახალისების მიზნით შეამცირეს გადასახადები მოგებაზე და ხელფასზე. ამჟამად, საპროცენტო განაკვეთის უაღრესად დაბალი დონის პირობებში მსგავსი პოლიტიკის გატარება საკმაოდ სახიფათოა,

¹ „ლიკვიდურობის ხაფანგის“ ცნება ეკუთვნის ჯ. მ. კეინზს და ადნერს ეკონომიკაში შექმნილ მდგომარეობას, როცა საპროცენტო განაკვეთი ნულამდე ევერმა და ველარ ასტიმულირებს ქრონიკულად დეფიციტურ ერთობლივ მოთხოვნას, რადგანაც ვერ ახდენს გავლენას ინვესტიციებზე.

ვინაიდან მან შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო ბიუჯეტის მწვავე დეფიციტი და დავალიანების სწრაფი ზრდა, რაც ახალი კრიზისის დაწყების სტიმული შეიძლება გახდეს. ამიტომ ე. ფელპსი და ბევრი სხვა ცნობილი ეკონომისტი ერთობლივი მოთხოვნის პრობლემის აქტუალიზებას და კეინზიანური მიდგომის გაცოცხლებას ცდილობს. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომებიც ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს, რადგანაც ამჟამად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნანილის რეალური შემოსავლები სათანადო ტემპით არ იზრდება, მოთხოვნის სტიმულირება კი კვლავ ხდება ვალების დაგროვების ხარჯზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მოხმარების და ერთობლივი მოთხოვნის გაზრდას,¹ არამედ მისი სტრუქტურის და ხასიათის ძირეულ შეცვლას. ჩვენ აქ ვგულისხმობთ თანამედროვე, ხშირ შემთხვევაში მოხმარების არაჯანსაღი, მახინჯი, ადამიანისთვის რეალურ სარგებლობას მოკლებული მოხმარების ფორმების ჩანაცვლებას ისეთი მოხმარებით, რომელიც უშუალოდ აკმაყოფილებს ადამიანის ფიზიკური, სულიერი, ინტელექტუალური განვითარების მიზანს. მოხმარების მეცნიერულად დასაბუთებული, ჰუმანიზირებული და გონივრული ფორმების დანერგვით შესაძლებელი გახდება თავიდან ავიცილოთ წარმოების უსაზღვრო გაფართოების აუცილებლობა. ამ გზით შევამცირებთ პლანეტარული მასშტაბით სასიცოცხლო რესურსების ექსპლოატაციის ხარისხს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

მოხმარების წესს, ფორმებსა და სტრუქტურას, როგორც წესი, საზოგადოებაში დამკვიდრებული ფასეულობების სისტემა განსაზღვრავს. იგი გვიჩვენებს „ თუ რამდენად შეესაბამე-

¹ „ჭარბი მოხმარება შეიძლება მივიდეს განადგურებამდე, ჩვეულებრივ ნგრევამდე“ – აღნიშნავს ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი ჟ. ბოდრიარი//Бодрийяр Ж. Общество потребления. М., 2006, с. 44.

ბა წარმოება და ამის შემდეგ მოხმარება ადამიანის რეალურ ინტერესებს“.¹ ზნეობრივ ფაქტორებს, აღზრდას, განათლებას, კულტურას, რელიგიურ მრნამსს, ტრადიციებს, ისტორიულ მემკვიდრეობას და სხვ. წამყვანი როლი აკისრია გონივრული მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაში. როგორც ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ი. კანტი შენიშნავს: „ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელიც ექვემდებარება აღზრდას“.

რა ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული მოხმარების რაციონალური მოდელის ჩამოყალიბება? რა თქმა უნდა, ლიბერალები, ნეოლიბერალები და ლიბერტარიანელები მასში დაინახავენ ადამიანის პირადი თავისუფლების უხეშ შეზღუდვას, თუმცა სრულიად უსაფუძვლოდ. ჩვენ ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ ადამიანის არა ზოგადად მოთხოვნილებების, არამედ საკუთარი თავისოფენის ზიანის მომტანი მათი ფორმების შეზღუდვაზე და პარალელურად ჯანსაღი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გაფართოებაზე. შემოთავაზებული მოდელი ადამიანის, როგორც მომხმარებლის თავისუფლებას კი არ ზღუდვას, არამედ პირიქით, აფართოებს და ილუზორული თავისუფლება რეალური თავისუფლების სფეროში გადაჰყავს. მხედველობაში მისაღებია პრობლემის სოციალური ასპექტიც: გონივრული მოთხოვნილებების ფორმირების ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელი ათავისუფლებს რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. ეს უკანასკნელი დღეს რესურსების მძაფრი შეზღუდულობის პირობებში მოსახლეობის უმცირესი ნაწილის ფუფუნებას ხმარდება. მომავალში იგი წარიმართება იმ ადამიანების მოხმარების დასაკმაყოფილებლად, ვინც დღეს საარსებო საშუალებათა მწვავე დეფიციტს განიცდის.

¹ მალაშხია გ. უქმი ეკონომიკა, თბ., „უნივერსალი“, 2014, გვ.10.

6.2. საქართველოს პირსამარტიული ეკონომიკური განვითარების მოდელის ზოგიერთი ასახვი

სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ორი უმნიშვნელოვანესი პროცესის – გლობალიზაციისა და პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ზეგავლენის ქვეშ ფუნქციონირებს და ვითარდება.

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს იმ მტკიცების ქეშმარიტებას, რომ ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული განვითარება შეუძლებელია გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობის გარეშე. კარჩაკეტილობა, თვითიზოლაციის რეჟიმში ყოფნა ხანგრძლივი სტაგნაციის და ქრონიკული ჩამორჩენის მიზეზებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, გლობალიზაციის პროცესებში ჩართულობის უზრუნველყოფა სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ლოგიკას განსაზღვრავს.

გლობალიზაციაში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა უნდა იყოს ეფექტიანი, ხორციელდებოდეს საკუთარი სახისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების ფუნდამენტური პრინციპის საფუძველზე. ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას საერთო ნიშნებთან ერთად უნიკალური თავისებურებები, კულტურა, საზოგადოებრივი ფსიქოლოგია, მენტალიტეტი, ტრადიციები და ა.შ გააჩნია. ეს ნიშნავს, რომ უცხოურო გამოცდილების კოპირება და მექანიკური გადმოღება ისევე საზიანოა საქმისთვის, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის ჰიპერბოლიზაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი მთავარი ამოცანა შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების, პირველ რიგში – ეკონომიკის იმგვარი მოდერნიზაცია, რომელიც საქართველოს მდიდარ ისტორიულ ნაწილს, ტრადიციებს და კულ-

ტურულ მემკვიდრეობას თანამედროვე ინოვაციებთან გააერთიანებს.

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა აგრარულ-ინდუსტრიული ხასიათის იყო. პოსტსაბჭოთა პერიოდში განხორციელებულმა ცვლილებებმა განაპირობეს ქვეყნის ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის ნატურალიზაცია – არქაიზაცია. შედეგად მივიღეთ პოსტკომუნისტური საქართველოს პოსტინდუსტრიული ეკონომიკა. „პოსტინდუსტრიულის“ ცნება ამ შემთხვევაში არსებითად განსხვავდება მისი ტრადიციული შინაარსისგან, რომელიც განვითარების მაღალი დონის გამომხატველია. საქართველოსთან მიმართებით პოსტინდუსტრიული ეკონომიკა ჩამორჩენილობასა და განუვითარებლობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დეინდუსტრიალიზაციის პროცესი მეტნაკლები ზომით ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შეეხო.¹

მთელი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პერიოდში საქართველოს ეკონომიკა ფუნქციონირებს ინერციული მოდელის ჩარჩოში. თავდაპირველად იგი ემყარებოდა ძველი დროიდან შემორჩენილ სამურნეო კავშირებს და შექმნილ პოტენციალს. ამჟამად ჩვენ გვაქვს მოხმარებაზე, შემოსავლებზე და არა წარმოებაზე ორიენტირებული ღარიბი ქვეყნის ეკონომიკა.² პოსტკრიზისული გაჭიანურებული კრიზისიდან გამოსვლას, ბუნებრივია, პრინციპულად ახალი მიდგომები სჭირდება.

ეკონომიკური განვითრების საერთაშორისო გამოცდილება გვკარნახობს შიგა ბუნებრივი რესურსების ან გარედან მიღებული ფინანსური სახსრების და იაფი მუშახელის გამოყენება-

¹ პროფ. რ. რეინერტი აღნიშნავს: „სიმდიდრის გაზრდა მეოცე საუკუნეში ემყარებოდა გადამამუშავებელ მრეწველობას. შეფარდებითი სიღარიბე სსრ კავშირის ბევრ ქვეყანაში დეინდუსტრიალიზაციის შედეგია//Рейнхерт Р. Стратегии стран соседей ЕС в эпоху Трампа и Brexit//www.ipg-journal/strategii-stran-sosediei-es-epochu-trampa-i-brexit-230

² პაპავა. ვ. „პოსტგარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები//ექსპერტის აზრი, 2013, #4, გვ.5.

ზე დაფუძნებული ეკონომიკიდან ჯერ მნარმოებლურ კაპიტალ-დაბანდებებზე, შემდეგ კი ინოვაციურ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის აუცილებლობას. საქართველოს სინამდვილეში ამ გადასვლის თავისებურება იმაშია, რომ დეინდუსტრიალიზებული „პოსტკომუნისტურ“ – პოსტინდუსტრიული“ (ვ. პაპავა) მდგომარეობიდან მეორე საფეხურის გამოტოვებით მოხდეს გადასვლა მესამე საფეხურზე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა განხორციელდეს ეკონომიკის მოდერნიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობით.

აღნიშნულ პროცესში გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია საერთო ეროვნული და საერთო სახელმწიფოებრივი სტრატეგიული ინოვაციური მეტამოდელის შექმნა.

უპირველე ყოვლისა, უნდა განისაზღვროს მიზანი, რომელიც იქნება მიღწეული მოდელის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიზანი უნდა იყოს რეალური, ნათელი და ლაკონურად ჩამოყალიბებული.¹

სტრატეგიული ინოვაციური მეტაპროექტის ამოცანა შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: მაღალ ტექნოლოგიებზე, მეცნიერების მიღწევებსა და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკური სისტემის ფორმირება, ამ გზით საქართველოს ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ეფექტური ინტეგრირება გლობალურ ეკონომიკაში.

მეტაპროექტის მთავარი მიზანი შეიძლება დაიყოს ქვემიზნებად და, მათაგან გამომდინარე, განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკის წინაშე მდგომი პრიორიტეტული ამოცანები:

- ინტელექტუალური ინსტიტუციონალიზაცია და კაპიტალიზაცია;
- სტრატეგიული აზროვნებისა და ხედვების ფორმირება;

¹ არარეალისტური მიზნის დასახვას ხშირად განაპირობებს პრობლემის არსში ჩაუწევდიმლობა ან საზოგადოების განკარგულებაში არსებული რესურსების არასწორი შეფასება – მექვანიზმილი ე. ორგანიზაციის უკრიზისო ტრანსფორმაციის ზოგიერთი საკითხი// სოაციალური ეკონომიკა/ 2005, N3, გვ.8.

- ინოვაციური კულტურის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა;
- ეფექტიანად ფუნქციონირებადი, მაღალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა;
- მეცნიერების განვითარების მასტიმულირებელი ინსტიტუციონალურ-სამართლებრივი, ორგანიზაციული და ფინანსურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მომზადება.

სტრატეგიული ინოვაციური მეტაპროექტის პრაქტიკული რეალიზების პროცესი შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად და თითოეულ მათგანზე გადაწყვდეს რომელიმე კონკრეტული პრობლემა. პირველი ეტაპი, მაგალითად, შეიძლება დაეთმოს ინოვაციურ-კოგნიტური ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუციონალური გარემოს შექმნას. ეს უკანასკნელი გულისხმობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადებას, რომელიც ინოვაციური პროცესების სტიმულირებაზე იქნება ორიენტირებული. აღნიშნულ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, პრინციპის – ინოვაციური განვითარება ეკონომიკური სტაბილურობის პირობებში – უზრუნველყოფა.

მეტაპროექტის მეორე ეტაპზე უნდა იქნეს გათვალისწინებული თვისებრივად ახალი ეკონომიკური ზრდის დაწყება მაღალ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ბაზისზე. სწორედ ამ ეტაპზე უნდა განხორციელდეს რეინდუსტრიალიზაციის ტიპის პროცესი. ბოლო მესამე დამამთავრებელ ეტაპზე უნდა ჩამოყალიბდეს ინოვაციურ-კოგნიტური ეკონომიკური სისტემა, რომელიც გამორჩეული იქნება მაღალი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტიანობით.

სტრატეგიულმა ინოვაციურმა მეტაპროექტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) შიგა და გარე მატერიალური, ფინანსური, ინფორმაციული, ინტელექტუალური და ა.შ. რესურსების რეალური და ზუსტი შეფასება;

ბ) შიგა და გარე შეზღუდვების, რისკების, საფრთხეების, გამოწვევების და მათზე მიზანსწრაფული ზემოქმედების ინსტრუმენტების კლასიფიცირება;

გ) სტრატეგიული გადაწყვეტილების მიმღები პირების (სტრუქტურების) წრის შემოფარგვლა და მათზე უფლება-მოვა-ლეობების გადანაწილება;

დ) საკონტროლო პარამეტრებისა და კონტროლის პროცედურების თანმიმდევრობის დადგენა.

მეტაპროექტის პრაქტიკაში წარმატებით რეალიზაციაში დადებითი როლი შეიძლება ითამაშოს, რაოდენ პარადოქსულა-დაც არ მოვარჩევნოს ამის მტკიცება, საქართველოს ეკონო-მიკის დეინდუსტრიალიზაციაში. პოსტკომუნისტური სისტემური ტრანსფორმაციის შედეგად ჩვენ უკან მოვიტოვეთ „ერთიანი სახალხომურნეობრივი კომპლექსით“ განპირობებული მძიმე ინსუსტრია, ე.ნ. „გიგანტომანია“ და შანსი გვეძლევა განვავი-თაროთ მეცნიერებაზე, ცოდნაზე, მაღალ ტექნოლოგიებზე დამყარებული, რესურსების ეკონომიურად მხარჯველი წარ-მოება.

ხელშემწყობ ფაქტორთა კატეგორიას შეიძლება მივაკუ-თვნოთ მდიდარი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტრადი-ციები, რითაც ათწლეულების მანძილზე გამოირჩეოდა საქარ-თველო. განათლების საკმაოდ მაღალი დონე იყო მიღწეული საბჭოთა პერიოდში, როცა პრაქტიკულად მოისპონ წერა-კითხვის უცოდინარობა. სტუდენტთა და საშუალო სკოლის მოსწავლეთა შეფარდებითი მაჩვენებლით საქართველოს მოწინავე პოზიციე-ბი ეკავა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოშიც. მსგავსი სიტუაცია ნარჩუნდებოდა პოსტსაბჭოთა პერიოდშიც. მაგალითად: განათლების დონის ინდექსი საქართველოში 2002 წელს 0.89-ს უდრიდა, რაც 13 პუნქტით აღემატებოდა მსოფლიო

საშუალო მაჩვენებელს.¹ განათლების საბჭოურ სისტემას, რა თქმა უნდა, ბევრი სერიოზული ხარვეზი ახასიათებდა: პოლიტიზირება, იდეოლოგიზირება, უკიდურესი ცენტრალიზება და ა.შ. განათლების პროცესში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა მზა ცოდნის გადაცემაზე და ამ გზით საზოგადოებაში პიროვნების თვითდამკვიდრებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე. პოსტკომუნისტურმა ტრანსფორმაციამ და გლობალიზაციამ წინა პლანზე წამოსწია პიროვნების უნარ-ჩვევების განვითარების, სწრაფად ცვალებად გარემოსთან შედარებით უმტკიცნეულო ადაპტირების აუცილებლობა.

განათლებასთან ორგანულ კავშირში უნდა იქნეს განხილული მეცნიერების მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. მეცნიერება თანამედროვე საზოგადოებაში უმნიშვნელოვანესი მწარმოებელი ძალა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის განმსაზღვრელი ფაქტორია. საქართველოში მეცნიერების განვითარების პროცესში 1990-იანი წლების დასწყისამდე საკმაოდ მნიშვნელოვანი პოტენციალი იყო დაგროვილი. კერძოდ, 1990 წლისათვის მეცნიერთა რაოდენობა 29 ათასს შეადგენდა. მათ შორის 1400 იყო მეცნიერებათა დოქტორი და 11000-ზე მეტი – მეცნიერებათა კანდიდატი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში კვლევით საქმიანობას ეწეოდა 3 ათასამდე მეცნიერებათა კანდიდატი, ფუნქციონირებდა 131 სამეცნიერო დაწესებულება, მათ შორის 115 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და 4 საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაცია.² პოსტკომუნისტურ პერიოდში განვითარებულმა მოვლენება მძიმე დარტყმა მიაყენა საქართველოში სამეცნიერო პოტენციალს. ქვეყნისთვის ამ ურთულეს წლებში ბევრი მეცნიერი, განსაკუთრებით ახალგაზრდა ასაკში მყოფი, უცხოეთში ემიგრირდა. ინტენსიურად მიმდინარეობდა სამეცნიერო კადრების დაბერების პროცესი. ასე მაგალითად – 1990 წელს საქართ-

¹ ჩიქაგა ლ. ინოგაციური ეკონომიკა. თბ., 2007, გვ. 287.

² ჟურნ. „კაპიტალი“. 2007, გვ.67.

ველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მეცნიერ-თანამშრომელთა რიცხოვნება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ასე გამოიყურებოდა: 30 წლამდე თანამშრომლები შეადგენდნენ თანამშრომელთა საერთო რაოდენობის 47.8%-ს, 51-დან 65 წლამდე – 30.8%-ს, 65 წელს ზევით – 23.4%-ს. 2008 წლისათვის შემდეგი მონაცემები დაფიქსირდა: შესაბამისად 36.2%, 36.6% და 27.2%.¹ გაუაზრებელმა და დაუსაბუთებელმა ე.წ. „რეფორმება“ რომლებიც განსაკუთრებით „ვარდების ხელიუფლებისთვის“ იყო დამახასიათებელი, ფაქობრივად, დაშლამდე მიიყვანა მეცნიერებათა აკადემია და უაღრესად დააკნინა უმაღლეს სასწავლებლებში თავმოყრილი სამეცნიერო პოტენციალი. ყოველი აღნიშნულის მიუხედავად, საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია სამეცნიერო ძალა, რომელსაც ხელებიფება მნიშვნელოვანი და მასშტაბური ამოცანების გადაჭრა.

მესამე ხელშემწყობ ფაქტორად (რესურსად) შეიძლება განხილულ იქნას საქართველოს უაღრესად მოხერხებული გეოგრაფიული მდგომარეობა, რომელმაც შეიძლება დააინტერესოს წამყვანი ტრანსაციონალური კომპანიები ჩვენ ქვეყანაში წარმოებების შექმნით. ასეთ შემთხვევაში მათ მიერ შემოტანილი იქნება ინვესტიციები, ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები, წარმოების მართვის და ორგანიზაციის პროგრესული ფორმები.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ბაზარი ძალიან მცირეა, ტნკ-ების მიერ ქვეყანაში ორგანიზებული წარმოება უპირატესად ექსპორტზე იქნება ორიენტირებული. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირებულ შეთანხმებაზე ხელის მოწერა. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს საქართვლოში წარმოებული პროდუქციის რეალიზებაში გარკვეულ პრეფერენციებს ევროპის ბაზრებზე. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ჩინური

¹ მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პრესპექტივები... გვ. 198.

კომპანია უკვე დაინტერესდა ამ შესაძლებლობით და საქართველოში შემოსვლას გეგმავს.

ფაქტორთა მეორე ჯგუფი (გარე და შიგა შეზღუდვები, რისკები, გამოწვევები, საფრთხეები) სტრატეგიული ინოვაციური პროექტის განხორციელების დამაბრკოლებელია. მათ შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის გაჭიანურებული და ხშირ შემთხვევაში უკიდურესად დესტრუქციული ხასიათი, რომელიც დღესაც აბრკოლებს ქვეყნის ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას.

შემდეგ ხელშემშლელ ფაქტორად ჩვენ მივიჩნევთ სახელმწიფოს მხრიდან არაჯეროვან ყურადღებას სამეცნიერო სფეროს მიმართ, რასაც საფუძვლად უდევს მცდარი და კონტრპროდუქტიული მოსაზრება: ჩვენნაირი პატარა და ღარიბი ქვეყნისთვის ფუნდამენტური მეცნიერება „ზედმეტი ფუფუნებაა“. ფუნდამენტური კვლევები მდიდარმა და განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა აწარმოოს, ჩვენ კი მათი შედეგების გამოყენებით უნდა დავკმაყოფილდეთ. ასეთი მოდგომა, ბუნებრივია, ასახვას ჰპოვებს საბიუჯეტო პოლიტიკაში, კერძოდ – მეცნიერების დაფინანსებაში, რომელიც მკვეთრად ჩამორჩება არა მხოლოდ მოწინავე პოსტინდუსტრიული და ინდუსტრიული, არამედ ბევრი პოსტკომუნისტური ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს. რიგი ქვეყნების (ისრაელი, ირლანდია, ფინეთი...) გამოცდილებამ ნათლად აჩვენა, რომ სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა განათლებისა და მეცნიერების სფეროების მიმართ ამ ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური ზრდის გადამწყვეტი ფაქტორია.

სტრატეგიული ინოვაციური პროექტის რეალიზების ხელშემშლელი კიდევ ერთი ფაქტორი შეიძლება გახდეს ამ პროცესის წარმართავი და მაკომლდინირებელი ორგანოს (ცენტრის) არარსებობა. ამის გარეშე გატარებულ ღონისძიებებს ექნება არასისტემური (ფრაგმენტული) ხასიათი და ვერ მოხერხდება აუცილებელი რესურსების კონცენტრაცია, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი საერთო სახელმწიფო და საერთო ეროვ-

ნული, მათ შორის ინოვაციური მეტაპროექტის წარმატებით განხორციელებისათვის.

მაშასადამე, აუცილებელია ასეთი ცენტრის შექმნა, რომელ-საც ექნება ეფექტიანად ფუნქციონირებადი უკუკავშირების ქსელი. ე.წ. „კასკადური მეთოდის“ გამოყენებით ცენტრმა უნდა უზრუნველყოს პროექტის რეალიზაციის ყველა ეტაპზე პრო-ცესში სულ უფრო მეტი ახალი სუბიექტების ჩართვა, საზოგა-დოების მომზადება სიახლეთა აღსაქმელად და გასააზრებლად, ინოვაციური მომავლის ხამოსაყალიბებლად.

სტრატეგიული ინოვაციური მეტაპროექტის შემაფერხებელ შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება დასახელდეს მისი განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების, პირველ რიგ-ში, ფინანსური რესურსის შეზღუდულობა. ეკონომიკის განუვი-თარებლობის გამო საოჯახო მეურნეობებისა და ინდივიდუების შემოსავლები დღეს საქართველოში იმდენად დაბალია, რომ არ რჩება სახსრები დაგროვებისა და, მაშასადამე, ეკონომიკა-ში ინვესტირებისთვის. ასევე დაბალია ფირმების მოგება, გან-საკუთრებით ეკონომიკის რეალურ სექტორში. შიგა რესურსე-ბის ასეთი სიმცირის პირობებში სამამულო კაპიტალის საკმაო რაოდენობით მობილიზება შეუძლებელია და ამიტომ აქცენტი უცხოურ ინვესტიციებზე და ქვეყნის შიგნით მაღალი იმიჯის მქონე ტრანსნაციონალურ კომპანიების საქმიანობის მხარ-დაჭრაზე უნდა გაკეთდეს. ამასთან ერთად ის გარემოებაც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ ზოგიერთ შემთხვე-ვაში ხდება არა უახლესი, არამედ შედარებით მოძველებული და უკვე გამოყენებული ტექნიკა-ტექნოლოგიების შემოტანა, რამაც შესაძლებელია ხელი შეუწყოს ქვეყამაში ტექნოლოგიუ-რი ჩამორჩენილობის შენარჩუნებას და ამის შედეგად ე.წ. „რე-ტროეკონომიკის“ ფენომენის ჩამოყალიბებას.¹

¹ პაპაგა. ვ. დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა – ევროკავშირის პოსტკომუნისტუ-რი ქვეყნების გამოცდილება და საქართველო. ექსპერტის აზრი, N99, 2018, გვ.4.

შემდეგი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია მცირე ბიზნესის განვითარების ჯერ კიდევ არასაკმარისი დონე. მსოფლიო მოწინავე გამოცდილება ადასატურებს, რომ სწორედ მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ასრულებენ უმნიშვნელოვანეს როლს ინოვაციურ მეწარმეობაში (ბიზნესში). საქართველოში დღეს ბევრი მიზეზი არსებობს, რომელიც ხელს უშლის ბიზნესის, მათ შორის მისი ინოვაციური ტიპის ნორმალურ ფუნქციონირებას და განვითარებას. მათ შორის:

- სამართლებრივი მექანიზმების არასრულყოფილება და სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების არასაკმარისი დაცულობა, რომელიც უმეტესად სასამართლო რეფორმაში არსებული ხარვეზებითაა გამოწვეული;
- მაკროეკონომიკური არასტაბილურობის გახშირებული ფაქტები, რაც ბოლო პერიოდებში ლარის მკვეთრი რყევების დამკვიდრებულ არასახარბიერო პრაქტიკაში გამოვლინდა;
- პოლიტიკური არასტაბილურობის (რისკის) მაღალი დონე, რომელიც უკავშირდება: ა) ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის არაპროგნოზირებად და ჩვენს მიმართ ექსპანსიონისტურ დამოკიდებულებას – ოკუპირებულ ტერიტორიებზე ე.წ. „ბორდერიზაციისა“ და „მცოცავი ჩუმი ანექსიის“ სახით და ა.შ;
- მსოფლიოს ყველაზე „ცხელ“ წერტილებთან გეოგრაფიული სიახლოეს;
- დაბალი სამეწარმეო და მენეჯერული კულტურა;
- ფინანსური ინფრასტრუქტურების განვითარების არასაკმარისი დონე: საკრედიტო რესურსებზე ბანკების მონოპოლია, საფონდო ბაზრის ჩანასახობრივ მდგომარეობაში ყოფნა, რაც უკვე ათწლეულებია გრძელდება;
- საწყისი კაპიტალის ნაკლებობა და დაფინანსების გარეწყაროებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა;
- მცირე ინოვაციური ბიზნესისთვის დამახასიათებელი რისკების მაღალი დონე და მათგან დამცავი მექანიზმების არარსებობა.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილის გათვალისწინებით, აუ-
ცილებელია მცირე ინოვაციური ბიზნესის ჩამოყალიბება-გან-
ვითარებაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა. სახელმწი-
ფოს მხრიდან მხარდაჭერა შესაძლებელია განხორციელდეს
შემდეგი მიმართულებებით:

- საკანონმდებლო ბაზის დახვენა-სრულყოფა, საერთაშო-
რისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობაში მოყვანა;
- ინოვაციური ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით
სპეციალიზებული საკრედიტო სტრუქტურების ფორმირება,
რომლებიც გასცემენ დაბალპროცენტიან და გრძელვადიან შე-
ღავათიან კრედიტებს ვენჩურულ და სხვა ტიპის ინოვაციურ
ფირმებზე;
- მცირე ინოვაციურ საწარმოებზე გაცემული კერძო კრე-
დიტების სახელმწიფო გარანტიების და დაზღვევის ეფექტია-
ნად ფუნქციონირებადი სისტემის შექმნა;
- მცირე ინოვაციური საწარმოებისთვის საგადასახადო
შეღავათების დაწესება: საქმიანობის საწყის ეტაპზე მათი გან-
თავისუფლება ნებისმიერი გადასახადისგან და მოგების რეინ-
გესტირებული ნაწილის დაბეგვრისგან განთავისუფლების ე.წ.
„ესტონური მოდელის“ სრულყოფილად გამოყენება;
- მცირე და საშუალო ინოვაციური ფირმების კაპიტალის
(ფონდების) დაჩქარებული ამორტიზაციის წესის ამოქმედება;
- ინოვაციური პროექტების განხორციელებაში კერძო სე-
ქტორისა და სახელმწიფოს პარტნიორობის (ე.წ. PPP-ს პრინცი-
პი) მოდელის გამოყენება;
- ინოვაციური მენარმეობისთვის (ბიზნესისთვის) აუ-
ცილებლი კადრების მომზადება-გადამზადების ეფექტიანად
ფუნქციონირებადი სისტემის ფორმირება;
- მეცნიერებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრების,
ტექნოპარკებისა და ტექნოპოლისების ქსელების აწყობა და
მუდმივი გაფართოება;

- ინოვაციური პროექტების შესახებ ინფორმაციის საერთო-ეროვნული (საერთო-სახელმწიფოებრივი) ბანკის შექმნა და დაგროვილი ინფორმაციის სისტემატური განახლება.

მიზანშენონილად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული და სხვა ღონისძიებების განხორციელება „ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის“ ფარგლებში, რომელიც მთავრობამ უნდა შეიმუშაოს მეცნიერების, ბიზნესის სფეროს და ზოგადად – საზოგადეობის ფართო ნაწილის ჩართულობით.

ამრიგად, დღის წესრიგში გადაუდებელ ამოცანად დგას საქართველოში კოგნიტურ-ინოვაციური ეკონომიკური სისტემის შექმნის აუცილებლობა, რომელიც სრულად პასუხობს პოსტინდუსტრიული საზოგადოებიდან მიმდინარე მოთხოვნილებებს და ყველაზე პერსპექტიული მოდელია საქართველოსთვის ეკონომიკის გრძელვადიანი სტაბილური და ეფექტური განმვითარების თვალსაზრისით.

ბუნებრივია, ასეთი ეპოქალური მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტას სჭირდება ხელისუფლების მტკიცე პოლიტიკური ნება, საერთო-ეროვნული და საზოგადოებრივი თანხმობა, სწორად მოფიქრებული, გააზრებული და მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკა.

დასკვნები

გლობალიზაცია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პროცესია. იგი გულისხმობს კაცობრიობის ზოგადპლანეტა-რულ ერთიანობას, რომელიც მიიღწევა უახლესი საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების საფუძველზე.

ეკონომიკის გლობალიზაცია ზოგადი გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილია. მისი შინაარსი გამოიხატება მსოფლიო მასტებით სხვადასხვა ტიპის ბაზრების მზარდ ურთიერთგავლენასა და ურთიერთშერწყმაში. ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგია რეალური დროის რეჟიმში ფუნქციონირებადი ეკონომიკური სისტემის, ანუ გლობალური ეკონომიკის ფორმირება.

გლობალური ეკონომიკა ეროვნულ ეკონომიკებთან ერთად მოიცავს: ტრანსნაციონალურ კომპანიებს (ტნე), საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებს, რეგიონულ ეკონომიკურ გაერთიანებებს. გლობალურ ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი უკავია აშშ-ს ეკონომიკას. შეიძლება ითქვას, რომ აშშ ტრადიციული გაგებით უკვე აღარ ნარმოადგენს ეროვნულ სახელმწიფოს, არამედ იგი არის გლობალური სამყაროს პირთვი და მისი მამოძრავებელი ლოკომოტივი.

გლობალიზაციის საწყის ეტაპზე იგი ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ კონტექსტში განიხილებოდა. მიიჩნეოდა, რომ მას წარმატებით შეეძლო შეენაცვლებინა სახელმწიფო და უზრუნველეყო სწრაფი ეკონომიკური ზრდა მთელ მსოფლიოში. აქცენტი კეთდებოდა ორ მნიშვნელოვან ასპექტზე: ა)გლობალიზაციის გზით მსოფლიო ეკონომიკის დინამიკურ განვითარებაზე; ბ) რეგიონების, ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავების შემცირებაზე და ზოგადად, მსოფლიოში

არსებული სოციალური უთანასწორობის პრობლემის შერბილებაზე.

სამწუხაროდ, თანამედროვე რეალობა ამის საწინააღმდეგო აღმოჩნდა: გლობალური ეკონომიკის ზრდის ტემპი საგრძნობლად ჩამორჩებოდა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპს, სოციალური უთანასწორობა შემცირების ნაცვლად პირიქით, კიდევ უფრო გაიზარდა.

ეკონომიკური გლობალიზაციის საფუძველი ფინანსური გლობალიზაციაა, რომელიც ორგვარი ეფექტის მატარებელია. ერთი მხრივ, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, იგი შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის (განვითარების) შესაძლებლობას იძლევა. მეორე მხრივ, ფინანსური გლობალიზაცია ხელს უწყობს „ფინანსური ვირუსის“ სწრაფად გავრცელებას, აძლიერებს ფინანსური კრიზისების რეგიონალურ ხასიათს და წარმოშობს გლობალურ კრიზისებს.

გლობალიზაციის ეპოქა გამოირჩევა რეგიონული ფინანსური კრიზისების სიმრავლით. მათ შორის აღსანიშნავია 1990-იანი წლების დასაწყისში ლათინური ამერიკის ქვეყნებში განვითარებული ფინანსური კრიზისები და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 1997 წლის ფინანსური კრიზისი, რომელმაც ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზეც იქონია.

ამ კრიზისების მთავარი მიზეზი იყო ფინანსური ბაზრების ძალიან სწრაფი ლიბერალიზაცია, ამის გამო ქვეყნებში დიდი მოცულობის „ცხელი ფულის“ შედინება და სპეკულატიური ოპერაციების მასშტაბის არნახული გაფართოება.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფინანსურმა კრიზისმა იაპონიის და შემდეგ რუსეთის გავლით 2008 წლის აგვისტოში საქართველოში შემოაღწია. იგი გამოიხატა 1998 წლის 5 სექტემბრიდან დაწყებული ლარის კურსის დაცემაში აშშ დოლართან მიმართებით. სავალუტო კრიზისი სხვადასხვა ინტენსიურობით

1999 წლის მაისამდე გაგრძელდა. დაახლოებით ცხრა თვის მანძილზე ლარის კურსი თანდათანობით 50%-ით გაუფასურდა.

სავალუტო კრიზისის პირობებში საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც იმჟამად მყარი ვალუტის ერთადერთი მიმწოდებელი იყო, ახორციელებდა სავალუტო ინტერვენციებს. ამ გზით იგი ცდილობდა სავალუტო ბაზარზე წარმოქმნილი დისპროპორციის შერბილებას და ლარის კატასტროფული გაუფასურების თავიდან აცილებას.

ეროვნული ბანკის ეს პოლიტიკა მაშინ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა. დღესაც საქართველოს საფინანსო-ეკონომიკურ წრეებში განსხვავებული დამოკიდებულებაა მასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაშინ ეს იყო ერთადერთი სწორი მოქმედება, რომელმაც თავიდან აგვაცილა საბანკო პანიკის წარმოშობა და საბანკო სისტემა იხსნა სრული დანგრევისგან.

სავალუტო კრიზისმა უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს ისედაც სუსტ ეკონომიკაზე. ეკონომიკის ზრდის ტემპი 1997 წლის 10,7%-დან 1999 წელს 2%-მდე შემცირდა, მკვეთრად იკლო ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობამ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დოლარიზაციის დონე 1996 წლის 12,7%-დან 1998 წელს 29,1%-მდე, 1999 წელს კი 33,7%-მდე გაიზარდა.

2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი თავისი სიმწვავით შეიძლება შედარდეს მხოლოდ 1929-1933 წლების „დიდ დეპრესიას“. ამ ანალოგიდან გამომდინარე, ეკონომიკურ ლიტერატურაში იგი იწოდება „დიდ რეცესიად“. კრიზისი დაიწყო აშშ-ს პიონერულ ბაზარზე და წარმოადგენდა როგორც ამ ქვეყანაში განხორციელებული ხანგრძლივი ეკონომიკური ბუმის კანონზომიერ შედეგს, ასევე ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების კოლოსალური დავალიანების კრიზისს.

აშშ-ს ფულის ბაზარზე წარმოქმნილმა ჭარბმა ლიკვიდურობამ ხელი შეუწყო „იაფი ფულის“ სწრაფად ტრანსფორმირებას „იაფ კრედიტად“. მნიშვნელოვნად გაიზარდა დაბალხარისხია-

ნი, ანუ ნაკლებად საიმედო გადახდისუნარიან კლიენტებზე გაცემული ე.წ. “subprimes” სესხების მოცულობა. 2002 წელს იგი შეადგენდა გაცემული კრედიტების საერთო მოცულობის 6%-ს, ხოლო 2006 წელს 20%-ს, ანუ აბსოლუტურ მაჩვენებელში 1,3 ტრილიონ აშშ დოლარს – ამ ქვეყნის მშპ-ს ზუსტად 10%-ს.

2006 წლის შუა პერიოდისთვის ეკონომიკური ბუმის პიკმა გაიარა და დაიწყო ბანკის კრედიტებში იპოთეკით ჩადებულ ბინებზე ფასების შემცირება. ამან მკვეთრად გაზარდა კრედიტის ვერ გადახდის ფაქტები და დაიწყო კრედიტით ნაყიდი ბინების მასობრივი გაყიდვა. აღნიშნულმა გარემოებამ უფრო გაამწვავა საბინაო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, გამოიწვია ფასების კიდევ უფრო შემცირება და დაიწყო ბანკების მასობრივი გაკოტრება, რომელთა საკრედიტო პორტფელში მეტსამეტად ჭარბი subprimes კრედიტები აღმოჩნდა.

საბანკო კრიზისს თან მოჰყვა სადაზღვევო კომპანიების, საინვესტიციო და ჰეჯ-ფონდების ლიკვიდურობის შემცირება. ფაქტობრივად შეწყდა ეკონომიკის დაფინანსება, წარმოიშვა „ფინანსური ტრომბი“. ყოველივე ეს ნიშნავდა იპოთეკური ბაზრის კრიზისის გადაზრდას საბანკო და ზოგადად საფინანსო კრიზისში.

ფინანსური კრიზისი ასევე მალე გადაიზარდა ეკონომიკურ კრიზისში. იგი გამოიხატა ეკონომიკური ზრდის ტემპის საგრძნობ შემცირებასა და შემდეგ, უარყოფით ეკონომიკურ ზრდაში, სამრეწველო წარმოების შეკვეცაში, სამომხმარებლო ფასების ინდექსის შემცირებასა და უმუშევრობის მაჩვენებლის გაზრდაში.

ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა აშშ-დან გადაინაცვლა ევროპაში. ეკონომიკურ სირთულეებთან ერთად ზოგიერთ ქვეყანაში (უნგრეთი, ისლანდია, ლატვია, საბერძნეთი) მან გამოიწვია პოლიტიკური რყევებიც.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმას ნიშნავს, რომ: ა) 2007-2009 წლების კრიზისს ჰქონდა გლობალური ხასიათი და ბ) ეს იყო

არა ჩვეულებრივი ციკლური, არამედ სისტემური კრიზისი, რომელმაც თანამედროვე დასავლური საზოგადოების თითქმის ყველა სფერო მოიცავა.

გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. კრიზისის წინა პერიოდში საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალი იყო. ამას მნიშვნელოვანი ხარისხით განაპირობებდა შედარებით იაფი ფულის დიდი მოცულობით შემოდინება. კრიზისის დროს ფულის ბაზარზე ლიკვიდურობის პრობლემის წარმოქმნამ საგრძნობლად შეამცირა შემოდინებული ფულის ნაკადები და გამოიწვია საბანკო კრედიტის გაძვირება. საბანკო სისტემაზე პირდაპირ იყო დამოკიდებული სამშენებლო ინდუსტრია, რომელსაც ასევე შეექმნა პრობლემები. სამშენებლო ფირმები და დეველოპერული კომპანიები ვერ იღებდნენ ახალ კრედიტებს და ძალიან უჭირდათ ძველი სესხების გადახდა. კატასტროფულად გაიზარდა დაუმთავრებელი მშენებლობა და გაკოტრდა ბევრი სამშენებლო ფირმა. საბანკო და სამშენებლო სფეროებში მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა.

საბანკო სისტემა კოლაფსისგან იხსნა იმ 660 მლნ აშშ დოლარმა, რომელიც ბანკებს მიეცა რუსეთთან ომში დაზარალებული საქართველოს ეკონომიკის აღსადგენად საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი 4,5 მლრდ აშშ დოლარიდან. საბანკო სისტემა გამოვიდა კრიზისიდან და დაიწყო წარმატებული ფუნქციონირება. ეს გამოიხატა ბანკების წმინდა მოგების სოლიდურ ზრდაში. რაც შეეხება სამშენებლო ინდუსტრიას, 2012 წლიდან ამ სფეროში ჩამოყალიბებული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, მან ჯერ ვერ აღადგინა კრიზისის წინა პერიოდის პოზიცია.

გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირების მთავარი მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ კრიზისიდან გამოსვლის პროცესი 2010 წლის შუა პერიოდიდან დაიწყო. პოსტკრიზისუ-

ლი პერიოდი არის ასევე ძალიან რთული და წინააღმდეგობრივი. არსებობს გამოწვევები და საფრთხეები, რომელთა ანალიზი და გათვალისწინება აუცილებელია გლობალური და ეროვნული ეკონომიკების პოსტკრიზისული განვითარების პირობებში.

პოსტკრიზისულ პერიოდში საქართველოს ეკონომიკა უარყოფითი ფაქტორების მთელი კომპლექსის ზეგავლენას განიცდიდა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მთელ მსოფლიოში დოლარის კურსის საგრძნობი გამყარება და საქართველოს მეზობელ და მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემები.

საგარეო ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედება გამოვლინდა ხანგრძლივი დროის მონაკვეთში ლარის კურსის მკვეთრ მერყეობაში.

ლარის საგრძნობი გაუფასურების მიუხედავად, ეს პროცესი არ გადაზრდილა ინფლაციის მაღალ მაჩვენებელში, რაც რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

- ლარი არ გაუფასურებულა მნიშვნელოვანი იმპორტიორი ქვეყნების ეროვნულ ვალუტებთან მიმართებით;
- მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობპროდუქტებზე ფასების კლებამ;
- მოსახლეობის დიდ ნაწილს ბანკებიდან კრედიტები დოლარებში აქვს გამოტანილი. დოლარის გაძვირებამ შეამცირა მოსახლეობის იმ კატეგორიის განკარგვადი შემოსავალი, რომელიც შემოსავალს ლარში იღებდა, ხოლო კრედიტს დოლარში იხდიდა. შემცირდა მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა, რამაც შეკვეცა ფასების ზრდის დიაპაზონი.

ლარის სტაბილურ კურსს საგარეოსთან ერთად, საშინაო ფაქტორებიც განსაზღვრავს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია მეცნიერულად დასაბუთებული და ეფექტური სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

• ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდა მრეწველობის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების დაჩქარებული განვითარების საფუძველზე;

• ადგილობრივი რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ფართოდ ჩართვითა და ეფექტური გამოყენებით მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის გაძლიერება, პირველ რიგში, იმპორტჩამნაცვლებელ და ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოების სფეროში;

• ფასიანი ქაღალდების სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა, რომელიც შექმნის მოსახლეობაში, კომპანიებში, საოჯახო მეურნეობებში არსებული ფულადი დანაზოგების ინვესტიციებად გადაქცევის შესაძლებლობას;

• საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცება და ბიუჯეტი-დან თანხების თანაბარზომიერი ხარჯვა. ბიუჯეტის ხარჯების არა მექანიკური შეკვეცა, არამედ მისი პერეორიენტაცია რეალური ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე;

• ლარის კურსის განსაზღვრის არსებული წესის შეცვლა. მისი საბაზრო ხასიათის გაძლიერება და მაქსიმალური ტრანსპარანტულობის უზრუნველყოფა.

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია კრიზისისა და ეკონომიკის პოსტკრიზისული განვითარების პერიოდებში სახელმწიფოს როლისა და ამოცანების განსაზღვრა. ეს საკითხი მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდი-და ფინანსური კრიზისის სხვადასხვა ეტაპზე. თავდაპირველად უპირატესობა მიერიჭა პროცესებში სახელმწიფოს ჩაურევლობას. ასეთი მიდგომა მცდარი აღმოჩნდა და მოგვიანებით დაიწყო როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, ასევე ზესახელმწიფო დონეებზე აქტიური ანტიკრიზისული პოლიტიკის გატარება.

აშშ-ში მთავრობის დახმარება პრობლემური ბანკებისა და საფინანსო ინსტიტუტებისადმი ორი მიმართულებით წარიმარ-

თა: პირველი, „რბილი ნაციონალიზაცია“, ანუ კომპანიების კაპიტალში სახელმწიფოს „შესვლა“ და მეორე – რეკაპიტალიზაცია. გამოყენებული იქნა რეკაპიტალიზაციის სამი მეთოდი: ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი დახმარების გაწევა; ბ) სახელმწიფოს მიერ „ცუდი“, ანუ ე.წ. „ტოქსიკური აქტივების“ შეძენა და გ) სახელმწიფოს აქტიური მეთვალყურეობის ქვეშ ძლიერი ბანკების მიერ პრობლემური ბანკების აქტივების შეძენა არასაბაზრო ნომინალური ღირებულებით.

აქტიურმა ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა და საზოგადოდ, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებამ შესაძლებელი გახადა ჯერ კრიზისის სიმწვავის შერბილება, შემდეგ კი მისგან შედარებით მოკლე დროის პერიოდში ეროვნული ეკონომიკებისა და გლობალური ეკონომიკის გამოყვანა.

განხორციელებული ანტიკრიზისული პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

- თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს როლი მეტად მნიშვნელოვანია როგორც კრიზისიდან ეკონომიკის გამოყვანის, ისე პოსტკრიზისული წარმატებული განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით;

- აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სახელმწიფოს ეკონომიკური ამოცანები მოკლევადიან, ანუ კრიზისის პერიოდში და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებაში. ეს უკანასკნელი გამოიხატება: მეურნეობრიობის პრინციპების საფუძვლიან შეცვლაში; სტრატეგიული პროგრამების შედგენა-რეალიზაციაში; მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის ხელშეწყობით ერთობლივი მოთხოვნის გაზრდაში, სოციალური კაპიტალის განვითარებაში და ა.შ.

- კრიზისის დროს კომპანიებისადმი სახელმწიფოს დახმარებას დროში შეზღუდული ხასიათი უნდა ჰქონდეს. იგი ორიენტირებული უნდა იყოს ეკონომიკის ძირეულ მოდერნიზაციაზე. როგორც გამოცდილება აჩვენებს, კრიზისების შემდეგ ხშირად წარმოიქმნება ე.წ. „ინოვაციური პაუზები“. სახელმწი-

ფო უნდა ეცადოს, რომ ეს პაუზები ძალიან არ გახანგრძლივდეს.

• კრიზისის ძირითადი ფაზის დამთავრების შემდეგ იგივე პროცესები მიმდინარეობს, რომლებიც კრიზისის წარმოშობის მიზეზი გახდა: ფინანსურ ბაზრზებზე კვლავ წარმოიშობა უზარმაზარი „ბუშტები“, იზრდება სპეკულატიური კაპიტალის მოცულობა, გიგანტური სახსრები ეკონომიკის რეალური სფეროდან ისევ გაედინება საფინანსო სფეროში, იზრდება ეკონომიკის ვირტუალიზაციის ხარისხი და ა.შ. ეს ყოველივე იმას ნიშნავს, რომ ტრადიციული მიდგომებით მხოლოდ პალიატიური შედეგების მიღწევაა შესაძლებელი. სიტუაციის ფუნდამენტური გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ პრინციპულად ახალი მიდგომის (პარადიგმის) საფუძველზე

გლობალური ფინანსური კრიზისის ფენომენის შესწავლა სწორ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს უნდა ემყარებოდეს.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია, რომელიც ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს სტატიკურად და არასისტემურად განიხილავს, ასეთად არ შეიძლება ჩაითვალოს.

მეინსტრიმული მიდგომების საწინააღმდეგოდ, ნაშრომში გამოყენებულია პრობლემის კვლევის დინამიურ-სისტემური და ანტროპოცენტრული მიდგომები.

დინამიურ-სისტემური მიდგომის თანახმად, სისტემის ელემენტები განსხვავებული სისწრაფით იცვლება. თუ ცვლილების სიჩქარეთა შორის დიდი განსხვავება არ არის, ეს ნორმალურია და საფრთხეს არ უქმნის სისტემის მდგრადობას. პრობლემა ჩნდება დიდი განსხვავების შემთხვევაში, რომელსაც სისტემა შეჰყავს ტურბულენტობის, ანუ სახიფათო რყევების მდგომარეობაში.

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის ტურბულენტობა რამდენიმე სახით ვლინდება. პირველი არის ფინანსური სექტორის უაღრესად სწრაფი განვითარება ეკონომიკის რეალურ

სექტორთან შედარებით. ამ პროცესს თან მოსდევს ეკონომიკის ფინანსებიზაცია, დერივატიზაცია და ვირტუალიზაცია. ამჟამად ფინანსური სექტორი მოწყვეტილია რეალურისგან და ამ სახითათო დამოკიდებულების კორექტირება შესაძლებელია მხოლოდ *aposteriori*, ანუ კრიზისების საშუალებით.

ეკონომიკური სისტემის ტურბულენტობას იწვევს ის დისბალანსიც, რომელიც გაჩნდა თავად ფინანსურ სექტორში. საკითხი ეხება ე.წ. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების – დერივატივების „ფეთქებად ზრდას“ საბაზისო ფასიან ქაღალდებთან შედარებით.

დერივატივები რთული და წინააღმდეგობრივი ინსტრუმენტია. ერთი მხრივ, მისი გამოყენებით საგრძნობლად უმჯობესდება ინვესტირების მახასიათებელი პარამეტრები, გადასახადის ნაკადები, გადახდისუნარიანობა, ლიკვიდურობა და ა.შ.

დერივატივები ასევე განიხილება მოკლე პერიოდში მაღალი მოგებისა და ფინანსური რისკების შემცირების ქმედით ინსტრუმენტად.

პრაქტიკამ დერივატივების გამოყენების საწინააღმდეგო სურათი აჩვენა. მათმა ფართო მასშტაბით გამოყენებამ გამოიწვია არა ფინანსური რისკების თავიდან აცილება ან შერბილება, არამედ მათი შენიღბვა და გადანაწილება. მან ასევე წარმოშვა პირამიდები, რომლებიც ეკონომიკაში სირთულეების პირველი ნიშნების გაჩენისთანავე, ძალიან სწრაფად ჩამოიშალნენ და მწვავე ფინანსური კრიზისი გამოიწვიეს.

დერივატივების გამოყენებით განხორციელდა ვალების სეკურიტიზაცია: ძველი ვალების საფუძველზე ფასიანი ქაღალდების ემისია, ანუ ძველი ვალების ტრანსფორმირება სხვადასხვა წარმოებულ ფასიან ქაღალდად და ინვესტორებისთვის მათი მიყიდვა.

ბანკების მიერ სეკურიტიზაციის ჭარბად გამოყენებამ ისინი ფინანსურ ბაზრებზე ლიკვიდურობის მიმწოდებლებიდან მის მომხმარებლებად გადააქცია. სეკურიტიზაციამ ასევე გა-

ნაპირობა ფინანსური ორგანიზაციების ბალანსებზე „ტოქსიკური აქტივების“ დაგროვება და ზოგადად ფინანსური სისტემის გაუმჯობესების ხარისხის გაზრდა, რაც არასტაბილურობის დიდი საფრთხის შემცველი გახდა.

აღნიშნული გარემოებების გამო 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისი „სეკურიტიზაციის ეპოქის პირველ კრიზის“ წარმოადგენს (პ. კრუგმანი).

გლობალური ფინანსური კრიზისისადმი ანტროპოცენტრული მიდგომა გულისხმობს მისი წარმოშობის მიზეზების, განვითარების ლოგიკის ახსნას ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე.

ბაზრის რეალურ სუბიექტებს (მყიდველებსა და გამყიდველებს), ნეოკლასიკური სტილიზებული რაციონალური „ეკონომიკური ადამიანისგან“ განსხვავებით, გარკვეული დოზით ყოველთვის ახასიათებს ირაციონალური ქცევა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ძლიერდება ფინანსური სექტორის რეალური ეკონომიკიდან დაშორების პირობებში. აქტივების საბაზრო ფასების ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს მოლოდინები, რომელიც განსაკუთრებით ეკონომიკური აღმავლობის ფაზაზე, ანუ ბუმის პერიოდში უპირატესად ოპტიმისტური ხასიათისაა და ეკონომიკურ აგენტებს გაუმართლებელი რისკებისკენ უბიძვებს.

ფინანსურ ბაზრებზე კრიზისის წარმოშობა ასევე დაკავშირებულია ისეთ ფინანსურ ფაქტორთან, რომელსაც „ჯოგური ინსტიქტი“ ეწოდება. ამ შემთხვევაში ბაზრის მოთამაშე ხშირად გადაწყვეტილებას იღებს სხვისი მიბაძვით. ამასთანავე, სრულიად შესაძლებელია, რომ იმ სუბიექტის მოქმედება, ვისაც ბაძავენ, არ იყოს რაციონალური და ოპტიმალური.

გლობალური ფინანსური კრიზისის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი წარმოიშვა და განვითარდა ვალების დაგროვების გზით ერთობლივი მოთხოვნის წახალისებისა და ბაზრებზე „ჯოგური ინსტიქტის“ გაძლიერების პირობებში.

გლობალური ფინანსური კრიზისის თეორიულ-მეთოდოლო-გიური კვლევის მნიშვნელოვანი ელემენტია მისი პროგნოზირების საკითხი, რაც ამჟამად საკმაოდ დიდ დისკუსიას იწვევს მკვლევარებს შორის. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური კრიზისების დაწყების პროგნოზირება ეკონომიკური თეორიის პირდაპირი მოვალეობაა. მასში გამოიხატება ამ მეცნიერების არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული ფუნქციაც, ვინაიდან სწორი პროგნოზირება ეფექტიანი პრევენციის საუკეთესო საშუალებაა. ეკონომისტთა მეორე ჯგუფის აზრით, მკვლევარების ამოცანაა არა ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირება, არამედ კრიზისში მყოფი ეკონომიკის ამ მდგომარეობიდან გამოყვანის გზების გამოძებნა.

ჩვენს მიერ ანალიზში გამოყენებულია „წერტილოვანი პროგნოზირების“, „პროგნოზირების დერეფნების“ და ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების „სტაციონარული რეჟიმების“ ცნებები. მათი გამოყენების გზით დასაბუთებულია, რომ:

- ეკონომიკური კრიზისების „წერტილოვანი“, ანუ ზედმინევნით ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია;
- ეკონომიკის განვითარების პროცესში შედარებით ერთგვაროვანი, ე.წ. „სტაციონარული რეჟიმები“ შეიძლება გამოიყოს, რომელიც გვიჩვენებს კრიზისის დაწყების მაღალ ალბათობას. ეს ნიშნავს, რომ განისაზღვრება „ეკონომიკური კრიზისის პროგნოზირების დერეფანი“;

საბოლოო ანგარიშით, ნაშრომში გამოთქმულია ვარაუდი, რომ 2018 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში ფინანსური კრიზისის ნარმოქმნის მაღალი ალბათობა არსებობს. ამასთანავე, მოსალოდნელი კრიზისი (კრიზისები) ნაკლებად მწვავე იქნება 2007-2009 წლების გლობალურ ფინანსურ კრიზისთან შედარებით.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში კაპიტალისტური ცივილიზაციის ეკონომიკურ საფუძვლებში განვითარებულ-

მა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა ახალი პარადიგმის (თეორიული მოდელის) შექმნის აუცილებლობა.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია ზოგიერთი ის პრინციპი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ასეთ მოდელს.

• „ფინანსური ოლიგარქიის კაპიტალიზმი“ უნდა შეიცვალოს „სამეწარმეო ანტეპრენიორული კაპიტალიზმით“, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალების დაგროვებასა და ფინანსური ბუშტების გაპერვაზე ორიენტირებული სისტემის ადგილი უნდა დაიკავოს რეალური წარმოებითი პროცესების გაფართოებასა და შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე დამყარებულმა ეკონომიკამ;

• „მომავლის ეკონომიკა“ უნდა იყოს მრავალწყობიანი. კერძო, სახელმწიფო, კოლექტიური საწარმოები არა მარტო უნდა თანაარსებობდნენ, არამედ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან. საკუთრებისა და მეწარმეობის კონკრეტული ფორმის ეფექტიანობა უნდა განისაზღვრებოდეს არა იდეოლოგიური მიდგომით, არამედ მისი რეალური სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობით.

• აუცილებელია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის პრინციპულად ახლებური გააზრება. გლობალიზაციის ეპოქაში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ეროვნული ეკონომიკის არა დაცვა გარე ფაქტორების ზემოქმედებიდან (რაც პრაქტიკულად შეუძლებელია), არამედ მისი ორგანული ჩართვა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, გლობალური მასშტაბით კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

• „მომავლის ეკონომიკა“ ორიენტირებულია ადამიანზე, როგორც უმაღლეს საზოგადოებრივ ფასეულობაზე, ემსახურება მის კეთილდღეობას. „ძველი“ ტრადიციული საბაზრო სისტემა, რომლის ცენტრში დგას აბსტრაქტული „ეკონომიკური ადამიანი“, იცვლება „არაეკონომიკურ ადამიანზე“ ორიენტირებული, ანუ ანტროპოცენტრული ტიპის ეკონომიკით.

• მოხმარების ახალი წესის ფორმირება არის უმნიშვნელოვანესი საკითხი. მომავლის ეკონომიკაში გადამწყვეტი

მნიშვნელობა ენიჭება არა მოხმარების გაზრდას და ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას, არამედ მისი სტრუქტურისა და ფორმირების წესის შეცვლას. მოხდება თანამედროვე, ხშირ შემთხვევაში არაჯანსაღი, მახინჯი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში მოხმარების ფორმების ჩანაცვლება ისეთი მოხმარებით, რომელიც პირდაპირ იქნება ორიენტირებული ადამიანის ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური ძალების განვითარებაზე. ამ გზით კაცობრიობა შეძლებს შეზღუდოს წარმოების უკონტროლო ზრდა და შეამციროს დაწოლა სასიცოცხლო რესურსებზე.

საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული განვითარება უნდა წარიმართოს იმ მოდელის საფუძველზე, რომელიც ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას, კულტურას, ტრადიციებს და ა.შ. თანამედროვე ინოვაციურ ფენომენან გააერთიანებს.

სკანდინავიის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ სოციალურად ორიენტირებული, ინკლუზიურ ზრდაზე მორგებული ეკონომიკური მოდელი არის გლობალური ფინანსური კრიზისებიდან თავის დაცვის ეფექტიანი საშუალება.

ნაშრომში დასაბუთებულია საერთო სახელმწიფო (ეროვნული) სტრატეგიული ინოვაციური მეტაპროექტის შექმნის აუცილებლობის საკითხი, დახასიათებულია მისი შემადგენელი ელემენტები და მინიშნებულია აღნიშნული პროექტის პრაქტიკული რეალიზაციის ძირითად მიმართულებებზე. მეტაპროექტის განხორციელებამ შედარებით მოკლე პერიოდში უნდა უზრუნველყოს მეცნიერების მოწინავე მიღწევებზე, მაღალ ტექნოლოგიებზე, ფუნდამენტურ ცოდნაზე დამყარებული ე.ნ. „ცოდნის ეკონომიკის“ ფორმირება, ამ გზით საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მისი ეფექტიანი ინტეგრირება გლობალურ ეკონომიკაში.

THE FINANCIAL CRISIS OF THE GLOBALIZATION ERA AND THE ECONOMY OF GEORGIA CONCLUSIONS

Globalization is the most important process of the contemporary life. It implies the general planetary unity of the mankind which is achieved based on the usage of the modern informational-communicational tools.

The globalization of the economy is the part of general globalization. Its content reflects the growing interaction and mutual understanding of different types of markets worldwide. The result of globalization of economy is the formation of a functioning economic system or global economy in real time.

The global economy with national economies include: Transnational Companies (TC), International financial-economic organizations, regional economic unities. The economy of USA has the special place in the global economy. It can be said that the United States is no longer a traditional state in the world, but it is the core of the global world and its driving locomotive.

At the initial stage of globalization, it was viewed in a clear positive context. It was believed that it could successfully replace the state and ensure rapid economic growth throughout the whole world.

The emphasis was made on two important aspects: a) Dynamic development of the global economy through globalization; B) reduction of the difference between the economic development levels of the regions and the countries and the general mitigation of social inequality in the world.

Unfortunately, the modern reality has turned out to be completely different: the pace of global economic growth was dramatically lagging

behind the growth rate of the world economy; social inequality has increased instead of decreasing.

The basis of economic globalization is financial globalization, which has a two-way effect. On the one hand, by increasing the availability of financial resources, it enables economic growth (development) in relatively lagging behind countries. On the other hand, financial globalization promotes rapid spread of the „financial virus“, strengthens the regional character of the financial crisis and generates global crisis.

The globalization era is distinguished by the multitude of regional financial crises. Among them are the financial crises developed at the beginning of 1990 in Latin America and in South-East Asia in 1997, which has also influenced economy of Georgia. The main reason for these crises was the rapid liberalization of financial markets, resulting in a large volume of „hot money“ in the countries and an unprecedented expansion of speculative operations.

The financial crisis of South-East Asia reached Georgia through Japan and Russia in August 2008. It was evident in the fall of GEL currency starting from September 5, 1998 as compared to US Dollar. The currency crisis lasted until May 1999, with various intensities. For about nine months the rate of GEL gradually decreased by 50%.

Under the currency crisis, the National Bank of Georgia, which was the sole supplier of solid currency, was carrying out currency interventions. In this way it tried to mitigate the disproportionate effect on the currency market and avoid the disastrous impairment of GEL.

This policy of the National Bank has become an object of acute criticism from the International Monetary Fund. Today, Georgia's financial-economic circles have different opinions about it.

We think that it was the only correct action that prevented the emergence of bank panic and saved the banking system from a complete collapse.

The currency crisis of course, has had a negative impact on Georgia's already weak economy. The economic growth rate in 1997 decreased from 10.7% to 2% in 1999, the trust in the national currency decreased drastically, the level of dollarization of our country's economy increased from 12.7% in 1996 to 29,1% in 1998, and in 1999 it increased to 33.7%.

The global financial crisis of 2007-2009 can be compared with the „great depression“ of 1929-1933. According to this analogy, in economic literature it is called „great recession“. The crisis started in the US mortgage market and represented a regular economic boom in the country as well as the crisis of colossal debt of firms and households.

The surplus of liquidity on the US money market helped to transform „cheap money“ rapidly into „cheap credit“. Significantly increased low quality of so-called low-cost or less reliable solutions – and the volume of „Subprimes“ loans.

In 2002 it amounted to 6% of the total volume of credits and 20% in 2006, or 1.3 trillion US dollars in absolute indicator – exactly 10% of GDP.

In mid-2006, the economic boom peak passed and began to reduce the prices on mortgages in bank loans. This dramatically increased the number of credit facts and started selling mass apartment sellings. Further, the abovementioned circumstances sharpened the demand-supply ratio on the housing market, resulting in further reduction of prices and the mass bankruptcy of the banks, which were more excessive subprime credits in the credit portfolio.

The banking crisis followed the reduction of liquidity of insurance companies, investment and hedge funds. In fact, the financing of the economy was stopped, and the „financial trophy“ emerged. All this meant a rise in mortgage market crisis in banking and general financial crisis.

The banking crisis followed the reduction of liquidity of insurance companies, investment and hedge funds. In fact, the financing

of the economy was stopped, and the „financial trophy“ emerged. All this meant a rise in mortgage market crisis in banking and general financial crisis.

Financial-economic crisis has moved from the US to Europe. Along with economic difficulties in some countries (Hungary, Iceland, Latvia, Greece) he also caused political fluctuations.

All this means that: a) The 2007-2009 crisis had a global character; and b) it was not a normal cyclical, but systemic crisis that covered almost all areas of modern Western society.

The global financial and economic crisis has had a significant impact on the economy of Georgia. In the pre-crisis period, the growth rate of the economy of Georgia was quite high. This resulted in a significant increase in the relatively cheap amount of cheap money. During the crisis, the liquidity problem in the money market has significantly reduced inflows and caused a rise in bank credit. The banking system directly depended on the construction industry, which also caused problems. Construction firms and development companies did not receive new credits and they were very hard to pay old loans. A catastrophic increase in unfinished construction and a lot of construction firms have gone bankrupt. In the banking and construction areas, the number of unemployed has increased significantly.

The banking system was saved from collapse of \$ 660 million, which was given to banks to resettle the economy of Georgia in the war with Russia from \$ 4,5 billion allocated by international donors. The banking system came out of the crisis and started a successful operation. This was reflected in the solid growth of net profit of banks. Despite the positive trends in the construction industry since 2012, he has not yet restored the position of the crisis.

Analysis of the main indicators of the functioning of the global economy show that the process of withdrawal from the crisis began in the middle of 2010. Post-crisis period is also very difficult and contradictory. There are challenges and dangers that analyze and take

into account the need for post-crisis development of global and national economies.

During the post-crisis period Georgian economy has been affected by the whole complex of negative factors. Significantly, the strengthening of the dollar currencies around the world and economic problems arising in Georgia's neighboring and major trading partner countries are particularly noteworthy.

Negative impacts of external factors have been revealed in the long-term fluctuation rate in the long term.

Despite the depreciation of GEL, this process did not increase the inflation rate, which is due to several factors:

- GEL 1 is not impaired in relation to the national currencies of importing countries;
- The decline in prices of oil products in international markets played an important role;
- Most of the population is credited with loans from banks. The dollar surplus decreased the disposable income of the population that earned the income in the GEL and paid the loan in dollars. Decreased demand for the population has decreased, which has reduced the price range of prices.

The stable course of GEL together with its foreign course is also determined by domestic factors. Among them are the most important scientific and well-grounded and effective economic policies implemented in the following areas:

- Growth of the real sector of economy on the basis of accelerated development of the modern means of processing, energy, agriculture and agriculture products processing, transport and communications;
- Strengthen the economic activity of the population with the active involvement and efficient use of local resources in the local turnover, first and foremost in the field of imports and export-oriented production;

- Facilitate the establishment of a full-fledged market for securities, which will enable the population to convert the money savings in the households into investments;
- Strengthening budgetary discipline and equitable spending of funds from the budget. Not mechanical cuts in budget expenditures, but its reorientationon real economy and infrastructure development;
- Changing the existing rule of determining the GEL Course. Strengthening its market character and ensuring maximum transparency.

Theoretical and practical point of view is the determination of the state's role and tasks in post-crisis periods of crisis and economy. This issue has undergone significant changes in the different phases of the financial crisis. Initially the advantages were given to the state in the process of non-interference. Such a approach turned out to be false and later began to pursue active anti-crisis policies at national and state level as well as the super-states.

In the United States, the government's assistance to troubled banks and financial institutions has been represented in two directions: first, „soft nationalization“, or „entering“ the state of capital and second recapitalization. Three methods of recapitalization were used: a) Direct aid from the state budget; B) the state „bad“ or so called Acquisition of „toxic assets“ and c) under the active supervision of the state by the banks of troubled banks by strong banks with non-market nominal value.

Active anti-crisis measures and, in general, strengthened the state regulation of the economy, made it possible to mitigate the sharpness of crisis and then bring out national economies and global economies in a relatively short period of time.

Based on the analysis of anti-crisis policies, the following conclusions can be drawn:

- The role of the state in modern conditions is crucial to the emergence of the economy from the crisis and the prospect of post-crisis sustainable development;

- It is necessary to separate the economic objectives of the state from short term or crisis period and to develop a long-term strategy. The latter is reflected in the thorough change of the principles of farming; Making and implementing strategic programs; Promoting joint demands for promoting living standards for living, social capital development, etc.

- At the time of crisis, the assistance of the state to companies should have limited character in time. It should be oriented on the fundamental modernization of the economy. As experience shows, after the crisis, it is often caused by the so-called „Innovative pauses“. The state should try to avoid these pauses too.

- After the main phase of the crisis, the same processes are on the rise that caused the crisis: huge bubbles still emerge in the financial markets, increasing the size of speculative capital, giant funds from the real sphere of the economy still flowing in the financial sphere, increasing the degree of virtualization of the economy. All this means that only the palliative results can be achieved with traditional approaches. The fundamental improvement of the situation can only be made principally based on the new paradigm

The study of the phenomenon of the global financial crisis should be based on the correct theoretical-methodological basis.

Neoclassical economic theory, which analyzes economic developments and processes in a statistically and inefficient manner, cannot be regarded as such.

In contrast to mainstream approaches, the paper uses dynamic-system and antropercentic approaches to problem research.

According to dynamic-system approach, the system elements change at different speeds. If there is no big difference between the speed of change, it is normal and does not threaten the system sustainability. The problem arises in case of a big difference in the system of turbulence or hazardous fluctuations.

Under the globalization, the turbulence of the economy is manifested in several forms. The first is the rapid growth of the financial sector compared to the real economy of the economy. This process is accompanied by the financing of economy, derivation and virtualization. Now the financial sector is cut off from reality and this danger of adjustment can only be corrected aposteriori – by the means of crisis.

The turbulence of the economic system leads to an imbalance that has emerged in the financial sector itself. The issue concerns to the „explosive growth“ of the derivative financial instruments, compared to the basic securities.

Derivatives are a complex and contradictory tool. On the one hand, it improves the investment characteristics, tax flows, solvency, liquidity, and so on.

Derivatives are also considered as an effective tool for reducing high profits and financial risks in a short period of time.

The practice has demonstrated the use of derivatives. Their extensive use has led to not to avoid or mitigate financial risks, but to disguise and redistribute them. He also created pyramids, which, as soon as the first signs of economic difficulties emerged, quickly collapsed and caused a sharp financial crisis.

Using derivatives caused, the debt securitization: the debt of securities based on old debts, transferring old debts into various derivatives and selling them to investors.

Excessive use of sectors by the banks has turned them into financial markets from liquidity providers to its customers. Securitization also contributed to the accumulation of „toxic assets“ on the balance sheets of financial institutions and increased the degree of transparency of the financial system in general, which became a major threat to instability.

The financial crisis of 2007-2009 is the „first crisis of the ecumenization period“ due to these circumstances (P.Crugmann). Anthropocentric approach to the global financial crisis implies the reasons

for its origin, the development of logic development based on human nature.

The real subject of the market (buyers and sellers) is always characterized by neurological stylized rational „economic man“ with a certain dose of irrational behavior. The latter is particularly strong in the financial sector's real economy. In the formation of asset market prices, the expectations which are especially optimistic during the economic growth phase, or boom, and push economic agents to unjustified risks.

Crisis on financial markets is also associated with a psychological factor called „herd instinct“. In this case the market player often makes a decision by someone else's case and imitates. In addition, it is absolutely possible that the action of the subject who is forced not to be rational and optimal.

Analysis of the global financial crisis shows that it has evolved through the accumulation of debt through encouraging joint demand and strengthening the „herd instincts“ in markets.

An important element of the theoretical-methodological research of the global financial crisis is its prediction, which is now quite a big discussion between researchers. Some believe that predicting the start of economic crises is a direct duty of economic theory. It is not only cognitive but also practical function of this science, since the correct prediction is the best way of effective prevention. The second group of economists thinks that the researchers' task is not to predict financial and economic crises, but to find ways to get out of crisis.

In our analysis, the concept of „point-to-prediction“, „forecasting corridors“ and the „stationary regimes“ functioning of the economic system are used. It is substantiated that:

- The point of economic crises „point“, or precisely predictable, is impossible;
- In the process of economic development, the relatively homogeneous, so-called „Stationary regimes“ can be distinguished, which

shows a high probability of starting a crisis. This means that „economic crisis forecasting corridor“;

In the final report, the work suggests that there is a high probability of financial crisis in the period from 2018 to 2022. In addition, the expected crisis (crises) is less acute than the global financial crisis of 2007-2009.

The processes developed in economic bases of capitalist civilization over the last decades have put the necessity of creating a new paradigm (theoretical model) on the agenda.

In this work, some of the principle that should be based on such a model.

- „Capitalism of Financial Oligarchy“ should be replaced with „Entrepreneurial Capitalism“, which means that the system of accumulation of debt and the system of orientation of financial bubbles must take into account the expansion of real manufacturing processes and the economy based on the growth of labor productivity;

- The „economy of the future“ should be multi-lingual. Private, state and collective enterprises should not only co-exist but cooperate with each other. The efficiency of a specific form of property and entrepreneurship is determined not by an ideological approach but by its real socio-economic effectiveness.

- It is essential to understand the state's economic role principally. In the epoch of globalization, the state is an important function, not the protection of national economy from the impact of external factors (which is practically impossible) but its organic involvement in international economic relations, increasing global competitiveness.

- The economy of the future is focused on human beings as the highest social value, serving its well-being. The „old“ traditional market system, in which the abstract „economic man“ stands in the direction of „non-economic person“ or an anthropometric type economy.

- Forming a new rule of consumption is an important issue. Future economics is crucial to not increasing the consumption and stimula-

ting mutual demand but changing its structure and formulation rules. Modern, often unhealthy, ugly, human life and hazardous consumption forms can be replaced with such consumption that is directly oriented on the development of physical, spiritual, and intellectual forces. In this way humanity will be able to limit uncontrolled growth of production and reduce the stress on vital resources.

The strategic development of the economy of Georgia should be based on the model of the historical experience, culture, and traditions of the country and it will integrate with modern innovative phenomenon.

The experience of Scandinavian countries has shown that the economic model of socially oriented and inclusive growth is an efficient way to protect yourself from global financial crises.

In the paper the question of necessity of creating a common state (national) strategic innovative mega project is characterized by its composite elements and indicated in the main directions of practical realization of the megaproject. The megaproject implementation should provide a relatively short period of scientific achievement, high technologies, so called fundamental knowledge, forming the knowledge economy, increasing the competitiveness of the Georgian economy and its effective integration into the global economy.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აქუბარდია თ. რეფორმების ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., 2007.
2. ბანკები და ფინანსები. 2015, №413.
3. ბაქრაძე ნ. მსოფლიო საფინანსო კრიზისის გავლენა ლარის გაცვლითი კურსის ფორმირებაზე // ბანკი 2001, №6.
4. გველესიანი რ. მსოფლიო ბაზარზე ორიენტირებული ფირმების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და საზღვრები // სოციალური ეკონომიკა. 2005.№5.
5. გუნია ნ. თანამედროვე ეკონომიკური კრიზისი ლარუშ-ლაიბნიცის „ფიზიკური ეკონომიკის“ შუქზე // ეკონომიკის აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2010.
6. დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თ., 2003.
7. ეკონომიკური ლექსიკონი პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თსუ გამომცემლობა. თბ., 2001.
8. ელიავა ლ. საბანკო კრიზისების პროგნოზირება. თბ., 2012.
9. ექსკლუზიური ინტერვიუ სექ-ის პრეზიდენტ კობა გვენეტაძესთან // „კვირის პალიტრა“. 2017, ივნისი.
10. თოდუა გრ. ეკონომიკური ადამიანი. როგორც ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მხარეთა დიალექტიკური ერთიანობა // სოციალური ეკონომიკა. 2000. №1.
11. თოქმაზიშვილი მ. ფრიდრიხ ფონ ჰაიენის ეკონომიკური თეორიის ნარკვევები. თ., 2003.
12. ინტერვიუ ეკონომისტი ი. არჩვაძესთან // tbiliselebi.ge
13. კაცულია მ., ასლამაზიშვილი ნ. დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები, თბ., 2000.
14. კაკულია ნ. ეკონომიკური რეევების თეორიები ეკონომიკური კრიზისის ასპექტით // ეკონომიკა და ბიზნესი. 2012, №1.
15. კოვზანაძე ი. ლიკვიდურობის პრობლემა საქართველოს საბანკო სისტემაში // რეზონანსი. 28 იანვარი, 2009.
16. ლოკიე ვ., ბლეიდსი დ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვასწავლოთ და გავიგოთ. მეორე გამოცემის ქართული თარგმანი. თბ., 2015.

17. **ლაროში ლ.** მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური სისტემა და ეკონომიკური ზრდის პრობლემა. თბ., 2000.
18. **მალაშვილი გ. უქმი** ეკონომიკა. თბ., უნივერსალი. 2014.
19. **მარქსი კ. კაპიტალი.** პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკა. ტ. I. თბ., 1954.
20. **მარქსი კ. კაპიტალი.** ტ. III, ნაწილი 2. თბ., 1959.
21. **მენქიუ გრ.** ეკონომიკის პრინციპები, თბ., „დიოგენე“, 2008.
22. **მესხია ი.** გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები // ეკონომისტი, 2009 №2.
23. **მექვაბიშვილი ე.** გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პროცესების მიზნები // ეკონომიკა და ბიზნესი. 2015, N2.
24. **მექვაბიშვილი ე.** ორგანიზაციის უკრიზისო ტრანსფორმაციის ზოგიერთი საკითხი // სოციალური ეკონომიკა/ 2005, N3.
25. **მექვაბიშვილი ე.** გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი: მიზნები, ხასიათი და პერპექტივები // ბიზნესი და კანონმდებლობა. აპრილი, 2008.
26. **მექვაბიშვილი ე.** ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები. პერსპექტივები. თბ., 2009.
27. **მექვაბიშვილი ე.** თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები. თბ., 2012.
28. **მღვ. ბასილი (ახვლედიანი), შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ.** მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბ., 2009.
29. **პაიპსი რ.** საკუთრება და თავისუფლება. თბ., 2004.
30. **პაპავა ვ.** „პოსტგარდისტერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები//ექსპერტის აზრი, 2013.
31. **პაპავა ვ.** საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბ., 2015.
32. **პაპავა ვ.** ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბ., 2010.
33. **პაპავა ვ.** ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები) // საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებთა აკადემიის შრომები. ტ.8, თბ., 2010.

34. პაპავა. ვ. დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა - ევროკავშირის პოსტ-კომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო. ექსპერტის აზრი, N99, 2018.
35. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ოქტომბერი, 2008. ბანკები და ფინანსები. ივნისი, 2008, №157.
36. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები. თბ., 2010.
37. სმიტი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბ., 1938.
38. სტიგლიცი ჯ. გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება. თბ., 2012.
39. უნინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე (19.04.2009).
40. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბ., 2007.
41. ჩიხლაძე ნ. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები. ქუთაისი, 2013.
42. ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ.4. თბ., 1955.
43. ჭარაია ვ. ევრო: რეალობა და პერსპექტივები // ეკონომიკა და ბიზნესი. 2012, №1.
44. ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკა გლობალური კრიზისის ფონზე // ეკონომიკა და ბიზნესი, 2010, N6.
45. ჯავახიშვილი ი. ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში (პირველი ლექცია). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2015.
46. ჯავახიშვილი ნ. ვინ ათამაშებს ქართულ ლარს? // კვირის პალიტრა. 2015 წლის 23 მარტი
47. ჰაიკი ფ. გზა მონობისკენ. თბ., 2002.
48. Allen R. Financial Crisis and Recession in Global Economy. Edward Elgar, 2009.
49. Alvarez-Plata P., Engerer H. The Baltic States: No End to the Crisis // DIW Berlin Weekly Report. 2009, N34.
50. Bernanke B. The Great Moderation. Remarks of the Meetings of the Eastern Economic Association. Washington DC., 20 February, 2004.
51. Binswager M. Co-evolution Between the Real and Financial Sectors: The Optimistic “New Growth Theory”. View Versus the Pessimistic “Keynesian” View. 1999.

- 52.** **Blanchard O., Simon J.** The Long Decline in US Output Volatility // Brookings Paper on Economic Activity, 2001, vol. 32, N1.
- 53.** **Bleijer M.** Some Lessons from Financial Crisis in Argentina (2001/02). Seminar on Crisis Prevention in Emerging Markets. Singapore, 2006.
- 54.** **Ceccetti S.G., Kotler M., Upper C.** Financial Crisis and economic Activity // NBER Working Paper, 2009, N153.
- 55.** **Crafts M.** Globalization and growth in the Twentieth Century // IMF. Wash., 2000.
- 56.** **Crotty J.** Why there is Cronic Excess Capacity // Challenge.2002, Nov. 12.
- 57.** **Farme S., White L.** Empirical Studies of Financial innovation: Lots of Talk, Little Action//Journal of Economic Literature, 2004.
- 58.** **Friedman M.** The Methodology of Positive Economics. Chicago University Press, 1993.
- 59.** **Friedman Th.** Understanding Globalization. The Lexus and the Olive Tree. NY, 2000.
- 60.** **Gali J.** Technology, Employment and the Business Cycle: Do Technology Shocks Explain Aggregate Fluctuation? //American Economic Review, 1999, vol. 89.
- 61.** **Galle D.** Financial Innovation and Risk Sharing. Cambridge (MA), 1994.
- 62.** **Goldsmith A.** Financial Crisis. Theory, History and Policy. Cambridge University Press. 1982.
- 63.** **Graham C.** Insights on Development from the Economic of Happiness//The World Bank Research Observer. Oxford University Press, 2002, vol. 20, N2.
- 64.** **Greenspan A.** Activism//International Finance, 2011.
- 65.** **Heilbroner R., Thurow L.** Economics Explained. A Touchstone Book, 1998.
- 66.** **Hernbeck J.E.** The Financial Crisis in Argentina CRS Report, RS-21072.
- 67.** **IMF World Economic Outlook Databases.** Oct. 2015, www.imf.org
- 68.** **IMF.WEO.** Update January, 2015
- 69.** **Jajmovich N., Rebelo S.** Can News about the Future Drive the Business Cycle?//American Economic Review. 2009. Vol. 99. №4.
- 70.** **Keynes J. M.** National Self-Sufficiency//Yale Review. 22, 1933.
- 71.** **Kindelberger C.** Manias, Panics and Crashes. Macmillan, 1996.
- 72.** **Knight G.** Emerging Paradigm for International Marketing: The Born Glob-

- al Firm. Michigan State University. 1997.
73. **Konow J., Earley J.** The Hedonistic Paradox: Is Homo Economicus Happier?//Journal of Public Economics, 1992, N2.
74. **Krugman P.** End this Depression Now. NY., L., Norton, 2012.
75. **Krugman P.** How Did Economics Get So Wrong? //The New York Times, Sept., N2, 2009.
76. **Krugman P.** Innovating: Our Way to Financial Crisis//New York Times, 2007, 3 December. www.nytimes.com/2007/12/03/opinion/03krugman.htm
77. **Laeven L., Valencia F.** Systemic Banking Crises: A New Database//IMF Working Paper, N224.
78. **Loustarien R.** Internationalization of the Firms. Helsinki, School of Economics, 1999.
79. **Lucas R.** In Defence of Dismal Science//The Economist, 2009, Aug., 6. www.economist.com/node/1416
80. **Lucas R.** Macroeconomic Priorities//American Economic Review. Vol. 93, N1.
81. **Meltzer A.** Origins of the Great Inflation//Federal Reserve Bank of St. Louis Review, 2005, vol. 87.
82. **Miller M.** Financial Innovation: The Last Twenty Years and the Next//Journal of Financial and Qualitative Analysis. Dec. 1986. Vol. 21 (4).
83. **Minsky H.** Financial Crisis: Systemic or Idiosyncratic. Jerome Levy Economic Institute. Bard College, Working Paper, N51, 1001.
84. **Minsky H.** The Transition to a market Economy: Financial Options. Jerome Levy Economic Institute. Bard College. Working Paper, N51, 1991.
85. **Minsky H.,** Finance and Stability. The Limit of Capitalism. Jerome Levy Economic Institute. Bard College. Working Paper, N93, 1993.
86. **Modelski J., Tomson W.** Leddings Sectors and World Powers: Co-Revolution of Global Politics and Economics Colambia, 1995.
87. **Ohme K.** The Bordless Economy. Montana, 1990.
88. **Palley T.** After the Bust: The Outlook for Macroeconomics and Macroeconomic Policy//The Real-World Economics Review, 2009, N49.
89. **Papadimitrow D., Wray R.** Minsky's Analysis of Financial Capitalism. Jerome Levy Economic Institute, Working Paper, N875, 1999.
90. **Pettis M.** The Volatility Machine. Emerging Economics and Threats at of Financial Collapse. Oxford University Press. 2001.

- 91.** **Rebelo S.** Real Business Cycle Models: Present, Past and Future//Scandinavian Journal of Economics, 2005, vol. 107, N2.
- 92.** **Remarks by President and the National Academy of Sciences Annual Meeting.** The White House. Office of the Press Secretary. April 27, 2009, <http://www.scientific.ru/2009/Obama.rtm>
- 93.** **Rosent U., Charles C.** Steks, Riots and Terrorism. Springfield: Carlisle, Thomas, 1999.
- 94.** **Sachs D.** Restoring Virtue Ethics Quest for Happiness Report. 2013.
- 95.** **Sammers I.** International Financial Crisis: Causes, Prevention and Cures// American Economic Review. 2009. Vol. 90, N2.
- 96.** **Schumpeter L.** Capitalism, Socialism and Democracy. London Unwin Paperbacks (1942), 1987.
- 97.** **Sen A.** Capitalism Beyond the Crisis//New York Review of Books. Vol. 56, N5.
- 98.** **Stiglitz J.** Markets Can't Rule Themselves. Newsweek, 2008, 31 December.
- 99.** **The Global Financial Crisis – Why Didn't Anybody Notice?** British Academy Review, 2009, Issue 14. Nov.
- 100.** **The New Face of Capitalism: Slow Growth, Excess Capital and a Mountain of Debt//Monthly Review.** 2002, N11.
- 101.** **Thurow L.** The Future of Capitalism. NY, 1996.
- 102.** **Tylecote A.** The Long Wave in World Economy. London, Routledge, 1991.
- 103.** **Wolfson M.** Minsky's theory of Financial Crisis in a Global Context//Journal of Economic Issues, 2002.
- 104.** **World Investment Report.** 2000.
- 105.** **Акерлоф Дж. Шиллер Р.** Spiritus Animals – или как человеческая психология управляет экономикой и почему это важно для мирового капитализма. М., Альпина Бизнес Букс, 2010.
- 106.** **Аристотель.** «Политика». Соч., т. 4, М.: «Мысль», 1984.
- 107.** **Асемоглу Д., Робинсон Дж.** Политика или экономика? Ловушки стандартных решений//Вопросы экономики, 2013, №12.
- 108.** **Балашова Е.** Финн Кюдланд и Эдвард Прескот: движущие силы экономических циклов (Нобелевская премия по экономике)//Вопросы экономики, 2005, №1.
- 109.** **Бафет М., Кларк Д.** Бафетология. Минск: Попурри, 2006.

- 110.Белянин А., Егоров Е.** О творческом наследии выдающегося экономиста (К 100-летию со дня рождения Мориса Алле)//Вопросы экономики, 2011, №10.
- 111.Богданов А.А.** Тектология. Всеобщая организационная наука. Книга 2. М., Экономика, 1989.
- 112.Булатов А.** Сходство и различия экономического кризиса в США и России//Вестник института Кенана в России. Выпуск 15, М., 2009.
- 113.Буренин А.** Рынки производных инструментов. М.: Инфра-М., 1996.
- 114.Валерстайн И.** Глобализация или переходный период?//Экономические стратегии. 2000, №2.
- 115.Васильев В.** Глобализирующая экономика: развитие по второму началу термодинамики?// Экономические стратегии. 2011, №1.
- 116.Вперёд в прошлое?//**Национальный банковский журнал, 2010, №4.
- 117.Гальчинский А.** Кризис и циклы мирового развитияю Киевб 2010.
- 118.Гелбрейт Дж. К.** Экономика невинного обмана. М., 2009.
- 119.Глобализация мирового хозяйства и национальные интересы России.** М., 2002.
- 120.Григорьев Л., Салихов М.** Финансовый кризис – 2008: вхождение в мировую рецессию//Вопросы экономики, 2008, №12.
- 121.Гринберг Р.** Юбилей зрелости: дела и планы // Вопросы экономики, 2010. №5.
- 122.Гринберг Р., Рубинштейн А.** Теория, инновации и контуры будущей экономики в диалоге с Кеннетом Эроу//Вопросы экономики, 2010, №10.
- 123.Гринспен А.** Эпоха потрясений. Проблемы и перспективы мировой финансовой системы. М., Сколково, 2010.
- 125.Греф Г., Юданова К.** Российская банковская система в условиях глобального кризиса//Вопросы экономики. 2009, №7.
- 126.Доклад о развитии человека.** М., 1999.
- 127.Доу Ш.** Психология финансовых рынков: Кейнс, Мински и поведенческие финансы//Вопросы экономики. 2010, №1.
- 128.Загашвили В.** О режиме глобализационной открытости// Мировая экономика и международные отношения. 2005., №4.
- 129.Зотин А.** Великий деловеридж//Финансы. 2010, №10.

- 130.Кастельс М.** Информационная эпоха. М., 2000.
- 131.Кинделбергер Ч., Алибер Р.** Мировые финансовые кризисы: мании, паники и крах. СПБ.: Питер, 2010.
- 132.Кирдына С.** О своевременности современной экономической теории// Вопросы экономики, 2010, №16.
- 133.Кирман А., Коландер Д., Феммер Г., Хаасс А., Годберг Н. и др.** Финансовый кризис и провалы современной экономической науки// Вопросы экономики. 2010, №6.
- 134.Ковзанадзе И.** Уроки мирового кризиса: необходима новая модель регулирования экономики//Вопросы экономики, 2010, №4.
- 135.Ковзанадзе И.** Уроки мирового экономического кризиса и формирование новой модели развития. Тб., 2016.
- 136.Колодко Гж.** Неолиберализм и мировой экономический кризис. Вопросы экономики. 2010. №4.
- 137.Кондратьев Н.Д.** Большие циклы конъюнктуры и теория предвидения. М., Экономика, 2002.
- 138.Кондратьев Н.Д.** Мировое хозяйство и его конъюнктуры во время и после войны. Вологда, 1922.
- 139.Кондратьев Н.Д.** Тезисы работы, посвящённой экономической динамики капиталистического хозяйства. Из теоретического наследия Н.Д. Кондратьева//Экономика и математические методы. 1988, Т. 24, Выпуск 2.
- 140.Кучински И.** Очерки по истории мирового хозяйства. М.,1954.
- 141.Лавровский Б.** К вопросу о природе современного кризиса//Вопросы экономики, 2009, №9.
- 142.Кругман П.** Возвращение Великой Депрессии. Мировой кризис глазами нобелевского лауреата. М., 2009.
- 143.Малашхия Г.** Экономика человечная. Санкт-Петербург-Тбилиси, 2009.
- 144.Маркузе Г.** Одномерный человек. М., 1994.
- 145.Маркузе Г.** Эрос и цивилизация. Одномерный человек: исследование развитого индустриального общества. М., 2002.
- 146.Маршал Дж., Бансал В.** Финансовая инженерия. Полное руководство по финансовым инновациям. М.: Инфра-М., 1998.
- 147.Медоуз Д., Рандерс И.** Пределы роста: 30 лет спустя. М., Академ книга. 2007.

- 148. Мир перемен.** 2009, №1.
- 149.Мизес Л.Ф.** Человеческая деятельность. М., 2000.
- 150.Мизес Л.** Теория и история интерпретации экономической эволюции. Челябинск: »Социум», 2007.
- 151.Мировая экономика в начале XXI века.** Под ред. Л. Григорьева. М., Direct Media, 2013.
- 152.Мицек С.** Следует ли России опасаться глобализации?//Вопросы экономики, 2002, №8.
- 153.Модельски Дж.** Эволюция глобальной политики//Полис, 2005, №4.
- 154.Мониторинг мирового кризиса.** №18, 2010.
- 155.Найт Ф.** Риск, неопределенность, прибыль. М.: «Дело», 2003.
- 156.Нейман Дж., Моргенштерн О.** Теория игр и экономического поведения. М., 1970.
- 157.Неклесса А.** Глобальная трансформация: сущность, генезис, прогноз// Мировая экономика и международные отношения. 2004., №1.
- 158.Олысевич Ю.** Психологические основы экономического поведения. М., Инфра-М., 2009.
- 159.Плисецкий Д.** Трансформация глобальных финансов//Мировая экономика и международные отношения. 2010., №7.
- 160.Полтерович В.** Кризис экономической теории//Экономическая наука современной России, 2014, №1.
- 161.Попов Г.** О цивилизации XXI века//Вопросы экономики. 2013, №2.
- 162.Попов Г.** Об экономическом кризисе 2008 года//Вопросы экономики. 2008, №12.
- 163.Попов В.** Глобальные дисбалансы – нетрадиционная трактовка// Вопросы экономики, 2013, №1.
- 164.Раппопорт Г., Герц А.** Глобальный экономический кризис 2008-2009 года: истоки и причины//Вопросы экономики, 2009, №11.
- 165.Рейнерт Р.** Стратегии стран соседей ЕС в эпоху Трампа и Brexit//www.ipg-journal/strategii-stran-sosedei-es-epokhu-trampa-i-brexit-230
- 166.Реформирование мировой финансовой системы: повестка дня для «Большой Двадцатки».** М., 2013.
- 167.Сакасса Н.** Предотвращение будущих кризисов//Финансы и развитие. 2010. Выпуск 45.
- 168.Скотт П.** Глобализация и университет. М., 2004.

- 169.Сорос Дж.** Кризис мирового капитализма. М., 1999.
- 170.Сорос Дж.** Открытое общество: реформируя глобальный капитализм. М., 2001.
- 171.Сорос Дж.** Прогнозы: Будущее в форме W// Ведомости, 2010, 15 февр.
- 172.Сорос Дж.** Тезисы о глобализации//Вестник Европы. Т.2, М., 2001.
- 173.Стиглиц Дж.** Глобализация и её тревожные тенденции. М., 2003.
- 174.Стиглиц Дж.** Цена неравенства. М., 2015.
- 175.Столбов М.** Глобальный экономический кризис: критика и перспективы развития финансовых теории деловых циклов// Мировая экономика, 2010, №1.
- 176.Талер Р.** Новая поведенческая экономика. Почему люди нарушают правила традиционной экономики и как на этом заработать. М.: ООО «Издательство», «Э», 2017.
- 177.Тоффлер Э.** Третья волна. М., 1999.
- 178.Туган-Барановский М.И.** Периодические промышленные кризисы. Общая теория кризисов. М., Наука-РОССПЭН, 1997.
- 179.Фокс Дж.** Торговая политика США – время начать с начала//<https://www.warandpeace.ru>
- 180.Фридман Дж., Краус В.** Рукотворный финансовый кризис. М., ИР ИСЭН и Мысль, 2010.
- 181.Фром Э.** Иметь или быть. М., 1990.
- 182.Черковец О.** Глобализация сотрудничества или конкуренции?// Экономист, 2002, №10.
- 183.Шамрай Ю.** «Новый рынок» и «новая конкуренция» как составляющие стратегии преодоления кризиса// Международная экономика, №1.
- 184.Шумпетер Й.** Теория экономического развития. М.: Экономика, 2007.
- 185.Хайек Ф. А.** Пагубная самонадеянность. М., «Новости», 1992.
- 186.Юнг К.** Психологические типы. М., 1988.
- 187.**<http://www.project-syndicate.org/commentary/globalization-means-westernization>
- 188.**<http://www.project-syndicate.org/commentary/lessons-for-antiglobalists-by-joseph-e-stiglitz-2017>
- 189.**<http://www.project-syndicate.org/commentary/globalization-of-discontent-by-joseph-e-stiglitz-2017>
- 190.**<http://www.project-syndicate.org/commentary/protectionism-saves-no-jobs>

by-kennet-rogoff-2017-08

- 191.**<http://www.project-syndicate.org/commentary/real-risk-global-economy-by-christopher-smart-2017-11>
- 192.**<http://www.project-syndicate.org/commentary/coming-antinational-revolution-by-robert-shiller-2016-09>
- 193.**<http://www.project-syndicate.org/commentary/long-term-global-economic-projects-kaushik-basu-2017-06>
- 194.**<http://www.project-syndicate.org/commentary/china-economic-resilience-by-stephen-s-roach-2017-07>
- 195.**<http://www.project-syndicate.org/commentary/are-economists-good-by-robert-shiller-2015-01>
- 196.**http://www.intechopen.com/books/financial/management_from_an_emerging_market_perspective/bitcoin_and_the_world_of_digital_currencies
- 197.**<http://www.weroforum/prg/agenda/2017>
- 198.**<http://www.bank-of-england.co.uk/publications/news/2009/019/htm>
- 199.**<http://www.vestikavkaza.ru/articles/mir-fin-kriz/4249html>
- 200.**<https://www.projectsyndicate.org\commentary\oilprices-global 2016>
- 201.**http://www.arteks-group.com/article_about_crisis.htm/



სტამბა დამანი
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩებაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 57

stamba.damani@gmail.com

fb სტამბა დამანი / Print House Damani